I. ჩემი ძმისშვილის წერილები.

22 მარტი

ძვირფასო ბიძია, ჩემო სულიერო მოძღვარო! უკვე ოთხი დღეა, რაც მშობლიურ კუთხეში მშვიდობით ჩამოვაღწიე. ყველანი კარგად დამხვდნენ: მამაჩემი, სენიორ ვიკარიო,

მეგობრები, ნათესავები... ამდენი ხნის განშორების შემდეგ მათთან შეხვედრამ ისე ამაღელვა და დამაბნია, რომ ვერც კი შევამჩნიე, დრო როგორ გავიდა. ამიტომ ვერ მოგაწვდინეთ წერილი აქამდე.

იმედია, მომიტევებთ.

მე ხომ ჯერ კიდევ ბავშვმა დავტოვე აქაურობა. ყველაფერი, რაც მეხსიერებაში მქონდა შემორჩენილი, ახლა – როცა ზრდასრული ადამიანის თვალით შევცქერი – პატარა მეჩვენება. სამაგიეროდ უფრო თვალწარმტაცი გამხდარა ეზო-გარემო. მამაჩემის სახლი, უზარმაზარი რომ მახსოვდა, ჩვენს სემინარიაზე გაცილებით პატარა აღმოჩნდა; თუმცა მდიდარი მემამულის დიდი სახლი ნამდვილად არის. აქაურ შემოგარენზე ულამაზესს ვერსად ნახავს კაცი. განსაკუთრებით ლამაზია ბილიკებით დასერილი ბაღები, რომელსაც მხიარული ჩუხჩუხით ჩამოუდის ბროლივით ანკარა წყარო, მისი ნაპირები სურნელოვანი ბალახითა და ნაირფერი ყვავილებითაა მოხატული. კაკლის, ლეღვისა და სხვა ხშირფოთლოვან ხეთა ჩრდილში სასიამოვნო სიგრილეა. ბაღები მაყვლის, ვარდის, ჩიტისვაშლას ბუჩქებითა და ბროწეულის ხეებითაა შემოღობილი, ჩიტების ჟივილ-ხივილი აცოცხლებს ტყე-ველს.

მამაჩემს სურს თავისი ზეთისხილის ბაღები, ვენახი და ფერმა დამათვალიერებინოს. ჯერაც ვერ მოვახერხეთ ამის გაკეთება. ჯერჯერობით მამულის იქით ფეხი არ გამიდგამს, რადგან სტუმრიანობას არ უჩანს ბოლო.

ამ დღეებში ხუთმა ქალმა მომინახულა, ხუთივე ჩემი ძიძა ყოფილა თურმე. უნდა გენახათ, რა ხვევნა-კოცნა ამიტეხეს.

თუმცა უკვე ოცდაორი წლის ვარ, აქ მაინც ყველანი ლუისიტოს ან დონ პედროს ბავშვს მეძახიან. როცა შინ არ ვხვდები, სტუმრები მამაჩემისგან იგებენ "მისი ბავშვის" ამბებს. ვატყობ, წიგნები ტყუილად ჩამოვიტანე: მნახველების გამო ერთი წუთიც არ მაქვს თავისუფალი.

კასიკეს

წოდება, რომელიც სასაცილოდ არ მყოფნიდა, საკმაო მნიშვნელობისა აღმოჩნდა – მამაჩემი ხომ აქაურთა კასიკეა.

აქ ჩემი არავის ესმის, არავინ ეკიდება გაგებით ჩემს სწრაფვას ერთადერთი მიზნისაკენ. ეს მიზანი მღვდლად კურთხევა და ღვთის მსახურებაა. აქ ჩემს დიად მიზანს მანიაკობას მიაწერენ. ეს კეთილი ადამიანები ველურთა გულუბრყვილობით მირჩევენ, უარი ვთქვა სასულიერო წოდებაზე, რომელიც, მათი აზრით, ღარიბების საქმეა, მე კი, მდიდარი მემამულის ერთადერთმა მემკვიდრემ ოჯახი უნდა შევქმნა და ექვსი ლამაზი, ჯანსაღი შვილიშვილით დავუტკბო მამაჩემს სიბერის წლები.

მამაჩემისა და ჩემს საამებლად ქალებიც და კაცებიც ერთხმად გაიძახიან, რომ მე შესანიშნავი ყმაწვილი ვარ, განათლებული, ტანადი, სახიერი, რომ ეშმაკური გამოხედვა მაქვს. მოკლედ, ისეთ რაღაცებს ამბობენ, რომ ვბრაზობ და მრცხვენია კიდეც. თუმცა მორცხვი არასოდეს ვყოფილვარ. მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, მე ხომ ცხოვრებაში ბევრი ავიც მინახავს და კარგიც. ვცდილობ, არ ავყვე სიბრაზეს, არც არაფრისა მეშინია. ერთადერთი ნაკლი, რაც მე აღმომიჩინეს, თურმე სიგამხდრეა და ამას მეტისმეტ ნასწავლობას მიაწერენ. წონაში რომ მოვიმატო, ყოველნაირად ცდილობენ, წიგნებს არ

გამაკარონ. ჩვენი მხარე გემრიელი საჭმელებით არის ცნობილი და მეც ისე საგანგებოდ მიმზადებენ, თითქოს ჩემს დასაკლავად გასუქება ჰქონდეთ განზრახული.

დღე არ გავა, რომელიმე ახლობლის ოჯახმა ძღვენი არ მომიკითხოს. რას არ მიგზავნიან: ბისკვიტებს, კუახადოს,
 პირამიდის ფორმის ნიგვზიან ნამცხვარს, დაშაქრულ ხილს... ზოგი ჩემდამი ყურადღებას მარტო ძღვენის გამოგზავნით არ გამოხატავს: უკვე რამდენიმე გავლენიანი პირის ოჯახს ვეწვიე სტუმრად.
ხვალ სახელგანთქმულ პეპიტა ხიმენესთან ვარ მიწვეული სადილზე. ამ ქალის შესახებ თქვენც გსმენიათ. აქ არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, მამაჩემი რომ დაქორწინებას აპირებს მასზე.
მამაჩემი, მიუხედავად თავისი ასაკისა – იგი ორმოცდათხუთმეტი წლისაა – ისე ჭარმაგად გამოიყურება, ბევრ ყმაწვილს რომ შეშურდება. მას აქვს რაღაც ისეთი მიმზიდველი, რომელიც ბევრ ქალს თავგზას უბნევს. წარსულში ის მართლაც დიდი წარმატებით სარგებლობდა ქალებში და დონ ხუან ტენორიოს
სახელი დღემდეც აქვს შემორჩენილი.
პეპიტა ხიმენესს ჯერ არ ვიცნობ. ამბობენ, ძალიან ლამაზიაო. მე კი მგონია, ერთი ჩვეულებრივი პროვინციელი ლამაზმანია ალბათ. მარტო სხვათა გადმოცემით ძნელია რაიმეს თქმა, რას წარმოადგენს იგი საერთოდ. ერთი რამ კი ცნობილია: პეპიტა ხიმენესი უხვად დაუჯილდოებია ბუნებას გონიერებით.
პეპიტა ხიმენესი ოცი წლისაა, ქვრივია. ქმართან მხოლოდ სამი წელი უცხოვრია. დედამისი, განსვენებული დონია ფრანცისკა გალვესი, როგორც იცით, გადამდგარი კაპიტნის ქვრივი იყო. კაპიტანმა, ერთი პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ:
"...ცოლს დაუტოვა სიკვდილის შემდეგ
ხმალი ბრძოლებში ნაცადი მხოლოდ".
თექვსმეტ წლამდე პეპიტა და დედამისი სიღარიბეში ცხოვრობდნენ.
პეპიტას ჰყავდა ბიძა – დონ გუმერსინდო. იგი ფლობდა ერთ ბეჩავ მაიორატს, რომელსაც ძველად ზოგ-ზოგნი უაზრო პატივმოყვარეობის საამებლად იქმნიდნენ ხოლმე. სხვა მის ადგილას მუდმივ სიღატაკეში იცხოვრებდა, ყელამდე ვალებში ჩაეფლობოდა და ამაოდ ეცდებოდა გვარის ღირსების დაცვასა და საზოგადოებაშიც ბრწყინვალე ადგილის შენარჩუნებას. მაგრამ დონ გუმერსინდო ჩვეულებრივი ადამიანი კი არა, არაჩვეულებრივი ადამიანი აღმოჩნდა – ეკონომიის გენია. ვერ ვიტყვით, რომ ის ქმნიდა სიმდიდრეს, არა, მას უიშვიათესი უნარი გააჩნდა სხვისი სიმდიდრის ჩაყლაპვისა. თავად ფულს ძალზე მოკრძალებულად ხარჯავდა. არავინ იცოდა, როგორ ცხოვრობდა, მაგრამ ასეა თუ ისე, დონ გუმერსინდომ ოთხმოც წელს ისე მიაღწია, რომ ხელუხლებლად შეინარჩუნა თავისი სიმდიდრე და პროცენტებით გაცემული სესხით გაზრდილი თანხა. აქ მას არავინ კილავდა მევახშეობისთვის, პირიქით, კეთილი ადამიანის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ყველაფერში წესრიგის მოყვარულს, მევახშეობაშიც ზომიერება უყვარდა, მოვალეს წელიწადში ათ პროცენტს ართმევდა, როცა სხვები ოც-ოცდაათს და მეტსაც ითხოვდნენ. თავისი წესრიგიანობა, საქმიანობა და მთელი ძალ-ღონე მხოლოდ ქონების დაგროვებისკენ ჰქონდა მიმართული, ამქვეყნიურ სიამეებზე არასოდეს უფიქრია. მისი აზრით, დაქორწინება და შვილები მის სიმდიდრეს ბევრს დააკლებდნენ. მას ხომ ერთი სიგარეტიც კი არასოდეს მოუწევია! ამრიგად, იგი გახდა მფლობელი საკმაოდ დიდი კაპიტალისა, რომელსაც მართლაც დიდად მიიჩნევდნენ ნებისმიერ ქვეყანაში, მით უმეტეს აქაური ღარიბი მოსახლეობისთვის, თანაც ანდალუსიელებისთვის ხომ – ყველაფრის გაბუქვა რომ უყვართ – დონ გუმერსინდო აურაცხელი სიმდიდრის პატრონი იყო.

საკუთარი თავისადმი მეტად ყურადღებიანი და ფაქიზი დონ გუმერსინდო სასიამოვნო, გულმისასვლელი მოხუცი გახლდათ.
ტანსაცმელი ცოტა ჰქონდა, თუმცა რაც ჰქონდა, მართალია, გვარიანად იყო ნახმარი, მაგრამ სამაგიეროდ, პატარა ლაქაც კი არ აჩნდა. უზადო სისუფთავე მაშინვე გეცემოდა თვალში, თუმცა ყველამ იცოდა, რომ ეს ლაბადა, შარვალი, პიჯაკი და ჟილეტი ლამის პატრონის ხნისა იყო. მეზობლები ხშირად ეკითხებოდნენ ერთმანეთს, ახალ სამოსში გამოწყობილი დონ გუმერსინდო თუ გინახავთო, მაგრამ ამ კითხვაზე პასუხის გამცემი არავინ იყო.
მიუხედავად ამ ნაკლისა, რომელსაც ჩვენში და, საერთოდ, სხვაგანაც სათნოებად მიიჩნევენ – ვფიქრობ, ცოტა გადაჭარბებული შეფასებაა – სხვა დადებითი თვისებებიც გააჩნდა. თბილი, თავაზიანი და კეთილი მოხუცი გაჭირვებაში მყოფს თან ჰყვებოდა, ღამეს უთენებდა, გვერდიდან არ შორდებოდა, დაღლილობას არად აგდებდა, მაგრამ ფულს რაც შეეხება, ერთ რეალსაც ვერ გააგდებინებდი ხელიდან.
მხიარული და ენამოსწრებული დონ გუმერსინდო გამოჩნდებოდა თუ არა საზოგადოებაში ან დღესასწაულებზე – ფსონის დადება თუ არ უწევდა – ყველას ატყვევებდა თავაზიანობითა და გონიერი, თუმცა არცთუ დახვეწილი საუბრით. ქალების სიყვარულს ვერავინ დასწამებდა. გამორჩეულად არავინ ჰყვარებია, მოწონებით კი ყველა მოსწონდა. მახლობელი ათი ლიგის მანძილზე ძნელად ნახავდი ბერიკაცს, ვისაც მასავით შეეძლო გოგონებთან გაარშიყება და გამხიარულება. როცა ის მეოთხმოცე წელში გადადგა, პეპიტას თექვსმეტიც არ შესრულებოდა. მოხუცი მდიდარი იყო, პეპიტა – ღარიბი. დონია ფრანცისკას – უხეშსა და გაუნათლებელ ქალს – რა თქმა უნდა, უყვარდა თავისი ქალიშვილი, მაგრამ ყოველდღე მოთქმითა და ვაი-ვიშით აყვედრიდა, შენი გულისთვის ბევრი ამქვეყნიური სიკეთე დავთმე, უნუგეშო სიბერე და შიმშილით სიკვდილი მელოდებაო. მას ვაჟიშვილიც ჰყავდა, პეპიტაზე უფროსი. დიდი შფოთისთავი, მოთამაშე და ლოთიფოთი ვინმე იყო. ბევრი უსიამოვნების შემდეგ დედამ შვილის მოცილება მოახერხა, ოკეანის გაღმა, ჰავანაში უშოვა უმნიშვნელო სამსახური, საიდანაც მალე დაითხოვეს უწესობისთვის. უმუშევრად დარჩენილი ვაჟი დედამისს წერილს წერილზე უგზავნიდა, ფულს სთხოვდა. დონია ფრანცისკას სად ჰქონდა გასაგზავნი ფული, პეპიტას და მას თვითონ ძლივს გაჰქონდათ თავი. ვაჟიშვილის საქციელზე ძალიან ბრაზობდა, ქრისტიანული მოთმინება ეკარგებოდა, გაჩენის დღეს იწყევლიდა, მაგრამ რაღაცის იმედი მაინც ჰქონდა, პეპიტას გათხოვებაზე ოცნებობდა, იქნებ სიღარიბეს ამ გზით მაინც დავაღწიოთ თავიო.
დედა-შვილი ასეთ გაჭირვებაში იყო, როცა დონ გუმერსინდომ მათთან სიარულს მოუხშირა და გოგონას დაჟინებით დაუწყო არშიყობა. კაცი, რომელიც ოთხმოცი წლისა ისე გახდა, ცოლის შერთვა გუნებაშიც არ გაუვლია, კაცი, რომელსაც ცალი ფეხი სამარეში ედგა, უცებ გადაწყვეტს დაქორწინებას – იმდენად დაუჯერებელი და ჭკუასთან შორს იყო მარტო წარმოდგენაც კი, რომ სახტად დარჩენილი დედა-შვილი დაეჭვდა, რაიმე მზაკვრული ხომ არ იმალება ბერიკაცის მართლაცდა თავხედურ ჩანაფიქრს უკანო. ერთხელაც სერიოზულ და ნახევრად ხუმრობით ნათქვამი ქათინაურების შემდეგ დონ გუმერსინდომ პეპიტას თვალი თვალში გაუყარა და მოულოდნელად დაუსვა შემდეგი ხასიათის შეკითხვა:
– გოგონი, ცოლად გამომყვები?
მართალია, მოხუცმა ამ შეკითხვას ბევრი სასაცილო ამბავიც მოაყოლა, აქაოდა, ვიხუმრეო, მაგრამ მიუხედავად ცხოვრებისეული გამოუცდელობისა, პეპიტა ქალური ალღოთი მიხვდა – რა მიამიტებიც არ უნდა იყვნენ, ქალიშვილებს მიხვედრილობის განსაკუთრებული უნარი მაინც აქვთ – რომ ამჯერად ეს შეკითხვა მთელი

სერიოზულობით იყო დასმული, ალუბალივით გაწითლებულმა სიტყვა ვერ დაძრა, მის ნაცვლად დედამ უპასუხა:

– გოგონი, იყავ თავაზიანი და როგორც საჭიროა, ისე უპასუხე: სიამოვნებით, ბიძია, როცა თქვენ ინებებთ.
ამბობენ, ეს "სიამოვნებით, ბიძია, როცა თქვენ ინებებთ" უნებურად დასცდა პეპიტას ათრთოლებულ ტუჩებს. იგი დაემორჩილა დედის მუდარას, რჩევა-შეგონებას და ბოლოს – ბრძანებასაც.
მგონი, ძალიან გამიგრძელდა პეპიტა ხიმენესზე საუბარი, მაგრამ ამ ქალის თავგადასავალმა დამაინტერესა და ვფიქრობ, თქვენც დაგაინტერესებთ, რადგან, როგორც ამბობენ, ის თქვენი რძალი და ჩემი დედინაცვალი უნდა გახდეს. ვეცდები, წვრილმანებზე აღარ შევჩერდე და მხოლოდ მთავარი მოგახსენოთ. თქვენ ალბათ უჩემოდაც იცით ყველაფერი, თუმცა აქ დიდი ხანია არ ყოფილხართ.
პეპიტა ხიმენესი ცოლად გაჰყვა დონ გუმერსინდოს.
ქორწინებამდე და ქორწინების შემდეგაც ბოროტი ენები პეპიტას ამ საქციელისთვის კარგა ხანს კიცხავდნენ.
რა თქმა უნდა, ეს ქორწინება ზნეობრივად მართლაც გასაკიცხია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ დედის მუდარას და ბოლოს ბრძანებასაც, თუ მხედველობაში მივიღებთ გოგონას თავგანწირულ გადაწყვეტილებას, ამ ქორწინებით მაინც დაეტკბო დედამისისთვის სიბერის წლები, ძმისთვის ჩამოერეცხა სირცხვილი – მათი მფარველი ანგელოზი, მათი სალოცავი ხატი გამხდარიყო, მაშინ პეპიტას მიერ ეს გადადგმული ნაბიჯი, პირიქით, ქების ღირსია. ასეც რომ არ იყოს, შეგვიძლია კი ჩავწვდეთ ყმაწვილი ქალის სულის სიღრმეში მიმალულ წმიდათაწმიდა საიდუმლოს, თანაც თუ ეს ქალი სიმარტოვეში გაიზარდა და ამ ქვეყნისა არა გაეგება რა. იქნებ მას სულაც სიბრალულმა და სხვათათვის სიკეთის ქმნის უანგარო, წმინდა გრძნობამ გადააწყვეტინა ცოლად გაჰყოლოდა დონ გუმერსინდოს, მთელი თავისი ცხოვრება მისთვის მიეძღვნა, მოევლო, ბედის ანაბარა არ მიეტოვებინა და ანგელოზივით ქალად ქცეულს თავისი სინორჩითა და დამატყვევებელი სილამაზით ბერიკაცის სიცოცხლის ბოლო დღეები ბედნიერებით გაეცისკროვნებინა? და თუ ეს ყველაფერი ასე იყო, მაშინ რატომ არ არის მისი ეს ნაბიჯი კეთილშობილება?
მაგრამ უმჯობესია დაველოდოთ მოვლენებს, წინასწარ ნუ განვსჯით ვინმეს, მით უმეტეს, მე არ მაქვს ამის უფლება, რადგან არ ვიცნობ პეპიტა ხიმენესს. ერთი რამ კი ნათელია: სამი წელიწადი პეპიტა და მოხუცი სრული თანხმობით ცხოვრობდნენ. დონ გუმერსინდო ასეთი ბედნიერი არასოდეს ყოფილა. ცოლი თავს ევლებოდა, მაშინაც კი, როცა ავადმყოფობამ საბოლოოდ მიაკრა საწოლს, თავზე ადგა, ღამეებს უთევდა, სიყვარულითა და სინაზით უვლიდა ქმარს იქამდე, ვიდრე მის მკლავებში არ დალია სული... პეპიტა დიდძალი ქონების პატრონი გახდა.
თუმცა ორ წელიწადზე მეტია პეპიტას დედა გარდაეცვალა და წელიწადნახევარია, რაც დაქვრივდა, შავები ჯერაც არ გაუხდია. განმარტოებულად ცხოვრობს. "თითქოს დიდი მზეჭაბუკი ქმარი მოკვდომოდეს, ისე გლოვობს", – ამბობდნენ მავანნი. სრულიად შესაძლებელია, ქალის არსებაში გაიღვიძა თავმოყვარეობამ, გაიხსენა, როგორ გახდა ამ სიმდიდრის მფლობელი, გაიხსენა და განიცდის, სინდისი ქენჯნის... იქნებ სწორედ ამიტომაც ცხოვრობს განდგომილი, იქნებ მარტოობაში სურს ჰპოვოს სულის სიმშვიდე!
როგორც ყველგან, აქაც ძალიან უყვართ ფული, თუმცა "როგორც ყველგან" მთლად ზუსტი არ არის: დიდ ქალაქებში, ცივილიზებულ ცენტრებში სხვა რამესაც ანიჭებენ უპირატესობას და მას ისეთივე გულმოდგინებით იხვეჭენ, როგორც ფულს. პატარა პროვინციულ ქალაქებში სამეცნიერო, სალიტერატურო ტიტულებს, კეთილშობილებას,

დახვეწილ გემოვნებას, ნიჭსა და თავაზიანობას ნაკლები ფასი აქვს და დიდ ღირსებადაც ნაკლებად მიიჩნევა. აქ მხოლოდ ერთი რამ არის მთავარი: სოციალური იერარქია. ვიღაცა დიდი ქონების პატრონია, ვიღაცა – პატარასი. თავისი ქონების გონივრულად წარმმართავი მდიდარი, ლამაზი პეპიტა ხიმენესი აქ დიდი პატივისცემით სარგებლობს. მას ბევრი ცნობილი, შეძლებული მთხოვნელი ჰყავს, მაგრამ ყველას თავაზიანად იცილებს. თავაზიანად იმიტომ, რომ მტრების მომრავლებას ერიდება. ამბობენ, ღრმად მორწმუნე ქალია და სურს სიცოცხლის ბოლომდე ქრისტეს მოძღვრებას მისდიოს.

იმასაც ამბობენ, რომ არც მამაჩემია მთლად მოწონებული სასიძო, მაგრამ პეპიტამ იცის, "გულადსაც მართებს თავშეკავება" და ამიტომ მამაჩემთან კარგი, გულითადი ურთიერთობა აქვს, ყოველთვის ცდილობს რაიმეთი ასიამოვნოს, მაგრამ საკმარისია მამამ სიყვარულზე წამოიწყოს საუბარი, რომ პეპიტა მაშინვე მოკრძალებული დატუქსვით აწყვეტინებს ხოლმე. წარსულ ამბებს ახსენებს და ამქვეყნიურ სიამტკბილობაზე ხელის აღებას უქადაგებს.
ამ ქალბატონზე იმდენი რამ გავიგე, გამოგიტყდებით, მის გაცნობას მოუთმენლად ვესწრაფი. ვფიქრობ, ჩემს ცნობისმოყვარეობას თავისი მიზეზი აქვს და ამდენად, არც ქარაფშუტობად ჩამეთვლება და არც ცოდვად. პეპიტა მართალს ამბობს, დროა მამაჩემმა შეიცვალოს ცხოვრების ნირი, ჩაიხშოს ვნებები, ახალგაზრდული გამოხდომები და მშვიდი, ბედნიერი სიბერისთვის მოემზადოს. პეპიტას მხოლოდ ერთ საკითხში არ ვეთანხმები: მამაჩემი მაშინ ჩაწყნარდება – თანაც სწრაფად – თუ დაქორწინდება ღირსეულ, კეთილსა და მოსიყვარულე ქალზე, აი, რატომ მინდა ახალგაზრდა ქვრივი ქალის გაცნობა, მინდა დავრწმუნდე, არის თუ არა პეპიტა ყველა ამ სიკეთით შემკული. ამავე დროს სიბრაზეც მიპყრობს: თუმცა პეპიტა ყოველთვის თავაზიან უარს უპირისპირებს მამაჩემის სასიყვარული წინადადებას, ასე მგონია, მისი უარი ჩემს ოჯახურ სიამაყეს აკნინებს, შეურაცხყოფს. თუ ეს ცუდი გრძნობაა, ვისურვებდი მისგან განთავისუფლებას.
მე რომ სხვა აზრები მამოძრავებდეს, ვამჯობინებდი, მამაჩემი უცოლოდ დარჩენილიყო: როგორც ერთადერთ შვილს მემკვიდრეობად გადმომეცემოდა მთელი მისი ქონება და კასიკის წოდებაც, მაგრამ თქვენ იცით, რა მტკიცეა ჩემი გადაწყვეტილება.
თუმცა არაფერს წარმოვადგენ და შესაძლოა არც ვიმსახურებ, მე მაინც შინაგანი ხმა მკარნახობს, რომ მოწოდებით ღვთის მსახური ვარ, ამქვეყნიური სიკეთეები არცთუ დიდად მიზიდავს, თუ ჩემში ღვივის ვნება და ახალგაზრდული ცეცხლის თუნდაც პატარა ნაპერწკალი – ჩემი ასაკის ხალხს რომ ახასიათებს – მე მას შევწირავ ქრისტესა და სჯულის სიყვარულს. თქვენი მოცემული წიგნები, ასევე ჩემი მცირეოდენი ცოდნა აზიის უძველესი ხალხების ისტორიისა, არა მხოლოდ უბრალო ცნობისმოყვარეობას, არამედ სურვილსაც მიძლიერებენ სარწმუნოების საქადაგებლად მისიონერობა გავწიო შორეულ აღმოსავლეთში. როგორც კი დავტოვებ აქაურობას – სადაც მამაჩემის მოსანახულებლად თქვენ გამომგზავნეთ – მღვდლად ვეკურთხები და უფალი მომანიჭებს წარმმართთა მორჯულებისა და ცოდვებისგან განწმენდის წმიდათაწმიდა დაუმსახურებელ უფლებას – თუმც მეც ცოდვილი ვარ – როცა მარადიული, უხილავი ძალა-მადლი ჩემს თხოვნას შეისმენს და სულით ხორცამდე განმწმენდს, დავტოვებ ესპანეთს და შორეულ ქვეყნებში გავემგზავრები სახარების მქადაგებლად.
არ გეგონოთ, პატივმოყვარეობა მალაპარაკებდეს, სხვაზე მეტი არაფრით ვარ, ჩემი გადაწყვეტილება რომ ურყევია, ამას უზენაესსა და თქვენ გიმადლით. ძვირფასო ბიძია, თქვენ ხართ ჩემი სულიერი მასწავლებელი და საუკეთესო მაგალითი.

ვერ გადამიწყვეტია, ერთ რამეში გამოვუტყდე თავს – ეს აზრი, მოსაზრება თუ ნაფიქრალი ხშირად ჩემდა უნებურად მომდის თავში და რაკი ასეა, მსურს და ვალდებულიც ვარ გაგიზიაროთ, გულის სიღრმეში მიმალული საიდუმლოც კი გაგანდოთ. თქვენ მასწავლეთ ყველანაირი ვითარების გაანალიზება, პირველმიზეზის პოვნა, გულის ყველა კუთხე-კუნჭულის მოფათურება, ერთი სიტყვით, საკუთარი სინდისის გულმოდგინე ჩხრეკა.
ხშირად დავფიქრებულვარ აღზრდის ორ ურთიერთსაპირისპირო მეთოდზე. ერთი მეთოდის მიხედვით მასწავლებელი ცდილობს დაამტკიცოს ბავშვის უდანაშაულობა, სინამდვილეში – უწესობა. მისი აზრით, უცნობი ბოროტების თავიდან აცილება უფრო იოლია, ვიდრე ცნობილისა. მეორე მასწავლებელი კი ცდილობს არ შეურაცხყოს მოზარდის წესიერება და უხსნის, რას წარმოადგენს ბოროტება მთელი თავისი საშინელი შედეგებით. მისი აზრით, მოზარდი შეიმეცნებს ბოროტების არსს, შეიძულებს და არც არასოდეს ჩაიდენს მას. ვფიქრობ, ბოროტებას უნდა იცნობდე, რომ უკეთ შეაფასო უფლის უსაზღვრო სიკეთე – ჩვენი კეთილშობილური მიზნების იდეალური და მიუწვდომელი ზღვარი. მინდა მადლობა გითხრათ იმისათვის, რომ თქვენგან შევიმეცნე, როგორც წმინდა წიგნი ამბობს, თაფლთან და ზეთთან ერთად თქვენეული შეგონებები ბოროტებასა და სიკეთეზე: როცა დაგმობ პირველს, გონივრულად, მტკიცედ უნდა ისწრაფო მეორისკენ, მიხარია, რომ ყოველგვარი ზედმეტი მიამიტობის გარეშე მივყვები ჭეშმარიტ გზას სათნოებისკენ, და სადამდეც გასწვდება ჩემი, ერთი უბრალო მოკვდავის, ძალა – სრულყოფილებისაკენ. გაცნობიერებული მაქვს მისიონერობის მთელი სიმძიმე, ტანჯვა-წვალება, რომელიც გველოდება ამ ჭირვარამიან სამყაროში. ისიც ვიცი, რა ვარდყვავილებით მოფენილი და სწორია ის გზა, რომელსაც მარადიული სიკვდილისკენ მივყავართ.

თავს მოვალედ ვრაცხ, მადლობა მოგახსენოთ კიდევ იმისთვის, რომ მასწავლეთ მოყვასისათვის შეცდომებისა და ცოდვების მიტევება, შემწყნარებლობა და მოთმინება არა ნების სისუსტითა და თავზე ხელის გადასმით, არამედ მკაცრად და ფაქიზად.
ამას ყველაფერს იმიტომ გწერთ, რომ მინდა რჩევა გკითხოთ ერთ ისეთ საჩოთირო, რთულ საკითხზე... მიძნელდება შესაფერისი სიტყვების პოვნა... საქმე ის არის, რომ ზოგჯერ თავს ვეკითხები, იმიტომ ხომ არ ავირჩიე ღმერთის გზა, იმიტომ ხომ არ მივიღე ეს გადაწყვეტილება, რომ მამაჩემზე ვიყავი ნაწყენი. ეს წყენა ხომ არ არის ნაწილობრივ მაინც მიზეზი ჩემი არჩევანისა? განა შემეძლო თუნდაც გულის სიღრმეში მეპატიებინა მისთვის ტანჯვით გალეული დღეები საბრალო დედაჩემისა, რომელიც მისი ქარაფშუტობისა და გულგრილობის მსხვერპლი გახდა?
და მაინც გულში ღვარძლი და ბოღმა არ ჩამიდევს, პირიქით, სული ჩემი აღსავსეა მადლიერებით: მამაჩემი სიყვარულს, ზრუნვას არ მაკლებდა, მანებივრებდა, თითქოს დედაჩემის ხსოვნის წინაშე პატიებას ითხოვდა, თითქოს დედაჩემის შეურაცხყოფილი სულის მრისხანების ჩაცხრობას ცდილობდა... ამგვარად, ვიმეორებ, მამაჩემს მთელი არსებით ვემადლიერები, მან მე შვილად მცნო, ათი წელი რომ შემისრულდა, თქვენთან გამომგზავნა და იმ დღიდან თქვენ ხართ ჩემი მასწავლებელი და აღმზრდელი.
თუ ჩემს გულში ამოფეთქილია სათნოების თუნდაც სუსტი ყლორტი, თუკი რამე გამეგება მეცნიერებათა საფუძვლებში, თუკი სული ჩემი ისწრაფის ღირსებისა და სიკეთისკენ – ამ ყველაფერს მე თქვენ გიმადლით.
მამაჩემის ჩემდამი სიყვარული განსაკუთრებული და უჩვეულოა. პატივს მცემს, თუმცა არ ვიმსახურებ, მეტისმეტი მეჩვენება. ვფიქრობ, მამაჩემის მხრიდან ეს უფრო პატივმოყვარეობის ბრალია. მამობრივ სიყვარულში არის რაღაც ეგოისტური, რაც ალბათ პატივმოყვარეობის გაგრძელებას წარმოადგენს. ყველა ჩემი წარმატება და ღირსება – თუ,

რა თქმა უნდა, გამაჩნია – მამაჩემი მზადაა თავისად აღიაროს, თითქოს მისი პიროვნების ხორცისა და სულის ნაწილს წარმოვადგენდე. მაგრამ რაც არ უნდა იყოს, როგორც არ უნდა იყოს, მჯერა, რომ მამაჩემს ვუყვარვარ... მის სიყვარულში არის რაღაც უფრო დამოუკიდებელი და ამაღლებული, ვიდრე ის მისატევებელი ეგოიზმია, რაზეც ახლა მოგახსენეთ.
ჩემს სინდისს სიმშვიდე ეუფლება და ღმერთს მხურვალე მადლობას ვწირავ, როცა ვგრძნობ, როგორ იმარჯვებს სისხლი, – ბუნების ეს იდუმალი კავშირი – ერთმანეთთან რომ გვანათესავებს – როგორ მავსებს მამაჩემისადმი უანგარო სიყვარულითა და მოწიწებით. საშინელება იქნებოდა, მე რომ ის მხოლოდ საღმრთო მცნების გამო მყვარებოდა. მაგრამ აქაც არ მასვენებს ეჭვი: ჩემი არჩევანი აღსრულდება? მღვდლად ვეკურთხები თუ ბერად შევდგები? უარი ვთქვა ჩემს მოწოდებაზე თუ მივიღო თუნდაც მცირეოდენი იმ აურაცხელი სიკეთიდან, რაც მემკვიდრეობად მერგება და რაც ახლავე, მამაჩემის სიცოცხლეშივე შემიძლია გამოვიყენო? ამქვეყნიური ამაოების მიმართ გულმიუსვლელობა მამოძრავებს თუ რელიგიური ცხოვრებისკენ ჭეშმარიტი სწრაფვა? იქნებ სიამაყის, გამოუთქმელი გულისტკივილის, სიბრაზისა თუ რაღაც ამგვარის გამო – ჩემი სული რომ მოუცავს და იმ წყენის დავიწყების საშუალებას არ აძლევს, დედაჩემმა სულგრძელად რომ აპატია მამაჩემს – ვირჩიე ღვთისმსახურება? ეს ეჭვი ზოგჯერ საშინლად მღრღნის და მაწვალებს, მაგრამ თითქმის ყოველთვის ვჯაბნი მტკიცედ დარწმუნებული, რომ მამაჩემის მიმართ ქედმაღლობის ცოდვას არასოდეს ჩავიდენ და მივიღებდი კიდეც მისგან ყველაფერს, რომ მჭირდებოდეს. სიმშვიდე მეუფლება. მამაჩემის მადლიერი ვარ მცირედისთვისაც და ბევრისთვისაც.

ნახვამდის, ბიძია, წერილებს ხშირად და დაწვრილებით მოგწერთ, როგორც დამავალეთ, თუმცა არა ასე გრძელ წერილებს, მეშინია, მრავალსიტყვაობის ცოდვაში არ გადავვარდე.

28 მარტი

უკვე დავიღალე აქ ყოფნით. მოუთმენლად ველოდები იმ დღეს, თქვენთან რომ დავბრუნდები. ვესწრაფი თქვენს ნახვას და სასულიერო წოდების მიღებას, მაგრამ მამაჩემს სურს მასთან ერთად დავესწრო დიდ დღესასწაულს და საერთოდაც, მთხოვა აქ დავრჩე თუნდაც კიდევ ორ თვეს. ისეთი საყვარელი და ისეთი ალერსიანია ჩემ მიმართ, რომ უარს ვერ ვეტყვი. აქ დავყოფ იმდენ ხანს, რამდენსაც ის მოისურვებს, რომ ვასიამოვნო, თავს ისე ვაჩვენებ, თითქოს ძალიან მომწონს აქაური გართობები, სოფლური პიკნიკები და ნადირობა. ყველგან დავყვები, ვცდილობ, თავი მოვაჩვენო უფრო მეტად მხიარულ და ხმაურიან ადამიანად, ვიდრე სინამდვილეში ვარ, ნახევრად ხუმრობით და ნახევრად შესაქებად აქ "წმინდანს" მეძახიან. უხერხულობის გამო ვცდილობ დავმალო ან, უკიდურეს შემთხვევაში, ნაკლებ საჩინო გავხადო ჩემი ღვთისმოსაობა. ვცდილობ, ზომიერად გავერთო, უბრალოება შევინარჩუნო, ვმხიარულობ ჩუმად, უწყინრად, ეს კი ყოველთვის მოსაწონი და მისაღებია როგორც სიწმინდეებისთვის, ასევე წმინდანებისთვისაც, და მაინც უნდა ვაღიარო, რომ აქაური ზეიმები, უხეში ხუმრობები და ორომტრიალი ძალიან მღლის. ერთი-ორჯერ გავიფიქრე, ახლა რომ აქ დავრჩე და ამ ხალხს სახარებასა და ზნეობრივ სრულყოფილებაზე დავუწყო

ქადაგება, ხომ წარმოგიდგენიათ!.. მაგრამ სამაგიეროდ უფრო ლოგიკურია და საქებარი, ვიდრე ინდოეთში, სპარსეთში ან ჩინეთში გამგზავრება. როგორ უნდა დატოვო შენიანები, როცა ყველა არა, მაგრამ ნაწილი მაინც რაღაც დოზით – ზნედაცემულია. ამბობენ, ყველაფერში დამნაშავეა ახალი იდეები, მატერიალიზმი და უღმერთობაო. და თუ ამათ მართლა ძალუძთ გამოიწვიონ ასეთი ცუდი შედეგები, მაშინ, გამოდის, ეს ყველაფერი ხდება არა ბუნებრივი, არამედ ეშმაკისეული ძალით. ამას იმიტომ ვამბობ, რომ აქ თითქმის არავინ არაფერს კითხულობს არც კარგ და არც ცუდ წიგნებს. რაც შეეხება ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ მავნე სტატიებს, არა მგონია, აქაურების გარყვნა მოახერხონ... ეპიდემიის მიკრობებივით ჰაერში ხომ არ დაფრინავენ ურწმუნოთა იდეები? ჩემდა სამწუხაროდ, ერთი არასასიამოვნო აზრი ამეკვიატა და მინდა მხოლოდ თქვენ გაგანდოთ, იქნებ თავად სამღვდელოებაა დამნაშავე? იქნებ დღესდღეობით არ დგას იგი თავის სიმაღლეზე? მრევლს რომ ზნეობაზე უქადაგებს, აქვს კი მას ამის უფლება? მავანნი რომ თავიანთ ცხოვრებას ღვთის სამსახურს უძღვნიან, ეს ჭეშმარიტი რწმენით არის ნაკარნახევი თუ მხოლოდ არსებობის წყაროს წარმოადგენს მათთვის?! მით უმეტეს, რომ ახლა ღარიბები მომრავლდნენ ღვთის მსახურებად. ეს "საქმიანობა" ხომ შედარებით უზრუნველ ცხოვრებას ჰპირდება მათ? ჭკვიანი, სათნო, კეთილი, ჭეშმარიტად ღვთისნიერი მღვდელი სანთლით საძებარი გახდა დღეს. პატივმოყვარეობა არ მალაპარაკებს. ვაღიარებ, შეცდომებისგან არც მე ვარ დაზღვეული, მაგრამ რაკი მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, ჩემი მოწოდება აღვასრულო, შეცდომებს ღვთის შეწევნით გამოვასწორებ.

სამი დღის წინ სადილზე მიგვიწვია პეპიტა ხიმენესმა. მე უკვე გაცნობეთ ამის თაობაზე. მართლა ლამაზი ყოფილა. შეუმჩნეველი არ დამრჩენია მისი მოწიწება მამაჩემის მიმართ. ეს კი მამაჩემს იმედს უსახავს, რომ ბოლოს და ბოლოს ქალი გატყდება და მიიღებს მის წინადადებას.

რაკი შესაძლებელია პეპიტა ჩემი დედინაცვალი გახდეს, ყურადღებით ვაკვირდებოდი და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ის მართლაც განსაკუთრებული ქალია. მიძნელდება რაიმე ვთქვა მის სულიერებაზე, გარეგნულად მშვიდი და უწყინარი ჩანს, თუმცა ეს თვისება შეიძლება ყველას ახასიათებდეს, ღვთისნიერ ადამიანსაც და უღმერთოსაც, ფრთხილსაც და ანგარებიანსაც, სრულიად უგრძნობელს თუ არა, თითქმის უგრძნობელსაც. მაგრამ ეს შესაძლებელია ასევე სულიერების სხვა ნიშან-თვისებათა შედეგიც იყოს: საკუთარი სინდისის სიმშვიდე, განზრახვათა სიწმინდე და მზაობა – აღასრულოს ის მოვალეობა, რომელიც სიკეთეს მოუტანს საზოგადოებას. მისი გონება შესაძლებელია მიმართული იყოს უფრო მაღალი მიზნებისკენაც, მაგრამ იქნებ მას ანგარება ამოძრავებს და სულიერების უმაღლესობაზე სულაც არ ფიქრობს, ან იქნებ ჭკვიანურად უხამებს ერთმანეთს ცხოვრებისეულ პროზას და ოცნებისეულ პოეზიას? პატარა უთანხმოებაც კი ვერ შევამჩნიე გარშემომყოფთა მიმართ, თანდაყოლილი კეთილშობილებითა და ბუნებრიობით, უშუალობით გამოირჩევა ყველასგან, არც სოფლურ კაბას თაკილობს და არც ქალაქურ მოდას მისდევს. ორივე სტილს შესანიშნავად უხამებს ერთმანეთს. ასე რომ, სენიორასავით გამოიყურება, ოღონდ – პროვინციელ სენიორასავით. როგორც მივხვდი, პეპიტა არ იმჩნევს, საკუთარ გარეგნობაზე რომ ზრუნავს. სახეზე არაფერი აქვს წასმული, მაგრამ თეთრი ხელები, საგულდაგულოდ მოვლილი ფრჩხილები და მოხდენილი სამოსი მოწმობს იმას, რომ საკუთარ გარეგნობაზე უფრო მეტს ზრუნავს, ვიდრე პროვინციაში მცხოვრებ ქალს შეეფერება.

მისი სახლი გამოირჩევა სისუფთავითა და სამაგალითო წესრიგით. მართალია, იქ ვერ ნახავთ ერთ ნივთსაც, ხელოვნების ნიმუშს რომ წარმოადგენდეს, მაგრამ ვერც

პრეტენზიულს და უგემოვნოს ნახავთ რამეს. გარდა ამისა, ირგვლივ ყველგან მცენარეებია – პატიოში,
ოთახებში, შუშაბანდში, რაც სახლს მთლიანობაში საოცარ ელფერს სძენს.
მოოქრულ გალიებში იადონების მხიარული ჭიკჭიკი მთელ სახლს ავსებს. დიასახლისი, ეტყობა, ცდილობს გარშემო ცოცხალი არსებები იყოლიოს, რათა მათ მაინც გაუწიოს, გაუნაწილოს თავისი ზრუნვა და ალერსი. და თუ არ ჩავთვლით საგანგებოდ შერჩეულ მართლაც მშვენიერ მოახლეებს, გარდა იადონებისა და თუთიყუშებისა, შინაბერა ქალივით სახლში ჰყავს ძალიან სუფთა პუდელი და მომაბეზრებლად მოშინაურებულ-გაშინაურებული ორი-სამი კატაც.
დიდი სასტუმრო ოთახის ერთ კუთხეში მოწყობილია სამლოცველო, სადაც ყრმა იესო საგანგებოდაა განათებული. ლამაზ, თეთრყირმიზ სახეზე ქერა კულულები დაჰფენია, ქათქათა კაბა და ცისფერი მანტია მორთულია ოქროს ვარსკვლავებითა და ძვირფასი ქვებით. სამლოცველოს საფეხურებზე ყვავილები და დაფნის ტოტებია მიმოფანტული, მაღლა კი ურიცხვი სანთელი ანთია.
ამ ყველაფერს რომ უყურებ, არ იცი, რა თქვა, თუმცა ვფიქრობ, რომ ქვრივს ყველაზე მეტად საკუთარი თავი უყვარს: გასართობად თუ დროის გასაყვანად ან სულაც გულის გადასაყოლებლად მთავარი იყო ჰყოლოდა ვინმე, ვისზეც იზრუნებდა ნაზად და მთელი არსებით. ამისათვის შეარჩია ყვავილები, ფრინველები, ცხოველები და კიდევ ყრმა იესო, რომელსაც, რატომღაც მგონია, სულის სიღრმეში შინაურ ცხოველებზე დიდად არ გამოარჩევს.
პეპიტა ხიმენესს გონება რომ უჭრის, ამის უარყოფა არ შეიძლება. ერთი ზედმეტი ხუმრობა, ერთი უადგილო შეკითხვა არ დასცდენია ჩემს სურვილზე – მღვდლად კურთხევაზე, რომელიც ალბათ მალე აღსრულდება. ის მესაუბრებოდა აქაურ საქმეებზე, მიწის დამუშავებაზე, ყურძნის და ზეთისხილის მოსავალზე, მეღვინეობის დარგის გაუმჯობესებაზე. ლაპარაკობდა კრძალვით, უბრალოდ, არ ცდილობდა ჭკვიანად მოეჩვენებინა თავი. მამაჩემი თითქოს გაახალგაზრდავდა, თავს ლაღად გრძნობდა. მის დაჟინებულ არშიყობას სასურველი ქალი მადლიერებით იღებდა, თუმცა ამჟამადაც ეტყობოდა, სიყვარულს კი არა, მეგობრულ ურთიერთობას რომ გულისხმობდა.
სადილზე მოწვეულნი იყვნენ ექიმი, ნოტარიუსი და ვიკარიო – ოჯახის ერთგული მეგობარი და პეპიტას სულიერი მამა, რომელიც, ეტყობა, ძალიან აფასებს პეპიტას. ჩემთვის არაერთხელ უთქვამს საიდუმლოდ მის ქველმოქმედებაზე, უხვ შემოწირულობაზე, გულმოწყალებაზე, ერთი სიტყვით, ნამდვილი წმინდანიაო, მეუბნებოდა.
სენიორ ვიკარიოს რომ ვუსმენდი, რა თქმა უნდა, მჯეროდა მისი, და თუ მჯეროდა, მაშინ რატომ არ უნდა მინდოდეს, მამაჩემმა რომ ცოლად მოიყვანოს პეპიტა? მამაჩემი ხომ არც აპირებს მონანიე ცოდვილი გახდეს, ქორწინება კი ერთადერთი გზაა მისი აქამდე ბობოქარი ცხოვრების შესაცვლელად. იქნებ კალაპოტში ჩადგეს და იცხოვროს, თუ სამაგალითოდ არა, ჩუმად და მშვიდად მაინც.
პეპიტა ხიმენესთან სტუმრობის შემდეგ შინ რომ დავბრუნდით, მამაჩემმა თავისი გეგმები გამიზიარა. მითხრა: ქეიფი და დროსტარება მიყვარს, მიუხედავად ასაკისა, დარწმუნებული არ ვარ, შევძლებ თუ არა გამოსწორებას, თუკი პეპიტა არ შემიყვარებს და ცოლად არ გამომყვებაო. შემდეგ ეს საუბარი თავის სასიკეთოდ და იმედიანად რომ დაამთავრა, შემპირდა, ქონების მნიშვნელოვან ნაწილს შენ დაგიმტკიცებ, თუნდაც შვილები შემეძინოსო. მე ვუთხარი, ჩემი მიზნების განსახორციელებლად ბევრი ფული არ დამჭირდება, ძალიან გამიხარდება, თუ ძველს დაივიწყებ და ახლა მაინც ბედნიერად იცხოვრებ შენს ცოლ-შვილთან ერთად-მეთქი. მერე მამაჩემმა ისეთი მგზნებარებით

გამიზიარა თავისი სასიყვარულო იმედები, თითქოს მე ვიყავი მამა, თანაც ხნიერი, ის კი ჩემი შვილი და თანაც ჩემი ხნისა, არა, უფრო ახალგაზრდა. საპატარძლოს ღირსებები და ძნელად მოპოვებული გამარჯვებები რომ შემეფასებინა, მამაჩემმა მითხრა, პეპიტას თხუთმეტმა თუ ოცმა კაცმა სთხოვა ცოლობა, მაგრამ ყველა კუდამოძუებული გაისტუმრა, მეც ეს ბედი მეწია, თუმცა იმედს მაინც არ ვკარგავო. მამაჩემის აზრით, პეპიტამ ის იმდენად გამოარჩია სხვებში და ისეთი პატივისცემით ეპყრობა, რომ თუ ქალის მეგობრული გრძნობები ჯერჯერობით არ გადაზრდილა სიყვარულში, მერე და მერე, ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგად მაგის დროც უეჭველად დადგება. რაც შეეხება პეპიტას ორჭოფულ ქცევას, მამაჩემის აზრით, ეს გამოწვეულია ფანტასტიკისა და სოფიზმის გავლენით, მაგრამ იმედი აქვს, ეს უცნაურობები როგორც გამოჩნდა, ისევე გაქრება ბოლოს და ბოლოს. პეპიტას მონასტერში წასვლა არ სურს, არც მოსანანიებელი ცხოვრება იზიდავს, მიუხედავად თავისი კარჩაკეტილობისა და ღვთისმოსაობისა, აშკარად უყვარს თავის მოწონება, მონაზვნისა არაფერი სცხია. მამაჩემი იმასაც ამბობს, პეპიტას ორჭოფობა მისივე სიამაყიდან მოდის და არცთუ უსაფუძვლოდო: განა შეიძლება თანდაყოლილი კეთილშობილებით, სილამაზით, ჭკუითა და დახვეწილი გემოვნებით გამორჩეულმა ქალმა – რაც არ უნდა მალოს ეს თვისებები მორცხვად და კრძალვით – თავისი გული მიუძღვნას ვიღაც ხეპრე კაცს? პეპიტას წარმოდგენით, მისი სული აღვსილია ღვთისადმი მისტიკური სიყვარულით და მხოლოდ ღმერთს ძალუძს მოჰგვაროს მას სიმშვიდე, მაგრამ ჯერ არსად ჩანს ჭკვიანი და მიმზიდველი კაცი, ვინც დაავიწყებდა ყრმა იესოსაც კი. "თუმცა ეს მკრეხელობაა ჩემი მხრიდან, მაგრამ თავს ვიიმედებ, გავხდე ეს ბედნიერი მოკვდავი", – დასძინა მამაჩემმა.

ასეთია, ძვირფასო ბიძია, მამაჩემის ამჟამინდელი ყოფა და საზრუნავი. ხანდახან წამოიწყებს ხოლმე ჩემთან საუბარს, სურს ამიყოლიოს, გამოვხატო ჩემი მოსაზრება... მაგრამ რაოდენ შორსაა ჩემს მიზანთან ეს ყველაფერი!
როგორც ჩანს, თქვენი ჩემდამი განსაკუთრებული კეთილგანწყობის გამოა, რომ აქ განათლებული ახალგაზრდა კაცის სახელი გამივარდა. მეც ვაფრქვევ სიბრძნეს აქეთ-იქით, ვინ აღარ მოდის ჩემთან რჩევისათვის, ყველას თავისი გაჭირვება აქვს. კეთილმა სენიორ ვიკარიომაც კი გარისკა, აღსარების საიდუმლო დაარღვია, მომაკითხა და ზნეობის საკითხებში გაჩენილ ეჭვებთან დაკავშირებით რჩევა მთხოვა, აღსარებაზე მოსულ ადამიანებს ძალზე აინტერესებთ და მინდა ამომწურავი პასუხი გავცეო. აღსანიშნავია, რომ მას არცერთი დაინტერესებული პიროვნების სახელი არ გაუმხელია.
ვიკარიოს ნაამბობიდან განსაკუთრებით ერთმა აღსარებამ მიიქცია ჩემი ყურადღება. ერთ მის სულიერ ქალიშვილს, – მიყვება სენიორ ვიკარიო, – უცნაური ეჭვები გაუჩნდა ამ ბოლო დროს. მთელი არსებით ისწრაფის განმარტოებული ცხოვრებისაკენ, მაგრამ ზოგჯერ თავადვე ვერ გარკვეულა, ამ რელიგიურ გრძნობების მოზღვავებას ჭეშმარიტი მორჩილება კარნახობს თუ სიამაყის დემონი?
ღმერთის უსაზღვრო სიყვარული, მუდმივად ეძიო იგი სულის სიღრმეში – ის სადაც არის – უარი თქვა მიწიერ გრძნობებსა და სურვილებზე, რათა მიუახლოვდე უფალს, ეს რა თქმა უნდა, ღირსეული სწრაფვა და წმინდა განზრახვაა, მაგრამ ამ პიროვნებას ეჭვი გაუჩნდა და ამიტომ სურს იცოდეს, ეს ყველაფერი ხომ არ წარმოადგენს მეტისმეტი პატივმოყვარეობის ნაყოფს? მისი სიტყვებით რომ ვთქვა, – მეუბნება სენიორ ვიკარიო, – იქნებ ეჭვი იმიტომ გამიჩნდა, რომ – მე უღირს ცოდვილს – საკუთარი სული ჩემს ახლობელთა სულზე უკეთესი მგონია, რადგან, ხომ შეიძლება ჩემი სულისა და განზრახვის შინაგანი სილამაზე დაამდაბლოს, გააუფერულოს იმ ადამიანთა მიმართ სიყვარულმა, რომლებსაც ვიცნობ და რომლებიც ჩემს შესაფერისებად არ მიმაჩნია? იქნებ ღმერთი არასაკმარისად მიყვარს, ყველაზე მეტად კი არა ან უსაზღვროდ კი არა, არამედ

ცოტა იმაზე მეტად, რაც ცნობილია და რაც მძაგს, ანუ როგორ შევაფასო ის, რასაც არ ძალუძს გული აღმივსოს? თუ ჩემი ღვთისმოსაობა აგებულია ყოველივე ზემოთქმულზე, მაშინ მას ორი დიდი ნაკლი გააჩნია: ერთი, რომ ის სიამაყის შედეგი ყოფილა და არა ღვთისადმი წმინდა და მორჩილი სიყვარული, და მეორეც: ასეთი ღვთისმოსაობა თითქოს ჰაერშია გამოკიდებული, ამიტომაც აკლია სიმტკიცე და სიღრმე, ამიტომაც, ვის შეუძლია დანამდვილებით თქვას, რომ სული არასოდეს დაივიწყებს თავისი შემოქმედისადმი სიყვარულს. თუ ეს სიყვარული არ არის უსაზღვრო და მხოლოდ მცდარი აზრის ნაყოფია მხოლოდ, თითქოს არავინაა ამ პიროვნების სიყვარულის ღირსი?

პროვინციელი ქალისთვის ერთობ გონივრულ და დახვეწილ შეკითხვებზე პასუხის საპოვნელად მოვიდა ჩემთან ვიკარიო. მე ყველანაირად ვცდილობდი ამეცილებინა პირდაპირი პასუხები, ვიმიზეზებდი გამოუცდელობას, ასაკს, მაგრამ ის ისე ჩამაცივდა, რომ მომიწია გამომეთქვა რამდენიმე მოსაზრება. ბიძია, ძალიან გამიხარდება თუ თქვენც დამეთანხმებით. სენიორ ვიკარიოს ვუთხარი: თქვენი სულიერი ქალიშვილი ყველას კეთილად უნდა მოეპყრას, არ გამოამზეუროს მათი შეცდომები, პირიქით, ქრისტიანული სიყვარულის მოსასხამქვეშ დამალოს, ადამიანებში ეძიოს და ჰპოვოს ღირსება, უყვარდეს და პატივს სცემდეს მათ, ეცადოს ყოველ ადამიანში სიყვარულის ღირსი თვისებები დაინახოს, დაინახოს მოყვასი თვისი, ტოლი და სწორი თვისი, დაინახოს სული, რომლის ფსკერზეც ძევს საგანძური საუკეთესო თვისებებისა – ანუ დაინახოს არსება ღმერთის მსგავსი და სადარი. როცა ჩვენ გარშემო ყოველივე აღმაღლდება, როცა დამსახურებულად შევიყვარებთ და დავაფასებთ სხვებს, და მეტიც, გაბედულად და ღრმად ჩავიხედავთ საკუთარსავე სინდისში, გავაცნობიერებთ, ყველა ჩვენს შეცდომას, შეცოდებას, ვპოვებთ წმინდა მორჩილებას და ზიზღს საკუთარი თავისადმი – მაშინ გული აღივსება ადამიანთა მიმართ სიყვარულით და კი არ შეიძულებს, არამედ უმაღლესად შეაფასებს ადამიანებს და მათ ბუნებას. და თუ შემდგომ ამის საფუძველზე აღმოცენდება და მთელი უძლეველობით აღმაღლდება სიყვარული ღმერთისადმი, მაშინ აღარავის შეეშინდება, რომ ეს სიყვარული მომეტებული პატივმოყვარეობის, სიამაყის ან მოყვასისადმი უსამართლო ზიზღის ბრალი კი არა, ახლა ის უკვე დიადი სილამაზისა და სიკეთის სუფთა, წმინდა ჭვრეტითგან იბადება...
თუ, როგორც ვხვდები, ეს ეჭვები პეპიტა ხიმენესს აწუხებს და სენიორ ვიკარიოს აკითხავს რჩევისთვის, მაშინ მამაჩემი ამაოდ ნუ დაიიმედებს თავს, რომ ის უკვე უყვართ. მაგრამ თუ ვიკარიო პეპიტას გადასცემს ჩემს რჩევას და ისიც აღასრულებს მას, მაშინ პეპიტა გახდება ახალი მარია დე აგრედა,
ან უფრო ზუსტად, უარს იტყვის მისტიციზმსა და სხვა უცნაურობებზე და მიიღებს მამაჩემის წინადადებას, მამაჩემი კი მას არაფრით ჩამოუვარდება.

4 აპრილი

აქაური ცხოვრების ერთფეროვნებამ უკვე გული გამიწყალა. იმიტომ კი არა, რომ აქამდე ჩემი ცხოვრება უფრო აქტიური იყო ფიზიკურად, – პირიქით, აქ ხშირად დავდივარ ცხენით, დავეხეტები ველ-მინდვრებში და მამაჩემს რომ არ ვაწყენინო, სამორინესაც ვსტუმრობ ხოლმე. საზოგადოებაშიც ხშირად ვჩნდები – უბრალოდ, მშობლიური, ჩვეული სტიქიის მიღმა ვცხოვრობ. ჩემი გონებრივი ცხოვრებაც ნულს გაუტოლდა. წიგნს ვეღარ ვკითხულობ, ძლივს ვახერხებ, წუთი მაინც გამოვძებნო, რომ მივეცე ფიქრებსა და განსჯას. ადრე კი ჩემი ცხოვრების სასიამოვნო წუთებს სწორედ ფიქრები წარმოადგენდა. აი, რატომ მეჩვენება ჩემი ამჟამინდელი მდგომარეობა ასე ერთფეროვანი. მხოლოდ მოთმინების წყალობით – თქვენ რომ მირჩევდით ყველგან და ყოველთვის შემენარჩუნებინა – შემიძლია გავუძლო ამ ვითარებას.

სული მიშფოთავს კიდევ იმიტომ, რომ დღითი დღე მიმძაფრდება სურვილი მღვდლად კურთხევისა, რაც კარგა ხანია გადაწყვეტილი მაქვს. ახლა, როცა ასე ახლოა აღსრულება ჩემი ცხოვრების სანუკვარი ოცნებისა, მკრეხელობად მიმაჩნია სხვა რამეზე ფიქრი. ეს სურვილი ისე ძლიერ და ხშირად მახსენებს თავს, რომ შემოქმედის მიერ ბოძებულ ირგვლივ გამეფებულ სილამაზის, ვარსკვლავებით მოჭედილ ღამეულ ცას, ანდალუსიის ამწვანებულ ველებს, ზღაპრულად დაჩრდილულ ხეივნებს, ნაკადულის საამო ჩუხჩუხს უკაცრიელ ადგილას, სადაც ფრინველთა ჟივჟივი ავსებს არემარეს, სადაც ამდენი კეთილსურნელოვანი ყვავილია და ხასხასა ბალახი – წინათ რომ აღტაცებას მგვრიდა და მეგონა, ეს სიმშვენიერე რელიგიურობას კი არ უპირისპირდება, ფრთებს კი არ კვეცს მას, პირიქით, ფრთებს ასხამს და სამუდამოდ ამკვიდრებს ჩემს სულში-მეთქი, ახლა იგივე სიმშვენიერე ცოდვილი მეჩვენება, ეს ხომ მარადიულის მიუტევებელი დავიწყებაა დროებითის გამო, შეუქმნელისა და ზეგრძნობადის დავიწყებაა შექმნილისა და გრძნობადის გამო. თუმცა მე ახალი შემდგარი ვარ სათნოების გზაზე და სულს ჩემსას ჯერ არ დაუმარცხებია წარმოსახული მოჩვენებები, თუმცა ჩემი შინაგანი "მე" ჯერაც არ განთავისუფლებულა გარე შთაბეჭდილებათაგან და დამქანცველ "მსჯელობათა მეთოდისგან",

რათა ვიხილო ჭეშმარიტება და სიკეთე, უსახო და უფორმო. მინდა იცოდეთ, რომ მეშინია ლოცვა წარმოსახვების თანხლებით, რაც ასე ახასიათებს ჩემსავით სუსტ ადამიანს, ვისაც ჯერ არაფერი გაუკეთებია სასიკეთო. გონებისმიერი მსჯელობაც კი შიშსა მგვრის, ანდა სულაც საჭიროა განა ბევრი მსჯელობა იმისათვის, რომ შეიცნო ღმერთი? საჭიროა განა იმის მტკიცება, რომ გიყვარს ღმერთი? მე ვისურვებდი ფრთები გამომსხმოდა, ავფრენილიყავ და მივცემოდი მისი არსის წიაღჭვრეტას, მაგრამ ვინ მომცემს მე მტრედის ფრთებს, რათა მივაშურო უფლის სამყოფელს, საითაც ისწრაფის სული ჩემი? მაგრამ სად, რისთვის, რა დამსახურებისთვის? სად არის ხორცის მოკვდინება, ხანგრძლივი ლოცვა და მარხულობა? ღმერთო, განა რა გავაკეთე იმისათვის, რომ

მოწყალე ყოფილიყავი ჩემ მიმართ?

ძალიან კარგად ვიცი, არიან უსინდისო ადამიანები, რომლებიც ჩვენს წმინდა სარწმუნოებას უსამართლოდ სდებენ ბრალს: თითქოს ადამიანებს სიძულვილს ვუღვივებთ ყოველივე მიწიერის მიმართ, თითქოს მოვუწოდებთ ბუნების სიძულვილს, რადგან მასში არის თურმე რაღაც დემონური; თითქოს მრევლს ვუკიჟინებთ, მთელი არსებით მიეცნენ მხოლოდ იმას, რასაც ურწმუნონი ღმერთის მონსტრულ, ეგოისტურ სიყვარულს უწოდებენ: მათი აზრით ხომ ღმერთის სიყვარული ის არის, სულს რომ სული უყვარს. ძალიან კარგად ვიცი, რომ ეს ასე არ არის, რომ ჭეშმარიტი სარწმუნოებრივი მოძღვრება ასეთი არ არის. ღვთაებრივი სიყვარული ხომ გულმოწყალებას ნიშნავს, გიყვარდეს ღმერთი კი ნიშნავს გიყვარდეს ყველაფერი, რამეთუ ამოუხსნელი, იდუმალი ძალით

ყველაფერი ღმერთშია და ღმერთია ყველაფერში. კარგად ვიცი, რომ არ ვცოდავ, როცა ვამბობ, მიყვარს ყოველი ქმნილი არსება და საერთოდ, ყველაფერი-თქო. ეს სიყვარული ნებადართულია და სამართლიანადც. განა ისინი ღვთიური სიყვარულის გამოვლინებას, ღვთიური სიყვარულის ნაყოფს არ წარმოადგენენ? და მაინც რაღაც უცნაური შიში, უჩვეულო ეჭვი, გაურკვეველი სინდისის ქენჯნა მტანჯავს, მაწვალებს. უწინდელივით – როგორც ყრმობის წლებში, როგორც ადრეულ ბავშვობაში ვგრძნობდი სინაზისა და აღტაცების მოზღვავებას – ახლაც, როცა ტყეში ვარ, როცა ღამის მდუმარებაში ვისმენ ბულბულის გალობას, როცა მერცხლების ჟრიამული და შეყვარებული გვრიტების ჟღურტული მიამებს ყურთასმენას, როცა შევცქერი ულამაზეს ყვავილნარს ან ვარსკვლავებით მოჭედილ ზეცას – მეჩვენება, რომ ამ ყველაფერში არის რაღაც გრძნობიერი ტკბობა, რომელიც ერთი წამით მავიწყებს ჩემს უმაღლეს მოწოდებას, არ მინდა სული ჩემი სცოდავდეს ხორცის წინაშე, მაგრამ არც ის მინდა, რომ მატერიალური სამყაროს სილამაზეს და მისით გამოწვეულ ტკბობას, ყველაფერს დახვეწილს, ნაზსა და ჰაეროვანს, უფრო სულით რომ აღიქმება, ვიდრე ხორცით – როგორც მინდორ-ველების სურნელებით გაჟღენთილი კამკამა ჰაერის მსუბუქი ქროლვაა, როგორც ჩიტების გალობაა, როგორც საღამოჟამს მშვიდი, დიდებული სიჩუმეა ბაღებში – მოვწყდე ამ უმაღლესი მშვენიერების ჭვრეტას და მხოლოდ ერთი წამი დავაკლო ჩემს სიყვარულს იმ უხილავის მიმართ, ვინც შექმნა ჩემი სამყაროს ეს ჰარმონიული დიდებული შენობა.

8 აპრილი

სოფლური გართობები გრძელდება და მეც, სურვილის საწინააღმდეგოდ, იძულებული ვარ შევუერთდე მოზეიმეებს.

მამაჩემმა მთელი ჩვენი მამული შემომატარა. მინდა გითხრათ, რომ მამაჩემისა და მისი მეგობრების გასაოცრად, მე მთლად უვიცი არ აღმოვჩნდი სოფლის მეურნეობის საკითხებში. ვინ წარმოიდგენდა, რომ მე, ღვთისმეტყველს, მომავალ ღვთისმსახურს ამდენი რამ მეცოდინებოდა ბუნების კანონებში. კიდევ უფრო გაოცდნენ, როცა პედრო-ხიმენესისა და დონ-ბუენოს ჯიშის ახალფოთოლამოყრილი ვაზი განვასხვავე ერთმანეთისგან; როცა მწვანედ აბიბინებულ ჯეჯილში გამოვარჩიე ხორბლისა და ქერის ამონაყარი, რომ, საერთოდ, ვცნობ ხეხილისა და დეკორატიულ ხეებს და რომ სარეველა ბალახშიც შემიძლია გამოვარჩიო ბევრი დასახელების სარეველა და გადმოვულაგო კიდეც ყველას მათი დამახასიათებელი ნიშან-თვისებები.

როცა პეპიტა ხიმენესმა მამაჩემისგან გაიგო, რომ ძალიან მომწონს აქაური ბაღები, მაშინვე მიგვიპატიჟა თავის მამულში მოწეულ საადრეო მარწყვზე. პეპიტას სურვილი, რაღაცით ასიამოვნოს მამაჩემს – რომელიც მასზე დაქორწინებას აპირებს და რომელსაც ის

უარს ეუბნება – პირველ ხანებში უკადრის საქციელად, უაზრო კეკლუცობად მეჩვენებოდა, მაგრამ მერე და მერე, როცა დავინახე, რა უბრალო, რა უშუალოა პეპიტა, ყველა ცუდი აზრი მყისვე გაქრა და ახლა უკვე მჯერა, რომ მისი საქციელი ანგარება კი არა, უფრო მცდელობაა შეინარჩუნოს ის ერთგული მეგობრობა, რომელიც დიდი ხანია აკავშირებს მას ჩვენს ოჯახთან.
ერთი სიტყვით, გუშინწინ საღამო ხანს ვესტუმრეთ პეპიტას მამულში. თვალი რომ უკეთესს ვერაფერს ნახავს, სწორედ ისეთია აქაურობა. იქვე ჩამოედინება სოფლის მაცოცხლებელი არაერთი არხის მკვებავი პატარა მდინარე, რომელიც ამ კუთხეს რომ მოათქმევინებს სულს, მერე ორივე ნაპირზე ჩარიგებულ ალვების, ტირიფების, აყვავებული ოლეანდრებისა და სხვა ხშირფოთლოვან ხეებს შორის მიარბენინებს თავის ტალღებს ღრმა ხევისკენ, იქ კამკამა, გამჭვირვალე ჩანჩქერად ქცეული, ათას ბროლის შხეფად დამსხვრეული აქაფებულ მორევში ვარდება და მალე კვლავ ბუნების ნახელავ კლაკნილ კალაპოტს მიუყვება სოფლის განაპირას კაშხალისკენ. მდინარის ნაპირი აჭრელებულია ყვავილებით, ბალახით, ამჟამად უმეტესად იებითაა მოქარგული. სოფლის განაპირა ბორცვებზე ლეღვის, კაკლის ხეები და ნაირ-ნაირი ხეხილია შეფენილი. ვაკე ადგილზე ერთმანეთის მიყოლებით ჩარიგებულა მარწყვის, პომიდვრის, კარტოფილის, ლობიოს, წიწაკის კვლები. ამ მხარეში საგრძნობლად ბევრია ყვავილი, განსაკუთრებით – ვარდი. ასამდე ჯიშის იქნება. მებაღის სახლი პატარაა, მაგრამ სილამაზითა და სისუფთავით გამოირჩევა. სახლთან ახლოს ტალავერია და სწორედ ამ ტალავერში გაგვიმასპინძლდა პეპიტა არაჩვეულებრივი საუზმით, მარწყვი, რა თქმა უნდა, მთავარი იყო სუფრაზე. ნაადრევად მოწეულა წელს, თანაც უხვად. მარწყვთან ერთად თხის რძეც შემოდგეს სუფრაზე.
პიკნიკზე მიწვეული ვიყავით ექიმი, ნოტარიუსი, მამიდაჩემი დონია კასილდა, მამაჩემი, მე და, რაღა თქმა უნდა, ოჯახის უცვლელი სტუმარი სენიორ ვიკარიო, პეპიტას სულიერი მამა და გულმხურვალე მეგობარი.
დახვეწილ, რამდენადმე სიბარიტულ ჩვეულებათა თანახმად, მაგიდას ემსახურებოდა არა მებაღე, მისი ცოლი, პატარა ბიჭი ან აქაური გლეხები, არამედ ორი პირმშვენიერი ქალიშვილი, პეპიტას პირისფარეშები. ორივეს სოფლურად, უბრალოდ ეცვათ, მაგრამ ძალიან მიმზიდველად. ჭრელი ჩითის კაბა ტანზე შემოტმასნოდათ, მხრებზე აბრეშუმის შარფი მოეგდოთ, შავი, სქელი ნაწნავი კეფაზე დაემაგრებინათ, შუბლზე კი ეყარათ კულულები, აქაურები "კარაკოლესს"
 რომ ეძახიან. თმაზე ორივეს ვარდი ჰქონდა დამაგრებული.

პეპიტას ჩაცმულობას რაც შეეხება, მოახლეების ჩაცმულობისგან მხოლოდ ფერით და უმაღლესი ხარისხის ქსოვილით განსხვავდებოდა. მისი კაბა იმავე ფორმისა იყო, რაც მოახლეებისა, არც მოკლე და არც დასთრევდა მიწაზე. შავი აბრეშუმის შარფი, აქაური მოდის მიხედვით, მკერდს და მხრებს უფარავდა. თმაში მასაც ყვავილი ჰქონდა დამაგრებული. თავს სხვა არც რა სამკაული უმშვენებდა, გარდა თავისი ოქროსფერი თმისა. ერთი რამ კი მართლა თვალში საცემი გახლდათ: სოფლური წეს-ჩვეულების საპირისპიროდ, პეპიტა ხელთათმანს ხმარობდა. ამბობენ, პეპიტა ძალიან ზრუნავს თავის ლამაზ თეთრ ხელებზე და ვარდისფერ ფრჩხილებზეო. იქნებ ის მართლა სცოდავს თავისი პატივმოყვარეობით, მაგრამ, ვფიქრობ, შეიძლება მიეტევოს მას ეს ადამიანური სისუსტე. თუ არ ვცდები, არც წმ. ტერეზა იყო ნაკლებ პატივმოყვარე ახალგაზრდობაში, მაგრამ ამას მისთვის სულაც არ შეუშლია ხელი, გამხდარიყო უდიდესი წმინდანი.
პირადად მე, პატიება თუ არა, გაგება ნამდვილად შემიძლია. ეს ხომ ბავშვური პატივმოყვარეობაა და მეტი არაფერი. რა კეთილშობილურია, რა არისტოკრატული,

ლამაზი ხელები რომ გაქვს! მე თუ მკითხავთ, არის აქ რაღაც სიმბოლური: ხელი ხომ ჩვენი შრომის აღმსრულებელია, ჩვენი კეთილშობილების ნიშანია. ეს არის საშუალება, რისი მეოხებითაც გონებას, მხატვრულ აზრებს, ნების გამოვლენას ფორმას, სახეს აძლევს და ქმნის ძალაუფლებას, რომელიც ღმერთმა უბოძა ადამიანს, რათა განაგებდეს ღმერთისავე შექმნილ ყველაფერს ამქვეყნად. უხეში, დაძარღვული, ძლიერი, დაკოჟრილი ხელი – მშრომელი კაცის, მუშაკაცის ხელი – ამ ძალაუფლების კეთილშობილური გამოვლენაა, მაგრამ იმ ნაწილში, რომელიც უფრო მეტად უხეში მატერიალური ხასიათისაა. პეპიტას ხელები კი გამჭვირვალეა და მოვარდისფრო, თითქოს ხედავ, როგორ ფეთქავს სუფთა კრიალა სისხლი, რა ნაზი სილურჯით ფერავს იგი ძარღვებს. ეს ხელები, ეს ჩამოქნილი თითები თითქოს სიმბოლოა ჯადოსნური ძლიერებისა და იდუმალი ძალაუფლებისა – რომელსაც ხორცი შეასხა ადამიანის სულმა მატერიალური ძალის დაუხმარებლად – იმ ხილულ საგნებზე, ღმერთმა რომ შექმნა, ხოლო შემდეგ სრულყო ადამიანის დახმარებით. ძნელი დასაჯერებელია, ასეთი ხელების პატრონს გააჩნდეს ბნელი ზრახვები და უხეში, მდაბალი ანგარება.

ლაპარაკი ზედმეტია. როგორც ყოველთვის, მამაჩემი მთელი არსებითაა გატაცებული პეპიტათი, ის კი, ასევე ყოველთვის, სიტყვას ბანზე უგდებს კრძალვითა და ალერსიანად, რაც მამაშვილურ დამოკიდებულებას უფრო ჰგავს, მამაჩემს კი ასეთი რამ სულაც არ სურს. თუმცა მამაჩემი ცნობილია როგორც მოარშიყე, ქალებთან გაშინაურებული კაცი, პეპიტას ისეთი რიდით ექცევა, თვით ამადისიც რომ ვერ ექცეოდა სენიორა ორიანას

იმ ხანებში, როცა მოკრძალებულად ცდილობდა ქალის გულის მოგებას – არც ერთი უადგილოდ დაცდენილი სიტყვა, არც ერთი მომაბეზრებელი ქათინაური, არც ერთი თუნდაც ხუმრობით გადაკრული მინიშნება სიყვარულზე – რის უფლებასაც ანდალუსიელი მამაკაცები ხშირად აძლევენ საკუთარ თავს. მამაჩემი კი იმასაც ვერ ბედავს, უბრალოდ უთხრას: "კარგი თვალები გაქვს". ეს ასეც არის. პეპიტას დიდი მწვანე თვალები აქვს კირკესავით...

მის თვალებს ხიბლს მატებს ის, რომ პეპიტამ მგონი, არც იცის, როგორი თვალები აქვს, ვერაფერს შეატყობთ ისეთს, თავისი თვალებით კეკლუცობდეს, ცდილობდეს მამაკაცების ყურადღების მიპყრობას და თავგზის აბნევას ნაზი გამოხედვით. მისთვის რომ გეკითხათ, თვალები მხოლოდ საცქერლად აქვს ადამიანს. აქ უკვე იმის გაგებაც მოვასწარი, რომ ლამაზი ყმაწვილი ქალები სწორედ თვალებს იყენებენ როგორც საბრძოლო იარაღს, როგორც ნაპერწკლის წარმომშობ ელექტრულ ხელსაწყოს, რომელიც ელვის უსწრაფესად ახვევს გულს ცეცხლის ალში. მათგან განსხვავებით პეპიტას თვალები მოწმენდილ ცასავით კრიალა და მშვიდია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცივი გულგრილობაა შიგ ჩაბუდებული, პირიქით, უწყინრად და ნაზად იმზირებიან, სიყვარულით შესცქერიან სინათლის სხივს, ყვავილს, ნებისმიერ უსულო საგანსაც, მაგრამ გამორჩეულად რბილად, ადამიანური სათნოებით და ალერსით შესცქერიან მოყვასს. ვერც ერთი ყმაწვილკაცი, რაგინდ თვითდაჯერებულიც არ უნდა იყოს იგი, ვერ იტყვის, რომ ამ მშვიდსა და სათნო თვალებში დაინახა "რაღაც მეტი", ვიდრე უბრალო კაცთმოყვარეობაა, ქრისტიანული სიყვარულია მოყვასისადმი და ბოლოს და ბოლოს მეგობრული დამოკიდებულებაა.

ნუთუ ეს ყველაფერი ნასწავლი აქვს? ნუთუ პეპიტა მხოლოდ ნიჭიერი კომედიანტია? მაგრამ არა, ვერ დავიჯერებ, შეუძლებელი მეჩვენება ასეთი სრულქმნილი მოჩვენებითობა, ასეთი სრულქმნილი თამაში. მაშასადამე, თვით ბუნება მართავს ამ თვალებსა და მზერას. პეპიტას უპირველესად უყვარდა დედა, შემდეგ, ვითარებისა თუ მოვალეობის გამო შეუყვარდა დონ გუმერსინდო, როგორც ცხოვრების თანამგზავრი,

ხოლო როცა მიწიერი გრძნობები მასში ჩაქრა, შეიყვარა ღმერთი, ვისმა სიყვარულმაც შეაყვარა ყოველი სულდგმული. ერთადერთი რამ, რაც გაკიცხვას იმსახურებს, ეს პეპიტას უაზრო ეგოიზმია: განა ის სიყვარული არ სჯობს, ტანჯვა, გრძნობათა ჭიდილი რომ არ ახლავს? შეჩვევა რომ გადადის სინაზეში და საკუთარი თავისადმი სიყვარულს ემატება?

ზოგჯერ თავს ვეკითხები, პეპიტას რომ განვსჯი, საკუთარ თავს ხომ არ ვკიცხავ? ვიცნობ კი ამ ქალის სულს საკმარისად, რომ განვსაჯო? იქნებ მგონია, რომ მის სულს ვხედავ, სინამდვილეში კი საკუთარი მიდგას თვალწინ? არასოდეს მქონია და არც ახლა მაქვს ისეთი გრძნობა, რის წინააღმდეგაც მომიწევდა ბრძოლა. ყველა ჩემი გადახრა, ცუდიც და კარგიც, თქვენი ბრძნული რჩევა-დარიგების წყალობით დაუბრკოლებლად მიაღწევს სანუკვარ მიზანს. ამასთან, დაკმაყოფილდება არა მხოლოდ ჩემი კეთილშობილური და უანგარო სურვილები, არამედ ეგოისტურიც: სწრაფვა ღირსებისაკენ, ცოდნისკენ, შორეული ქვეყნებისადმი ჩემი დიდი ინტერესი, სახელისა და დიდების მოხვეჭის სურვილი... ეს ყველაფერი დაკავშირებულია ჩემ მიერ არჩეულ ცხოვრების გზასთან. აი, რატომ მგონია ხანდახან, რომ მე უფრო მეტად ვიმსახურებ გაკიცხვას, ვიდრე პეპიტა – თუ, რა თქმა უნდა, ჩავთვლით, რომ ის ამას იმსახურებს. მე უკვე მიღებული მაქვს დაბალი წოდება, ტონზურას
ნებაც... ვჭვრეტ ჩემს ბრწყინვალე მომავალს. ამისთვის ყველა დადებითი თვისება გამაჩნია, თუმცა ზოგჯერ მეტისმეტ თვითდაჯერებულობას ვამჟღავნებ, მაგრამ მალევე ვფხიზლდები და საშველად თავმდაბლობას ვუხმობ ხოლმე. ამ ქალს კი რა სურს? რისკენ ისწრაფის? მე მას ვკიცხავ იმის გამო, რომ მეტისმეტად ზრუნავს თავის ხელებზე, თავის სილამაზეზე, და მგონი, ხარობს კიდეც თავისი სილამაზით. ვკიცხავ სისუფთავისთვის, დახვეწილი გემოვნებისთვის, კეკლუცობისთვის, რომელიც მისივე მოკრძალებისა და უბრალოების მიღმა იმალება... მერე ეს სწორია, ეს გასაკიცხია? განა სათნო ადამიანი ფეთხუმი უნდა იყოს?! განა წმინდანობა ბინძურს ნიშნავს? განა სუფთა, სპეტაკ სულს უფლება არ აქვს იხაროს სხეულის სილამაზით? უცნაურია, რომ მე ასე არაკეთილმოსურნედ ვუყურებ პეპიტას სწრაფვას სისუფთავისკენ, მოხდენილობისკენ, წესრიგისკენ. შესაძლოა ეს იმის ბრალია, რომ მალე ჩემი დედინაცვალი უნდა გახდეს. კი მაგრამ, პეპიტას რომ ეს არ სურს? მას ხომ მამაჩემი არ უყვარს? თუმცა ქალებს რას გაუგებ, ვინ იცის, იქნებ სულის სიღრმეში გაუღვივდეს მამაჩემისადმი სიყვარული და გაჰყვეს ცოლად. იქნებ გაცნობიერებული აქვს, რაც ძნელად მიიღწევა, ის ძვირად რომ ფასობს. იქნებ განზრახული აქვს, გააწვალოს, თავის ძალაუფლებას დაუმორჩილოს, მისი გრძნობების სიმტკიცე შეამოწმოს და ბოლოს მშვიდად, გადაწყვეტილად უთხრას "დიახ". ვნახოთ...
ასეა თუ ისე, ბაღში მშვიდი, ხალისიანი განწყობა სუფევდა. ვსაუბრობდით ყვავილებზე, ხეხილზე, მყნობაზე, დარგვაზე, ერთი სიტყვით, აგრონომიაზე. უნდა ითქვას, პეპიტამ თავისი ცოდნით ამ დარგში დაგვჯაბნა მეც, მამაჩემიც და პადრე ვიკარიოც, რომელიც მუდამ პირღია უსმენდა პეპიტას და ირწმუნებოდა, ამ ხნის კაცი ვარ, სამოცდაათს გადავაბიჯე, მთელი ანდალუსია ფეხით მაქვს შემოვლილი, მაგრამ ასეთ ჭკვიან, მოაზროვნე ქალს არსად შევხვედრივარო.
ყოველი ასეთი სტუმრობის შემდეგ შინ დაბრუნებისას მამაჩემს დაჟინებით ვთხოვ ხოლმე თქვენთან გამომიშვას, რათა რაც შეიძლება ჩქარა დადგეს მღვდლად კურთხევის სანუკვარი წამი, მაგრამ მამაჩემი ისეთი ბედნიერია ჩემი იქ ყოფნით. გარდა ამისა, თვითონაც ისე არაფრით ეთმობა აქაურობა, სადაც უზარმაზარ ადგილ-მამულს ფლობს, სადაც კასიკის ძალაუფლებით სარგებლობს და სადაც პეპიტას ეთაყვანება – ხშირად ისე ეკითხება რჩევას, თითქოს ეს ახალგაზრდა ქალი მითური ნათელმხილველი ნიმფა იყოს

– ყოველთვის პოულობს მიზეზს და ალბათ კიდევ რამდენიმე თვეს მოიმიზეზებს რაღაცას, ოღონდ აქ დამტოვოს: ხან ღვინის გაფილტვრას და სხვა ჭურჭელში გადასხმას – პატარა კასრების მეტი რა არის სარდაფში! – ხან ვენახის მეორედ გათოხვნას, ხან ახალდარგული ზეთისხილის ხეების შემობარვას, ერთი სიტყვით, აქ მტოვებს ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ, თუმცა არც მთლად "ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდაა" საქმე, რადგან უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს მამაჩემის სახლში ცხოვრება. მამაჩემი ხომ თან მყვება, გულის სითბოსა და სიყვარულს არ მაკლებს.

ცუდი მხოლოდ ის არის, რომ მეშინია, აქ ცხოვრებამ მატერიალისტად არ მაქციოს: მეჩვენება, რომ ლოცვისას რაღაც უცნაურ სიმშრალეს ვგრძნობ სულში, ჩემი რელიგიური გზნებაც ნელდება, ყოველდღიური ცხოვრება კუთხეში იმწყვდევს სულიერ ცხოვრებას, ლოცვისას და საკუთარ სინდისთან საუბრისას ვაღიარებ, რომ უწინდელივით აღარ ვუთმობ მათ დიდ დროს, ვერც იმ საგნებს ვუნაწილებ გულის სინაზეს, ყურადღებას რომ იმსახურებენ. სამაგიეროდ, ისეთ ბავშვურ წვრილმანებში ვიხარჯები, სასაცილო კი არა, სამარცხვინოცაა... ამას წინათ შუაღამისას გამაღვიძა შეყვარებული სოფლელი ბიჭის სიმღერამ. თავისი დანჯღრეული გიტარის თანხლებით მღეროდა ფანდანგოსა თუ როიდენიას კუპლეტებს, რომელიც პოეტურობითა და დახვეწილობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ გული ისე ამიჩუყდა, თითქოს ციურ მელოდიას ვუსმენდი... რამდენჯერ დამმძიმებია გული მტანჯველი თანაგრძნობით! ორი-სამი დღის წინ ჩვენი მოურავის შვილებმა ჩიტებს ბუდე დაუნგრიეს. ჯერ კიდევ შეუბუმბლავი აჟივჟივებული ბარტყების დანახვაზე – რომლებიც შეუბრალებლად მოწყვიტეს დედის თბილ უბეს – ისე ავღელდი, რომ არ დაგიმალავთ, თავი ვერ შევიკავე... გუშინ გლეხს ფეხმოტეხილი ხბო დასაკლავად უნდა წაეყვანა და მამაჩემთან მოვიდა სათქმელად, რომელ ნაჭერს ინებებთ, რომ მოგართვათო. ხბო შემეცოდა, ვიფიქრე, ვიყიდი, ფეხს მოვურჩენ, იქნებ დაკვლას გადავარჩინო-მეთქი. მაგრამ შემრცხვა. მორცხვობამ არ გადამადგმევინა ეს ნაბიჯი. ერთი სიტყვით, ძვირფასო ბიძია, სხვას ვის ვენდო თუ არა თქვენ, ამიტომაც გაგიზიარეთ ჩემი გრძნობების ის უჩვეულო გამოვლინებები, რომელშიც თავად ვერ გავრკვეულვარ ჯერაც. ალბათ გამიგებთ, რა აუცილებელიცაა, დავუბრუნდე ჩემს წინანდელ ცხოვრებას, სწავლას, საქმეს, ჩემს დიად მიზანს – მღვდლად კურთხევას, რათა ჯანსაღი და კეთილი საკვები მივაწოდო ცეცხლს, რომელიც ჩემი სულის ჩანთქმას ცდილობს.

14 აპრილი

მამაჩემის თხოვნით კვლავაც აქ ვრჩები. წინ კვლავაც ჩვეულებრივი ცხოვრება მელოდება. ყველაზე დიდ სიამოვნებას მანიჭებს – თუ არ ჩავთვლით მამაჩემთან ყოფნას – სენიორ ვიკარიოსთან მეგობრული საუბარი. ჩვენ ხშირად და დიდხანს ვსეირნობთ. ჯერ არ მსმენია, მისი ასაკის კაცი (სენიორ ვიკარიოს ოთხმოცამდე ბევრი არაფერი უკლია) იყოს ასეთი ძლიერი, მოძრავი, დაუღლელი. მე უფრო მალე ვიღლები, ვიდრე ის. ამ შემოგარენში არ დარჩენილა ერთი პატარა ადგილი, ერთი ბილიკი, ერთი ბორცვი, ჩვენ ფეხი არ დაგვედგას იქ.

მას შემდეგ, რაც ჩვენს ვიკარიოს საკმაოდ დავუახლოვდი, მზად ვარ შევიცვალო აზრი ესპანელ სასულიერო პირებზე, რომლებსაც თქვენთან საუბრისას აუგად, უვიცებად

ვიხსენიებდი ხოლმე. ხშირად მიფიქრია: ეს ადამიანი – გულწრფელობის, კეთილმოსურნეობის, მიამიტობის განსახიერება – ბევრად სჯობს ნებისმიერ ნაკითხ მღვდელს, ვის სულშიაც ღვთიური სიყვარულისა და ჭეშმარიტი რწმენის ცეცხლი ისეთი ძალით არ გიზგიზებს, როგორც სენიორ ვიკარიოს სულში. არ იფიქროთ, რომ ჩვენი ვიკარიო უცოდინარი ადამიანია. მართალია, მას განათლება არ მიუღია, მაგრამ სული აქვს სუფთა და ნათელი. რამდენჯერ მიფიქრია, ალბათ იმიტომ ვარ მასზე კარგი აზრისა, რომ ყოველთვის ყურადღებით მისმენს-მეთქი, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ იგი ყველაფერში კარგად ერკვევა, კარგად უთავსებს ერთმანეთს რელიგიის ჭეშმარიტ სიყვარულს და იმ სასარგებლო ძვრების მიმართ პატივისცემასაც, რაც თანამედროვე ცივილიზაციამ მოგვიტანა. აღტაცებული ვარ მისი ალალი, ბუნებრივი დამოკიდებულებით ჩემი გაზვიადებული სენტიმენტალობის მიმართ და კიდევ, გაოცებული ვარ მისი უსაზღვრო გულკეთილობით, კაცთმოყვარეობით. არ არსებობს დარდი, მან არ გაგიქარვოს, არ არსებობს გაჭირვება, მან არ გამოგიწოდოს დახმარების ხელი.

კეთილი საქმეების აღსრულებისას, უნდა ვაღიარო, სენიორ ვიკარიოს ჰყავს მშვენიერი დამხმარე პეპიტა ხიმენესის სახით. ამ ქალბატონის ქველმოქმედება და თანადგომა მუდამ ცამდე აჰყავს მოხუცს.

პეპიტა არა მხოლოდ გაჭირვებულებზე და უთვისტომოებზე ზრუნავს, არამედ არაფერს იშურებს ეკლესიისთვისაც. ცხრადღიან ღვთისმსახურებაზე, ქადაგებაზე, რელიგიურ დღესასწაულებზე თუ საკურთხეველი უმშვენიერესი ყვავილებითაა მორთული, იცოდეთ, ეს ყვავილები მისი ბაღიდანაა; თუ დღეს დამწუხრებულ ღვთისმშობლის ქანდაკებას გაქუცულის ნაცვლად ახალი, ვერცხლის სირმებით არშიაშემოვლებული შავი ხავერდის მანტილია აქვს მოსხმული, იცოდეთ, ესეც პეპიტას ნახელავი საჩუქარია.

პადრე ვიკარიო ლოცვისას მუდამ იხსენიებს პეპიტას და მადლობას უხდის უანგაროდ გაღებულ წყალობისთვის. მაშ. ასე... როცა მე არ ვლაპარაკობ საკუთარ მოწოდებაზე, ოცნებაზე, საქმიანობაზე – რაც ისე ძალიან აინტერესებს მოხუც ვიკარიოს, რომ ყოველ ჩემს სიტყვას ლამის ყლაპავს – მაშინ მე ვუსმენ მას, ე. ი. ის არის, ვინც ლაპარაკობს, მე კი – ვინც უსმენს. რაზეც არ უნდა ვისაუბროთ, ბოლოს მაინც ყველა გზა პეპიტა ხიმენესთან მიდის. ისე, კაცმა რომ თქვას, სხვა ვისზე უნდა ილაპარაკოს პადრე ვიკარიომ? ექიმზე, აფთიაქარზე, აქაურ შემლებულ გლეხებზე? მათთან შეხვედრა ძნელად თუ იძლევა ხანმოკლე საუბრის საფუძველს, მას კი არ უყვარს ბევრი ლაპარაკი, მეზობლებზე ჭორაობა, სკანდალური ამბები, გამოდის, არც არავისზე აქვს სალაპარაკო, ეს კი ნამდვილად იშვიათზე იშვიათი თვისება თუ შემთხვევაა პროვინციაში მცხოვრები ადამიანებისთვის. იგი მხოლოდ ერთ ქალს სტუმრობს ხშირად და გულითადადაც ესაუბრება მას.

არ ვიცი, რა წიგნები აქვს პეპიტა ხიმენესს წაკითხული ან რა განათლება მიღებული, მაგრამ სენიორ ვიკარიოს თუ დავუჯერებთ, ის ძალზე ცნობისმოყვარეა და სულსწრაფი, ერთბაშად სურს ყველაფრის გაგება. განზრახული აქვს პადრე ვიკარიოსთან ერთად გააცნობიეროს, რა სურს, რისკენ ისწრაფის ცხოვრებაში, რათა შემდგომ განახორციელოს იგი. საბრალო კეთილი კაცი სულ დაიბნა. ის ხომ სოფელში გაიზარდა და, როგორც ამბობენ, ეხერხება მხოლოდ წირვის მომსახურება და... ფაფის ჭამა. მისი გონება ღია კი არის ჭეშმარიტების კაშკაშა შუქისთვის, მაგრამ ჭკუას არ ჰყოფნის სიცხოველე.

როგორც ჩანს, პეპიტას მიერ დასახულ მიზნებს კარს ფართოდ გაუღებს აქამდე უცნობი, ჯერჯერობით ბუნდოვანი, გაურკვეველი ახალი გზები, რომელიც სწორედ რომ თავისი გაურკვევლობით, სიახლითა და იდუმალებით იზიდავს და აღაფრთოვანებს მოხუცს.

და მაინც პადრე ვიკარიომ იცის, რომ პეპიტას აზრების აღსრულება სარისკო საქმეა და რომ ორივეს საფრთხე ელოდება, თავისდა უნებურად ერესში არ ჩაცვივდნენ. მაგრამ მღვდელი თავს იმით იმშვიდებს, რომ თუმცა დიდი ღვთისმეტყველი არ არის, მაგრამ კატეხიზმო ზეპირად იცის, და იმედია, ღმერთი გაუნათებს გონებას, მართალ გზაზე დააყენებს, პეპიტა მას გაჰყვება, მის რჩევას ირწმუნებს, არასოდეს გადაუხვევს ამ სწორი გზიდან.

აი, ასე ქმნიან ორივენი ლამაზ, დიდ პოეზიას ჩვენი რელიგიის, ჩვენი სარწმუნოების საიდუმლოებათა შესახებ. უსაზღვროა მათი ერთგულება ღვთისმშობელი მარიამის მიმართ. უნდა ვაღიარო, რომ აღფრთოვანებული ვარ მათი ცოდნით თეოლოგიაში, მათი ამაღლებული გრძნობიერებით აღსავსე მსჯელობით წმ. ქალწულსა და საერთოდ, რელიგიაზე.

პადრე ვიკარიოს მონათხრობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა და გულღიაობისა, პეპიტა ხიმენესის სული გაუსაძლისი ტკივილისგან იტანჯება: საკუთარი წარსული უღობავს გზას სრულყოფილებისაკენ. დონ გუმერსინდო უყვარდა როგორც თანამგზავრი და კეთილისმყოფელი ადამიანი, ვისგანაც დიდად არის დავალებული ცხოვრებაში. მაგრამ ტანჯავს და რცხვენია იმის გახსენებაც კი, რომ დონ გუმერსინდო მისი ქმარი იყო.

ღვთისმშობლისადმი ერთგულებაში იგრძნობა ის ავადმყოფური განცდა დამცირების, ნაღველისა და ტანჯვისა, რომელიც თავის უღირს, უნაყოფო ქორწინებას ახსენებს ხოლმე.

პატარა საოჯახო სამლოცველოს ხეში გამოკვეთილი ყრმა იესოს არაჩვეულებრივი გამოსახულება ამშვენებს. ყრმა იესოსადმი თაყვანისცემაში გამოსჭვივის დედობრივი სიყვარული, რომელიც თითქოს გასასვლელს ეძებს, მაგრამ რომ ვერ პოულობს, იქვე იღვრება სიწმინდესა და უმანკოებაში დაბადებულ პატარა არსებაზე.

პადრე ვიკარიო ამბობს, რომ პეპიტა თაყვანს სცემს ყრმა იესოს როგორც ღმერთს, მაგრამ უყვარს დედობრივი სიყვარულით, როგორც ეყვარებოდა თავისი შვილი, რომ არ რცხვენოდეს მისი ჩასახვა. რამდენჯერ მიუმართავს ლოცვისას ქალწულ მარიამისთვის, – ამბობს პადრე ვიკარიო, – რამდენჯერ უთხოვია ყრმა იესოსთვის, წმინდა ჩასახვაზე და იდეალურ ბავშვზე რომ ოცნებობს.

მართალი გითხრათ, არ ვიცი, რა ვიფიქრო ამ უცნაურობებზე. მე ხომ ცუდად ვიცნობ ქალებს! ის, რაც პადრე ვიკარიომ მიამბო პეპიტას შესახებ, ძალზე მაკვირვებს და თუმცა პეპიტა უფრო კარგი მგონია, ვიდრე ცუდი, მაინც შიში გამკრავს ხოლმე მამაჩემის გამო. იგი ორმოცდათხუთმეტი წლისაა და შეყვარებულია, ბუნებით კეთილი პეპიტა კი თავისდა უნებურად შეიძლება გახდეს ავსულების იარაღი: მისმა გაუთვალისწინებელმა, ჩვეულებრივმა კეკლუცობამ შეიძლება უფრო ძლიერი და დამღუპველი გავლენა იქონიოს მამაკაცზე, ვიდრე მოხერხებული, მაცდური ქალის წინასწარ გათვლილმა ანგარიშიანობამ.

"ვინ იცის, – ვფიქრობ ხანდახან, – გარდა იმისა, რომ პადრე ვიკარიოს ერთგულებას პეპიტასადმი გარკვეული მყარი საფუძველი გააჩნია, და ეს არის ახალგაზრდა ქვრივი ქალის კეთილი საქმეები, ღატაკთა მეოხეობა, რწმენა, ღვთისადმი სიყვარული, ეკლესიისთვის უშურველად გაღებული უხვი შეწირულობა თუ განმარტოებული უმწიკვლო ცხოვრება – ხომ შეიძლება არსებობდეს კიდევ რაღაც, რის გამოც სოფლის გამოუცდელი, გულუბრყვილო მღვდელი პეპიტას შარავანდში გახვეულს ხედავს და იმდენად გვრის აღტაცებას, რომ მხოლოდ მასზე ფიქრობს და ლაპარაკობს... იქნებ სწორედ აქ იმალება მიწიერი ხიბლის მაგვარი რაღაც ეშმაკისეული ჯადოქრობა?"

პეპიტას სიძლიერე ისეთ მტკიცე ნებისა და ნაკლებად სენტიმენტალურ კაცზე, როგორიც მამაჩემია, ესეც უცნაური მეჩვენება.
არა მგონია, ქველმოქმედებად ჩაითვალოს ის სიყვარული, რომელსაც პეპიტა უნაწილებს თითქმის ყველა აქაურ მცხოვრებს. საკმარისია ქუჩაში გამოჩნდეს, რომ მაშინვე ბავშვები მორბიან ყოველი მხრიდან მისთვის ხელზე საკოცნელად. მოზრდილი გოგონები ალერსიანი ღიმილით ესალმებიან, კაცები მოწიწებით იხდიან სომბრეროებს და პატივისცემის ნიშნად მდაბლად უკრავენ თავს.
პეპიტას ბავშვობა ბევრს ახსოვს, ხედავდნენ, რა სიღარიბეშიც ცხოვრობდა ის დედასთან ერთად, მერე კი ცოლად გაჰყვა ძუნწსა და ბებერ დონ გუმერსინდოს, მაგრამ ახლა წარსული ამბები აღარავის ახსოვდა, ახლა ის ჰგავდა არაჩვეულებრივ არსებას, სუფთასა და სიზმრისეულს, რომელიც აქაურობას მოევლინა რომელიღაც შორეული ქვეყნიდან იმისათვის, რომ ყველანი აღტაცებაში მოეყვანა და ლამის გაეღმერთებინათ.
ვხედავ, პადრე ვიკარიოსი არ იყოს, მეც ცოდვას ვჩადი: მხოლოდ პეპიტა ხიმენესზე გწერთ. მაგრამ ეს ბუნებრივიცაა, აქ ხომ ყველას მისი სახელი აკერია პირზე, თითქოს ეს პატარა დაბა იმ არაჩვეულებრივი ქალის სულით, ფიქრით და ხატითაა სავსე, რომელიც ჯერაც ვერ გამომიცნია ვინ არის: ანგელოზი თუ "ბუნებით ცბიერი" დახვეწილი კოკობზიკა? მაგრამ არა მგონია, ეს ტერმინები მართებული იყოს. დარწმუნებული ვარ, ის არც კოკობზიკაა, არც მამაკაცების გულთამპყრობელობა სწყურია და არც პატივმოყვარეობა აწუხებს.
პეპიტა ხიმენესი უშუალობასა და გულწრფელობას ასხივებს. ტანადი ქალია, სიარული აუჩქარებელი, ჰაეროვანი აქვს, გამოხედვა – თბილი და შუქიანი, შუბლი – მაღალი. ეს ყველაფერი ურთიერთშეხამებულ, სრულყოფილ ჰარმონიაშია შერწყმული ყოველგვარი სიყალბისა და ხელოვნურობის გარეშე.
ვნანობ, აქ რომ ჩამოვედი, თანაც ამდენი ხნით! თქვენთან სახლში არავინ გვსტუმრობდა, სემინარიაში არავისთან ვურთიერთობდი გარდა ჩემი ჯგუფელებისა და მასწავლებლებისა. არაფერი გამეგებოდა ქვეყნიერებისა, მხოლოდ გონებაჭვრეტითა და თეორიულად მქონდა შეცნობილი... და უცებ აღმოვჩნდი პროვინციაში, ჩავყვინთე სხვა ცხოვრებაში, გადავეშვი მიწიერი ვნებებით სავსე სამყაროში, ვიღას ახსოვს მეცადინეობა, განსჯა და ლოცვა.

20 აპრილი

თქვენმა ბოლო წერილმა, უსაყვარლესო ბიძია, ზეციური სიმშვიდე მოჰგვარა ჩემს აფორიაქებულ სულს. როგორც ყოველთვის, დღესაც ჩემი კეთილისმყოფელი ხართ, გზას მინათებთ გონივრული რჩევებით.

დიახ, მართალს ამბობთ: ჩემი სულსწრაფობა ღირსია გაკიცხვისა; მინდა, რაც შეიძლება სწრაფად მივაღწიო ჩემს მიზანს – ერთბაშად, ხელის გაუტოკებლად და არა ნაბიჯ-ნაბიჯ.

მე ვუჩივი უსულგულობას ლოცვის ჟამს, ვუჩივი დაბნეულობას, ბავშვური სინაზის მოზღვავებას, მწველ სურვილს – ავფრინდე მაღლა, რათა ახლოდან შევიცნო ღმერთი, განვჭვრიტო მისი არსი. უგულებელვყოფ ლოცვას, გონივრულ ლოგიკურ მსჯელობას. თუკი სიწმინდეს ვერ ჩაწვდები, თუკი სინათლეს ვერ დაინახავ, როგორ შეიცნობ ღვთაებრივ სიყვარულს?

მეტისმეტად ამაყი ვარ და რაკი ასეა, თავადვე უნდა დავამცირო საკუთარი თავი უფლის ნებით, რათა ბოროტების სულმა არ დამამციროს ჩემი თვითკმაყოფილებისა და სიამაყის გამო.

და მაინც, არა მგონია, ისე იოლად დავეცე, ისე მოულოდნელად და საბოლოოდ, როგორც თქვენ შიშობთ. მე მწამს არა საკუთარი თავისა, არამედ უფლის გულმოწყალებისა, და ვიმედოვნებ, ჩემი დაცემა არ მოხდება.

პეპიტა ხიმენესთან დაახლოებას რომ არ მირჩევთ, ათასჯერ მართალი ბრძანდებით, მაგრამ მე აზრადაც არ მომსვლია მასთან დაახლოება.

ვიცი, რომ ის ადამიანები, რომლებმაც რელიგიას მიუძღვნეს თავი, წმინდანები, რომლებიც ჩვენთვის ყოველთვის სამაგალითონი უნდა იყონ – ქალთან ურთიერთობას და იმ საყოველთაოდ მიღებულ სიახლოვეს მხოლოდ ღრმა მოხუცებულობაში მიიჩნევდნენ დასაშვებად, როცა ამდენი ხნის მარხულობით დაუძლურებულებს თავი აღარაფრისა ჰქონდათ, ან როცა ასაკში დიდი განსხვავება იყო მათსა და მათ მეგობარ ღვთისმოსავ ქალებს შორის, როგორც მაგალითად, წმ. იერონიმე და წმ. პავლინა, წმ. ხუან დე ლა კრუსი და წმ. ტერესა იყვნენ...

თუ სიყვარული სულისმიერია, შეუძლია ზედმეტადაც შესცოდოს, რამეთუ მხოლოდ ღმერთს ძალუძს იმეფოს ჩვენს სულში როგორც მისმა ბატონმა და მეუღლემ, ხოლო ყველა სხვა არსება, ვისთვისაც სიყვარული საყუდარია, შეიძლება ჩაითვალოს, როგორც მეგობარი ან მსახური და ალბათ ღვთის სურვილისამებრ, როგორც მისი ქმნილება.

ამრიგად, არ იფიქროთ, რომ ვტრაბახობ და თავი უძლეველი მგონია, მე ხიფათები არ მიყვარს. ვისაც უყვარს, ის თავის ხელით ითხრის სამარეს. თუკი მეფე-

წინასწარმეტყველი დავითი – ასერიგად სასურველი და ძვირფასი უფლისათვის, ან ბრძენი სოლომონი მოიხიბლნენ და შესცოდეს და ღმერთმაც პირი იბრუნა მათგან, მე – ერთ უბადრუკ ცოდვილს, ეშმაკისეულ მზაკვრობაში ჯერაც გამოუცდელ, ვნებათა წინააღმდეგ ბრძოლაშიც გამოუწრთობელ ახალგაზრდა კაცს ხომ შეიძლება, მეც შემემთხვას ასეთი რამ?
ღვთის შიშით შეპყრობილი – ეს შიში მხსნელი აღმოჩნდა ჩემთვის, რაკი ვაღიარე საკუთარი სისუსტე – არასოდეს დავივიწყებ თქვენს ბრძნულ რჩევებს: გულმხურვალედ ვილოცებ და ვიფიქრებ ყოველივე ღვთიურზე, რათა შევიძულო ყოველივე მიწიერი, რაც იმსახურებს სიძულვილს, მაგრამ გარწმუნებთ, აქამომდე როგორც არ ჩავეკითხე საკუთარ სინდისს, რა გულმოდგინედაც არ მოვჩხრიკე მისი იდუმალი კუთხე-კუნჭულები, ვერ ვიპოვე ის, რისიც თქვენ ასე გეშინიათ და რისიც მეც უნდა მეშინოდეს.

თუ წინა წერილებში ვაქებდი პეპიტა ხიმენესის სულიერებას, ეს მამაჩემის და პადრე ვიკარიოს დამსახურებაა და არა ჩემი. მე ხომ პირველ ხანებში ამ ქალის მიმართ ცუდად – თუმცა უსამართლოდ – ვიყავი განწყობილი და მასთან დაახლოება არც მიფიქრია. რაც შეეხება გარეგნულ სილამაზესა და ხიბლს, მერწმუნეთ, მე მას ვჭვრეტ ყოველგვარი ქვენა გრძნობების გარეშე და თუმცა მიძნელდება თქმა – ხომ შეიძლება გეწყინოთ – მაგრამ მაინც ვაღიარებ, თუ რაიმე ლაქამ დანისლა ჩემი სულის ნათელი სარკე – რომელშიც პეპიტა ამოტივტივდა – ეს თქვენი მკაცრი ეჭვია: სულ რაღაც ერთი წამით კინაღამ მეც დამაეჭვეთ საკუთარ თავში.
მაგრამ, არა! რამ გაფიქრებინათ, რომ რადგან პეპიტა ხიმენესს ვაქებ, ე. ი. აქ სხვა რაღაც იმალება? ეს ხომ უცოდველი აღტაცების გამოვლინებაა? განა ასე არ ვჭვრეტთ ხოლმე ხელოვნების ნიმუშებს, მით უმეტეს, თუ ეს ნიმუში "უმაღლესი ხელოვანის" მიერ არის შექმნილი და თუ მისი სამყოფელი ტაძარია?!
მეორე მხრივ, ძვირფასო ბიძია, მე ამჟამად ხალხთან ერთად მიწევს ცხოვრება, მათთან ურთიერთობა და ბევრ რამეზე თვალს ვერ დავხუჭავ. ასჯერ მაინც გითქვამთ ჩემთვის: აქტიურად იმოღვაწევე, გადი ხალხში, იქადაგე, გააცანი მათ ღმრთის კანონები, შორიდან მაცქერალის ცხოვრება არას გარგებსო. ჰოდა, აი, ახლა სწორედ ამ ვითარებაში აღმოვჩნდი და რაკი აღმოვჩნდი, რა მექნა, როგორ მოვქცეულიყავი, პეპიტა ხიმენესი რომ არ შემემჩნია? არ შემეხედა მისთვის? ხომ მასხრად ამიგდებდა ხალხი?!
წარმოუდგენელია, არ შემემჩნია მისი სილამაზე. ჩემდა უნებლიეთ თვალი ვკიდე მის ნაზ, თეთრ კანს, ვარდისფერ ღაწვებს, ღიმილს, ჩაწიკწიკებულ სადაფის კბილებს, ბავშვურ ძოწისფერ ბაგეებს – სრულქმნილ მშვენიერებას, რითაც იგი უხვად დაეჯილდოვებინა ღმერთს. რა თქმა უნდა, იმათთვის, ვის სულშიც უხამსი, ცოდვილი, აცეტებული აზრები დაფათურობს, პეპიტას მარტო დანახვაც კი ტოლფასია კვეს-აბედისა, რომლის ნაპერწკლიდან წარმოიქმნება ყოვლისმშთანთქმელი ალი. მაგრამ მე უკვე გაფრთხილებული ვარ, თუმცა, ვერანაირ საფრთხეს ვერ ვხედავ. უგუნურობაა, ეძებო საფრთხე, სულმდაბლობაა გაექცე მას, ნაცვლად იმისა, რომ თამამად ჩახედო თვალებში.
გარწმუნებთ, პეპიტას აღვიქვამ როგორც ღმერთისმიერ უმშვენიერეს ქმნილებას და ღმერთისავე სახელით დასავით მიყვარს იგი. თუ მის მიმართ ოდნავ მიკერძოებას ვამჟღავნებ, ესეც მამაჩემის, სენიორ ვიკარიოს და ლამის მთელი მოსახლეობის ბრალიცაა: სწორედ ამათგან მაქვს მოსმენილი, თანაც ათასჯერ მაინც, პეპიტას ქება-დიდება.
მამაჩემი მიყვარს და მინდა, პეპიტამ უარი თქვას ჩანაფიქრის განხორციელებაზე – განდეგილივით ცხოვრებაზე – და ცოლად გაჰყვეს მამაჩემს, მაგრამ აქ მამაჩემზეც უნდა ითქვას ერთი-ორი სიტყვა: თუ შევამჩნევ, რომ მას მხოლოდ კაპრიზი ამოძრავებს და

არა ნამდვილი გრძნობა, მაშინ სჯობს პეპიტამ კვლავ ქვრივი ქალის უმწიკვლო ცხოვრებით იცხოვროს. მე ამ დროს შორს ვიქნები, ინდოეთში ან იაპონიაში ან სულაც სადღაც სახიფათო ადგილებში და პეპიტას სიამოვნებით მოვწერდი წერილებს ჩემს მისიონერობაზე და, საერთოდ, საქმიანობაზე. აქ უკვე მოხუცი დავბრუნდები, პეპიტაც დაბერებული დამხვდება, დავსხდებით ორივენი და სულიერებაზე ვისაუბრებთ, როგორც ახლა საუბრობენ ის და პადრე ვიკარიო. ახლა კი, ვიდრე ახალგაზრდა ვარ, პეპიტასთან მეგობრობას არც ვცდილობ, იშვიათად ვესაუბრები. მირჩევნია, თავი მოვაჩვენო უგნურ, ცუდად აღზრდილ და ველურ ყმაწვილკაცად, ვიდრე გზა გავუთავისუფლო იმ გრძნობას, რისი გამომჟღავნების უფლებაც მე არ მაქვს და ვიღაც-ვიღაცებს ჭორაობის უფლება მივცე.
საწყენად არ გეუბნებით: ოდნავადაც კი არ ვეთანხმები გაკვრით ნახსენებ იმ ბუნდოვან საფრთხეს, რომელიც თქვენს წერილებში გამოსჭვივის. შეუძლია კი პეპიტას, სამომავლოდ თუნდაც პატარა უმნიშვნელო გეგმა დასახოს იმ კაცის მიმართ, რომელიც სულ რაღაც ორ-სამ თვეში მღვდლად უნდა ეკურთხოს? ნუთუ ისე შევუყვარდები, რომ ამდენ სასიძოს უარით გაისტუმრებს? საბედნიეროდ, მე არ ვარ ის კაცი, რომელსაც ძალუძს ქალს სურვილი აღუძრას, ვნება მოჰგვაროს. ამბობენ, რომ მახინჯი არ ვარ, მაგრამ მე ხომ მოუქნელი ახალგაზრდა ვარ, გონებამახვილობითაც არ გამოვირჩევი. შემხედავ თუ არა, მაშინვე მიხვდები, რომ მე ერთი მოკრძალებული სემინარისტი ვარ. მე რას მივალ იმ ყოჩაღ, მოხერხებულ, თუმცა ცოტა მოუხეშავ ყმაწვილკაცებთან, რომლებიც პეპიტას ცოლობას სთხოვდნენ! ისინი ხომ ჩაუქი ცხენოსნები, ჭკვიანი, საინტერესო მოსაუბრეები, ნიმროდივით
გაწაფული მონადირეები, შესანიშნავი მობურთავეები, მომღერლები, ანდალუსიურ ბაზრობებზე ცნობილი, ტანადი, დახვეწილი მოცეკვავეები იყვნენ. პეპიტა ამათ არაფრად აგდებს და მე მომაქცევს ყურადღებას? არა მგონია მან მოიწადინოს, სატანური სურვილი გაუჩნდეს, სული ამიმღვრიოს ცხოვრების მიზანი გამიქროს, გამანადგუროს. არა, ეს შეუძლებელია! პეპიტა კეთილი ადამიანია, მე კი არარაობა ვარ. ამას ვამბობ ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე, საკუთარი თავი არარაობად მიმაჩნია იმ გაგებით, რომ პეპიტას არ შეუძლია შემიყვაროს, მე კი შემიძლია მისი მეგობარი გავხდე, მისი პატივისცემის ღირსი, და ერთ მშვენიერ დღეს თუ სიწმინდითა და შრომისმოყვარეობით დავიმსახურებ ამ ბედნიერებას: ის შემამჩნევს

შემინდეთ, თუ ზედმეტი მგზნებარებით ვიცავ თავს თქვენს წერილებში გამოჟონილ ქარაგმულ ნათქვამებზე, რომლებიც, როგორც ბრალდებად, როგორც ავისმომასწავებელ წინათგრძნობასავით ჟღერს.
თქვენი საყვედურები არ მწყინს, პირიქით, გონივრული რჩევებით მაფხიზლებთ. უმეტესობას ვეთანხმები და მინდა მათ მივყვე. თუ თქვენ უფრო მეტად და მეტად გიპყრობთ შიში, ეს ბუნებრივიცაა. ჩვენ ხომ ერთი სისხლისა და ხორცისანი ვართ, თქვენ ხომ ჩემთვის მხოლოდ კარგი გინდათ, ამისათვის მთელი გულით გემადლიერებით.

4 მაისი
რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, მთელი ეს ხანი დრო ვერ გამოვნახე, თქვენთვის წერილი მომეწერა. მამაჩემი მარტო არ მტოვებს. ყოველი მხრიდან თითქოს შემოტევაა, დიდი სტუმრიანობა გვაქვს.

დიდ ქალაქებში იშვიათია სტუმრიანობა. იქ შეგიძლია გაერიდო ხალხს, განმარტოვდე და ამ საერთო ამაოებაში მოიწყო საკუთარი მოსასვენებელი ადგილი. ანდალუსიის ამ პატარა დასახლებაში, თანაც კასიკის ოჯახის წევრს, თითქმის მუდამ ხალხის თვალწინ გიწევს ცხოვრება. ვიკარიო, ნოტარიუსი, ჩემი მამიდაშვილი კურიტო – დონია კასილდას ვაჟიშვილი, ამათ კიდევ სხვებიც ემატებიან, დაუკითხავად შემოდიან იმ ოთახში, სადაც ვწევარ და ვკითხულობ, შემოდიან საძინებელშიც, მაღვიძებენ კიდეც და ხან სად მივყავარ და ხან სად.

სამორინე აქ მხოლოდ ღამის გასართობი ადგილი როდია. ის ღიაა მთელი დღე. დილის თერთმეტი საათიდან აქ უკვე აუარება ხალხი იკრიბება. საუბრობენ, ახალი ამბების ძიებაში გაზეთებს ათვალიერებენ, თამაშობენ ლომბერს.

ზოგიერთები დღეში ათი-ოცი საათი უსხედან ბანქოს სათამაშო მაგიდას, ერთი სიტყვით, აქ ისეთი ზარზეიმურობა სუფევს, ძნელად რომ წარმოიდგენს კაცი. ლომბერის გარდა, ჯგუფ-ჯგუფად თამაშობენ ფარაონს, ჭადრაკს, შაშს, დიდ პატივშია დომინოც. დაბოლოს, რაც მთავარია, მამლების ბრძოლა უპირველესი გასართობია მათთვის.

ამ გასართობებს დაუმატეთ სტუმრიანობა, ადგილ-მამულის დათვალიერება, მინდვრის სამუშაოების შემოწმება, ღვინის სარდაფების მონახულება, ბოშებთან და ცხენებით მოვაჭრეებთან ცხენების, ჯორების, სახედრების გადაცვლა, ყიდვა-გაყიდვა, ხერესელ სირაჯებთან მოლაპარაკება – ისინი ჩვენს ღვინოს ყიდულობენ და მისგან ხერესს ამზადებენ, – დღის ბოლოს მოურავის დღიური ანგარიშის მოსმენა-ჩაბარება... ასეთია იდალგოების

ანუ როგორც თვითონ მოიხსენიებენ საკუთარ თავს – სენიორიტოების სამუშაო დღე. აქ სხვა ამბებიც ხდება, რომელსაც ხალისი, გამოცოცხლება შეაქვს აქაურთა ცხოვრებაში – თიბვა, რთველი, ზეთისხილის კრეფა...

რაც შეეხება ბაზრობებსა და ხარების ბრძოლას ჩვენთან თუ მეზობელ სოფელში, ან ასევე ხანდახან მომლოცველთა სვლას ეკლესიისკენ ღვთისმშობლის ქანდაკებით მხრებზე – ზოგიერთისთვის ეს მხოლოდ ხალხში გამოჩენა, მხიარულება, ახლობელთათვის ქსოვილებისა და ავგაროზების შეძენაა, მაგრამ უმეტესობისთვის მაინც რელიგიური ხასიათისაა და თუმცა სამლოცველო მაღალ მთაზე დგას, ეს ჩვენი თითქოს სუსტი ქალები ფეხშიშვლები მიუყვებიან მიხვეულ-მოხვეულ, ლამის გაუკვალავ, ეკალ-ქვიან ბილიკებს.

აქ ცხოვრებას თავისი ეშხი აქვს მათთვის, ვინც საკუთარ განდიდებაზე არ ოცნებობს, ვისაც პატივმოყვარეობა არ აწუხებს. აქ ცხოვრება ერთობ მშვიდი და სასიამოვნოა. თუ მოინდომებთ, განმარტოებისთვისაც იპოვით ადგილს, რაკი მე აქ დროებით ვიმყოფები, ჩემთვის არ შეიძლება – და არც მჭირდება – მისი პოვნა. თუ აქ დავმკვიდრდები, სულაც არ გამიძნელდება – არც არავის ეწყინება – ჩავიკეტები ოთახში მთელი დღე და განმარტოებული, წიგნებსა და ფიქრებს მივცემ თავს.

თქვენმა ბოლო წერილმა ცოტათი დამაღონა: თქვენ ისევ ეჭვობთ. არ ვიცი, როგორ ვიმართლო თავი, როგორ დაგარწმუნოთ, რა გითხრათ იმაზე მეტი, რაც უკვე მოგწერეთ.

თქვენ ამბობთ, რომ არის ბრძოლა, როდესაც დიდი გამარჯვება გაქცევითაც მიიღწევა. მაშასადამე, გაქცევა გამარჯვებას ნიშნავს. როგორ შემიძლია უარვყო ის, რაც თქვა მოციქულმა, შემდეგ კი წმ. მამებმა და ღვთისმეტყველებმა, მაგრამ თქვენ მაინც უწყით, რომ გაქცევა ჩემი ნება არ არის. მამაჩემი არ მიშვებს, არ სურს რომ წამოვიდე, მაიძულებს აქ დავრჩე ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ. მეც სხვა გზა არ მაქვს, გარდა მორჩილებისა. ამიტომ გამარჯვებას სხვა გზით უნდა მივაღწიო და არა გაქცევით.

რომ დაგამშვიდოთ, გეტყვით: ბრძოლა ეს-ეს არის დაიწყო, თქვენ კი გგონიათ, რომ ღრმად შევტოპე.
არავითარი საფუძველი იმისა, რომ პეპიტა ხიმენესს შევუყვარდი, არ არსებობს. თუნდაც ვუყვარდე, მისი გრძნობა იგივე იქნება, როგორიც იმ "იმნაირ" ქალებისა, თქვენ რომ მაგალითად მოგყავთ ხოლმე ჩემთვის ჭკუის სასწავლად. დღესდღეობით წესიერი ქალი ისე ადვილად არ "ინთება", როგორც ის თამამი მატრონები ძველი ლეგენდებიდან. პასაჟი, რომელიც თქვენ მაგალითად მოგყავთ წმ. იოანე ოქროპირის ნაშრომიდან, უდიდესი პატივისცემის ღირსია, მაგრამ არაფრით ესადაგება იგი მოცემულ შემთხვევას.
სასახლის ერთ-ერთი წარჩინებული დიდებულის მზეთუნახავ ცოლს შეუყვარდა იაკობის გამორჩეულად საყვარელი ვაჟიშვილი იოსები. მხოლოდ მერე და მერე გახდა გასაგები წმინდანის მიერ გამოთქმული აზრი იოსებზე, რომელმაც ამ არაჩვეულებრივად ლამაზი ქალის მიმართ სრული გულგრილობა გამოიჩინა. წმინდანმა იოსების გულგრილობას სასწაული უწოდა და მისივე თქმით, ამ სასწაულმა თავისი უმაგალითობით გადააჭარბა ნაბუქოდონოსორის ბრძანებით ცეცხლში ჩაყრილი სამი ყმაწვილკაცის ცოცხლად გადარჩენის ამბავს.
თუ სილამაზეზე ვილაპარაკებთ, არა მგონია, იმ ეგვიპტელი დიდებულის ცოლი პეპიტაზე ლამაზი ყოფილიყო. მე რაც შემეხება, მე არ ვგავარ იოსებს, ამ დიდად ნიჭიერ და შესაშური ღირსებების მქონე ადამიანს. პეპიტასაც ვერაფრით შევადარებ იმ ქალს, ვისაც არც კდემა გააჩნდა და არც ჭეშმარიტი რწმენა და საერთოდაც, ყველაფერი ასეც რომ ყოფილიყო – თუმცა ასეთი ვარაუდიც კი საშინელი წარმოსადგენია – ეს იოანე ოქროპირის მიერაა გაზვიადებული და ვპატიობ იმიტომ, რომ ის კარგა ხანს ცხოვრობდა აღმოსავლეთ რომის იმპერიის გარყვნილ, ნახევრად წარმართულ დედაქალაქში, სასახლის კარზე, რომლის ბიწიერებაც მას ბევრჯერ გაუკიცხავს მკაცრად და სადაც თავად იმპერატრიცა იძლეოდა სკანდალებისა და გარყვნილების მაგალითს. მაგრამ დღეს უკვე სახარების სწავლებამ ისე ღრმად შეაღწია ქრისტიანულ საზოგადოებაში, რომ არა მგონია, უმწიკვლო იოსების გულგრილობა ულამაზესი ქალის მიმართ უფრო დიდი სასწაული იყოს, ვიდრე სამი ბაბილონელი ყმაწვილის ცეცხლიდან უვნებელი გამოსვლაა.
წერილში თქვენ კიდევ ერთ საკითხს ეხებით. თქვენი მსჯელობა ძალას მმატებს, მამხნევებს, აღმაფრთოვანებს. თქვენ სამართლიანად უარყოფთ ზღვარგადასულ მგრძნობიარობას, არაფრის გამო ცრემლის ღვრას, რაც, როგორც თქვენთვის ცნობილია, მე ხშირად მომსვლია. მაგრამ თქვენ მართალი ხართ, რომ ეს ჩემი სულიერი სისუსტე ლოცვისა და განსჯის წუთებში არ მსტუმრობს, თქვენ ქების ღირსად მიგაჩნიათ ის ჭეშმარიტად მამაკაცური ენერგიაც, რომელიც ღვთისადმი მიმართაც ჩემს გულისთქმაში გამოსჭვივის. გონებას თუ ღმერთის შეცნობა სწყურია, მუდამ სიმხნევე მართებს, ნებისყოფა გონებას სრულად მხოლოდ მაშინ ემორჩილება, როდესაც უპირველესად საკუთარ თავთან შერკინებაში იმარჯვებს, როდესაც მედგრად უტევს ყველა სურვილსა და საცდუნებელს. დიდი სუფთა გრძნობა, რომელსაც შეუძლია შეაღწიოს უბრალო, მოკრძალებულ გულებშიც კი, რათა გონების სასწაულებრივი გამონათების წუთებში გზა გაუხსნას მათ ღმერთისკენ – ღვთის წყალობასთან ერთად იძენს მის სიმტკიცესა და გამძლეობას, ხოლო ნების სისუსტესა და ავადმყოფურ სინაზეს საერთო არაფერი აქვს გულმოწყალებასთან, ღვთისმოსაობასთან, ღმერთის სიყვარულთან. პირველი თვისება ქალებივით სუსტ მამაკაცებს ახასიათებთ, მეორე კი – ვნება, გატაცებები – თუ ამას ვნება ან გატაცება ჰქვია – უფრო ანგელოზების დამახასიათებელია, ვიდრე მამაკაცებისა. დიახ, თქვენ მართალი ბრძანდებით, ჩემი გჯერათ და იმედოვნებთ, რომ არ დავიღუპები, რომ ჩემი მგრძნობიარობა ცოდვებს არ გაუღებს გულის კარს. ღმერთი

მიშველის, ვიბრძოლებ, რათა გადავირჩინო თავი, მაგრამ თუ დაღუპვა მიწერია, თუ ყოვლისმშთანთქავი სასიკვდილო ცოდვები მაინც შეძლებენ და შემოაღწევენ ჩემი ცნობიერების ციხესიმაგრეში დროშების ფრიალით, ცეცხლითა და მახვილით, იცოდეთ, ეს უბრძოლველად არ მოხდება.
ამ ბოლო დღეებში მომეცა შესაძლებლობა, გამომეცადა საკუთარი მოთმინება და მკაცრადაც გამეკილა ჩემი თავმოყვარეობა.

ამჯერად მამაჩემმა განიზრახა პეპიტას პატივსაცემად სადილის გამართვა – პეპიტას ზღაპრულ ბაღში გამართული სადილის საპასუხოდ – და მოიწვია კიდეც ჩვენს მამულში პოსო დე ლა სოლანაში. სახლიდან გავედით 22 აპრილს. ეს დღე არასოდეს დამავიწყდება.
პოსო დე ლა სოლანა აქედან ორი ლიგის დაშორებით მდებარეობს. მე ჯორზე შეჯდომა მომიწია, რადგან ცხენის ტარება არასოდეს მისწავლია. რაც ჩამოვედი, მამაჩემს მშვიდი ჯორით მივსდევ ხოლმე, თუ სადმე მივდივართ ერთად. როგორც ჩვენი მეხრე დიენტესი ამბობს, ჯორი არის ოქროზე კეთილშობილი ცხოველი და ეტლზე უსაფრთხო.
მამაჩემი, ნოტარიუსი, აფთიაქარი და ჩემი მამიდაშვილი კურიტო ჩინებულ ცხენებზე ისხდნენ, შვიდფუთიანი მამიდა კასილდა უზარმაზარ სახედარზე მოკალათებულიყო, მამა ვიკარიოც ჯორზე ამხედრებულიყო, ჩემს ჯორზე არანაკლებ უსაფრთხოსა და კეთილშობილზე.
მეგონა, პეპიტა ხიმენესმა არ იცოდა ცხენის ტარება და ჯორით ინებებდა წამოსვლას, მაგრამ როგორი იყო ჩემი გაოცება და, თქვენ წარმოიდგინეთ, აღფრთოვანებაც, როცა იგი გამოჩნდა ამაზონიანი,
ფიცხ ნისლა ცხენზე შემჯდარი. გასაოცარი მოხდენილობით, თამაშ-თამაშით მოჰყავდა ცხენი, სამაგიეროდ მე მერგო უბადრუკი როლი: იმ დროს, როდესაც ბრწყინვალე კავალკალდას ხან ნავარდით, ხანაც ჩორთით მოჰყავდა ცხენები, მე ამ დროს თითქოს კარეტაში ვიჯექი, მშვიდად მივირწეოდი ჯორით მამა ვიკარიოსა და დონია კასილდასთან ერთად.
რატომღაც მომეჩვენა, რომ პეპიტამ სიბრალულით შემომხედა რამდენჯერმე: ალბათ ბეჩავი შესახედავი ვიყავი ჯორზე შემჯდარი. დამცინავად მოღიმარ ლუკიტოსაც მეტი არ უნდოდა, ჩემი მისამართით ხუმრობების გუდას მოხსნა თავი.
შეგიძლიათ შეაქოთ ჩემი მორჩილი და გმირული მოთმინება. ეს ყველაფერი მედგრად გადავიტანე, რომ იტყვიან, გადავყლაპე. კურიტოც რომ დარწმუნდა, მის შხამიან ისრებს ყურადღებას არ ვაქცევდი, გაჩუმება არჩია... მაგრამ ამ ყოველივეს გაძლება არ უნდოდა? ისინი ხან წინ გვისწრებდნენ, ხან გვერდით მოგვყვებოდნენ. მე და მამა ვიკარიო კი ჩვენი ჯორებივით მშვიდნი და აუღელვებელნი მივჩაქჩაქებდით დონია კასილდას გვერდით.
მამა ვიკარიოსთან გულის მოსაოხებლად დალაპარაკების შესაძლებლობაც არ მომეცა. ის ხომ სასიამოვნო მოსაუბრეა! ვერც ის მოვახერხე, ფიქრებში ჩავფლულიყავი ან ბუნების სილამაზით დავმტკბარიყავი: მამიდაჩემი წარმოუდგენლად ყბედი ქალია და ძალაუნებურად გვიწევდა მისი მოსმენა: ჯერ ხომ ქალაქის ჭორები გაგვანდო, მერე ტრაბახს მოჰყვა, შეუდარებელი კულინარი ვარო, ამ საქმეში ვერავინ მაჯობებსო. აგვიხსნა, როგორ მზადდება სოსისი, საქონლის ტვინის ძეხვი, ფენოვანი ცომი; ისიც აღიარა, ღორის აქნაში კი ანტონიონა მჯობნისო. ანტონიონა ხშირად მოდის ჩვენთან პეპიტას დავალებით. საკმაოდ გონიერი ქალი ჩანს, მართალია, ბევრი ლაპარაკი იმასაც უყვარს, მაგრამ მამიდა კასილდაზე ჭკვიანი რომ არის, ამას წყალი არ გაუვა.
პოსო დე ლა სოლანასკენ მიმავალი გზა ულამაზესია, მაგრამ რაღაც უცნაურად ვგრძნობდი თავს და ჯეროვნად ვერ დავტკბი მისი მშვენიერებით. მამულს რომ

მივაღწიეთ და ჩამოვქვეითდით, თითქოს ლოდი მომეხსნა მხრებიდან, თითქოს მე კი არ ვიჯექი ჯორზე, ჯორი იჯდა ჩემზე.
ფეხით შემოვიარეთ ვრცელი, დიდებული მამულის ყველა კუთხე-კუნჭული.
დაახლოებით ას ოც ფანეგაზე
 გაშენებულია ვენახი – ძველიც და ახალიც. ამდენივე ფართობი, თუ მეტი არა, უჭირავს ზეთისხილის ბაღს და ბოლოს მოვიარეთ მუხნარი, მაგრამ რა მუხნარი! ასეთს მთელს ანდალუსიაში ვერ ნახავთ. წყალუხვი, სუფთა, გამჭვირვალე ნაკადული უამრავ ფრინველს იზიდავს წყურვილის მოსაკლავად. აქაურები ასობით ფრინველს იჭერენ კაკანათებით. გამახსენდა ჩემი ბავშვობა, მეც ხომ ასეთივე ხერხით ვიჭერდი ჩიტებს.

ნაკადულის პირას, განსაკუთრებით ტაფობში, უამრავი ხე იდგა. მაღალი ბალახისკენ დახრილი ტოტების ლაბირინთში ჩამუქებული ჩრდილი გაწოლილიყო. ირგვლივ ყველაფერი განმარტოებით, სიჩუმით, სიმშვიდით სუნთქავს. აქ, ამ ველურ ბუნებაში ყველაფერი ბუნებრივია. შუადღის პაპანაქებაში, როდესაც მზე თავის სხივებს უხვად გზავნის დედამიწაზე, სიესტის ცხელ საათებში ისეთივე იდუმალი თრთოლვა იგრძნობა, როგორც ღამის საათებში და შენდა უნებურად წარმოიდგენ, როგორ ცხოვრობდნენ ძველი პატრიარქები, პირველყოფილი გმირები, მწყემსები და მზიან შუადღეს როგორ ეცხადებოდნენ მათ ნიმფები, ღმერთები, ანგელოზები...
არ ვიცი, როდის და როგორ აღმოვჩნდით მე და პეპიტა მარტონი ამ ტევრში. ვიგრძენი, როგორ დამიარა ჟრუანტელმა მთელ ტანში. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ჩვენ ორნი დავრჩით მარტო, ყველასგან შორს, თანაც სწორედ მაშინ, როცა ის საოცარი მოჩვენებები ვახსენე – ზოგი ავსული და ზოგიც კეთილი – ადამიანებს რომ ეცხადებოდნენ უძველეს დროში.
მამულში მისვლისთანავე პეპიტამ გაიძრო გრძელი ამაზონი. ჩვეულებრივ კაბაში უკეთ გამოჩნდა მისი გრაციოზულობა და სიმსუბუქე, ანდალუსიური სომბრერილიო სახეს არ უფარავდა. ხელში ეჭირა წკეპლა, რომელიც ფერიის ჯადოსნურ ჯოხს ჰგავდა და ასე მეგონა, ჩემი მოჯადოება სურდა.
სულაც არ მეშინია, კიდევ ერთხელ შევასხა ქება პეპიტას სილამაზეს, მით უმეტეს ამ ველურ ადგილას უფრო ლამაზი ჩანდა. ჩემდა უნებლიეთ გამახსენდა, რომ ასკეტები ასეთ შემთხვევებში გვირჩევენ, უფრო სწორად, გვაფრთხილებენ, ლამაზი ქალი წარმოვიდგინოთ სიბერისგან და სნებისგან სახედაღმეჭილი ან სულაც მკვდარი, დამპალი და მატლებდასეული. "ჩემდა უნებლიეთ"-მეთქი იმიტომ ვთქვი, რომ მართებულად არ მიმაჩნია სიფრთხილის გამო მაინცდამაინც ეს საშინელება წარმოვიდგინო. სულაც არ დამჭირვებია ასეთი რამ, სულ მცირე ქვენა გრძნობაც კი არ გამჩენია. ავსულმა ვერ ამიმღვრია გონება, ვერ შემირყია ნებისყოფა.
სამაგიეროდ მე გამიჩნდა ამ სიფრთხილის არსის გამანადგურებელი, გამაბათილებელი საბუთი – ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის მაინც: სილამაზე ღვთითბოძებული განძია, უმაღლესი ღვთაებრივი ხელოვნების ქმნილებაა. ის შეიძლება იყოს არამყარი, ეფემერული, შეიძლება ერთ წამში გაქრეს, მაგრამ მისი იდეა, როგორც ასეთი, მარადიულია. ადამიანმა აღიქვა სილამაზე და მისი იდეაც, ადამიანის გონებაში ის უკვდავი ცხოვრებით ცხოვრობს. ამ ქალის სილამაზე, როგორც დღესდღეობითაა, მალე გაქრება: ლამაზი სხეული, დახვეწილი ფორმები, კეთილშობილური თავი და ულამაზესი მხრები – ეს ყველაფერი, როგორც ითქვა, მატლების შესაჭმელი გახდება; მაგრამ ვინ დაანგრევს, ვინ წაშლის მხატვრულ არსს, სილამაზეს? განა სილამაზე არ ცოცხლობს ღვთაებრივ გონებაში? ჩემ მიერ აღქმული და შეცნობილი განა არ იცოცხლებს ჩემს სულში, გამარჯვებული სიბერეზეც და სიკვდილზეც?

სწორედ ამ ფიქრებში ვიყავი, როცა ჩვენ ორნი მარტონი აღმოვჩნდით. ასე ვიმშვიდებდი თავს და ვფანტავდი ეჭვს, თქვენ რომ გამიჩინეთ. სხვა მოსეირნენი რომ დაგვწეოდნენ, მსურდა და არც მსურდა, მიხაროდა და ამავე დროს მეშინოდა ამ ქალთან მარტო დარჩენა.
პეპიტას ვერცხლის ხმამ დაარღვია სიჩუმე. მან გამომიყვანა ფიქრებიდან:
– რა ჩუმად ხართ, რა ნაღვლიანი ხართ, სენიორ დონ ლუის. ვწუხვარ იმის გაფიქრებაზეც კი, რომ შესაძლოა ჩემი ბრალია, ნაწილობრივ მაინც, მამათქვენმა რომ გაიძულათ ჩამოსულიყავით ამ მიყრუებულ მხარეში და დაგირღვიათ მკაცრი განმარტოება საკუთარ სახლში, სადაც ისეთი არაფერი გასართობი თქვენ არ გაქვთ, წუთით მაინც რომ მოწყდეთ ლოცვებსა და რელიგიური წიგნების კითხვას.
არ მახსოვს, რა ვუპასუხე. შეცბუნებულმა ალბათ რაღაც ბრიყვული წამოვროშე: არ მინდოდა ქათინაური ან რამე გადაპრანჭული მეთქვა მისთვის, მაგრამ არც ის მინდოდა, უხეშად მეპასუხა.

პეპიტა განაგრძობდა:
– მაპატიეთ, არ მინდა, აბეზარი ქალის შთაბეჭდილება შეგექმნათ ჩემზე, მაგრამ რატომღაც არა მგონია, თქვენი უხასიათობა ახლა საყვარელი საქმის გვერდზე გადადების ბრალი იყოს. ვფიქრობ, სხვა რაღაც გაწუხებთ.
– მაინც რა? – ვკითხე მე. – იქნებ მითხრათ, რაკი თქვენს თვალს არაფერი გამოეპარება, ან მიგაჩნიათ, რომ დიდად მიხვედრილი ადამიანი ხართ.
– თქვენ იმ კაცივით კი არ იქცევით, სადაცაა მღვდელი რომ უნდა გახდეს, არამედ როგორც ოცდაორი წლის ყმაწვილი.
ვიგრძენი, სისხლი როგორ მომაწვა სახეზე, ცეცხლი მომეკიდა. ბრიყვული აზრები ამიფუთფუთდა თავში. პეპიტას ეს სიტყვები გამოწვევად მივიღე: ვიცი, მოგწონვარო. ჩემი უხერხულობა და კრძალვა სადღაც გაქრა და მათი ადგილი დაიკავა სიამაყემ და უხეშობამ. პეპიტას ჯიქურ გავუსწორე თვალი. ჩემს მზერაში იყო რაღაც უცნაური, მაგრამ მან ვერ შეამჩნია, ან – ეტყობა, ამჯობინა – ვითომ ვერ შეამჩნია.
– ნუ გეწყინებათ, თუ თქვენი ნაკლი აღმოვაჩინე. ჩემთვის გასაგებია თქვენი უგუნებობის მიზეზი: გული გაგიწყალათ კურიტოს უკბილო ხუმრობებმა და რაც მთავარია, ანუ უბრალოდ რომ ვთქვათ, არასახარბიელო როლის შესრულება მოგიწიათ, ოთხმოცი წლის ბერიკაცივით უწყინარ ჯორზე შეგსვეს, როცა შეგეძლოთ თქვენი ასაკისა და მდგომარეობის შესაფერისად საუკეთესო ცხენით წამოსულიყავით. ეს თქვენი მოძღვრის ბრალია, რომ არც კი უფიქრია, ცხენზე ჯდომა ესწავლებინა თქვენთვის. უსათუოდ უნდა ისწავლოთ, მომავალში გამოგადგებათ. ვფიქრობ, ვიდრე აქ ხართ, მამათქვენს შეუძლია რამდენიმე დღეში გასწავლოთ. სპარსეთში ან ჩინეთში რომ გაემგზავრებით – სადაც ჯერ არ არის რკინიგზა – გარდა იმისა, რომ არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდებით, როგორც ცუდი მხედარი, წარმართების თვალში შესაძლოა პატივისცემაც დაკარგოთ როგორც უგერგილო მისიონერმა და მერე ძალიან გაგიჭირდებათ ჭეშმარიტების გზაზე მათი დაყენება.
აი, ასე მარწმუნებდა პეპიტა, უსათუოდ მესწავლა ცხენზე ჯდომა და ტარება. ისე დამაჯერა, რომ პირობა მივეცი, მამაჩემს ვთხოვ, ჩემი მასწავლებელი გახდეს-მეთქი.
– შემდეგ გასეირნებაზე, – ვუთხარი მე, – მამაჩემის ყველაზე ფიცხ ცხენზე ამხედრებულს მნახავთ და არა ამ შესაბრალის ჯორზე.
– ძალიან გამახარებთ, – მორცხვად გამიღიმა პეპიტამ.
ამასობაში ჩვენებიც დაგვეწიენ. სულის სიღრმეში ძალიან გამახარეს: პეპიტასთან საუბარს და ათასი სისულელის წამოროშვას ავცდი. მე ხომ ქალებთან საუბარს შეჩვეული არ ვარ!

მამაჩემის მსახურებმა სურნელოვან მინდორში, ზედ ნაკადულის პირას უბრალო, მაგრამ უხვი საუზმე მოგვართვეს. ყველანი გამოცოცხლებული საუბრობდნენ. კურიტომ კვლავ დამიწყო დაცინვა, თეოლოგი მიწოდა და გამოაცხადა, ჯორზე შემჯდარი მღვდელს ჰგავდა, რომელიც ხალხს ლოცავს და პირჯვარს სწერსო. რაკი გადავწყვიტე კარგი მხედარი გავხდე, მის ხუმრობებს ვპასუხობდი თამამად და გესლიანად. ჩემ მიერ დადებულ პირობაზე კრინტი არ დამიძრავს, თუმცა წინასწარ არ მოგვილაპარაკებია, პეპიტამაც, ეტყობა, ჩემსავით გადაწყვიტა, ჩვენს პირობაზე არაფერი ეთქვა, რათა ხვალ-ზეგ ყველა გამეცებინა ჩემი მიღწევებით. აი, ასე უბრალოდ და ბუნებრივად გაგვიჩნდა საერთო საიდუმლო, რამაც უჩვეულო მღელვარებით ამივსო სული.
იმ დღეს მეტი არაფერი მომხდარა თქვენთვის საყურადღებო. საღამო ჟამს დავბრუნდით შინ, მე რა თქმა უნდა, ჩემი უწყინარი ჯორით და, რა თქმა უნდა, მამიდა კასილდას გვერდით, თანაც არც მოწყენილი ვიყავი და არც გაბრაზებული, როგორც იქითობაზე. მამიდა კასილდა მთელი გზა გაუგონარ ამბებს ყვებოდა, მეც ვუსმენდი, დროდადრო კი ჩემს წარმოსახვაში ბუნდოვანი სახეები თავისუფლად რიალებდნენ.

თუკი რამ მოხდება ჩემს სულში, თქვენ ამას პირველი გაიგებთ. პირდაპირ გეტყვით: ამ მორიალე ბუნდოვანი სახეების გულისგულს, უფრო ზუსტად, ბირთვს, ან, თუ გნებავთ, ფოკუსს, წარმოადგენდა პეპიტას სახება.
დაბურულ მდუმარე ტყეში პეპიტას მოულოდნელმა გამოჩენამ მეხსიერებაში ამომიტივტივა არაერთი თქმულება, მითი კეთილსა და ბოროტ აჩრდილებზე, რომელთა შესახებაც წამიკითხავს საღვთო წერილებსა თუ საერო კლასიკოსთა ნაწარმოებებში. პეპიტა ისეთი კი არ წარმომიდგა თვალწინ, როგორც აი, ახლა იყო ცხენზე მოხდენილად მჯდომი, არამედ როგორც ტყის მდუმარებაში უეცრად გამოცხადებული იდეალური არსება. მოჩვენება, როგორც მეფე ენეასს გამოეცხადა დედამისი; როგორც ძველ ბერძენ პოეტსა და სწავლულს კალიმაქოსს – ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველი ქალღმერთი პალადა; როგორც მწყემს კროკოს – სილფიდა, რომელმაც შვა ლიბუშა, ძველი ჩეხეთის ლეგენდარული მმართველი ქალი; როგორც არისტეოს ვაჟს – დიანა; მამბრის ხეობაში პატრიარქს – ანგელოზები, უდაბნოში განმარტოებულ წმ. ანტონიოსს – ჰიპოკენტავრი... პეპიტასთან სრულიად შემთხვევითი, ჩვეულებრივი შეხვედრა ჩემს წარმოსახვას მოევლინა როგორც ზღაპრული ზმანება და სრულად დაიპყრო ჩემი ფიქრები. ხომ არ გავგიჟდი? ნაკადულის პირას მასთან ხანმოკლე საუბრისას რაღაც უჩვეულო და განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, მაგრამ მოგვიანებით, როდესაც წყნარად მივტაატებდი ჯორით, რომელიღაც უჩინარი მაცდური ამედევნა, ჩემ გარშემო მოჰყვა სირბილს და თან უცნაურ ამბებს ჩამჩურჩულებდა.
იმ საღამოს მამაჩემს ვუთხარი, ცხენის ტარება უნდა მასწავლო-თქო. ისიც ვუთხარი, არ დამიმალავს, პეპიტამ მიბიძგა-მეთქი ამისკენ. მამას ძალიან გაუხარდა, გადამეხვია, მაკოცა და მითხრა: სულ შენ ხომ არ უნდა იყო ჩემი მასწავლებელი, რა კარგია, ახლა მეც მომეცა საშუალება, რაღაც გასწავლო, ორ-სამ კვირაში მთელს ანდალუსიაში ერთ-ერთ საუკეთესო მხედრად გაქცევ, გიბრალტარის გადაცურვასაც შეძლებ, მესაზღვრეების გაცურებასაც და კონტრაბანდით დაბრუნებასაც. თან წამოიღებ ტომარა თამბაქოს და ერთ დიდ შეკვრა ბამბას; ერთი სიტყვით, ჯიბეში ჩაისვამ იმ ცხენოსნებს, სევილიის და ნაირენას ბაზრობებზე თავს რომ იწონებენ; თავისუფლად მოაჯდები ბაბიეკას, ბუკეფალას და მზის ცხენებსაც
 კი, თუ, რა თქმა უნდა, ისინი წუთით მაინც დაეშვებიან მიწაზე და მოასწრებ აღვირში ხელის ტაცებას.
არ ვიცი, თქვენ რა აზრის ხართ, საერთოდ, ცხენოსნობის ხელოვნებაზე, რომელსაც მე ახლა ვსწავლობ. არა მგონია, რაიმე დასაძრახს ხედავდეთ ცხენის ტარების სწავლაში.

ნეტავ იცოდეთ რა კმაყოფილია მამაჩემი, რა გახარებულია, ჩემი მასწავლებელი რომ გახდა. თქვენთვის ცნობილი გასეირნებიდან მეორე დღესვე შევუდექით საქმეს. ყოველდღე ორჯერ მიტარებს გაკვეთილებს. ზოგჯერ მთელ დღეს ვანდომებთ ვარჯიშს. პირველი კვირა ვივარჯიშეთ მოუკირწყლავ დიდ ეზოში, რომელიც მანეჟად გამოგვადგა. ახლა უკვე ველზე გავდივართ, თუმცა ვცდილობთ თვალსმოფარებული ადგილები ვიპოვოთ. მამაჩემს არ სურს ვინმემ დამინახოს იქამდე, სანამ, როგორც თვითონ ამბობს, კარგად არ ვისწავლი ტარებას და ყველას არ გადავრევ. თუ მამას პატივმოყვარეობა არ ატყუებს, ეს დღე მალე დადგება – მეუბნება, ძალიან ნიჭიერი აღმოჩნდი, ყველაფერს იოლად ითვისებო.
– გეტყობა, რომ ჩემი შვილი ხარ! – უხაროდა ჩემი წარმატება და თავისი, როგორც მასწავლებლის, გამარჯვებაც.
მამაჩემი ისეთი კეთილია და უბოროტო, რომ შეუძლებელია არ აპატიო უხეში გამოხდომები და ცოტა წრეგადასული ხუმრობები. სულის სიღრმეში, რა თქმა უნდა, ვბრაზობ, მაგრამ ვითმენ.

ყოველდღიური ხანგრძლივი ვარჯიშების გამო საცოდავი შესახედავი გავხდი, ფეხზე ძლივს ვდგავარ, მამაჩემი მეუბნება, ბიძაშენს მისწერე, თვითგვემას როგორ ეწევიო. მამაჩემი ირწმუნება, სწავლების კურსი მალე დამთავრდება და რაკი არ აპირებს მასწავლებლის თანამდებობიდან გადადგომას, მთავაზობს სხვა რაღაცების სწავლასაც, რაც საკმაოდ უცნაური და მომავალი მღვდლისთვის სრულიად შეუფერებელი და მიუღებელი მეჩვენება! ხართან შებრძოლებას მირჩევს საკუთარი ძალების გამოსაცდელად, რათა შემდეგ სევილიაში წამიყვანოს და გაროჩათი
ხელში გამატაროს ჩხუბისთავებისა და "აცვენილების" გასაოცებლად და დასაფეთებლად. ერთი-ორჯერ თავისი ახალგაზრდობა და მეფის პირადი დაცვის სამსახურის წლები გაიხსენა. ახლა ჩაფიქრებული აქვს, ფარიკაობა მასწავლოს. თავისი ძველი რაპირების, ხელთათმანისა და ჩაჩქანის მოძებნას აპირებს. ბოლოს, რაკი მიაჩნია, რომ ნავახას ყველაზე უკეთ ხმარობს, გინდა თუ არა, ეს ხელოვნებაც უნდა შეგასწავლოო.
თქვენ ალბათ ხვდებით, როგორია ჩემი პასუხები მამაჩემის ამ გიჟურ სურვილებზე. ხშირად ვკამათობთ, მეუბნება, წინათ მღვდლები კი არა, ეპისკოპოსებიც, ცხენებზე ამხედრებულები, მარჯვნივ თუ მარცხნივ ხოცავდნენ ურჯულოებსო. მე ვეუბნები, ეს ბარბაროსთა ეპოქაში ხდებოდა, ახლა კი უფლის მსახურთა იარაღი მხოლოდ შეგონებაა-მეთქი. როცა შეგონება არ ჭრის, ერთი-ორი მუშტი არ აწყენთ შეგონების განსამტკიცებლადო.
მამაჩემის აზრით, სანიმუშო მისიონერს ხანდახან უწევს ასეთ გმირულ ხერხებს მიმართოსო, და რომანსებსა
თუ წიგნებში ამოკითხული მაგალითებით ამაგრებს თავის მოსაზრებას. უპირველესად იხსენებს წმ. იაკობს, მოციქულს, რომელიც იშვიათად თუ ჩამოხდებოდა თავისი თეთრი ცხენიდან და ნაცვლად იმისა, რომ ღვთიური სიტყვით დაემოძღვრა, რაღაც შეესმინებინა მავრებისთვის მოსაქცევად, შუბით ხოცავდა მათ; გაიხსენა ვიღაც სენიორი დე ლა ვესა, რომელიც კათოლიკე მეფეებმა
დიპლომატიური მისიით გაგზავნეს გრენადის ბოლო მავრიტანელ მეფე ბოაბდილთან. იქ მეფის რეზიდენციაში, ლომთა სასახლეში თეოლოგიის საკითხების განხილვაში ჩაერთო. სიტყვით გამოვიდა, მაგრამ რომ ვერაფერი შეასმინა, მავრებს ხმლით დაერია, იქნებ ძალით შევაცვლევინო რწმენაო. ბოლოს ერთი ბისკაიელი იდალგო დონ ინიიგო დე ლოიოლა კამათის დროს ღვთისმშობელი მარიამის სახელის დასაცავად ხმლით ეკვეთა მავრს, ვისაც არ სჯეროდა მარიამის უბიწოებისა. გაქცევით რომ არ ეშველა თავისთვის, დე ლოიოლა ალბათ მოკლავდა. მამაჩემს შევეკამათე, ეგ ბოლო შემთხვევა უფრო ადრე

მოხდა, ვიდრე წმ. იგნასიო მღვდელი გახდებოდა, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ მაგალითებს, მსგავსი არაფერი გამიგონია-მეთქი, ვუთხარი.
ერთი სიტყვით, ყოველნაირად ვცდილობ მამაჩემის ზღაპრებს ყური არ ვათხოვო. ახლა მხოლოდ მხედრის ხელოვნებაზე ვფიქრობ, სხვა ხელოვნებას, რომელიც არ შეეფერება სასულიერო პირს, არ ვცნობ, თუმცა მამაჩემი კვლავ ჯიუტად მარწმუნებს, არაერთი ესპანელი მღვდელი ფლობს სხვა ხელოვნებას და ცდილობს ამ გზით ხელი შეუწყოს რწმენის გამარჯვებას და კათოლიკური ერთიანობის შენარჩუნებასო.
ვწუხვარ, რომ მამაჩემი ყოველგვარი ღვთისნიერების გარეშე, დაცინვითაც კი ლაპარაკობს ყველაზე სერიოზულ თემებზე, მაგრამ, როგორც პატივისმიმგებ შვილს, არ შემიძლია განვსაჯო თავისი რამდენადმე ვოლტერიანელური თავისუფლებისთვის. რამდენადმე ვოლტერიანელურს-თქო იმიტომ ვამბობ, რომ არ ვიცი სხვა რა დავარქვა მის საქციელს. არსებითად კი მამაჩემი კარგი კათოლიკეა და ეს მამშვიდებს.
გუშინ ჯვრის დღე, ჯვრობა ვიზეიმეთ. აქაურობა გამოცოცხლდა, აჟრიამულდა, ყოველ ქუჩაზე ყვავილებით მორთული მაისის ხის ექვსი ან შვიდი ჯვარი იდგა, მაგრამ სილამაზით ვერც ერთი შეედრებოდა პეპიტას სახლის წინ დადგმულ ყვავილების ზღვაში ამოწვერილ ჯვარს.
გვიან ღამემდე დავყავით პეპიტასთან ზეიმზე. ჯვარი ეზოდან შემოიტანეს პირველ სართულზე დიდ დარბაზში, სადაც როიალი დგას. პეპიტამ იქ უბრალო, მაგრამ ისეთი პოეტური სანახაობა მოგვიწყო, რომლის მსგავსიც ბავშვობაში თუ მინახავს მხოლოდ.

ჯვრის ზემოთა წვეროდან ეშვებოდა შვიდი ფართო ლენტი – ორი თეთრი, ორი მწვანე და სამი წითელი. ხუთი-ექვსი წლის შვიდმა ბავშვმა – შვიდი საიდუმლოს ნიშნად – სათითაოდ ჩაჭიდა ხელი შვიდივე ლენტს და დაიწყეს ცეკვა. თეთრტუნიკიანი წარმოადგენდა ნათლობას, ანაფორიანი ბიჭი – მღვდელს, ეპისკოპოსის სამოსიანი ბიჭუნა – კონფორმაციას, ნიჟარებით გაწყობილი მოსასხამიანი მომლოცველი კვერთხით ხელში – მირონცხებას, ნეფე-დედოფალი – ქორწინებას, ნაზარეთელი ჯვრითა და ეკლიანი გვირგვინით – მონანიებას...
ბავშვები მშვენივრად ცეკვავდნენ, ხან რევერანსს აკეთებდნენ, ხან წრეზე ტრიალებდნენ, ხანაც ეს ყველაფერი ხდებოდა მარშივით მუსიკის თანხლებით, რომელსაც ორგანისტი საკმაოდ წარმატებულად ართმევდა თავს როიალზე.
ზეიმის პატარა მონაწილეებმა – პეპიტას მსახურებისა და ახლობლების შვილებმა – დამსახურებულად მიიღეს საჩუქრები, ტკბილეულიც მიირთვეს და გაიქცნენ დასაძინებლად.
ჩვენ მოგვართვეს სიროფში ჩაწყობილი ხილი, შოკოლადის ტორტი და ჩაი. შუაღამე გადასული იყო, სუფრიდან რომ ავიშალეთ.
გაზაფხულის დადგომისთანავე პეპიტამ უარი თქვა თავის განმარტოებულ ცხოვრებაზე, რამაც მამაჩემი ძალიან გაახარა. ამიერიდან პეპიტას სტუმრების მიღება ყოველ საღამოს შეეძლება, მამაჩემს სურს მეც მასთან ერთად ვიარო.
პეპიტამ ძაძები გაიხადა და უნდა გითხრათ, უფრო ლამაზი და მიმზიდველი გახდა, ძალიან უხდება მსუბუქი, თუმცა მოკრძალებული კაბები.
იმედი მაქვს, მამაჩემი თვის ბოლოსთვის გამომიშვებს და თავად ნახავთ, რა სიხარულით გავთავისუფლდები პეპიტასგან – რომელიც ჩემზე არა მხოლოდ არ ფიქრობს, არამედ საერთოდ არ მახსენებს, არც ავად, არც კარგად – რა სიხარულით მოგეხვევით და რაც მთავარია, ბოლოს და ბოლოს ოცნებას ავისრულებ, მღვდელი გავხდები.

7 მაისი

როგორც გწერდით, ყოველ საღამოს ცხრიდან თორმეტამდე ვიკრიბებით პეპიტასთან. იქ თითქმის ყოველ საღამოს სტუმრობენ იქაური სენიორები ქალიშვილებითურთ, კასილდა მამიდა და ექვსი-შვიდი ყმაწვილი, რომლებიც, ჩვეულებისამებრ, გოგონებთან ფანტის თამაშით ერთობიან და, ვინ იცის, იქნებ რომელიმე დაწყვილდეს კიდეც.

სოლიდური, ნაღები საზოგადოება ყოველთვის ერთი და იგივეა: მამაჩემი – კასიკე, აფთიაქარი, ექიმი, ნოტარიუსი და სენიორ ვიკარიო.

პეპიტა, მამაჩემი, სენიორ ვიკარიო და მათთან ერთად რომელიმე სტუმარი ლომბერს თამაშობენ.

მე არ ვიცი, რომელ ჯგუფს მივეკედლო: ახალგაზრდებთან რომ მივიდე, ჩემი სერიოზულობით მხოლოდ ხელს შევუშლი მათ ფლირტს და გულითად საუბარს. უფროსებთან პასიური თვალის დევნება მიწევს მხოლოდ, მე ხომ ამ თამაშებისა არაფერი გამეგება: ეს ბურო სიეგოო, ბურო კონ ბისტაო...

რა საქმე მაქვს მე აქ, საღამოს შეხვედრებზე, არ მირჩევნია, შინ ვიყო? მაგრამ მამაჩემი არ მეშვება, გინდა თუ არა, წამოდიო, რომ არ წამოხვიდე, დასაცინი გახდებიო. მამაჩემს ძალიან უკვირს ჩემი უვიცობა ზოგ-ზოგ რაღაცაში, მაგალითად, ლომბერის თამაში რომ არ ვიცი. ხომ წარმოგიდგენიათ, მე და კარტის თამაში! ამის გამო ლამის გაგიჟდეს კაცი.

– ბიძაშენი შუშის თალფაქის ქვეშ გზრდიდა, მარტო თეოლოგიას და თეოლოგიას ჩაგჩიჩინებდა, დაგტოვა სიბნელეში სხვა რაღაცების მიმართ, რომლის ცოდნაც აუცილებელი იყო. კარგი, ბატონო, მესმის, რომ მღვდელი გახდები, მესმის, რომ ვერ იცეკვებ საღამოს შეხვედრებზე, და ვერც ქალს გაეარშიყები, მაგრამ ლომბერის თამაში რაღაა, რომ ვერ ისწავლე. ეგ მაინც გცოდნოდა! არ ვიცი, რა გეშველება საბრალოს! ვერაფერს იტყვი, მართალს ამბობს, და ახლა მისი თაოსნობით დავიწყე ლომბერის სწავლა, რათა რაც შეიძლება მალე გამოვბრწყინდე პეპიტას საღამოებზე. როგორც გწერდით, მამაჩემის სურვილი იყო, მესწავლა ფარიკაობაც, სიგარეტის მოწევაც, პისტოლეტიდან სროლაც და კოჭობანაც, მაგრამ აქ უკვე ვერაფერმა გამტეხა.

– ოჰ, როგორ განსხვავდება ჩემი და შენი ახალგაზრდობა ერთმანეთისგან! – შესძახებს ხოლმე მამაჩემი, შემდეგ კი სიცილით დასძენს: – თუმცა არსებითად ერთნაირია. იყო დრო, როცა მღვდელმსახურების სურვილით მეც ვიყავი შეპყრობილი. სიგარა საკმეველმა შემიცვალა, ბანქო საგალობლების კრებულმა... მაშინ ლეიბ-გვარდიის ყაზარმაში ვიმყოფებოდი.

თქვენ არაერთხელ გაგიფრთხილებივართ მამაჩემის ამ უცნაურობების თაობაზე. ისიც კი გამიმხილეთ, რომ სწორედ ამიტომ წამომიყვანეთ თქვენთან. მაშინ ათი წლისა ვიყავი, ახლა ოცდაორი წლის ვარ. მთელი თორმეტი წელიწადი თქვენ გვერდით გავატარე. მამაჩემის ერთობ თავისუფალი გამონათქვამები ახლაც მაოცებს და თავგზას მიბნევს, მაგრამ რას ვიზამ, გაკიცხვით ვერ გავუბედავ გაკიცხვას, მოსმენით კი ვუსმენ, თუმცა სულაც არ მეღიმება.

ერთადერთი, რაც ძალიან მაკვირვებს და შექებას ნამდვილად იმსახურებს, ის არის, რომ პეპიტას გვერდით მამაჩემი სულ სხვა ადამიანი ხდება: უნებურადაც კი არ დაცდება თუნდაც ერთი ის უხერხული სიტყვა თუ უხერხული ხუმრობა, სხვებთან ასე ხშირად და ასე ჭარბად რომ ფანტავს. პეპიტასთან მამაჩემი თავშეკავების განსახიერებაა. ამას გარდა, ახალგაზრდა ქვრივი ქალი, ეტყობა, დღითი დღე უფრო და უფრო იპყრობს მის გულს. და იმედიც აქვს გამარჯვებისა.

მამაჩემი კმაყოფილია ჩემი მიღწევებით ცხენოსნობაში. ოთხ-ხუთ დღეში შეგიძლია ლუსეროთი გაისეირნოო, – მითხრა მან, – ამ ცხენის ძარღვებში არაბული მამრის და გვადალკასარული მდედრის სისხლი ჩქეფს, ცეცხლოვანი ცხენია: ჭენება, ჩორთი, ყალყზე შედგომა, ყველაფერი ემარჯვებაო.
– ვინც ლუსეროზე შეჯდება, – ამბობს მამაჩემი, – შეუძლია სანაძლეოზე კენტავრსაც გაეჯიბროს, და შენ ამას მალე მიაღწევ.
მთელი მთელი დღე ცხენზე ვზივარ, სამორინეშიც შევივლი ხოლმე, პეპიტასთანაც დავდივარ, რა თქმა უნდა, ძილისთვის ნაკლები დრო მრჩება, მაგრამ ზოგჯერ ვცდილობ არ დავიძინო – ზოგჯერ მართლა არ მეძინება – რათა ვიფიქრო საკუთარ მდგომარეობაზე, გავესაუბრო საკუთარ სინდისს, პეპიტას სახება სულში ჩამისახლდა და ყოველ წამს მახსენებს თავს. "იქნებ ეს სიყვარულია?"
ჩემი მორალური მოვალეობა, ჩემი აღთქმა – ეკლესიას მივუძღვნა თავი – ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული, თუმცა ჩემთვის ის დამტკიცებულიც არის, გადაწყვეტილიც და საბოლოოც. და თუ ჩემს სულში შემოაღწია რაღაც ძალამ, რომელიც ეცდება ხელი შემიშალოს აღთქმის აღსრულებაში, იცოდეთ, მთელი ძალით შევებრძოლები.
ყოველ შემთხვევაში, მე ვხედავ – ნუ განმსჯით თავდაჯერებულობისათვის – დიახ, მე ვხედავ, რომ ჩემი ნებისყოფა, როგორც თქვენ მმოძღვრავდით, ჯერ კიდევ ბატონობს ჩემს გრძნობებზე. ვიდრე მოსე სინაის მთის წვერზე ღმერთს ესაუბრებოდა, ამ დროს დაბლა, ხეობაში ურჩი ბრბო ხბოს სცემდა თაყვანს. თუმცა ახალგაზრდა ვარ, სული საკმაოდ მაქვს გამოწრთობილი, მეც შემეძლო წილად მხვდომოდა ღმერთთან საუბარი, მტერი რომ არ დამსხმოდა თავს პირდაპირ ტაძარში. ჩემს სულში პეპიტას სახებამ დაიკავა ადგილი. ეს სული ებრძვის ჩემს სულს. მისი სილამაზის იდეა მთელი თავისი არამატერიალური სიწმინდით უფრო და უფრო ღრმად აღწევს გულში, სადაც მხოლოდ ღმერთი უნდა მეუფეობდეს, და მეღობება მივუახლოვდე მას.
მაგრამ არა და არ დავბრმავდები, მშვენივრად ვხედავ, მზერა დაწმენდილი და ნათელი მაქვს, ჰალუცინაციები არ მაწუხებს, პეპიტასადმი ჩემს სულიერსა ლტოლვასა ზედა მეფობს სიყვარული უსასრულობისა და მარადიულისა. თუმცა პეპიტას წარმოვიდგენ როგორც იდეას, როგორც პოეზიას, იგი მართლაც არის იდეა, მართლაც არის პოეზია, ოღონდ რაღაც დასრულებულის, განსაზღვრულის და კონკრეტულის, ხოლო სიყვარული ღმერთისა და გაგება ღმერთისა დაუსრულებელია, მაგრამ მიუხედავად მთელი ჩემი ძალისხმევისა, ვერა და ვერ ვახერხებ ამ უმაღლესი გაგების ჩასმას გონებისთვის მისაწვდომ ფორმაში და სიყვარული ყოვლისა უმაღლესისა ვერ ჩრდილავს წარმავალი, ეფემერული ჭეშმარიტების სახებას, ვერ ახერხებს მოგონებებიდან ამოშალოს ის, ვინც სულს მიწამლავს. მხურვალედ შევთხოვ ზეცას, მომცეს ძალა წარმოსახვისა, რათა შევქმნა რაღაც სიმბოლოს მსგავსი, რომელიც შეძლებდა გაექრო ამ ქალის სახებაც და ხსენებაც. უმაღლესი გაგება, რისკენაც მიმართულია ჩემი სიყვარული, ბუნდოვანია, წარმოუდგენლად ბნელია, პეპიტას სახე კი ამ დროს ჩემში ცხოვრობს სრულიად ცხადი, ნათელი და იმ საოცრად თბილი შუქით გაცისკროვნებული, რომელიც სულის მზერას კი არ აბრმავებს, თვალს კი არ ჭრის უმაქნისი ბრჭყვიალით – რომელიც ისეთივე უსიამოვნოა, როგორც სიბნელე, არამედ სულის მზერას მხოლოდ ახარებს.
არავის და არაფერს ძალუძს გააქროს ამ ქალის სახება, იგი დგას ჩემსა და ჯვარცმას შორის, ჩემსა და ღვთისმშობლის გამოსახულებას შორის, სტრიქონებს შორისაც კი დამინახავს სასულიერო წიგნების კითხვისას.
და მაინც არა მგონია, იმ სენმა დამამარცხა, სიყვარულს რომ ეძახიან ახლა. და თუ ასე მოხდება, უსათუოდ შევერკინები და გავიმარჯვებ კიდეც.

მხოლოდ ის მაღელვებს, რომ ამ ქალს თითქმის ყოველდღე ვხედავ, ყოველდღე ვისმენ მის ქებას – პადრე ვიკარიოსგანაც კი – და ვგრძნობ, როგორ ვემიჯნები აღთქმულ განმარტოებას და როგორ ვიძირები ამქვეყნიურ ამაოებაში, მაგრამ არა, ჯერ კიდევ არ შემყრია პეპიტას სიყვარული, აქედან როგორც კი გავემგზავრები, უმალ დავივიწყებ.

ხოლო ვიდრე აქ ვიმყოფები, ვიბრძოლებ ღვთისადმი სიყვარულითა და მორჩილებით აღსავსე. ჩემი თხოვნა მიაღწევს ღმერთამდე როგორც აალებული ისარი და გახვრეტს იმ ფარს, რომლის უკანაც ის ემალება ჩემი სულის მზერას. მე ვიბრძოლებ იზრაელივით ღამის სიჩუმეში, ღმერთი თეძოში დამჭრის და დამამარცხებს ამ ორთაბრძოლაში, რათა დამარცხებული გავხდე გამარჯვებული.

12 მაისი

ვერაფრით წარმომედგინა, ძვირფასო ბიძია, ოცნებასაც ვერ გავბედავდი, მამაჩემი თუ ასე მოულოდნელად შემომთავაზებდა ლუსარდოს შეკაზმვას. გუშინ დილის ექვს საათზე შევკაზმე ეს არაჩვეულებრივი ცხოველი – როგორც მამაჩემი უწოდებს ხოლმე – და გავეშურეთ ველზე.

მართლაც რომ უმშვენიერეს ცხენზე ისე მარჯვედ ვიჯექი, რომ მამაჩემმა ვერ გაუძლო ცდუნებას, თავი მოეწონებინა თავისი მოწაფის სიჩაუქით, და აქედან ნახევარი ლოგის დაშორებით ერთ პატარა სოფლამდე ვიარეთ, იქ შევისვენეთ და თერთმეტი საათისთვის შინისკენ გამოვეშურეთ. ისეთი მომეტებული ხმაურით და ჭენებ-ჭენებით შევედით დაბაში, რომ ქვები ერთმანეთის მიყოლებით ცვიოდა ჩემი ცხენის ფლოქვებქვეშ. რა თქმა უნდა, პეპიტას ქუჩაზეც გავიჯირითეთ. პეპიტამ ამ ბოლო დროს მოუხშირა ქვემო სართულზე მწვანეგისოსებიან ფანჯარასთან ჯდომას და ხელსაქმობას.

ხმაურზე პეპიტამ საქარგავი გადადო და რომ დაგვინახა, მაშინვე წამოდგა. ლუსერო, როგორც შემდეგ გავიგე, ზუსტად პეპიტას სახლის წინ დგებოდა თურმე ყალყზე. ახლაც შედგა და ფრთხვინვას მოყვა. ვცადე დამეოკებინა, მაგრამ, ეტყობა, ან ჩემს ხელს არ იყო შეჩვეული ან, მისი აზრით, დიდი ვერაფერი მხედარი ვიყავი. ერთი სიტყვით, ამაოდ ვირჯებოდი: ცხენი ბზრიალებდა, წიხლებს ისროდა, ხვიხვინებდა, მაგრამ ახლა მე გავბრაზდი. ის იყო ყალყზე უნდა შემდგარიყო, რომ დეზები ფერდებზე მაგრად მივაჭირე, წკეპლა გადავკარი და აღვირი მოვქაჩე: მოკლედ, ვაგრძნობინე, რომ მე ვიყავი მისი მბრძანებელი და არა ის – ჩემი. ლუსერო შედგა, ქედი მორჩილად მოიდრიკა და მუხლები ისე მოხარა, თითქოს რევერანსს მიკეთებდა.

ჩვენ გარშემო თავმოყრილმა ცნობისმოყვარეებმა ტაში დასცხეს. მამაჩემმა თქვა:

– აი, რას ნიშნავს ძლიერი გულადი ყმაწვილი! – ხალხში კურიტოს მოჰკრა თვალი. მას ხომ ქუჩაში ყოფნას არაფერი ერჩივნა. – შეხედე, უგუნურო, აი, ესეც შენი თეოლოგი! ახლა ვეღარ დასცინებ, შეხედე და უფრო მეტად დააღე პირი!

მართლაც, პირდაღებული მომშტერებოდა უზომოდ გაკვირვებული კურიტო.

ეს იყო ნამდვილი გამარჯვება, თუმცა უჩვეულო გამარჯვება ჩემი ბუნების ადამიანისთვის. ამ გამარჯვების უადგილობამ უფრო დამამორცხვა, სახე ამიჭარხლდა, ხოლო როცა პეპიტამ ტაშით აღნიშნა ჩემი გამარჯვება და მისალმების ნიშნადაც ალერსიანად გაღიმებულმა დამიქნია თავისი ლამაზი ხელი, მაშინ ხომ მთლად ცეცხლი მომედო სახეზე.

ასე მოვიხვეჭე ნამდვილი მამაკაცისა და პირველი კლასის მხედრის სახელი.

მამაჩემი მეტისმეტად ამაყი და ბედნიერი ჩანდა, მითხრა, შენი სწავლა-განათლება დავამთავრეო. თქვენ რომ აქეთ გამომგზავნეთ, მაშინ მე თურმე ბრძნული წიგნი ვიყავი,

ოღონდ შავად ნაწერი და აუკინძავი. მან კი ახლა სუფთად გადამწერა და ამკინძა კიდეც. თუ ამ გადაწერა-აკინძვის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ლომბერიცაა, ისიც უკვე ნასწავლი მაქვს.
ორი ღამე პეპიტას ვეთამაშებოდი.
იმ საღამოს, როცა ჩემი მხედრული ნიჭი გამოვამზეურე, პეპიტა აღფრთოვანებული შემხვდა და გააკეთა ის, რაც ჩემთან არასოდეს გაუკეთებია: ხელი გამომიწოდა.
არ იფიქროთ, რომ დამავიწყდა მორალისტებისა და ასკეტების შეგონებანი. მაგრამ ასე მგონია, ცოტა აზვიადებენ, როცა ქალებზე ლაპარაკობენ, საშიში ხალხიაო; როცა ჩაგვჩიჩინებენ, წმ. წიგნში წერია, გინდა ქალისთვის შეგიხია ხელი, გინდა მორიელისთვისო. ეს ხომ სხვა გაგებით, გადატანითი მნიშვნელობით არის თქმული. მართალია, წმ. წიგნში ზოგიერთი გამონათქვამი საკმაოდ უხეშად ჟღერს, მაგრამ მიზანი დიადია და მნიშვნელოვანი. სხვანაირად კი როგორ გავიგოთ, რომ ღვთით ბოძებული სილამაზე ქალისა თურმე დამღუპველია? როგორ გავიგოთ, რომ ქალი თურმე სიკვდილზე ვერაგია? როგორ გავიგოთ, რომ ის მამაკაცი, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში, ნებისმიერი განზრახვით ქალს რომ ხელს შეახებს, თურმე დიდ ცოდვას სჩადის.

ეს ყველაფერი უსწრაფესად გავიაზრე და ალერსით გამოწვდილ პეპიტას ნაზ ხელს ჩემი ხელი შევაგებე. აქამდე არასოდეს მიგრძნია პეპიტას ხელის სინაზე და სინატიფე, მხოლოდ და მხოლოდ ვჭვრეტდი.
საუკუნოვან წეს-ჩვეულებათა თანახმად, თუ ხელი ერთხელ გამოგიწოდეს, მაშასადამე, ყოველი შეხვედრისა თუ დამშვიდობებისას გიწევს ჩამორთმევა. ვიმედოვნებ, ასეთ მეგობრულ, კეთილგანწყობილ, სუფთა და ყოველგვარ ქარაფშუტობას მოკლებულ გამოვლინებაში თქვენ ვერაფერს დაინახავთ ცუდს და სახიფათოს.
რაკი მამაჩემს ხშირად უწევს ღამის თერთმეტ საათამდე მოურავთან და გლეხებთან ანგარიშის მოსმენა, მე მის ნაცვლად ვეთამაშები ხოლმე პეპიტას ლომბერს. ჩვენთან ერთად თითქმის ყოველთვის არიან სენიორ ვიკარიო და ნოტარიუსი, ვთამაშობთ რეალის მეათედ ნაწილზე, ზოგჯერ დიდი-დიდი ერთი ან ორი დურო ჩამოვიდეთ.
არის შემთხვევები, როდესაც თამაშისადმი ინტერესი არც ისე დიდია, კარტს მაშინვე გვერდზე ვდებთ და საუბარს ვიწყებთ ისეთ თემებზე, კარტთან რომ საერთო არაფერი აქვს. პეპიტა კვლავაც მისთვის ჩვეულ ფორმაშია, აზროვნებს ცოცხლად, გონივრულად, თანაც ისე დახვეწილად, რომ აღფრთოვანებას ვერ ვმალავ.
საკმარის საბაბს ვერ ვხედავ, აზრი შევიცვალო იმ საკითხზე, რაზეც უკვე მოგწერეთ თქვენი ეჭვების გასაფანტავად – თითქოს პეპიტა ჩემ მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდეს. შესაძლოა ასეც არის, მეგობრულად მეპყრობა. მე ხომ მისი მომავალი ქმრის – დონ პედრო დე ვარგასის ვაჟიშვილი ვარ! გარდა ამისა, მართალია ჯერ ხარისხი არ მიმიღია, მაგრამ მე ხომ მომავალი მღვდელი ვარ! ამიტომაც მექცევა კრძალვით.
და მაინც მინდა, და ვალდებულიც ვარ, გაცნობოთ – მე ახლაც ისე გულახდილად გწერთ ყველაფერს, თითქოს სააღსარებოში ვიყო თქვენ წინაშე მუხლმოყრილი – იმ წამიერ შთაბეჭდილებებზე, ორი თუ სამი დღის წინ რომ შეგვექმნა. რა ვიცი, იქნებ ეს სულაც ჰალუცინაცია იყო ან ბოდვა.
მე უკვე გწერდით, რომ პეპიტას კირკესავით მწვანე თვალები აქვს, მზერა – მშვიდი, ალერსიანი. მე მგონია, მან არ იცის თავისი თვალების ძალა და ალბათ გულუბრყვილოდ ფიქრობს, რომ თვალები მხოლოდ მხედველობისთვის გვაქვს. ვისაც კი არ უნდა მიაპყროს მზერა, ის ყოველთვის სუფთა, უშუალო და სხივიანი მზერაა. მისი თვალები არასოდეს აღგიძრავს ქვენა გრძნობებს. მის თვალებში ჩანს ნება ქალწულებრივი

სულის სიმშვიდის დაცვისა, რომელიც არაჯანსაღ გრძნობას ადგილზევე კლავს. პეპიტას თვალებში არ ბუდობს მწველი ვნება ან ცეცხლი, მისი სხივნათელი მზერა მთვარის თბილ შუქს ჰგავს.
და მაინც რამდენჯერმე მეზმანა ჩემკენ მომართულ მის თვალებში ელვასავით გამკრთალი ყოვლისმშთანთქავი ცეცხლის ალი. ნუთუ საკუთარ თავზე შექმნილმა დიდმა წარმოდგენამ – რაშიც ეშმაკის ხელი ურევია – მაფიქრებინა ასეთი სისულელე? ვფიქრობ, კი. მინდა ვიფიქრო და ვფიქრობ კიდეც, რომ ეს ასეა.
ზმანება ისე სწრაფად გაქრა, რომ სიზმარს უფრო ჰგავდა, ვიდრე სინამდვილეს.

მეგობრული თანაზიარობით, თანაგრძნობით შემთბარი ციური სიმშვიდე და ცივი გულგრილობა სიყვარულის მიმართ – აი, რას ვკითხულობ ხოლმე პეპიტას თვალებში. მაგრამ მე მტანჯავს ეს სიზმარი, ეს ზმანება – უცნაური ცეცხლოვანი მზერა.
მამაჩემს ხშირად უთქვამს: ქალები კაცებზე მეტად ფხიანები, ყოჩაღები არიან, მაგრამ ყოველთვის გაურბიან პასუხისმგებლობას, შეუძლიათ ყველაფერზე თქვან უარი, როცა მოისურვებენ, უკანაც დაიხიონო.
მამაჩემის აზრით, სწორედაც რომ ქალს შეუძლია ერთი წამიერი გამოხედვით გამოამჟღავნოს თავისი გრძნობა, და თუ მოუხუშტურებს, უსინდისოდ უარყოს ის ადამიანი, ვისკენაც არის მიმართული ასეთი გამოხედვა, იბნევა, ბოლომდე ვერ წვდება მის მნიშვნელობას. ელექტრონული ნაპერწკალი გაირბენს მათ თვალებში და შეუცნობელი გრძნობა კარნახობს კაცს, რომ იგი უყვართ, შემდეგ კი – უკვე იმედმოცემული ალაპარაკდება თავის სიყვარულზე, სრულიად დარწმუნებული საკუთარ გამარჯვებაში.
იქნებ მამაჩემის ამ დასკვნებმა – ხშირად რომ მსმენია, თავს ხომ არ მოვიყრუებდი? – დამახვია თავბრუ და ჩამაგონა ის, რაც არ არის?
"არის თუ არ არის, ნუთუ ასეთი საშინელია?" – ხშირად მიფიქრია მე. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქალს, ვისზეც მამაჩემი აპირებს დაქორწინებას, მე შევუყვარდი, ეს კი მართლაც საშინელება იქნებოდა.
მაგრამ თავი დავანებოთ საშინელებებზე ფიქრს და ლაპარაკს. სულაც არ არის საჭირო, პეპიტა ფედრად ვაქციოთ, მე – იპოლიტად.
მაკვირვებს მამაჩემის უდარდელობა და თავდაჯერებულობა. მაპატიეთ ჩემი სიამაყე. შესთხოვეთ ღმერთს, მანაც მაპატიოს. არა მხოლოდ მაკვირვებს, მაღიზიანებს კიდეც: ნუთუ ისეთი უშნო და უგერგილო ვგონივარ, რომ არ ეშინია, პეპიტამ რომ შემიყვაროს, მიუხედავად ჩემი სათუო წმინდანობისა ან სულაც წმინდანობის გულისთვის?
აი, როგორი საინტერესო განსჯის მეოხებით ვცდილობ ავხსნა მამაჩემის უდარდელობა ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის მიმართ და ავხსნა ისე, რომ არ შეურაცხვყო საკუთარი თავმოყვარეობა. თუმცა მამაჩემს არანაირი საფუძველი არ გააჩნია, მაინც ლამის პეპიტას ქმრად წარმოაჩინოს თავი. და ალბათ მასაც დაეწყება ის დამღუპველი დაბრმავება, რომელსაც ასმოდეო და სხვა მისთანა დემონები სთესენ ცოლ-ქმარს შორის შუღლის ჩამოსაგდებად. საერო და საეკლესიო წიგნებში ხშირად წაგვიკითხავს იმ შემთხვევებზე, რომელთაც ღმერთი დასაშვებად მიიჩნევს, რა თქმა უნდა, უმაღლესი მიზნებიდან გამომდინარე. საყოველთაოდ ცნობილია მარკუს ავრელიუსის "დაბრმავება": მას ჰყავდა თავქარიანი, გარყვნილი ცოლი ფაუსტინა. ავრელიუსი – ეს ბრძენი, შორსმჭვრეტელი ფილოსოფოსი ვერ ხედავდა იმას, რაც მთელმა იმპერიამ იცოდა, თავის სიტყვით გამოსვლებსა თუ წერილებში ქება-დიდებას ასხამდა და მადლობას უხდიდა ღმერთებს იმისათვის, რომ ასეთი ერთგული და კეთილი ცოლი შეახვედრეს. ამის გამო ჩუმ-ჩუმად დასცინოდნენ არა მხოლოდ მისი თანამედროვენი, არამედ შემდეგი თაობებიც. ხშირია შემთხვევები, როდესაც მაღალი რანგის მოხელეები ცოლების მიერ შერჩეულ მდივნებს

იწვევენ სამსახურში. ასე ვხსნი მე მამაჩემის უდარდელობას, რომელსაც სრულებით არ ეშინია, მისი უნებლიე მეტოქე რომ გავხდე.
ჩემი მხრიდან დიდი შეცდომა, თავდაჯერებულობა და თავხედობა იქნებოდა, მამაჩემი რომ გამეფრთხილებინა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, რომელსაც ის ვერ ხედავდა; მეორე მხრივ, რა უნდა ვუთხრა, რა მაქვს სათქმელი, პეპიტამ ერთი-ორჯერ რაღაც სხვანაირად შემომხედა-თქო?!. არა, სულ პატარა საბაბიც კი არ გამაჩნია, რომ ვიფიქრო, პეპიტას ჩემი დაუფლება სურს-მეთქი.
აბა, მაშ, რა ვუთხრა მამაჩემს, პეპიტა მიყვარს-თქო, რომ ხელიდან ვგლეჯ განძს, რომელსაც უკვე თავისად მიიჩნევს? მაგრამ ეს ხომ მართალი არ არის? და მაინც, ჩემდა საუბედუროდ და ჩემივ მიზეზით რომ მართალი გამოდგეს, როგორ გინდა ეს უთხრა?

სჯობს ხმა არ ამოვიღო, ჩუმად ვიბრძოლო, თუ ცდუნება სერიოზულად შემომიტევს, სწრაფად უნდა გავეცალო აქაურობას და დავბრუნდე თქვენთან.

19 მაისი
დიდი მადლობა უფალს და თქვენ წერილისთვის, ახალი რჩევებისთვის. დღეს ისე მჭირდება რჩევა, როგორც არასდროს.
მისტიკურ საიდუმლოთა ღრმად მცოდნე წმ. ტერესა აღიარებს: ცთუნებას აყოლილი სუსტი სულის ტანჯვა ძალზე დიდიაო. ჩემისთანა პატივმოყვარე და თავდაჯერებული კაცისთვის საკუთარი სულის სიმტკიცეში დაეჭვება ათასჯერ უფრო დიდი ტანჯვაა.
ჩვენი სხეული წმინდა სულების ტაძარია. თუ ალი ლოკავს მის კედლებს, თუნდაც უცეცხლოდ, კედლები იჭვარტლება.
პირველი ცთუნება გველის თავს ჰგავს. თუ ამ თავს არ გავსრესთ მტკიცე, ძლიერი ფეხით, შხამიანი ქვეწარმავალი წამოიმართება და გულში ჩაგვებუდება.
ამქვეყნიური ტკბობის ნექტარს, ყველაზე უცოდველსაც კი, პირველ ხანებში ტკბილი გემო აქვს, მაგრამ დროთა განმავლობაში დრაკონის ნაღველი და ასპიტის შხამი გააქრობს სინაზეს, სიტკბოს.
ამრიგად, საეჭვო აქ აღარაფერია და თქვენ წინაშე ვაღიარებ: პეპიტა საშიში ქალია და ასე მოუმზადებელი არ უნდა შევხვედროდი მას.
მე ჯერ კიდევ არ მიმაჩნია თავი დაღუპულად, მაგრამ თავგზააბნეული კი ვარ.
როგორც მწყურვალი ირემი ეძებს გზას წყაროსკენ, ასევე სული ჩემი ეძებს ღმერთს, და მუდარით შესთხოვს, მისცეს მას სიმშვიდე. სულს ჩემსას სწყურია შესვას სიტკბოება იმ ღვთიური წყაროსი, რომლის რაკრაკა დინებაც აცოცხლებს სამოთხეს და რომლის ნათელი ჩქერიდან გამოსვლისას ადამიანები თოვლივით ქათქათებენ... მაგრამ "ერთი უბედურება მეორეს ბადებს" და ფეხები ჭაობში მეფლობა, ფსკერისკენ მექაჩება...
და მაინც, ჯერ კიდევ შემომრჩა ხმა, ჯერ კიდევ ვსუნთქავ და მეფსალმუნე დავით მეფესთან ერთად შემიძლია მთელ ხმაზე შევძახო: "ძალა მოიეც, დიდებავ ჩემო, თუ ჩემ გვერდით იქნები, ვერვინ დამჯაბნის!"
მე მივმართავ ცოდვილ სულს ჩემსას, სავსეს ქიმერული წარმოსახვებითა და ბუნდოვანი სურვილებით, ანუ ჩემი სულის უკანონო ქმნილებებით ო, ბაბილონის ბედნიერო შვილო, ნეტარ იქნება ის, ვინც შენ მოგაგებს იმას, რისი ღირსიც ხარ! ნეტარ იქნება ის, ვინც შენს ქმნილებებს, შენს პირმშოებს ქვებზე დაანარცხებს!
ხორცის მოკვდინება, მარხვა, ლოცვა და მონანიება იქნება ჩემი აბჯარ-აბგარი, რითაც აღვიჭურვები ბრძოლისთვის და ღმერთის შემწეობით – გამარჯვებისთვის.
ეს არ იყო სიზმარი, არ იყო სიგიჟე, ეს რეალობა იყო. პეპიტა ზოგჯერ ანთებული თვალებით შემომცქერის, ამის თაობაზე უკვე მოგწერეთ. მისი მზერა სავსეა აუხსნელი მიზიდულობით, მიპყრობს, მაცთუნებს და მაიძულებს მხოლოდ მას ვუცქირო. ალბათ ამ

წუთებში დამღუპველი ვნება გიზგიზებს ორივეს თვალებში, ალბათ ამნონიც ამასვე განიცდიდა, როცა ტამარის თვალებში იძირებოდა, ალბათ სიხემიც – როცა დინას შესცქეროდა.
როცა ასეთი მგზნებარებით შევცქერით ერთმანეთს, ღმერთიც კი მავიწყდება. მხოლოდ პეპიტას ხატება აღწევს ჩემს სულში და ირგვლივ ყველაფერს აცამტვერებს. მისი სილამაზე ამქვეყნად ყველა სილამაზეზე მეტად ბრწყინავს. ასე მგონია, ზეციური სიტკბოებანი არაფერია მის სიყვარულთან შედარებით, მარადიული ტანჯვანი ვერ ამოშლის მეხსიერებიდან იმ უსამანო ტკბობას, რომელიც მის ერთ ელვისუსწრაფეს მზერიდან იღვრება ჩემზე.

შინ დაბრუნებული, როდესაც მარტო ვრჩები ჩემს ოთახში, ღამის მდუმარებაში გამოკეტილი, ვფიქრობ, რა რთულ მდგომარეობაშიც ვარ ჩავარდნილი და მაშინვე ვიწყებ კეთილშობილური გეგმების შედგენას, მაგრამ მეორე დღესვე ეს გეგმები სადღაც ქრება. საკუთარ თავს სიტყვას ვაძლევ, ავადმყოფობა მოვიმიზეზო და პეპიტასთან აღარ მივიდე, მაგრამ მეორე დღეს მაინც მივდივარ.
მეტისმეტად თავდაჯერებული მამაჩემი გულში ეჭვადაც არ ივლებს, რა ხდებს ჩემს სულში. მოსაღამოვდება თუ არა, მეუბნება:
– წადი პეპიტასთან, მე ცოტა მოგვიანებით მოვალ, მოურავთან საქმეები მაქვს მოსაგვარებელი.
უარის გამო მომიზეზება არ მეხერხება და იმის ნაცვლად რომ ვუთხრა, ვერ წავალ–თქო, ვიხურავ სომბრეროს და მივდივარ პეპიტასთან.
სახლში შესვლისას ჩვენ ხელს ვართმევთ ერთმანეთს, მე კვლავ მოჯადოებულივით ვდგავარ. ცეცხლი გიზგიზებს გულში, თუ ახლავე, ამ წუთში არ მომაგებებს იმ მზერას (რომლის შესახებაც მე უკვე გწერდით), მაშინ თვითონ ვაიძულებ შემომხედოს, თანაც რაც შეიძლება ჩქარა, თორემ ვეღარ ვითმენ, შევცქერი შერეკილი კაცის სიჯიუტით, დაუფარავი გზნებით და ვგრძნობ, როგორ ვპოულობ მის გარეგნობაში ახალ–ახალ სრულყოფილებას – ხან ღიმილისას ღაწვებზე გაჩენილი პატარა ღრმულები მტაცებს თვალს, ხან შეუდარებელი სითეთრე კანისა, ხან სწორი ცხვირი, ხან პატარა ყურები, რბილი ნაკვთები და უმშვენიერესი ყელი.

თითქოს ჯადო გამიკეთესო, არ მინდა წასვლა, მაგრამ მაინც მივდივარ პეპიტასთან სტუმრად. სახლში შესვლისთანავე ვხდები მისი დაუმარცხებელი, მართლაც ჯადოსნური ხიბლის ტყვე.
არა მხოლოდ აღფრთოვანებული შევცქერი პეპიტას, არამედ მისი ხმაც მუსიკასავით მიტკბობს ყურთასმენას და სამყაროს ჰარმონიულობას მამცნობს. ტყის სურნელთან ერთად ვივსები მისი სურნელითაც, რომელიც ნაკადულის პირას მოფენილ ველურ პიტნაზე უტკბესია.
მთელი არსებით ვარ ანთებული, თავადაც მიკვირს, როგორ ვახერხებ ლომბერის თამაშს, საუბარს... ჩემი ფიქრები მხოლოდ პეპიტას დასტრიალებს.
ყოველთვის, როცა ჩვენი თვალები ერთმანეთს ხვდება, ასე მგონია, ჩვენი სულიც მათ შუქში ერთდება, იძირება. ერთმანეთის თვალებში ვკითხულობთ ენით გამოუთქმელ ლექსებს, ერთმანეთს ვუზიარებთ ფარულ გრძნობებს და ვმღერით. არავის სმენია ასეთი სიმღერა, კეთილხმოვანი ციტრაც კი ვერ გადმოსცემს ჩვენს ხმათა ჟღერადობას.
იმ დღის შემდეგ, რაც პეპიტას ვესაუბრე პასო დე ლა სოლანაში, მარტო აღარ ვყოფილვართ. არც აღარაფერი გვაქვს ერთმანეთთან სათქმელი, უკვე ყველაფერია თქმული.

როდესაც პეპიტას ხიბლის ტყვეობისგან თავდაღწეული, ღამით ჩემს საწოლში ვწევარ, ვცდილობ, რაც შეიძლება გულგრილად ჩავწვდე ყოველივე იმას, რაც ხდება: ვხედავ უძირო უფსკრულს, რომელიც მეძახის, თავისკენ მიხმობს, მეც ფეხი მიცდება და ვვარდები მის საზარელ ხახაში.

თქვენ მირჩევთ, ხშირად ვიფიქრო სიკვდილზე, პეპიტას სიკვდილზე კი არა, ჩემს სიკვდილზე. თქვენ მირჩევთ, ვიფიქრო მიწიერი არსებობის წარმავლობაზე, იმქვეყნიურ ცხოვრებაზე. ამ ფიქრებს არ შესწევთ ძალა, შიში მომგვარონ ან შემაკავონ. როგორ უნდა შემეშინდეს სიკვდილისა, როცა თავად მივილტვი მისკენ. სიყვარული და სიკვდილი ხომ ძმები არიან. თავგანწირვის გრძნობა სრულად მიპყრობს და მკარნახობს – ან მთელი არსებით მივეცე სიყვარულს, ან მოვკვდე საყვარელი არსებისათვის. მსურს განვიბნე მის მზერაში, მის სხივიან თვალებში, მერე თუნდაც სასჯელად სამარადისო სიკვდილი მერგოს.
არა შიში, არამედ თავად სიყვარული მმატებს ძალას, ვიბრძოლო სიყვარულის წინააღმდეგ, იმ უსაზღვრო სიყვარულისა, რომელიც პეპიტამ ჩამისახა გულში. მე მივხვდი, მე ვიცი, რომ მიყვარს იგი, მაგრამ სულში აბობოქრებულ ორთაბრძოლაში ზეიწევს სიყვარული ღმერთისა, ეს კი იმის ნიშანია, რომ ჩემი გამარჯვება გარდაუვალია. ის, ვინც მიყვარს აღმატებული სიყვარულით, ჩემს რელიგიურ ხედვას წარმოუდგება როგორც მანათობელი მზე, რომელიც უზარმაზარ სივრცეს ჰფენს თავის შუქნათელ სხივთა ტალღებს, ხოლო ის, ვინც მიყვარს მიწიერი სიყვარულით, ჰაერში ფარფატებს მზის შუქში გახვეულ ოქროსფერ მტვერივით. მისი სილამაზე, მისი მშვენიერება ხელთუქმნელი მზის მხოლოდ ანარეკლია, მოელვარეა და წამიერი, მარადიული ალის ცვალებადი ნაპერწკალია.
სიყვარულით შეპყრობილ ჩემს სულს სურს ჰქონდეს ფრთები, რათა ცაში აჭრილმა ამ ალში ჩაფერფლოს ყველაფერი, რაც უწმინდურია მასში.
უკვე რამდენიმე დღეა ჩემი ცხოვრება უსასრულო ბრძოლას დაემსგავსა. ვერ გამიგია, როგორ ხდება, რომ სენი, რითაც შეპყრობილი ვარ და მტანჯავს, სახეზე არ მეტყობა, თითქმის არ ვჭამ, არ მძინავს. ძილმორეული დავხუჭავ თუ არა თვალებს, მყისიერად ვიღვიძებ, თანაც ისეთი შეშფოთებული, თითქოს ეს-ეს არის ხმალს ვიქნევდი მეამბოხე ანგელოზებსა და კეთილ ანგელოზებს შორის გამართულ ბრძოლაში, ანუ სინათლისა და სიბნელის ბრძოლაში. მე, რა თქმა უნდა, სინათლის მხარეზე ვარ, მაგრამ ზოგჯერ წარმოვიდგენ, რომ მტრის მხარეზე გადავდივარ, რომ მე უსინდისო "გადამრბენი" ვარ ერთი მხარიდან მეორეზე, და მესმის პატმოსის არწივის
ხმა: "ადამიანებს სიბნელე ურჩევნიათ სინათლეს!" შეშინებული საკუთარ თავს დაღუპულად ვრაცხ.
უნდა გავიქცე, სხვა გზა არ მაქვს, თუ მამაჩემი თვის ბოლომდე არ მომცემს აქედან გამგზავრების უფლებას და ჩემთან ერთად არ წამოვა, გავიქცევი, ქურდივით დავიმალები. არც არაფერს დავიბარებ.

23 მაისი
მე კაცი კი არა, ჭიაღუა ვარ, კაცობრიობის სირცხვილი, თვალთმაქცი ვარ.
სული ჩემი ისე იტანჯება, სიკვდილი მინდა. გამართლება არ მაქვს.
მრცხვენია, ამას რომ გწერთ, მაგრამ თავს ძალას ვატან, მინდა აღსარება გითხრათ, გული გადაგიშალოთ.

თავს ვერ ვერევი, პეპიტასთან სიარული არათუ შევწყვიტე, – ერთ საღამოსაც არ ვაცდენ. ვცდილობ, უფრო ადრე მივიდე, ვიდრე აქამდე დავდიოდი. თითქოს ეშმაკები მექაჩებიან მისი სახლისკენ.
საბედნიეროდ, პეპიტა მარტო არასოდეს დამხვედრია შინ. ნამდვილად არც ვისურვებდი მასთან პირისპირ დარჩენას. კეთილი პადრე ვიკარიო მასწრებს მისვლას. მისი აზრით, ჩვენი მეგობრობის საფუძველი კეთილშობილურ მისწრაფებათა მსგავსებაა და ის ისეთივე ღვთიურია, როგორც თავად პადრე ვიკარიოს წმინდა მეგობრული გრძნობები პეპიტას მიმართ.
ჩემი სნეულება მძაფრდება. როგორც ტაძრის გუმბათიდან მოსხლეტილი ქვა ელვის უსწრაფესად მიექანება მიწისკენ, ისე მიექანება ჩემი სული უფსკრულისკენ.
მეც და ისიც შეხვედრისას ხელის ჩამორთმევაში ვაქსოვთ ჩვენი გულების ფეთქვას, ერთმანეთს ვაწვდით ჩვენ-ჩვენს სისხლს. ვიცი, პეპიტა გრძნობს, როგორ ჩქეფს მის ძარღვებში ჩემი სიცოცხლე, მეც ვგრძნობ ჩემს სისხლში პეპიტას სიცოცხლის გულის ცემას.
როცა მასთან ვარ, მე ის მიყვარს, როცა შორს ვარ – მძულს. როცა ჩემ გვერდითაა, მიზიდავს, მნუსხავს, მიმორჩილებს. მისი სიმშვიდე ტკბილ უღელს მადგამს.
როცა შორს ვარ მისგან, მუდამ თვალწინ მიდგას; ღამით ვიტანჯები, თითქოს ყელსა მჭრის – ბიბლიური ივდითივით, რომელმაც ასურელთა მხედართმთავარი მოკლა – ან ხანჯალს მასობს საფეთქელში, როგორც მოღალატე იაილი მოექცა ქანაანელ მხედართუფროსს, სიხარას. მაგრამ როცა მის გვერდით ვარ, წარმოვიდგენ ხოლმე, რომ ის ჩემი მეუღლეა – "სიმღერათა სიმღერიდან", ბიბლიური მეფე სოლომონის ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნიდან – და გონებაში ვუხმობ მას, ვლოცავ, ვეძახი ათასნაირ სახელს: წყაროს, ბაღნარს, ლილიას, მინდვრის ნარცისს, ჩემს მტრედს, დას.
მინდა, თავი დავაღწიო ამ ქალს, მაგრამ არ შემიძლია. მძულს და ვაღმერთებ.
საკმარისია შევხვდე, რომ მისი სული მყისვე ისადგურებს ჩემში, მიპყრობს, მიზიდავს, მიმორჩილებს.
ყოველ საღამოს მისი სახლიდან წამოსვლისას თავს ვარწმუნებ, მორჩა, დამთავრდა, ეს ბოლო მისვლაა, მაგრამ მეორე დღეს ისევ მივდივარ.
როდესაც მის გვერდით ვზივარ და ვსაუბრობ, ჩემი სული თითქოს მის ტუჩებს ელამუნება. მისი ღიმილი, ეს უსხეულო შუქის სხივი, გულში მეღვრება და სიცოცხლეს მჩუქნის.
ზოგჯერ, ლომბერის თამაშისას, როცა ჩვენი მუხლები შემთხვევით ეხება ერთმანეთს მაგიდის ქვეშ, მთელ ტანში უცნაური ჟრუანტელი მივლის.

წამიყვანეთ აქედან, მოსწერეთ მამაჩემს, ნება დამრთოს, დავტოვო აქაურობა. თუ გსურთ, უამბეთ კიდეც ყველაფერი, ოღონდ მიშველეთ. თქვენი იმედი მაქვს, დამეხმარებით!

30 მაისი
ღმერთმა მომცა ძალა სიმტკიცის გამოსაჩენად, ჰოდა, აი, მეც გამოვიჩინე.
რამდენიმე დღეა ფეხი არ დამიდგამს პეპიტას სახლში. სულაც არ მჭირდება ავადმყოფობის მოგონება, რადგან მართლა ავად ვარ. სახეზე ფერი გამიკრთა, თვალები ჩამიშავდა. მამაჩემი შეშფოთებულია, რა გჭირსო. გულისამაჩუყებლად ყურადღებიანია ჩემ მიმართ.

ზეციური სამეფოს კარი ჭეშმარიტი რწმენისთვის ღიაა, მეც მთელი ძალით ვაკაკუნებ, რათა გამიღონ. ღმერთმა გამოსაცდელად შემასვა მწარე სამსალა. ამაოდ ვევედრებოდი, აერიდებინა ჩემთვის ეს სიმწარე, მაგრამ მხოლოდ ლოცვაში გატარებული მრავალი უძილო ღამის შემდეგ, როგორც იქნა, ჩემი ტანჯვა შენელდა ზეციდან ნაბოძები ღვთიური სიმშვიდის წყალობით.
ახალი სამშობლო დაინახა ჩემმა სულისმიერმა მზერამ, სულის სიღრმიდან მომესმა იერუსალიმის ახალი ჰიმნი.
თუ ბოლოს და ბოლოს გავიმარჯვებ, ეს იქნება დიდზე დიდი გამარჯვება, ეს იქნება დამსახურება ზეციური დედოფლისა, ვისაც მთელი არსებით მივენდობი. ის გახდება ჩემი თავშესაფარი, ჩემი მხსნელი, დავითის კოშკი, ციხესიმაგრე, რომლის კედლებსაც კეთილშობილ მეომართა ათასობით ფარი და მახვილი ამშვენებს. ის ლიბანური კედარია, გველებს რომ ახლოს არ იკარებს.
რა მომდის? – ფიქრებში ვამცირებ ქალს, ვინც შეძლო გაეღვივებინა ჩემს სულში ამქვეყნიური სიყვარული და ვეუბნები:
– შენ მონადირის მიერ დაგებული სატყუარა ხარ, – ვიშველიებ ბრძენი კაცის სიტყვებს, – შენი გული მახეა, შენი ხელები – ნადირის გასახლართი ბადე. ვისაც ღმერთი უყვარს, მას შენთან არაფერი ესაქმება, მხოლოდ ცოდვილი თუ დაგემონება.
სიყვარულზე როცა ვლაპარაკობ, ათას მიზეზს ვპოულობ იმისას, რომ მიყვარდეს ღმერთი და არ მიყვარდეს პეპიტა.
გულის სიღრმეში ვგრძნობ ძალთა მოზღვავებას, ვრწმუნდები, რომ ღმერთის სიყვარულისთვის ყველაფერს დავთმობ: სახელს, დიდებას, ღირსებას, ძალაუფლებას. შემიძლია ქრისტესაც მივბაძო. თუ მტერი-მაცდური მთაზე ამიყვანს და მთელ სამყაროს შემომთავაზებს მის წინაშე დაჩოქების სანაცვლოდ, – არ დავიჩოქებ! მაგრამ თუ ამ ქალს შემომთავაზებს, ჯერ კიდევ ვყოყმანობ, ჯერ კიდევ არ ვდგავარ მტკიცედ. ნუთუ ეს ქალი ჩემთვის უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მთელი სამყარო, სახელი, ღირსება, ძალაუფლება?
ზოგჯერ თავს ვეკითხები: სიყვარული ყოველთვის ერთგვაროვანია თუ მეორე სახეც აქვს და ბუნებაც? ვფიქრობ, რომ ღმერთის სიყვარული ნიშნავს განაგდო პატივმოყვარეობა და ცალმხრივობა. მე მიყვარს ღმერთი, მე მიყვარს ყველა და ყველაფერი, რაც კი მას შეუქმნია. არ ვბრაზობ მასზე, არ ვეჭვიანობ მასზე იმის გამო, რომ ყველა უყვარს, არ ვეჭვიანობ წმინდა მამებზე, მარტვილებზე, სერაფიმებზე. არცა მშურს მათი. რაც უფრო ძლიერია ღმერთის სიყვარული თავის შექმნილთა მიმართ, რაც უფრო დიდი მეოხია უპოვართათვის, მით უფრო ახლოსაა იგი ჩემთან, მით უფრო დიდია მისი სიყვარული ჩემ მიმართაც. სწორედ მაშინ ვგრძნობ ღრმა, ურღვევ, ჭეშმარიტად ძმურ კავშირს ყოველ სულიერთან, ასე მგონია, რაღაც ნაწილს წარმოვადგენ ერთი მთლიანისას და ჩემს წარმოსახვაში ყველაფერი სიყვარულით არის დაკავშირებული ღმერთთან და ღმერთში. სრულიად სხვა გრძნობები მიპყრობს, როდესაც ამ ქალზე, მისდამი ჩემს სიყვარულზე ვფიქრობ. ეს სიყვარული სიძულვილს უფრო ჰგავს, ყველასგან მაშორებს, ეგოისტურია. პეპიტა მხოლოდ ჩემთვის მინდა, მხოლოდ მე უნდა მეკუთვნოდეს, მე კი – იმას, ჩემი ერთგულებაც, ჩემი მზაობაც – ყველაფერი გავწირო მისი გულისთვის – ესეც ეგოისტურია. მირჩევნია, მოვკვდე, თუ სხვა გზას ვერ ვიპოვი მასთან მისაახლოებლად. იქნებ სიკვდილის შემდეგ მაინც შევძლოთ მარადიული სიყვარულით დავატკბოთ ერთმანეთი.

ამგვარი ფიქრებით ვცდილობ დავარწმუნო თავი, რომ პეპიტასადმი სიყვარული გასაკიცხია, რამეთუ ამ სიყვარულში არის რაღაც საშინელი და საბედისწერო. მაგრამ ამავ დროს სულის სიღრმეში მიყალიბდება სრულიად სხვა მოსაზრება, თითქოს ორი სული

მაქვს, ორი გონება, ორი ნება, ორი წარმოსახვა. დღეს იმას უარვყოფ, რასაც გუშინ სარწმუნოდ მივიჩნევდი. ამ სიგიჟის ჟამს ვცდილობ, ორივეს თავისი მივაგო. კი მაგრამ, როგორ? გავექცე მას, შორიდან მიყვარდეს და უწმინდური გზებით ვემსახურო ღმერთს? თუკი ღვთისადმი სიყვარული არ გამორიცხავს სიყვარულს სამშობლოსადმი, ადამიანებისადმი, მეცნიერებისადმი, ბუნების სილამაზისადმი, ხელოვნების ნიმუშებისადმი, მაშინ ქალისადმი სიყვარულმა რა დააშავა? თანაც თუ ეს გრძნობა სუფთაა და სულისმიერი. მე პეპიტას გარდავქმნი ყოველივე კარგის, მშვენიერების სიმბოლოდ, ალეგორიად, – ვესაუბრები საკუთარ თავს. ის ჩემთვის ისეთივე გახდება, როგორიც ბეატრიჩე იყო დანტესთვის: სამშობლოს სახე, სიბრძნისა და სილამაზის განსახიერება.
მაგრამ ამის გაფიქრებაზე შიშმა ამიტანა: პეპიტა რომ ვაქციო სიმბოლოდ, ჰაეროვან სახედ და იმ ყველაფრის ემბლემად, რაც ასე ძალიან მიყვარს ღმერთის შემდეგ, მაშინ პეპიტა მკვდარი უნდა წარმოვიდგინო ბეატრიჩესავით. ბეატრიჩე ხომ მკვდარი იყო, როცა დანტე მის სადიდებელ წიგნს წერდა!
თუ მას ცოცხალს დავტოვებ ჩემს წარმოსახვაში, ვერაფრით შევძლებ მის გარდასახვას წმინდა იდეად, ხოლო წმინდა იდეად რომ გარდავსახო, უნდა მოვკლა.
მერე ვიწყებ ტირილს, ეს რა ჩავიდინე-თქო. შეძრწუნებული ჩემი სული მისკენ ისწრაფის, ჩემს გულში დანთებულ ცეცხლს ვუნაწილებ, პეპიტას სიცოცხლეს ვუბრუნებ. მერე ნაცვლად ვარდისფერ ღრუბლებში ზეციურ ყვავილებში მოფარფატე ყმაწვილი ქალის აჩრდილისა – სწორედ ასეთი ნახა თავისი შეყვარებული პირქუშმა გიბელინელმა სალხინებლის მწვერვალზე – ვხედავ სუფთა, კრიალა ჰაერში როგორ იკვეთება სახება ყმაწვილი ქალისა, რომელიც ბერძენი მოქანდაკის პიგმალიონის ერთ-ერთ სრულყოფილ ქმნილებასავით მშვენიერია. ვხედავ, მარმარილოს კვარცხლბეკიდან როგორ გადმოდის პიგმალიონის სიყვარულით სულჩადგმული ამალთეა – სიცოცხლით, სინორჩით აღსავსე და მშვენიერი.
ამის დამნახავს მაშინვე აღმომხდა ტანჯული სულის ამოძახილი: "სულს ჩემსას სისუსტე ეძალება. ღმერთო, შენ მიშველე, არ მიმატოვო, დამანახვე სახე შენი და მე გადავრჩები!"
კვლავ მოვიკრიბე ძალა: რადაც არ უნდა დამიჯდეს, მოსალოდნელ ცთუნებას უნდა გავუძლო, ვგრძნობ, როგორ იღვიძებს ჩემში იმედი, იმედი იმისა, რომ ბოლოს და ბოლოს დავიბრუნებ სიმშვიდეს, როცა აქაურობას მოვშორდები.
ეშმაკს კი ამ დროს არ ეძინა, განრისხებულს ლამის გადაეყლაპა იორდანეს სუფთა წყლები, ანუ ისინი, რომლებმაც თავიანთი ცხოვრება ღვთის სამსახურს მიუძღვნეს. ჯოჯოხეთის მოციქულებმა მთელი თავიანთი მონსტრული ბოროტება ჯაჭვებიდან ახსნეს და მიუშვეს მათზე. წმ. ბონავენტურამ
თქვა: "გასაკვირი ის კი არ არის, რომ სცოდავენ, გასაკვირი ის იქნებოდა, რომ არ სცოდავდნენ". და მაინც, მე გავუძლებ, არ შევცოდავ, ღმერთი მიშველის!

6 ივნისი

პეპიტას ძიძა – ახლა საოჯახო საქმეების გამრიგე და მეკუჭნავე – როგორც მამაჩემი ამბობს, "მაგარი ვინმეა", ლაპარაკის მოყვარული, მხიარული და მოხერხებული. თავის დროზე ცოლად გაჰყვა ხელოსან სენსიასის ვაჟს და მემკვიდრეობად მამამთილისგან მიიღო ის, რისი მიღებაც ვერ შეძლო მისმა ქმარმა: შრომისმოყვარეობა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ხელოსანი სენსიასი ჩარხავდა ჭანჭიკებს საწნეხი მოწყობილობისთვის, აკეთებდა ბორბლებს, გუთნებს, რძალი კი ხარშავდა მურაბებს, ამზადებდა ტკბილ წვენებს, ათასნაირ სასუსნავს. მამამთილს ემარჯვებოდა სასარგებლო საქმის კეთება, რძალი, გარდა იმისა, რომ ნამდვილი გენიოსი იყო, ცდილობდა ადამიანებისთვის

მიენიჭებინა სიამოვნება, ასე ვთქვათ, უწყინარი, ან ბოლო-ბოლო, დასაშვები სიამოვნება.
ანტონიონა – ასე ჰქვია ამ ქალბატონს – გაშინაურებულია აქაურ ბატონებთან, ყველგან ახლობლად გრძნობს თავს, პეპიტას თანატოლებს "შენობით" მიმართავს და მათთანაც ისეთი ურთიერთობა აქვს, თითქოს საკუთარი ძუძუთი გამოეზარდოს ყველა.
მეც შენობით მომმართავს, ხშირად გვსტუმრობს, ჩემს ოთახშიც შემოდის და უკვე მერამდენედ მამუნათებს, უმადური ხარ, რატომ გაუძვირე სტუმრობა ჩემს ქალბატონსო.
მამაჩემმა არაფერი იცის, ვერაფერს ხვდება. მსაყვედურობს, უცნაურად იქცევი, ბაიყუშივით ზიხარ სახლშიო. ყველანაირად ცდილობს პეპიტას ვესტუმრო. გუშინ საღამოს ვეღარ გავუძელი მის საყვედურებს, თხოვნასაც, ავდექი და წავედი ჩვეულებრივზე ადრე. მამაჩემს ისევ საქმე გამოუჩნდა, მოურავის ანგარიშისთვის უნდა გადაეხედა სასწრაფოდ.
ნეტავ არ წავსულიყავი!
პეპიტა მარტო იყო, ორივენი გავწითლდით, უსიტყვოდ, კრძალვით გავუწოდეთ ერთმანეთს ხელი.
მისთვის ხელი არ ჩამომირთმევია, არც მას ჩამოურთმევია ჩემთვის ხელი, მაგრამ ჩამოსართმევად ჩაჭიდებული ხელებისგან დახსნა დიდხანს ვერ შევძელით.
პეპიტას თვალებში სიყვარული არ იკითხებოდა, მხოლოდ მეგობრობა, თანაგრძნობა და ღრმა წუხილი გამოსჭვიოდა.
ის ხვდებოდა, რა ცეცხლიც ტრიალებდა ჩემს სულში, როგორ ვებრძოდი საკუთარ თავს, იმასაც ხვდებოდა, რომ ღმერთის სიყვარულმა მძლია, რომ მის სიყვარულზე უარის თქმა მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი.
ამის გამო საყვედური არ დასცდენია, რადგან გრძნობდა, მართალი ვიყავი, თუმცა სველ, ნახევრად ღია ტუჩებს დაცდენილი ჩუმი ოხვრა ამხელდა ყმაწვილი ქალის იდუმალ ხვაშიადს.
ხელები ისევ ჩაჭიდებული გვქონდა. ვდუმდით. როგორ ვუთხრა, ბედად არ გვიწერია ერთმანეთს ვეკუთვნოდეთ-თქო; როგორ ვუთხრა, სამუდამოდ უნდა დავშორდეთ-თქო? არც არაფერი მითქვამს, სიტყვა არ დამიძრავს, თვალებით ვუთხარი სათქმელი. ისიც მიხვდა. ტყუილად არ ეშინოდა ამ წამისა: მიხვდა, რომ განაჩენი საბოლოოა.
თვალები დაენამა. მშვენიერ სახეზე გამჭვირვალე სიფერმკრთალის მიღმა ტანჯვის ჩრდილმა გადაურბინა. ამ წუთს ის ჰგავდა მწუხარე ღვთისმშობელს. ცრემლი აუკიაფდა თვალებში და ნელ-ნელა დაუგორდა ლოყაზე.

არ ვიცი, რა ხდებოდა ჩემს სულში, რომც მცოდნოდა, ვერაფრით შევძლებდი მის აღწერას.
მივუახლოვდი, რათა ტუჩებით ცრემლი დამეშრო მის სახეზე და... ჩვენი ტუჩები შეერთდა.
ენით გამოუთქმელი თრობა, სრული თავდავიწყება დაგვეუფლა ორივეს. ის უღონოდ ესვენა ჩემს მკლავებში.
ზეცას სურდა, ჩვენს ყურს მოსწვდენოდა კარსუკან ნაბიჯების ხმა და ხველა ვიკარიოსი. წამში მოვცილდით ერთმანეთს.
როცა გამოვფხიზლდით და ძალაც მოვიკრიბეთ, მე ნელა, მაგრამ მტკიცედ წარმოვთქვი სიტყვები, რომლებმაც გაჰკვეთა საშინელი მდუმარება:

– პირველი და უკანასკნელი!
ამ სიტყვებით პეპიტას მივანიშნე ჩვენს ვნებიან კოცნაზე. და უცებ, თითქოს შევულოცეო, აპოკალიფსური ჩვენება აღიმართა ჩემ წინ მთელი თავისი დამთრგუნველი დიდებულებით: მე დავინახე ის, ვინც იყო "პირველი და უკანასკნელი", და ვინც თავისი ორლესული მახვილით განმიგმირა სული – სავსე ბოროტებით, ბიწიერებით. მთელი საღამო უგონო ბოდვაში გავატარე, არ ვიცი, როგორ მოვახერხე, არაფერი დამტყობოდა.
ადრე დავტოვე იქაურობა.
მარტოდ მყოფს უფრო მეტად დამიმძიმდა გული.
ხელმეორედ განვიცადე ის კოცნაც და ის სიტყვებიც, გამომშვიდობებისას რომ ვუთხარი... ნამდვილი იუდა ვარ, მოღალატე, არაკაცი...
ორჯერ ჩავიდინე ღალატი და ორჯერ ვიცრუე.
მოვატყუე ღმერთიც და პეპიტაც.
მე საზიზღარი არსება ვარ.

11 ივნისი
ჯერ კიდევ მაქვს შეცდომის გამოსწორების დრო: პეპიტა განიკურნება თავისი სიყვარულისგან, დაივიწყებს ჩვენს წუთიერ სისუსტესაც.
იმ საღამოს შემდეგ მასთან აღარ მივსულვარ.
არც ანტონიონა გამოჩენილა ჩვენთან.
მამაჩემს იმდენი ვემუდარე, რომ ბოლოს და ბოლოს დავითანხმე, 25 ივნისს გავმგზავრებულიყავით აქედან, ანუ სან ხუანის დღესასწაულის შემდეგ, რომელსაც აქ დიდი ზარ-ზეიმით და სახალხო სეირნობით აღნიშნავენ.
პეპიტასგან შორს თავს მშვიდად ვგრძნობ. არ ვიცი, ჩვენი ახალჩასახული სიყვარული იქნებ სულაც გამოცდა იყო?
საღამოობით ვლოცულობ, ვფხიზლობ, თავს ვისჯი.
ჩემი ლოცვები და გულწრფელი მონანიება ღმერთმა შეისმინა და გულმოწყალედ მომექცა. როგორც წინასწარმეტყველი ამბობს, ღმერთმა გარდმოუვლინა ცეცხლი სულსა ჩემსა, გამინათა გონება, ააგიზგიზა ნება ჩემი და ყოველივე განმიმარტა.
ღვთის სიყვარული ხანდახან ნებას მრთავს მე, უღირს ცოდვილს, მშვიდ, წყნარ გარემოში ვილოცო. განვაგდე სულისგან ყველა ხატი, ამ ქალის ხატიც და დავრწმუნდი – თუ სიამაყე არ მალაპარაკებს – რომ შევიცანი სადღაც სულის სიღრმეში მიმალული უმაღლესი სიკეთე, რის წყალობითაც ვტკბები სიმშვიდითა და ყოველთა სიყვარულით.
ამ სიამის, ამ სილამაზის, ამ უმაღლესი ნეტარების წინაშე – ყოველივე უბადრუკია.
როგორ არ უნდა ვთქვა უარი ცოდვილ გრძნობებზე, როცა სანაცვლოდ შემიძლია აღვივსო ღვთისადმი წმინდა სიყვარულით?
დიახ, ამ ქალის მიწიერი ხატი საბოლოოდ, სამუდამოდ ქრება ჩემს სულში, ლოცვისა და მონანიების შოლტით განვდევნი მას, როგორც ქრისტემ განდევნა ტაძრიდან უსინდისო ვაჭრუკანები.

18 ივნისი

ეს ბოლო წერილია.
ოცდახუთში მოვემგზავრებით, ეს გადაწყვეტილია, ბოლოს და ბოლოს ჩაგიკრავთ გულში.
თქვენ გვერდით თავს უკეთ ვიგრძნობ, გამამხნევებთ, შემმატებთ ძალას, რომელიც ასე მაკლია.
ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობების ქარიშხალი ბორგავს ახლა ჩემს გულში.
ეს უთავბოლო წერილი დასტურია იმისა, თუ რაოდენ არეული მაქვს აზრები.
ორჯერ მივედი პეპიტასთან, როგორც მოვალეობა მკარნახობდა, ისე მოვიქეცი: ცივად მეჭირა თავი, მაგრამ რა ტანჯვის ფასად!
გუშინ მამამ მითხრა, პეპიტა ავადაა და არავის იღებსო.
მისი ავადმყოფობა ალბათ უპასუხო სიყვარულის ბრალია, – გამიელვა თავში.
რატომ ვუცქერდი მას ისეთივე გზნებით, როგორითაც ის მე მიცქერდა? რატომ მოვატყუე ასე სულმდაბლად, რატომ ვაგრძნობინე, რომ მიყვარს, რატომ ეძებდა ჩემი უღირსი ტუჩები მის ტუჩებს, ჯოჯოხეთური ცეცხლით რომ დაგვწვა?
მაგრამ, არა! ერთხელ უკვე შევცოდე, მეორედ აღარ!
რაც იყო, იმას აღარაფერი ეშველება, ახლა გამოსწორებაზე უნდა ვიზრუნო.
ვიმეორებ, ოცდახუთში აქაურობას უეჭველად დავტოვებ, ხელს ვერავინ შემიშლის...
მოულოდნელად უბოდიშო ანტონიონა გამომეცხადა ოთახში.
წერილი ისე დავმალე, თითქოს დიდ ცოდვას ვჩადიოდი, რაკი თქვენ გწერდით.
წამოვდექი, ფეხზე მდგომი ვესაუბრებოდი, რათა მალე წასულიყო. მაგრამ ამ ცოტა ხანშიც მოასწრო ჩემი გამოლანძღვა:
– შე მატყუარა, გულცივო ადამიანო, წყეულიმც იყავ! ჯანდაბაში წასულხარ! ჩემი გოგონა შენი გულისთვის გახდა ავად. შენ მოკალი ის, შე არამზადავ!
განრისხებულმა ერთი მაგრად მიჩქმიტა მკლავზე და წყევლა-კრულვით გავარდა ოთახიდან.
არ ვამტყუნებ, ღირსი ვარ ასეთი ხუმრობისა – თუ ამას ხუმრობა ჰქვია – დავიმსახურე, ღირსი ვარ ეშმაკებმა გახურებული შანთით მაწამონ.
ღმერთო, დამეხმარე, რომ პეპიტამ დამივიწყოს. შეიყვაროს ვინმე და მასთან ერთად ბედნიერი იყოს!
განა შემიძლია სხვა რამ გთხოვო, ღმერთო?

მამაჩემმა არაფერი იცის. ასე სჯობს.
ნახვამდის, რამდენიმე დღეც და ერთმანეთს გადავეხვევით.
ნეტავ ცვლილებას თუ შემამჩნევთ. გული ტკივილით მაქვს სავსე. თქვენ მეტყვით, რამდენად დიდია ჩემი დანაშაული, რამ მომიწამლა, რამ ამირია სული.

II. პარალიპომენოს

დონ ლუის დე ვარგას სხვა წერილები – გარდა აქ მოტანილისა – არ შენახულა. რომ არა ერთი პიროვნება, ვინც ყველაფერი ყველაზე კარგად იცოდა – თანაც ზედმიწევნით კარგად – არ გვექნებოდა ამ ყოველივეს გაგრძელება, ვერასოდეს გავიგებდით, როგორ დამთავრდა ამ სიყვარულის ამბავი, ამ გულუბრყვილო, ვნებებით დატვირთულ მონათხრობს არ ექნებოდა დასასრული.

* * *

პეპიტას ავადმყოფობა ამ დაბაში არავის გაკვირვებია, არც არავის უფიქრია იმ მიზეზთა ძიება, მხოლოდ ჩვენ რომ ვიცოდით – პეპიტამ, ლუისმა, მოძღვარმა და ანტონიონამ. აქაურებს უფრო გაუკვირდათ პეპიტას გახალისება, ყოველ საღამოს წვეულებები, ველზე გასეირნება. მისთვის ჩვეულ კარჩაკეტილ ცხოვრებასაც რომ დაბრუნებოდა, ყველა ბუნებრივად მიიჩნევდა.

დონ ლუისისადმი პეპიტას საიდუმლო სიყვარულის ამბავი, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, გამოეპარა დონია კასილდასაც და კურიტოსაც. ოჯახის უახლოესი ადამიანების ფხიზელ თვალს გამოეპარა, სხვები მით უმეტეს საიდან გაიგებდნენ? საიდან უნდა სცოდნოდათ. ვინ წარმოიდგენდა, რომ წმინდანი, როგორც დონ ლუისს ეძახდნენ, მამამისს გაუწევდა მეტოქეობას!

მიუხედავად პროვინციელთათვის ჩვეული გულახდილობისა ქალბატონსა და მოახლეს შორის, პეპიტას სიტყვაც არ დასცდენია მათთან თავის სატკივარზე. მხოლოდ ანტონიონამ, მელიასავით ეშმაკმა და ფოცხვერივით ფრთხილმა ქალმა – განსაკუთრებით როცა საქმე ეხებოდა მის უსაყვარლეს გაზრდილს – შეძლო შეეღწია ამ საიდუმლოში. ანტონიონას არ დაუმალავს პეპიტასთვის თავისი აღმოჩენის შესახებ, ჩამოუკაკლა, ყველაფერი ვიციო. პეპიტამაც გული გადაუშალა ქალს, რომელიც მართალია, ჭორიკანას ნიმუში გახლდათ, სალაპარაკო არასოდეს ელეოდა, ამ დაბაში რაც ხდებოდა, ყველაფერი ზედმიწევნით წვრილად იცოდა, მაგრამ თუკი საუბარი მის ქალბატონს ეხებოდა, – სიტყვა არ დასცდებოდა.

ამგვარად, ანტონიონა გახდა თავისი ქალბატონის გულის მესაიდუმლე. პეპიტა არაფერს უმალავდა ძიძას და სიმშვიდეს პოულობდა ამ გულგახსნილობაში, რამეთუ ანტონიონა, მართალია, უხეში, ენაგალესილი ქალი იყო, მაგრამ სამაგიეროდ ჭკუაც უჭრიდა და უზომოდ კეთილი გული ჰქონდა.

სწორედ ამით აიხსნება მისი სტუმრობა დონ ლუისთან და მისი უხეში უადგილო, უპატივცემულო სიტყვები, რისი თქმის უფლებაც მან მისცა საკუთარ თავს.

პეპიტას ანტონიონა არათუ არ გაუგზავნია დონ ლუისთან რაიმე დავალებით, არამედ წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ ის თავის ნებით მიაკითხავდა დონ ლუისს. მართლაც, ანტონიონა თავისი ნება-სურვილით ჩაერია ამ საქმეში.

როგორც უკვე ითქვა, ძიძა თავისი საოცარი გამჭრიახობის წყალობით ყველაფერს მიხვდა.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა პეპიტამ თავადაც კი არ იცოდა კარგად, შეუყვარდა თუ არა დონ ლუისი, ანტონიონამ იცოდა თუ არა, დარწმუნებულიც იყო, რომ ეს ასეა: რამდენჯერმე შეამჩნია, შეყვარებულმა პეპიტამ როგორ გააპარა დონ ლუისისკენ ამდენი უბედურების მომტანი ცეცხლოვანი მზერა, ისიც შეამჩნია, სინაზით სავსე ჯილდო რომ მიიღო პეპიტამაც სამაგიეროდ.

ასე და ამგვარად, სენიორა პეპიტას აღარ უწევდა რაიმეს მოყოლა, ისედაც კარგად უწყოდა ყოველივე გამჭრიახმა, შორსმჭვრეტელმა ძიძამ.

ეს ამბავი მოხდა თქვენ მიერ წაკითხული ბოლო წერილიდან ხუთი დღის შემდეგ.

დილის თერთმეტი საათი იყო. პეპიტა იმ ოთახში იმყოფებოდა, მის საძინებელს და ბუდუარს რომ ემიჯნება. აქ ვერავინ შევიდოდა – თუ თავად პეპიტა არ უხმობდა – ანტონიონას გარდა.
ოთახში ძვირფასი არა, მაგრამ მოხერხებული და ლამაზი ავეჯი იდგა. ფანჯარაზე უბრალო ზოლებიანი ფარდა ეკიდა, ამავე ქსოვილის შალითები გადაეკრათ დივანზე, სავარძლებზე, სკამებზე. წითელი ხის მომცრო მაგიდაზე სამელნე და საწერ-კალამი იდო. წითელი ხის კარადაში თაროებზე ერთმანეთზე მიჯრით მიეწყოთ უმეტესად რელიგიურ და ისტორიულ თემებზე შექმნილი წიგნები. კედლებზე ეკიდა ასევე რელიგიურ თემებზე შექმნილი რაფაელის, მურილიოს და სხვათა ნახატების რეპროდუქციები. ასეთი გემოვნებით შერჩეული სურათები იშვიათი და თითქმის დაუჯერებელი იყო ანდალუსიის პროვინციისთვის.
მასიურ ფეხებზე შემდგარ ძველ მუხის მაგიდაზე იდგა პატარ-პატარა ნიჟარებით, სადაფით, სპილოს ძვლითა და ბრინჯაოთი გაწყობილი ბიურო,
 რომლის უჯრებში პეპიტა საბუთებს ინახავდა, მაგიდაზე იდგა ყვავილებიანი ორი ფაიფურის ლარნაკი, კედელზე ეკიდა სევილიის კარტეზიანელთა მონასტრიდან მოტანილი ხვიარა მცენარეებიანი ქაშანურის პატარა ქოთნები და სამი მოოქრული გალიაც, რომლებშიც იადონები და ჩიტბატონები ჭიკჭიკებდნენ.
ეს იყო პეპიტას საყვარელი კუთხე, დღისით იქ მხოლოდ ექიმს და ვიკარიოს შეეძლოთ შესვლა, საღამოს – მოურავს, ანგარიშის ჩასაბარებლად. ამ ოთახს კაბინეტს ეძახდნენ. პეპიტა დივანზე ნახევრად წამოწოლილიყო, მის წინ პატარა მაგიდაზე წიგნები ელაგა. ახალგამოღვიძებულ პეპიტას მხრებზე საზაფხულო ხალათი მოესხა. თმადაუვარცხნელს ნორჩ სახეზე ფერი გაკრთოდა, მაგრამ მის სილამაზეს არაფერი დაკლებია. სევდამ მისი სახიდან განდევნა წითელი ფერი, თვალების გარშემო ოდნავ ჩაშავებოდა.
პეპიტას მოუსვენრობა ეტყობოდა, ვიღაცას ელოდებოდა.
როგორც იქნა, მოვიდა ის კაცი, ვისაც ელოდებოდა. კარზე დააკაკუნა. ეს ვიკარიო იყო.
ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ სტუმარი პეპიტას გვერდით მოკალათდა სავარძელში.
– მიხარია, შვილო ჩემო, რომ მიხმე, თუმცა ისედაც ვაპირებდი მოსვლას. რა ფერმკრთალი ხარ. ხომ კარგად ხარ? რამე მნიშვნელოვანი უნდა მითხრა?
ამ ალერსიანი შეკითხვების კასკადს პეპიტამ ღრმად ამოოხვრა შეაგება და საყვედურით მიმართა პადრეს:
– ნუთუ ვერ ხვდებით ჩემი ავადმყოფობის მიზეზს? ჯერაც ვერ ამოგიცნიათ ჩემი უგუნებობის მიზეზი.
ვიკარიომ გაკვირვებულმა აიჩეჩა მხრები. ვერაფერს მიხვდა. პეპიტას გაღიზიანებულმა კილომ შეაშინა.
– პადრე, ალბათ აჯობებდა თქვენ კი არა, თავად მე გხლებოდით ეკლესიაში აღსარების სათქმელად, ცოდვების მოსანანიებლად. სამწუხაროდ, დიდი ხანია თქვენთვის გული არ გადამიშლია. გული გამიცივდა, გამზედაობამ მიღალატა. მინდა გესაუბროთ არა როგორც ეკლესიის მსახურს, არამედ როგორც მეგობარს...
– რომელ ცოდვებზე ლაპარაკობ, ხომ არ გაგიჟდი? რა ცოდვა უნდა გქონდეს შენ ჩადენილი? ასე კეთილს...

– არა, პადრე, მე ცუდი ვარ, მე თქვენ მოგატყუეთ, მოვატყუე საკუთარ თავს... ღმერთის მოტყუებაც მინდოდა...
– ვერაფერი გავიგე. გაჩუმდი, დამშვიდდი და ისე მითხარი, რისი თქმაც გსურს, ოღონდ დალაგებულად, სისულელეების გარეშე.

– როგორ უნდა გავჩუმდე, როცა ბოროტმა სულმა დამიმონა.
– ო, წმინდაო მარიამ ღვთისმშობელო... გოგონი, თუ გესმის, რას ამბობ? შვილო ჩემო, არსებობს სამი დემონი, რომლებიც სულებს იმორჩილებენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ვერც ერთი გაბედავს შენს სულში შეპარვას. ერთია ლევიათანი – სიამაყის სული, მეორეა მამონი – სიძუნწის სული და მესამე – ასმოდეუსი, სული ბიწიერი სიყვარულისა.
– გამოდის, მე სამივე დემონის მსხვერპლი ვარ, სამივეს ვყავარ დამონებული.
– ღმერთო ჩემო, ეს საშინელებაა! გაჩუმდი, გთხოვ, შენ ახლა რისი მსხვერპლიც ხარ, ეს ბოდვაა...
– ნეტავ ასე იყოს, მაგრამ ჩემი ბრალია, რომ პირიქითაა. ძუნწი ვარ. უზომოდ მდიდარი, საკმარისად არ ვიხარჯები კეთილი საქმეებისთვის. ამაყი ვარ. არად ვაგდებდი ადამიანებს, არ მიმაჩნდნენ ჩემი სიყვარულის, ჩემი ყურადღების ღირსად...
– რას ამბობ, შვილო, რა ეშმაკი ჩაგიჯდა თავში? შეყვარებული ხომ არ ხარ? თუ ხარ, მერე რა არის აქ ცუდი? შენ ხომ თავისუფალი ქალი ხარ, გათხოვდი და მოეშვი მაგ სისულელეებს. გამოდის, ჩემმა მეგობარმა დონ პედრო დე ვარგასმა ნამდვილი სასწაული მოახდინა! ე.ი. დონ პედროა ეშმაკი? ვერ დაგიმალავ, გაოცებული ვარ, მართალი გითხრა, არ მეგონა, თქვენი საქმე ასე ადვილად და სწრაფად თუ გადაწყდებოდა.
– მაგრამ, მე ვინც მიყვარს, ის თუ დონ პედრო არ არის?
– რა თქვი? ვერ გავიგე... აბა, ვინ არის?
პეპიტა წამოდგა, კარისკენ წავიდა, გააღო, მიიხედ-მოიხედა, დაკეტა, ვიკარიოს მიუახლოვდა და თვალცრემლიანმა, ხმაკანკალებულმა ყურში ჩასჩურჩულა:
– მე მისი შვილი მიყვარს... თავდავიწყებით.
– რომელი შვილი? – დაიბნა კეთილი მოხუცი.
– კიდევ რომელი შვილი ჰყავს დონ პედროს?! ძალიან, ძალიან მიყვარს დონ ლუისი.
– ახლა კი ნამდვილად გავგიჟდები... – სათნოებით სავსე მღვდლის სახეზე უზომო გაკვირვებასთან ერთად წუხილიც გამოიხატა. წუთით ჩამოვარდნილი სიჩუმე ისევ მღვდელმა დაარღვია: – ეს ხომ უიმედო სიყვარულია, უპასუხო, ცალმხრივი... დონ ლუისს შენ არ შეუყვარდები.
პეპიტას ლამაზ, ცრემლით დანამულ თვალებში უცებ მხიარული სხივი აუციმციმდა, ქორფა, სველი, ნაღვლიანად მოკუმული ტუჩები ღიმილმა ნაზად გაუპო და მარგალიტივით კბილები გამოუჩინა.
– მე მას ვუყვარვარ, – პეპიტას ხმაში გაკრთა ოდნავი, მაგრამ ცუდად დაფარული სიამაყე და ზარზეიმურობა, რომელიც, როგორც ჩანს, უფრო მნიშვნელოვანი იყო მისთვის, ვიდრე ნაღველი და სინდისის ქენჯნა.

ეს კი უკვე მართლაც მეტისმეტი იყო ისედაც დაბნეული და გაოგნებული ვიკარიოსთვის: ის წმინდანი, რომელსაც ყველაზე მეტად ეთაყვანებოდა, საკურთხევლიდან რომ თავისით გადმოვარდნილიყო და მის ფერხთით ნამსხვრევებად ქცეულიყო, ისე არ გაუკვირდებოდა, როგორც ამ ამბავმა გააკვირვა და დაიბნია, პეპიტას ეჭვით შეავლო თვალი, ეს ყველაფერი იქნებ სულაც თავდაჯერებული ქალის წარმოსახვის ნაყოფიაო. მას მტკიცედ სწამდა დონ ლუისის ღვთისმოსაობისა.
– მე მას ვუყვარვარ, – გაიმეორა პეპიტამ ვიკარიოს ეჭვიანი მზერის პასუხად.
– ქალები დემონებზე უარესები არიან! – შეჰყვირა ვიკარიომ. – მათი გაცუცურაკებაც კი შეგიძლიათ.
– განა მე არ გეუბნებოდი, ძალიან ცუდი ვარ-თქო?
– კარგი, ყველაფერი ღვთის ნებაა. დამშვიდდი. უფლის გულმოწყალება უსაზღვროა. მიამბე ყველაფერი, რაც მოხდა.

– რა უნდა მომხდარიყო? მე ის მიყვარს, ვაღმერთებ, უმისოდ ვერ ვიცოცხლებ. მასაც ვუყვარვარ, მაგრამ თავს ებრძვის. შეუძლია ჩაიკლას ეს სიყვარული და ჩაიკლავს კიდეც ალბათ. თქვენ კი, თავადაც არ იცით, დამნაშავე ხართ ბევრ რამეში.
– ესღა მაკლდა! რაში მადანაშაულებ?
– რაში და, თქვენთვის ჩვეული უსაზღვრო სიკეთის გამო მიქებდით და მიქებდით დონ ლუისს. რა თქმა უნდა, მასთან მე მაქებდით, თანაც ალბათ ზეაღმატებულად. თუმცა მე ამას არ ვიმსახურებ. ჰოდა, თქვენი აზრით, შედეგად რა მივიღეთ? მე ხომ ქვა არ ვარ, მე ხომ ოცი წლის ვარ...
– მართალი ხარ, ნამდვილად მართალი ხარ. მე რეგვენი ძალას არ ვზოგავდი ლუციფერის საქმის გასაღვივებლად.
კეთილი და მიმნდობი მღვდელი ისე აღელდა, თითქოს მართლა დამნაშავე ყოფილიყო, პეპიტა კი მისი მსაჯული.
პეპიტა მიხვდა, რა დაუმსახურებლად დააბრალა მამა ვიკარიოს თანამონაწილეობა ამ საქმეში, თვითონ შესცოდა და ლამის მთავარ დამნაშავედ მოხუცი გამოიყვანა:
– დამშვიდდით, პადრე, ღვთის გულისათვის. ხომ დარწმუნდი, ცუდი რომ ვარ. თავად ვჩადი მძიმე ცოდვებს, ამ ცოდვებზე პასუხისმგებლობას კი უსათნოეს ადამიანს ვაკისრებ. არა, თქვენმა ქებამ კი არა, ჩემმა თვალებმა და ურცხვობამ დამღუპა. რომ არც არაფერი მოგეყოლათ დონ ლუისის ღირსებებზე, მის ნიჭიერებაზე, გონიერებაზე, მხურვალე გულზე, – თვითონ აღმოვაჩენდი მის ამ ღირსებებს. ბოლოს და ბოლოს არც ისე უჭკუო და უხეში ქალი ვარ. მერე კი დავინახავდი მის სილამაზეს, კეთილშობილებას, დახვეწილობას, მის ცეცხლოვან, აზრიან თვალებს. ერთი სიტყვით, მე ის აღვიქვი როგორც სიყვარულისა და აღფრთოვანების ღირსი მამაკაცი. თქვენმა საქებარმა სიტყვებმა კი მხოლოდ სწრაფვა გამიძლიერა მისი ახლოს გაცნობისა; მაგრამ სწრაფვა – ყოველგვარი გზნების გარეშე. თქვენ მიერ მისი მისამართით წარმოთქმულ სიტყვებს აღფრთოვანებული ვისმენდი, რამეთუ სრულად გეთანხმებოდით გუნებაში. თქვენი ყველაზე ლამაზი საქებარი სიტყვა ვერ შეედრებოდა იმას, რასაც მე წარმოვთქვამდი უსიტყვოდ სულის სიღრმეში ყოველ წუთს, ყოველ წამს.
– აღგზნებული მეჩვენები, დამშვიდდი, შვილო ჩემო, – შეაწყვეტინა მღვდელმა. მაგრამ პეპიტამ უფრო მეტის გზნებით განაგრძო:

– და მაინც თქვენი საქებარი სიტყვები და ჩემი ფიქრები განსხვავდება ერთმანეთისგან. თქვენ ჭვრეტდით და გსურდათ ჩემთვისაც წარმოგეჩინათ იგი, როგორც მომავალი სანიმუშო მღვდელი, მისიონერი, მოციქული, რომელიც ხან სახარებას ქადაგებს შორეულ ოლქებში, ხან ურწმუნოთა მოსაქცევად იღვწის, ხანაც იბრძვის, გმირობას სჩადის ქრისტიანობის სახელით, რომელიც ამ ბოლო ხანს ესპანეთში ძალზე შეარყია ზოგიერთის უღმერთობამ, ქველმოქმედების მიმართ გულგრილობამ. დიახ, თქვენ მას ასეთს ხედავდით და ამიტომაც აქებდით, მე კი, პირიქით, დონ ლუისი წარმოვიდგინე როგორც შეყვარებული თაყვანისმცემელი, რომელმაც ჩემი გულისთვის დაივიწყა ღმერთი და მთელი თავისი ცხოვრება, სულიც მომიძღვნა მე, გახდა ჩემი საყრდენი, მხარში მდგომი, ჩემი ცხოვრების თანამგზავრი. ჩავიფიქრე მეტისმეტი მკრეხელობა – ქურდობა. ვიფიქრე, დონ ლუისს პირდაპირ ღვთის ტაძრიდან ისე მოვტაცებ ღმერთს, როგორც მძარცველი, ზეციერის მტერი იტაცებს ყველაზე ძვირფას განძს წმინდა განძსაცავიდან–მეთქი. ამიტომ გავიხადე ქვრივი ქალის თალხები, მოვირთე ამქვეყნიური ფუფუნებით, უარი ვთქვი კარჩაკეტილ ცხოვრებაზე, დავიწყე სტუმრების მოპატიჟება, ვცდილობდი ლამაზი ვყოფილიყავი, საგულდაგულოდ ვზრუნავდი საკუთარ გასაცოდავებულ სხეულზე, რომელსაც ბედად ეწერა შავი სამარე და მიწად ქცევა. რაც მთავარია, დონ ლუისს

მაცთუნებელი თვალებით შევცქეროდი და ხელის ჩამორთმევისას ვცდილობდი მისთვის გადამეცა ის მოგიზგიზე ცეცხლი, მე რომ მწვავდა და მდაგავდა.
– ოჰ, გოგონი, რა საწყენია ის, რაც ახლა შენგან მესმის. ვინ წარმოიდგენდა ამას?
– ეს კიდევ არაფერია, – განაგრძო პეპიტამ. – მე მივაღწიე იმას, რომ დონ ლუისს შევუყვარდი. ეს მისმა თვალებმა მამცნო. მისი სიყვარული ჩემდამი ისეთივე დიდი და მგზნებარე იყო, როგორიც ჩემი მისდამი სიყვარული. ის მამაცურად ცდილობდა გიჟური ვნება დაეძლია სათნოებით, მარადიულ ღვთიურობისადმი სწრაფვით, მე კი მსურდა ხელი შემეშალა მისთვის. ერთხელ – კარგა დიდი ხანი არ გვენახა ერთმანეთი – მოვიდა, სახლში მარტო ვიყავი. ხელი რომ გავუწოდე, ჩუმად ავტირდი (ჯოჯოხეთმა მიბიძგა ასე მოვქცეულიყავი), უსიტყვოდ გავაგებინე, როგორ ვიტანჯები იმის გამო, რომ მას არ ვუყვარვარ, რომ უარი თქვა ჩემზე და რომ ჩემს სიყვარულს სხვა, თუნდაც უმაღლესი ზეციურის სიყვარული ამჯობინა. მაშინ მან ვეღარ გაუძლო ცთუნებას, ტუჩები შემახო ლოყაზე, რათა ცრემლი შეეშრო ჩემთვის და... ჩვენი ტუჩები შეეწება ერთმანეთს. ღმერთს რომ მაშინ, იმ წუთს თქვენ არ გამოეგზავნეთ, ვინ იცის, რა მოხდებოდა...
– რა სირცხვილია, შვილო ჩემო, რა სირცხვილია.
პეპიტამ სახეზე ხელები აიფარა და მაგდალენასავით აქვითინდა. ხელები მართლაც რომ ლამაზი ჰქონდა, უფრო ლამაზი, ვიდრე თავის წერილებში აღწერდა დონ ლუისი: თეთრი, გამჭვირვალე, თლილი თითები, სადაფივით ფრჩხილები ნებისმიერ მამაკაცს შეშლიდა ჭკუაზე.
– გოგონი! – შეჰყვირა ვიკარიომ. – გულს ნუ მიხეთქავ. დამშვიდდი, დონ ლუისი უკვე მოინანიებდა თავის ცოდვას, შენც მოინანიე და ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება. უფალი გაპატიებთ და კვლავ უცოდველნი გახდებით. თუ დონ ლუისი ზეგ გაემგზავრება, ეს იქნება დასტური მისი ზნეობრიობის გამარჯვებისა. შენგან გარბის, რათა მოინანიოს ცოდვა, აღასრულოს თავისი აღთქმა; დაუბრუნდეს თავის მოწოდებას.
– აი, თურმე რა! – პეპიტამ ხმას აუმაღლა, – "აღასრულოს აღთქმა, დაუბრუნდეს თავის მოწოდებას..." მანამდე კი მე მომკლას, ხომ?! რატომ შემიყვარა, რატომ ამირია გონება, რატომ მომატყუა?! მისმა კოცნამ ისე დამწვა, თითქოს გახურებული შანთით დამდაღეს. ახლა კი მიიპარება, მტოვებს, მღალატობს, უფრო მეტიც – მკლავს! კარგად იწყებს მისიონერობას, წმინდა სახარების მქადაგებლობას... მაგრამ ეს არ მოხდება, არ მოხდება!
შეყვარებული ქალის უეცრად მოვარდნილმა რისხვამ და ლამის გაგიჟებამ, გააოგნა მოხუცი ვიკარიო.

პეპიტა წამოდგა, მის მოძრაობაში იხატებოდა ტრაგიკული სასოწარკვეთილება, თვალები ხანჯლებივით, ორ მზესავით უელვარებდა. ვიკარიო ხმაჩავარდნილი, თითქმის შეშინებული შესცქეროდა ქალს, რომელიც დიდი ნაბიჯებით სცემდა ბოლთას, უწყინარი გაზელი მძვინვარე ძუ ლომად ქცეულიყო.
– რა გამოდის? – პეპიტამ შეწყვიტა აქეთ-იქით სიარული და ვიკარიოს წინ შედგა. – თურმე შეიძლება მე გული მომპარონ, დაგლიჯონ, დაფლითონ, შეურაცხყონ, უმწეო ქალს დასცინონ, ხომ?! ის ამისთვის სამაგიეროს მიიღებს! თუ ასეთი წმინდანია, ასეთი სათნოა და ეკლესიური, მაშინ რატომ მიყურებდა ასეთი თვალებით, რატომ მპირდებოდა ყველაფერს თვალებით? თუ ასე ძალიან უყვარს ღმერთი, მის შექმნილ საბრალო არსებას რატომ სტანჯავს ასე? ეს არის გულმოწყალება, ეს არის რწმენა? არა, ეს უსულგულო ეგოიზმია!..
ეს აღშფოთება დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, პეპიტამ იგრძნო, ძალა ეცლებოდა, სავარძელში ჩაჯდა და გულსაკლავად ატირდა.

ვიკარიო მთელი გულით თანაუგრძნობდა მას, მაგრამ რომ დაინახა, ყმაწვილი ქალი ნებდებოდა, ენერგიის ახალი მოზღვავება იგრძნო:
– პეპიტა, შვილო, გონს მოეგე, ტყუილად იკლავ თავს, გაიგე, დონ ლუისი დიდხანს ებრძოდა თავს, ვიდრე გაიმარჯვებდა. არ გატყუებდა, მთელი არსებით უყვარდი, მაგრამ ღმერთი და მოვალეობა ყოველთა უპირველესია. მიწიერი ცხოვრება ხანმოკლეა, სწრაფწარმავალი. თქვენ ზეცაში შეერთდებით ანგელოზებად ქცეულნი, ერთმანეთი გეყვარებათ. უფალი მიიღებს თქვენს მსხვერპლს, დაგლოცავთ... შენი თავმოყვარეობა არ შელახულა, საკვირველია, ისეთი კაცი, როგორიც დონ ლუისია, შენ აიძულე ეყოყმანა, ცოდვა ჩაედინა. შენ არც კი იცი, რა დიდი იარა დაუტოვე გულში. მარტო ესეც კმარა! იყავ სულგრძელი, ძლიერი, ტოლი არ დაუდო დონ ლუისს სიმტკიცეში, დაე, გაემგზავროს აქედან, ჩაიქრე სულში ბიწიერი სიყვარულის ცეცხლი, გიყვარდეს იგი ისე, როგორც ღმერთი გკარნახობს – გვიყვარდეს მოყვასი ჩვენიო – მისი სახება შეინახე ფიქრებში, დაე იყოს ის ყველაზე ძვირფასი შენთვის, მაგრამ სული მისი დაუტოვე შემოქმედს... მართალი გითხრა, ისე ვარ აღელვებული, შვილო ჩემო, რომ თავად არ ვიცი, რას ვამბობ. შენ ხომ ჩემი გოგო ხარ, პირველივე სიტყვიდან გესმის ჩემი. თქვენი სიყვარულის გზაზე მარტო დონ ლუისის აღთქმა და მოწოდება რომ არ გეღობებოდეთ, ბოლოს და ბოლოს არსებობს კიდევ ერთი და მთავარი ამქვეყნიური მიზეზი, რომელიც შენს უაზრო სიყვარულს უშლის ხელს: ლუისის მამას დონ პედროს რას უპირებ, ის ხომ დაქორწინებას აპირებს შენზე და იმედიც აქვს, რომ ასეც მოხდება, თუმცა შენ ის არ გიყვარს. რას იტყვის ხალხი, როცა გაიგებენ, რომ მამის მეტოქე შვილი აღმოჩნდა?! მამა-შვილს ხომ არ წააჩხუბებ შენი სიყვარულის გულისთვის? ხომ წარმოგიდგენია, რა საშინელება დატრიალდება. დამშვიდდი, გთხოვ, იესოსთვის, წმინდა მარიამისთვის...
– რა ადვილია რჩევის მიცემა, – პეპიტა ოდნავ დამშვიდებული ჩანდა, – და რა ძნელია შეისმინო ის, როცა თავში ქარიშხალი ბობოქრობს... გეშინია, არ გაგიჟდე.
– შენ სასიკეთოდ გეუბნები, გაუშვი დონ ლუისი, განშორება საუკეთესო წამალია სიყვარულისგან განსაკურნავად. ის იქ განიკურნება თავისი ვნებებისგან, როცა თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგება ეკლესიაში, შენც აქ, მისგან შორს, ნელ-ნელა დამშვიდდები, ბედს შეურიგდები, ბოლოს და ბოლოს დაგრჩება მხოლოდ სასიამოვნო, ოდნავ ნაღველშეპარული მოგონება, რომელიც დიდად არ შეგაწუხებს, მშვენიერ პოემასავით გააცისკროვნებს შენს ცხოვრებას. თუ შენი ოცნება ასრულდება... ვინ იცის? მაშინ უნდა იცოდე, რომ მიწიერი სიყვარული მერყევია, ტკბობა დამათრობელი გეჩვენება, მაგრამ როცა თასი ბოლომდე შეისმება, მისი გემო დავიწყებას ეძლევა, ნალექი კი მწარეა. იქნებ სჯობს, თქვენი სიყვარული გაქრეს, გაფრინდეს, სანამ არ გაბინძურებულა? განა საშინელება არ იქნება, სიყვარული რომ მოკვდება მოყირჭების გამო? მოიშორე ეგ თასი ტუჩ-პირიდან, ვიდრე არ შეხებიხარ, გადაავლე ღვთიური მომნანიებლის საკურთხეველს, სამაგიეროდ ის მოგცემს სასმელს, რომელიც წყურვილს კლავს და მარადიულ სიცოცხლეს გიძღვნის.
– ოჰ, პადრე, პადრე, რა კეთილი ხართ, თქვენი წმინდა სიტყვები ძალას მმატებს... მე ვაჯობებ, დავიმორჩილებ საკუთარ თავს. შეურაცხმყოფელი იქნებოდა დონ ლუისს ეჯობნა ჩემთვის. თუკი მან შეძლო თავისი გრძნობების მოთოკვა, დამორჩილება, როგორ გგონიათ, ისეთი სუსტი ვარ, რომ მე ვერ შევძლებ ამის გაკეთებას? თუ მიდის აქედან, წავიდეს, უკან არავინ გაეკიდება. აი, ნახეთ, აქ მაქვს მისი სავიზიტო ბარათი. გუშინ მოვიდა გამოსამშვიდობებლად მამამისთან ერთად, მაგრამ უკან გავაბრუნე ორივენი. სტუმრობა არ შედგა. მათ აღარასოდეს ვნახავ. სულაც არ მინდა ეს სიყვარული დამრჩეს სასიამოვნო მოგონებად, როგორც თქვენ მითხარით სულ ახლახან. ეს სიყვარული კი არა, კოშმარი იყო, და ამ კოშმარს რაც შეიძლება შორს მოვისვრი.

– აი, ეს მომწონს. აი, ასეთი მიყვარხარ. კარგია, ძალიან კარგია. აი, ასეთი მიყვარხარ, მტკიცე და ლაღი!
– ოჰ, პადრე, დონ ლუისის უარით ღმერთმა თავზე დამამხო ჩემი სიამაყე. მეტისმეტად პატივმოყვარე ვიყავი და მხოლოდ ამ კაცის მხრიდან არად მიჩნევამ მაქცია ჭეშმარიტად მორჩილ ადამიანად. ნუთუ შესაძლებელია იყო ამაზე მეტად დამცირებული და ბედის მორჩილი? დონ ლუისი ცამდე მართალია. მე მისი ღირსი არ ვარ. რაც არ უნდა მოვინდომო, მას ვერ მივწვდები, ვერ გავუგებ, სულითაც ვერ მივუახლოვდები. მე ხომ ერთი გაუნათლებელი, გაუთლელი, ბრიყვი სოფლელი ქალი ვარ, ის კი... არ არის მეცნიერების რომელიმე დარგი, მან არ იცოდეს, არ არის საიდუმლო, მისთვის ხელმიუწვდომელი იყოს, თავისი გენიის წყალობით ის აღმაღლდება სულების სამყაროს უმაღლეს საფეხურამდე. რაში სჭირდება მას საწყალი, უბრალო სუსტი ქალი თავის გვერდით? დამტოვებს აქ მიწაზე ცრემლიანს და უიმედოს.
– ო, პეპიტა, გაფიცებ იესო ქრისტეს გვემას, ასე ნუ ლაპარაკობ. დონ ლუისი იმიტომ კი არ ტოვებს აქაურობას, რომ შენ მისი საფერი არ ხარ განათლებით ან ვერაფერს გაუგებ ბრძენ კაცს – მორჩი ამ სისულელეებს – არამედ იმიტომ, რომ შეასრულოს თავისი მოვალეობა ღვთის წინაშე. შენ უნდა გიხაროდეს მისი აქედან წასვლა, რამეთუ სწორედ ეს განგკურნავს სიყვარულისგან, ღმერთი კი გაწეული მსხვერპლისთვის დაგაჯილდოებს.
პეპიტამ ცრემლი შეიმშრალა და მშვიდად თქვა:
– კარგი, პადრე, გამიხარდება... უკვე თითქმის მიხარია, რომ აქედან მიდის. როდის გათენდება ხვალინდელი დღე, რომ ანტონიონამ დილით გაღვიძებულს მახაროს, დონ ლუისი უკვე გაემგზავრაო. ჰოდა, პადრე, თქვენ ნახავთ, როგორ დაუბრუნდება ჩემს გულს სიმშვიდე.
– დაე აღსრულდეს შენი სიტყვები.
ვიკარიო დარწმუნებული იყო, რომ სასწაული მოახდინა, რომ თითქმის განკურნა პეპიტა სიყვარულის სენისგან. შინისკენ მიმავალი გულუბრყვილო პატივმოყვარეობით შეპყრობილი ფიქრობდა, რომ უმშვენიერესი ახალგაზრდა ქალის სულზე დიდი გავლენა მოახდინა.
ვიკარიოს წასვლის შემდეგ ოთახში მარტო დარჩენილი პეპიტა წამოდგა, კარი მიხურა, შუა ოთახში გახევდა ერთ წერტილში თვალმიშტერებული, თუმცა ცხადად ეტყობოდა, რომ ვერაფერს ხედავდა. რომელიმე პოეტს ან მხატვარს პეპიტა რომ ამ ყოფაში დაენახა, უსათუოდ გაახსენდებოდა კატულუსის
 პოემა და სახე არიადნასი, რომელიც თესევსმა მიატოვა კუნძულ ნაქსოსზე... უცბად თითქოს ყელში წაჭერილი თოკი გაგლიჯაო, ტირილი წასკდა და სახეზე ხელებაფარებული დაეცა იატაკზე. მშვენიერი და უმწეო, თმაგაშლილი და ტანსაცმელში აბორგებული, გულსაკლავად ქვითინებდა.
მისი ეს სასოწარკვეთილი ყოფა კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ არა ანტონიონა. პეპიტას ხმამაღალი ტირილი შემოესმა თუ არა, მაშინვე შევარდა სასტუმრო ოთახში. იატაკზე გართხმული თავისი ქალბატონი რომ დაინახა, თუ სადმე წყევლა-კრულვა გაეგონა, ყველა ერთბაშად გადმოანთხია გაცოფებულმა:
– სულ იმ თაღლითის, უსაქმურის, ბრიყვის ბრალია. ასე ანუგეშებს თავის მეგობრებს?! ალბათ რა სისულელეები არ მოჩმახა, ალბათ ლექცია წაუკითხა ჩემს საწყალ გოგოს და მერე დატოვა აქ ცოცხალ-მკვდარი, თვითონ კი არხეინად დაბრუნდა ეკლესიაში. ხომ უნდა მოამზადოს ყველაფერი, წესი აუგოს, აიაზმა მოასხუროს, საკმეველი აახრჩოლოს და დაკრძალოს. სახვალიოდ ხომ არ გადადებს საქმეს?!

ანტონიონა ორმოცი წლის იყო: დაუღლელი, მშრომელი, გამხდარი, ღონიერი – მიწისმთხრელს არ ჩამოუვარდებოდა – სამი არობა
ტვირთს ისე სწევდა, ვითომც არაფერი. ხორბლით სავსე ტომრები აჰქონდა სხვენზე, სადაც მარცვლეულს ინახავდნენ... თავისი ღონიერი ხელებით დასწვდა პეპიტას, ბუმბულივით აიტაცა და თითქოს ადვილად მსხვრევადი ძვირფასი ნივთი უჭირავსო, ფრთხილად დააწვინა დივანზე.
– რა მოგივიდა? – ხმას აუმაღლა ანტონიონამ. – ნაძლევს ჩამოვალ, იმ უსაქმურმა ვიკარიომ აგირია გონება თავისი უაზრო ქადაგებით!
პეპიტა ისევ ქვითინებდა.
– კარგი-მეთქი, შეწყვიტე ტირილი! მიამბე რა მოხდა, რა გითხრა ვიკარიომ?
– ვიკარიო არაფერ შუაშია, – როგორც იქნა ამოისლუკუნა პეპიტამ.
მერე, როცა მიხვდა, ანტონიონა არ მოეშვებოდა, სანამ დაწვრილებით არ გაიგებდა ყველაფერს – თანაც თვითონაც სურდა გული გადაეხსნა იმ ქალისთვის, ვინც მუდამ თანაუგრძნობდა და ვისაც ყველაზე უკეთ ესმოდა მისი – და ალაპარაკდა:
– პადრე ვიკარიომ დამითანხმა, ცოდვები მომენანიებინა, დონ ლუისი აქედან გამეშვა, გამხარებოდა მისი წასვლა და სამუდამოდ დამევიწყებინა. მე ყველაფერზე დავეთანხმე, შევპირდი, დონ ლუისთან განშორებას აღარ ვინაღვლებ-მეთქი, მაგრამ ხომ ხედავ, ანტონიონა, რა დღეში ვარ, ვერ შევძლებ... ვიდრე პადრე აქ იყო, მეგონა, ძალას მოვიკრებდი, ყველაფერს დავძლევდი, მაგრამ როგორც კი წავიდა, თითქოს ღმერთმა მიმატოვა, ძალა გამომეცალა, სასოწარკვეთილი დავასკდი იატაკს. მე ხომ ვოცნებობდი, მე ხომ ღმერთს შევთხოვდი იმ კაცის გვერდით მეცხოვრა ბედნიერად, რომელიც ძალიან მიყვარს და რომლის შეძულება არ შემიძლია. იმედი მქონდა, სიყვარულის ჯადოსნური ძალის დახმარებით მივწვდენოდი მას, ამ განსაკუთრებულად გონიერი ადამიანისგან ბევრი რამ მესწავლა, მისი შესაფერისი გავმხდარიყავი, ჩვენი აზრები, სურვილები ერთმანეთისთვის გაგვეზიარებინა, მაგრამ... ახლა კი რა ხდება, სწორედ ღმერთი მართმევს საყვარელ ადამიანს და ვრჩები მარტო, უიმედოდ და უნუგეშოდ. რა საშინელებაა! პადრე ვიკარიოს სამართლიანი, გონიერი დასკვნები ვირწმუნე, მაგრამ როგორც კი წავიდა, ყველაფერი გახდა არაფერი – ცარიელი სიტყვები, სიცრუე, ეშმაკობა. მე მიყვარს დონ ლუისი, მორჩა. ეს დასკვნა ყველა დანარჩენზე ძლიერია. თუ მასაც ვუყვარვარ, რატომ არ მიატოვებს ყველაფერს – აღთქმას, მონანიებას – და არ გამოიქცევა ჩემთან. ადრე არ ვიცოდი, რა იყო სიყვარული. ახლა ვიცი, რომ არც მიწაზე და არც ზეცაში მასზე ძლიერი არაფერია. რას არ მოვიმოქმედებდი დონ ლუისის გულისთვის, მას კი არაფრის გაკეთება სურს ჩემთვის. იქნებ არც ვუყვარვარ? ჰო, არ ვუყვარვარ. ეს თავის მოტყუება იყო და სხვა არაფერი. პატივმოყვარეობამ შემიპყრო. რომ ვყვარებოდი, ჩემი გულისთვის მსხვერპლად გაიღებდა თავის მომავალს, აღთქმას, ეკლესიას, უცოდველი მღვდლის სახელს, ჩვენი სარწმუნოების მეჩირაღდნეობას – ყველაფერს შესწირავდა მსხვერპლად... ღმერთო, მაპატიე, რაებს ვბოდავ, მაგრამ ეს სათქმელი სულის სიღრმიდან ცდილობს ამოხეთქვას და გონებას მძალავს: დონ ლუისის გულისთვის სულის ცხონებაზეც ვიტყოდი უარს.
– იესო, მარიამ და იოსებ! – შეჰყვირა ანტონიონამ.
– ჰო, ჰო, წმინდა ღვთისმშობელო, მომიტევე. მე... მე გავგიჟდი, არ ვიცი, რას ვლაპარაკობ... მე ღმერთს ვგმობ?!
– ჰო, ჩემო გოგონი, ცოტა გაუტიე! ღმერთო, აპატიე, თავგზა აბნეული აქვს იმ წყეული ღვთისმეტყველის გამო! შენს ადგილას რომ ვიყო, ზეცას კი არ შევუტევდი – ზეცას რას ვერჩი, არაფერი დაუშავებია – ამ სემინარისტს დავაყრიდი შავ დღეს. მე არ

ვიყო ანტონიონა, თუ არ წავიდე და ყურით არ მოვათრიო შენთან, რათა მუხლებზე დაჩოქილმა გთხოვოს პატიება, ფეხები დაგიკოცნოს!

– არა, ანტონიონა, როგორც ჩანს, ჩემი სიგიჟე გადამდებია. შენც კარგად ბოდავ. ყველაფერი დამთავრდა. სხვა გზა არ არის, მე მივყვები ვიკარიოს რჩევას, თუნდაც სიცოცხლის ფასად დამიჯდეს. დონ ლუისისთვის თუ მოვკვდები, ჩემს ხატებას და ჩემდამი სიყვარულს ის სამარადჟამოდ შეინახავს თავის გულში. უფალი ნებას დამრთავს ვიხილო ლუისი ზეცად, რათა ჩვენი სულები იქ მაინც შეერთდნენ და იქ მაინც გვიყვარდეს ერთმანეთი.
ანტონიონას იშვიათი მტკიცე ხასიათი ჰქონდა, სენტიმენტალობა მისთვის უცხო ხილი იყო, მაგრამ პეპიტას ბოლო სიტყვებმა გული ისე აუჩუყა, თვალზე ცრემლი მოადგა.
– ეჰ, გოგონი, შენ ისე იზამ, მეც ამაბღავლებ ძროხასავით. დამშვიდდი, ხუმრობითაც აღარ ახსენო სიკვდილი. ვხედავ, ნერვები დაწყვეტაზე გაქვს. გინდა, ცაცხვის ჩაის მოგიტან?
– გმადლობ, არაფერი მინდა, თავი დამანებე, უკვე დავმშვიდდი.
– ფანჯარას დავკეტავ, იქნებ დაიძინო. რამდენი ღამეა, რიგიანად არ გიძინია. წყეულიმც იყოს ეს დონ ლუისი! მოინდომა რა მაგანაც მღვდლობა!
პეპიტამ თვალები დახუჭა და მიყუჩდა.
ანტონიონას ეგონა, პეპიტამ ჩაიძინაო, დაიხარა მისკენ, ნელა, ნაზად აკოცა ქათქათა შუბლზე, კაბის კალთა გაუსწორა, ჟალუზები ნახევრად მიხურა, რათა ოთახში ცოტა მაინც ჩამობნელებულიყო, ფეხაკრეფით მივიდა კართან და გასვლისას უხმაუროდ მიიხურა.

* * *

ვიდრე პეპიტას სახლში ეს ამბები ტრიალებდა, არც დონ ლუისს ადგა კარგი დღე თავის სახლში.
მამამისი, დონ პედრო, თითქმის ყოველდღე გადიოდა ცხენით სასეირნოდ, შვილსაც სთხოვდა, წამოდიო, მაგრამ ამაოდ, დონ ლუისი ხან რას იგონებდა, ხან რას. ახლაც თავის ტკივილი მოიმიზეზა და დარჩა შინ თავის მძიმე ფიქრებში ჩაძირული.
წამითაც არ გაივლოთ გონებაში, დონ ლუისს პეპიტა არ უყვარდაო. უყვარდა და თანაც როგორ უყვარდა! წერილებიდანაც ნათლად ჩანს, რაოდენ მგზნებარე იყო მისი გრძნობა პეპიტასადმი, მაგრამ ისიც ნათლად ჩანს, როგორ ცდილობდა თავის მოთოკვას ღვთისმოსავი და ამაღლებული განსჯით, რის გამეორებასაც აქ არ ვაპირებ. რა საჭიროა მრავალსიტყვაობის ცოდვაში გადავეშვათ, როცა დონ ლუისის წერილებში საკმარისადაა მსგავსი მსჯელობანი.
დონ ლუისის სულს თუ ღრმად ჩავწვდებით, დავრწმუნდებით, რომ გარდა ზეპირი აღთქმისა, რომელიც ჯერ არ აღუსრულებია, გარდა ღვთისადმი სიყვარულისა და მამისადმი მოკრძალებისა – ვის მეტოქეობასაც აღარ აპირებს – და ბოლოს, მღვდლად

გახდომის სურვილისა, სხვაც ჰქონდა მეტ-ნაკლებად ღვთისმოსავი, ამაღლებული მიზეზი პეპიტას დასავიწყებლად.
დონ ლუისი შეუპოვარი, უდრეკი ყმაწვილი იყო. სწორ კალაპოტში მოქცეულმა ამ თვისებებმა ჩამოუყალიბა მტკიცე ხასიათი, საკუთარ თვალში ისე არაფერი დაამცირებდა, როგორც უარის თქმა კარგა ხნის წინ არჩეულ მრწამსზე, დასახულ მიზანზე – რაზეც ყოველთვის ღიად ლაპარაკობდა. დიახ, ის იყო უმაღლესი რწმენის ფილოსოფიით განმსჭვალული ადამიანი, ვისაც მიზნად ჰქონდა დასახული, მთელი თავისი ცხოვრება მიეძღვნა ღმერთისათვის. ერთი სიტყვით, მომავალი წმინდანი იყო, ოღონდ ერთი რამ ცხადია, დასახულ მიზანს ვერ აღასრულებდა, თუ კვლავ პეპიტა ხიმენესზე იფიქრებდა. საერთოდ, ჩვენ, ადამიანები, ხშირად ვხდებით ვითარების სათამაშო. იმის ნაცვლად, რომ მიზანმიმართულად, უყოყმანოდ მივიწევდეთ წინ, დინებას მივყვებით, თავად კი არ ვირჩევთ როლს, არამედ ჰაიჰარად ვიღებთ იმას, რაც წილად გვხვდება, თანაც – შემთხვევით. პროფესია, პოლიტიკური შეხედულებები, მთელი ცხოვრება ხშირად დამოკიდებულია გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე, ბედ-იღბალზე.
ყოველივე ამის წინააღმდეგ აზვირთდა დონ ლუისის სიამაყე. რას იტყვიან სხვები მასზე და, რაც მთავარია, თავად რა აზრისა იქნება საკუთარ თავზე, თუ აღმოჩნდება, რომ რაღაც შეეშალა, ყველაფერი ისე არ არის, როგორც ოცნებობდა: ხომ შეიძლება თავისი იდეალი ანუ თავისივე შექმნილი და სულში ჩასახლებული "ახალი ადამიანი"
მის წრფელ, კეთილშობილურ ზრახვებიანად ჩაიფერფლოს მწველ მზერაში, წამიერად გაელვებულ მშვენიერ თვალებში და ისე გაქრეს, როგორც ცვარი ქრება ამომავალი მზის პირველივე სხივებზე?
ამგვარი ფიქრები – გაჯერებული კანონიერი თუ არსებითად დასაბუთებული დასკვნებით – დონ ლუისს პეპიტას წინააღმდეგ განაწყობდა, მაგრამ ეს ყველაფერი ისე იყო გახვეული რელიგიურ საბურველში, რომ თავად დონ ლუისიც ვერ გარკვეულიყო წესიერად. ღმერთის სიყვარული მისთვის არა მხოლოდ ნამდვილად ღმერთის სიყვარული იყო, არამედ საკუთარი თავის სიყვარულიც. ხშირად იხსენებდა იმ წმინდანებს, რომლებსაც მასზე მეტი ცდუნებისთვის გაუძლიათ ცხოვრებაში, ამიტომაც სურდა, მათ არ ჩამორჩენოდა სულის სიმტკიცეში. განსაკუთრებით დაამახსოვრდა იოანე ოქროპირის ამბავი: როგორ ემუდარებოდა დედამისი, ღვთისმსახურების გამო მარტო ნუ დამტოვებო. გულსაკლავად ქვითინებდა, მაგრამ ამაოდ, ვერ გატეხა შვილი. დონ ლუისი კი ვერ უძლებს სულ ახლახან გაცნობილი ქალის მუდარას, ყოყმანობს, რომელს მიანიჭოს უპირატესობა, მოვალეობას თუ ახალგაზრდა ქვრივ ქალს, რომელიც იქნებ სულაც თამაშობს – ვითომ შეყვარებულია.

დონ ლუისი გამუდმებით ფიქრობდა თავის მოწოდებაზე, სულის სიმტკიცის აღმატებულებაზე, რომელსაც ვერასოდეს შეწვდება ვერანაირი მიწიერი არარაობა, რადგან მოკვდავმა ადამიანმა კი არა, მერყევი მდაბიოების ხუშტურმა კი არა, ბარბაროსთა შემოტევამ კი არა, სიხარბეშეპყრობილმა მეამბოხეთა ძალადობამ კი არა, მთავარანგელოზმა კი არა, ხალხის მიერ აღიარებულმა მბრძანებელმა კი არა – არამედ თვით წმინდა სულმა დაადგინა მღვდლობა როგორც ჩინი. ის კი... ნუთუ ამ ყმაწვილი ქალის ცრემლიანმა თვალებმა – იქნებ სულაც ყალბმა – ისე აურია გონება, ისე აუჩუყა გული, ისე ააცეტა, რომ მზად არის, უარი თქვას დიდებულ ჩინზე, უარი თქვას იმ უფლებებზე, ღმერთს თავის ყველაზე ახლომდგომ მთავარანგელოზებისთვისაც კი რომ არ უბოძებია. ნუთუ ისე დაეცა, რომ მდაბიოთა სამწყსოში განიზრახა ათქვეფა, მაშინ, როცა თავად შეუძლია გახდეს მწყემსი, შეკრას და გახსნას მიწაზე ის, რასაც ღმერთი კრავს და ხსნის ზეცად: ადამიანებს შეუნდოს ცოდვები, გამოაცოცხლოს წყლითა და სულით, დამოძღვროს უცოდველი უფლის სახელით, გამოაცხადოს განაჩენი, რის

აღსრულებასაც შემდეგ ზეცაში გადაწყვეტენ. ნუთუ შეიძლება აი, ასე, უბრალოდ, ადგე და უარი თქვა, უფრო სწორად, არ ისურვო ღმერთსა და ხალხს შორის შუამავლობა უდიდეს საიდუმლოებებზე, რაც ჩვეულებრივი ადამიანური გონებისთვის მიუწვდომელია – ზეციდან ყოვლის გადამბუგავი ცეცხლი კი არ მოუვლინო მსხვერპლად განწირულებს ელიასავით, არამედ სულიწმინდის მადლი მოჰფინო თოვლივით ქათქათა თეთრად შემოსილ გასპეტაკებულ გულებს?
ასეთ ფიქრებში გახლართული დონ ლუისი ხან ზეცად მაღლდებოდა – ამ დროს საბრალო პეპიტა კი ქვემოთ, მიწაზე რჩებოდა, თანაც ისე შორს, რომ წერტილივით ჩანდა – ხან უეცრად ეშვებოდა დაბლა, სადაც ხვდებოდა მშვენიერ ყმაწვილ ქალს პეპიტა ხიმენესს – მასზე შეყვარებულს და დამუქრებულს: მიუხედავად შენი გადაწყვეტილებისა, მაინც მე გავიმარჯვებო.

* * *

ასე იტანჯებოდა დონ ლუისი ურთიერთსაწინააღმდეგო დამღლელი ფიქრებით, რომ ოთახში დაუკაკუნებლად შევიდა კურიტო.
ვიდრე დონ ლუისი მხოლოდ თეოლოგი იყო, კურიტო არცთუ დიდი წარმოდგენისა გახლდათ თავის ბიძაშვილზე, მაგრამ როცა ნახა, რა მოხდენილად დაატარებდა ეს თეოლოგი ცხენს, მაშინვე პატივისცემით განიმსჭვალა მისდამი, ლამის როგორც ზეკაცისადმი.
ის, რომ მისმა ბიძაშვილმა ცხენზე ჯდომა არ იცოდა, კურიტოსთვის დამამცირებელი ნაკლი იყო, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ დონ ლუისი არა მარტო თეოლოგიასა და სხვა მეცნიერებებში ერკვეოდა კარგად – რაც თავად კურიტოსთვის მიუწვდომელი, ბუნდოვანი რამ იყო – და გაუხედნავ ცხენზეც მაგრად ეჭირა თავი, უსაზღვრო პატივისცემითა და სიყვარულით განეწყო მისდამი. კურიტო ერთი უსაქმური, გზაკვალარეული, მაგრამ გულკეთილი ყმაწვილი იყო. დონ ლუისს – რომელიც კურიტოს კერპი გახდა – თავი ისე ეჭირა, როგორც უმაღლეს პირებს უჭირავთ ხოლმე მათზე დაბლამდგომთა წინაშე, თანაც როცა იციან, თაყვანს სცემენ. დონ ლუისი ნებას რთავდა ყვარებოდათ იგი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კურიტოს ნებას რთავდა დესპოტურად მოპყრობოდა უმნიშვნელო საკითხების გადაწყვეტის დროს. მაგრამ რაკი დონ ლუისისნაირი ადამიანებისთვის არ არსებობს მნიშვნელოვანი საკითხები ყოველდღიურ ცხოვრებაში, გამოდის, კურიტო თავის ნებაზე ათამაშებდა ლუისს.
– მოვედი, რომ კაზინოში წაგიყვანო. დღეს იქ დიდი მხიარულება იქნება, ბევრი ხალხი მოიყრის თავს. შენ კი გამოკეტილხარ მარტო და ბუზებს ითვლი.
დონ ლუისს უარი არ უთქვამს, თითქოს ბრძანებას დაემორჩილაო. მაშინვე წამოდგა, შლაპა და ხელჯოხი აიღო და თქვა: "წავიდეთ სადაც გინდა". კურიტო უკვე ზეიმობდა ბიძაშვილზე გამარჯვებას.
სამორინე მართლაც სავსე იყო ხალხით: სან ხუანობის დღესასწაულის წინა დღე იყო და გარდა აქაური ბატონებისა, მთელი ოლქიდან ჩამოსულიყვნენ სტუმრები.
უმეტესობას თავი მოეყარა პატიოში, რომლის შუაგული შადრევანს დაემშვენებინა. ქოთნებში ნაირ-ნაირი ყვავილები ყელყელაობდა. პატიოს ერთ კუთხეში ბაზილიკაც მოეწყოთ. ეზოს თავზე მზისგან დამცავი ტილო გადაეჭიმათ. პატიოს გარშემო მარმარილოს სვეტებიან შუშაბანდში და სასტუმრო ოთახებში ლომბერის სათამაშო მაგიდები იდგა. ერთ-ერთ მაგიდაზე გაზეთები ელაგა, მეორე მაგიდაზე სტუმრებს შეეძლოთ ყავა, გამაგრილებელი სასმელები შეეკვეთათ. ოთახებში სკამებს და სავარძლებს თვლა არ ჰქონდა. ახალშეღებილ ქათქათა თეთრ კედლებზე ფრანგული ლითოგრაფიები ეკიდა, ყოველი მათგანის ქვეშ წარწერები იყო გაკეთებული ორ ენაზე. რამდენიმე ლითოგრაფიაზე აესახათ ეპიზოდები ნაპოლეონ I-ის ცხოვრებიდან, ანუ ტულიონიდან

დაწყებული წმინდა ელენეს კუნძულამდე დამთავრებული. ასევე მატილდასა და მალეკ-ადელის
 სათავგადასავლო ამბები. უოლტერ სკოტის რომანის "აივენჰოს" პერსონაჟების სასიყვარულო და საბრძოლო ეპიზოდები, ლუი XIV-ის და მისი საყვარლის მადმუაზელ დე ლავალიერის არშიყობანი, ცელქობანი, შეცოდებანი და მონანიებანი.
დონ ლუისმა კურიტოს ნება დართო, შეეყვანა იგი დარბაზში, სადაც თავი მოეყარა აქაური ნაღები საზოგადოების წარმომადგენლებს, ქალაქისა და ლამის მთელი ოლქის პეწენიკებს, დენდებს. მათ შორის გამოირჩეოდა გრაფი დე ხენასაარი მეზობელი ქალაქიდან. მას ყველა იცნობდა, პატივს სცემდნენ. კარგა ხანს ცხოვრობდა მადრიდსა და სევილიაში. კარგად იცვამდა, დადიოდა საუკეთესო მკერავებთან, უკვეთდა როგორც თანამედროვე, ასევე ძველმოდურ სამოსსაც. ორჯერ აირჩიეს დეპუტატად, თქვენ წარმოიდგინეთ, მან მთავრობასთან ამხილა რომელიღაც ალკალდი-კორეხადორი თავნებობაში

გრაფი დე ხენასაარი ოცდაათ წელზე ცოტა მეტისა იქნებოდა. გარეგნულად კარგი შესახედავი იყო და ეს მან იცოდა. უყვარდა ტრაბახი, მეგობრობაში მაგარი ვარ, ჩხუბში კი დაუნდობელიო. ტრაბახობდა სასიყვარულო ამბებით, დუელებით. გრაფი მიიჩნეოდა პეპიტას ერთ-ერთ ყველაზე მონდომებულ თაყვანისმცემლად, მაგრამ მიუხედავად მისი ღირსებებისა, პეპიტასაგან ისეთივე უარს იღებდა, როგორც ყველა მისი ხელის მთხოვნელი.
ჭრილობას, რომელიც გრაფის ქედმაღლურ გულს მიაყენეს (ცივი უარით), ამაოდ არ ჩაუვლია. კუდაბზიკა გრაფის სიყვარული სიძულვილში გადაიზარდა და დაჭრილი გულის მოსაოხებლად პეპიტას სახელს წაღმა-უკუღმა სვრიდა ლაფში.
სწორედ ასეთი ავსიტყვაობისას შეასწრეს მას დონ ლუისმა და კურიტომ. ნებით თუ უნებლიეთ, გრაფის გარშემო შექუჩული ჭორიკნები მიიწ-მოიწიენ და ახალმოსულებს გზა დაუთმეს. დონ ლუისს თითქოს ეშმაკმა უბიძგაო, ზუსტად გრაფის პირისპირ აღმოჩნდა.
– დიდი ეშმაკი ვინმეა ეს პეპიტა ხიმენესი, უცოდველ კრავად მოაქვს თავი, – ქირქილებდა გრაფი, – ინფანტა მიკომიკონაც
 კი არაფერია მასთან შედარებით ქედმაღლობაში. მაგას ჰგონია, დაგვავიწყდა, რა სიღარიბეშიც ცხოვრობდა, ვიდრე იმ ბეხრეკს, იმ წყეულ მევახშეს გაჰყვებოდა ცოლად. ერთი კარგი საქმე კი ნამდვილად გააკეთა ჩვენმა ქვრივმა: სატანას მოელაპარაკა, რაც შეიძლება ჩქარა წაეყვანა მისი გადაღძუებული ქმარი მოუსავლეთში, ერთი ჭირი მოეშორებინა, აქაურობისთვის. მერე ჩაიგდო ხელში მისი ფულები და გადაწყვიტა, თავი მოეჩვენებინა ჩვენთვის ჭკვიან, ქველმოქმედ ადამიანად. ჩვენც დავუჯერეთ, რა! ალბათ საყვარელიც გაიჩინა ვიღაც გლეხუჭა, ხალხს კი თვალებში ნაცარს აყრის, მეორე დედოფალი არტემისია
 ვარო.
იმ ადამიანებისთვის, ვინც ასეთ ადგილებში სიარულს შინ ჯდომას ამჯობინებენ, გრაფის თავხედური და ზღვარგადასული უხეში სიტყვები მიუღებელია; მაგრამ იმ ადამიანებმა, ვინც წარჩინებულთა წრეში ტრიალებენ, იციან, რომ ასეთი გამონათქვამები მაღალ საზოგადოებაში უცხო ხილი არ არის. ამოიჩემებენ ლამაზ, კეთილშობილ ქალებს და ურცხვად, უღირსად ქირქილებენ, თუ მტერი ჰყავთ, ხომ გაორმაგებულად ავსიტყვაობენ, თუ არ ჰყავთ, არც მაშინ აკლებენ ხელს, რას არ უგონებენ. ძალიან ხშირად ღირსეული მატრონებიც კი გამხდარან მათი ჭორების სამიზნე. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, შეურაცხყოფენ და ლანძღავენ ყველას გასაგონად მხოლოდ იმიტომ, რომ ყურადღება მიიქციონ, აქაოდა, ნახეთ, რა თამამად, უშიშრად ვამბობთ სიმართლეს. ჩვენ ვერავინ ვერაფერს გამოგვაპარებსო.

დონ ლუისს არ ახსოვს, ბავშვობაში მისი თანდასწრებით ვინმეს დასცდენოდა უდიერი სიტყვა, უხეშადაც არავინ იქცეოდა. ის იზრდებოდა მსახურების, ნათესავებისა და იმ ადამიანების გვერდით, მამამისზე რომ იყვნენ დამოკიდებული და უყურადღებოდ არ ტოვებდნენ მის არც ერთ მოთხოვნას. მოგვიანებით, სემინარიაშიც, როგორც ასევე მრავალი ღირსებით გამორჩეულ წინამძღვრის ძმისშვილს, ცუდად ვერავინ ვერაფერს ჰკადრებდა, პატივს სცემდნენ, ეპირფერებოდნენ კიდეც. ამიტომაც გააოგნა გრაფის უზრდელობამ – როგორ ათრევდა სიბინძურეში იმ ქალის სახელს, დონ ლუისი რომ აღმერთებდა.
დონ ლუისმა ის იყო გადაწყვიტა უსიტყვოდ მიეტოვებინა იქაურობა, რომ უცბად გულის ხმას დაემორჩილა, თავისი ნებით მიიკუთვნა უფლება, რომელიც მისთვის არ უბოძებია არც მის ახალგაზრდულ წლებს, არც მის ახალშეღინღლულ სახეს და არც მის ყოფნას სამორინეში. ის ჭეშმარიტი ენამჭევრობით გამოვიდა ბილწსიტყვაობის წინააღმდეგ, პირადად გრაფს კი ყოველგვარი ქრისტიანული ლოიალურობის გარეშე, მთელი სიმკაცრით აუხსნა, რაოდენ უმსგავსო იყო დღეს მისი საქციელი.
მაგრამ ეს იყო ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. დონ ლუისის ქადაგებამ სიცილის გუნებაზე დააყენა გრაფი, მასხრად აიგდო ქადაგად დავარდნილი ახალგაზრდა. თუმცა ლუისი აქაური კასიკის შვილი იყო, იქ მყოფნი – უმეტესად უცხო სტუმრები – მაინც გრაფს მიემხრნენ. კურიტო კი – ეს მშიშარა უსაქმური – არც გამოქომაგებია თავის ბიძაშვილს. დონ ლუისმა, განადგურებულმა და დამცირებულმა, დატოვა ახარხარებული სამორინე.

* * *

– ესღა მაკლდა! – კბილებში გამოსცრა საბრალო დონ ლუისმა, უკვე თავის ოთახი შესულმა. დათრგუნული, გაცოფებული იყო. ვფიქრობ, გადამეტებულად შფოთავდა, აზვიადებდა.
მის ძარღვებში მამისეულმა სისხლმა იმძლავრა, მზად იყო უარი ეთქვა თავის მოწოდებაზე, რასაც თავიდანვე ურჩევდნენ აქ ჩამოსულს. დიახ, ჭკუა უნდა ასწავლოს გრაფს!.. მაგრამ გონებაში ასგზის დაგეგმილი საკუთარი მომავალი ხუხულასავით რომ დაენგრევა? თვალწინ წარმოუდგა წინამძღვარი, რომელიც განუდგება მას. პაპმაც უკვე გამოაგზავნა დისპენსაცია,
 რის საფუძველზეც დონ ლუისი გამონაკლისის სახით, ასაკის მიუხედავად დადგენილ ვადაზე ადრე მიიღებს მღვდლის ხარისხს. ეპარქიის პრელატს
 როგორ გაუსწოროს თვალი? მან ხომ დონ ლუისის თხოვნას დაუჭირა მხარი, როგორც გამორჩეულ ქველმოქმედს, განათლებულს, თავისი აღთქმის, თავისი მრწამსის ერთგულ ყმაწვილკაცს? ეს ყველაფერი ლუისმა გონების თვალით დაინახა – თუ წარმოიდგინა – და იგრძნო კიდეც, რა მკაცრ განაჩენსაც იმსახურებდა.
შემდეგ მამამისის ხუმრობანარევი თეორია გაახსენდა: იქ სადაც სიტყვა არ ჭრის, სხვა ხერხიც არსებობს ჭკუის სასწავლად. სხვათა შორის ამას გვასწავლიან მოციქული იაკობი, დონ ინიეგო დე ლოიოლა და შუა საუკუნეებში მოღვაწე არაერთი ეპისკოპოსი. ლუისს მამამისის ხუმრობა უწინდელივით აღარ მოეჩვენა აზრს მოკლებული და ნანობდა კიდეც, დღეს რომ არ გამოიყენა ეს ხერხი.

ამასთან დაკავშირებით გაიხსენა ერთი ორთოდოქსი დოქტორი, სპარსი ფილოსოფოსი, რომელსაც იხსენიებენ სპარსეთის შესახებ ამ ბოლო დროს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წიგნშიც. მას თურმე წესრიგის დამყარების თავისეული მეთოდი ჰქონია: როდესაც ნახა, რომ მოწაფეები არ უსმენდნენ, ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ და ხმაურობდნენ, ძველებურად აღარ დაუწყია ყვირილი და ლანძღვა-გინება, გადმოსულა კათედრიდან და ხმლით დარევია ყველას. მეთოდმა გაამართლა, განსაკუთრებით კამათის დროს. მაგრამ ერთხელაც პატივცემულ ფილოსოფოსს ისეთ მეტოქესთან მოუწია დაპირისპირება, რომელმაც წესრიგის დასამყარებლად და ვნებათა ღელვის დასაცხრობად ძალისმიერივე მეთოდი გამოიყენა და ხმლით აღჭურვილ ფილოსოფოსს გამაოგნებელი დარტყმა აგემა სახეში.

მიუხედავად სინდისის ქენჯნისა და უგუნებო განწყობისა, ამ ამბის გახსენებაზე დონ ლუისს თავისდაუნებურად გაეცინა: ესპანეთში ალბათ ბევრი ფილოსოფოსი სიამოვნებით გამოიყენებდა ამ მეთოდს. და თუ თავად არ გამოიყენა, რა თქმა უნდა, არა დარტყმის შიშით, არამედ – კეთილშობილური განზრახვით.

მაგრამ დონ ლუისი ახლა სხვა ფიქრებმა გაიტაცა და ცოტათი დამშვიდდა.

"ნეტავი რა მრჯიდა, სამორინეში ქადაგად რომ დავდექი? თავი უნდა შემეკავებინა. როგორ მოვიქცე, შეურაცხყოფაზე შეურაცხყოფითვე ვუპასუხო? რისხვას გასაქანი მივცე? რომ მაჯობოს? წმინდა მამები ამბობდნენ, მღვდლისთვის მრისხანება ავხორცობაზე უარესიაო. რამდენი ცრემლი და უბედურება მოჰყოლია მრისხანებას, რომელიც საშიში, სახიფათო მრჩეველია ყოველთვის. სწორედ მრისხანების გამო იღვრებოდა ხალხი სისხლად და ოფლად ღვთიური უღლის ქვეშ; სწორედ მრისხანებამ გამოიწვია ისაიას სახება ეკლესიის გაბოროტებულ მსახურთა წინაშე, რომლებმაც თავიანთ ფანატიკოს მომხრეებთან ერთად ეს უწყინარი ცხვარი შეუბრალებელ შურისმაძიებლად აქციეს: ედონის

მთიდან თავის ურიცხვ ჯართან ერთად დაეშვა და მუხლამდე სისხლში ჩამდგარი თავისი ტლანქი ტერფით ხალხს ისე სწურავდა სისხლს, როგორც საწნახელში წურავენ ყურძენს. ო, არა, ღმერთო! მე ვიქნები შენი მსახური, შენ სამყაროს ღმერთი ხარ და ჩემი უპირველესი კეთილი ნება უნდა იყოს მორჩილება. დაე, მაგალითი იყოს ჩემთვის შენი ძის ნაქადაგევი მთაზე: არა თვალი თვალის წილ, არა კბილი კბილის წილ, არამედ სიყვარული ჩვენი მტრების მიმართ! შენ, როგორც განთიადი, ერთნაირად დაჰნათი წმინდანებსაც და ცოდვილთაც, უხვად აფრქვევ წყალობას შენსას. შენ მამა ხარ ჩვენი. ზეციერის ბინადარი და ჩვენ გვევალება ვიყოთ შენსავით სრულყოფილები, შევუნდოთ მათ, ვინც შეურაცხგვყოფს, ლოცვით შეგთხოვთ, შენც აპატიო მათ, რამეთუ არ იციან რასა იქმიან. არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენთვის ბოძებული მცნება: ნეტარ ხართ თქვენ, რამეთუ გგვემენ, უსამართლოდ, უდიერად მოგიხსენიებენ. მღვდელი – ან ის, ვისაც მღვდლობა სურს – უნდა იყოს თავმდაბალი, მორჩილი, მშვიდი. ის არ ჰგავს მუხას ამაყად მდგარს მანამ, სანამ მეხი არ დაეცემა; ის ჰგავს ტყის ბალახს, მორცხვ მინდვრის ყვავილს, რომელიც მაშინაც კი – და უფრო მეტადაც – ირგვლივ ნაზ სურნელს აფრქვევს, როცა ფეხით უხეშად თელავენ.

ფიქრებში დრო ჩქარა გავიდა. სეირნობიდან დაბრუნებულმა დონ პედრომ შვილს ოთახში მიაკითხა და სადილზე დაუძახა, მაგრამ ვერც მოსიყვარულე მამის გულითადობამ, ვერც მისმა ხუმრობებმა ვერ გაუფანტა ნაღველი დონ ლუისს. უგემურად ჭამდა, თითქმის არ ლაპარაკობდა.

დონ პედრო შეაშფოთა შვილის უგუნებობამ, ავად ხომ არ არისო. მაგრამ მაინც ვერ უღალატა ჩვევას: უყვარდა ნასადილევს ძვირფასი ჰავანური სიგარის გაბოლება, ნება-ნება ეწეოდა, თან ყავას და ანისულის არაყს აყოლებდა. მთელი დღის ფუსფუსისა და

სეირნობის შემდეგ დაღლილობა იგრძნო – ის ხომ დილაუთენია დგებოდა! – და ჩვეულებისამებრ გაეშურა მოსასვენებლად ორი-სამი საათით.
დონ ლუისს მამამისთან სიტყვა არ დასცდენია გრაფ დე ხენასაართან შეკამათების შესახებ. დონ პედრო, რომელიც არც მღვდლობას აპირებდა და გულფიცხი იყო, გრაფს მაშინვე გადაუხდიდა სამაგიეროს, მაშინვე მოსთხოვდა პასუხს. დონ ლუისმაც თავის ოთახს მიაშურა და კვლავ ფიქრებს მიეცა.
ასე იჯდა ის ფიქრებში წასული, ბიუროზე დაყრდნობილი, მარჯვენა ხელზე ლოყაჩამოდებული, რომ უცებ უცნაური შარიშური მოესმა, თავი ასწია და აბეზარი ანტონიონა დაინახა. თავისი გაბარიტების მიუხედავად ისე ჩუმად დაადგა თავზე, თითქოს ჩრდილი ყოფილიყოს. იდგა მის წინ და ყურადღებით ადევნებდა თვალს, უფრო სწორად, თანაგრძნობითაც და გაბრაზებითაც შესცქეროდა.
ოთახში ისე შეიპარა, არავის დაუნახავს, მსახურები სადილობდნენ, დონ პედროს ეძინა. ოთახში შესულმა კარიც ჩუმად მოიხურა და ჩუმადვე ჩაკეტა. ასე რომ, დონ ლუისი რომც არ ყოფილიყო ფიქრებში ჩაძირული, მაინც ვერაფერს გაიგონებდა.
ანტონიონამ დონ ლუისთან დალაპარაკება გადაწყვიტა, თუმცა ჯერ კიდევ არ იცოდა, რა უნდა ეთქვა: ქალმა შესთხოვა – ზეცას შესთხოვა თუ ჯოჯოხეთს, უცნობია – დახმარებოდა, მისთვის ჩვეული უხეში, ვულგარული ლაპარაკის ნაცვლად ებოძა ღრმა განსჯის, აუღელვებელი, დალაგებული საუბრის უნარი, და ყველაფერი, რისი თქმაც ჰქონდა განზრახული, გადმოეფრქვია მასპინძლისთვის.
ლუისმა დაუპატიჟებელი სტუმრის დანახვაზე გასაგები მიმიკით გამოხატა თავისი უკმაყოფილება არასასურველი სტუმრობის გამო:
– რატომ მოხვედი? წადი!
– იმიტომ მოვედი, რომ მიპასუხო, რატომ ექცევი ჩემს გოგონას ასე?! აქედან ფეხს არ მოვიცვლი, სანამ ყველაფერს არ ამიხსნი! – ანტონიონა შეუვალი ჩანდა.
სავარძელი მაგიდასთან მიაჩოჩა და უბოდიშოდ დაჯდა მასპინძლის პირისპირ.
დონ ლუისი მიხვდა, ასე ადვილად რომ ვერ მოიშორებდა დაუპატიჟებელ სტუმარს და კილო შეარბილა:
– თქვი, რა გინდა.

– ვიტყვი. შენ ჩემი გოგონას წინააღმდეგ ავი განზრახვა გქონდა ჩაფიქრებული, ნამდვილ არამზადასავით მოექეცი. შენ ის მოაჯადოვე, მოწამლე. ჩვენი ანგელოზი კვდება. არ ჭამს, არ სძინავს, სიმშვიდე დაკარგა. ეს ყველაფერი შენ გამო მოუვიდა. დღეს ორჯერ დაკარგა გონება მხოლოდ იმის გამო, რომ შენ აქედან მიემგზავრები. აურ-დაურიე ყველაფერი და ახლა მიიპარები? მღვდლობა თუ გინდოდა, აქ რას მოდიოდი, ვერ დარჩი ბიძაშენთან? ჩემი გოგონა ქარივით თავისუფალი იყო, საკუთარი თავის ბატონ-პატრონი. ყველას გული მოიგო, ბევრისთვის სასურველი ქალი იყო, მაგრამ არავის ჩავარდნია მკლავებში. აი, ახლა კი გაება შენ მიერ ვერაგულად დაგებულ მახეში. შენ, რა თქმა უნდა, შენი ვითომდა წმინდანობით მოინადირე მისი უმანკო გული. მთელი შენი თეოლოგია, ყველა შენი ზეციური აბდაუბდა თურმე იმ ეშმაკი, უგულო მონადირის სტვენა ყოფილა, სულელ შაშვებს რომ იტყუებდა.
– ანტონიონა, გეყოფა, ღვთის გულისათვის, ნუ მტანჯავ. ვაღიარებ, არამზადა ვარ, არ უნდა შემეხედა შენი ქალბატონისათვის შეყვარებული თვალებით, არ უნდა მეგრძნობინებინა მისთვის, რომ მიყვარდა. მე ის ახლაც მიყვარს. მე ის არ მომიწამლავს, არავითარი ბანგი არ მიმიცია, მე მას ჩემი სიყვარული მივეცი, მაგრამ ამ სიყვარულს უარი უნდა ვუთხრა, ასე მკარნახობს ღმერთი. შენი აზრით, მე არ გავიღე მსხვერპლი? პეპიტამაც ძალა უნდა მოიკრიბოს და მაგალითი აიღოს ჩემგან.

– მაგრამ შენ ამ სიტყვების თქმაც არ ისურვე მისთვის. ცოტას მაინც მოჰგვრიდა სიმშვიდეს, – გაბრაზდა ანტონიონა. – შენ შენი ნებით გაიღე მსხვერპლი. შენ ის ქალი გაიმეტე მსხვერპლად, რომელსაც უყვარხარ, ვინც მთელი არსებით შენ გეკუთვნის. შენ კი არ ეკუთვნი მას, ხომ ასეა? მაშ, როგორ გაგიღოს მსხვერპლად? რა გადააგდოს ფანჯრიდან? რომელი განძი მისცეს ცეცხლს? არაფერი აქვს, ცალმხრივი სიყვარულის გარდა. რაც არ აქვს, რა შესწიროს ღმერთს? ხომ არ მოატყუებს, უფალო, რაკი ამ კაცს მე არ ვუყვარვარ, აჰა, მსხვერპლად გწირავ, მეც აღარ მიყვარსო. კიდევ კარგი, ღმერთს სიცილი არ შეუძლია, თორემ, ხომ წარმოგიდგენია, რას იხარხარებდა ასეთ საჩუქარზე?! გაოგნებულმა დონ ლუისმა არ იცოდა, რა ეპასუხა ანტონიონას მკაცრი განაჩენისთვის, მისი ადრინდელი წკიპურტები არაფერი იყო ამ სიტყვებთან შედარებით, თანაც არ სიამოვნებდა სიყვარულის მეტაფიზიკაში ჩაღრმავება ამ მოახლესთან.
– გვეყოფა უაზრო ყბედობა, – თქვა ლუისმა, – შენს ქალბატონს ვერ დავეხმარები დარდის გაქარვებაში. რა გავაკეთო...
– რა გააკეთო და... – შეაწყვეტინა ანტონიონამ ახლა უკვე რბილად, ალერსიანად, შემპარავად, – მე გეტყვი, რა გააკეთო. თუ მთლად არ გაუქარვებ დარდს ჩემს გოგონას, ცოტათი შეუმსუბუქებ მაინც. განა შენ ნამდვილი წმინდანი არ ხარ? წმინდანები კი მგრძნობიარე ადამიანები არიან, განსაკუთრებით, კაცები. მხდალივით, დაუმშვიდობებლად ნუ გარბიხარ, მოინახულე ჩემი საბრალო გოგონა, გაუკეთე კეთილი საქმე.
– კი მაგრამ, ჩემი მისვლით რა გაკეთდება? უფრო გავამწვავებთ ვითარებას.
– როგორ არ გესმის, ღმერთმა ისეთი ენა გიწყალობა, რომ უსათუოდ ჩაუდებ ტვინში მორჩილებას. ცოტათი დამშვიდდება; ისიც უთხარი, რომ გიყვარს, მაგრამ მხოლოდ ღმერთის გამო ტოვებ. ბოლოს და ბოლოს ეს უფრო იოლი ასატანი იქნება მისთვისაც.
– გინდა, რომ ღმერთს ავკიდო ცოდვა? ეს ხომ საშიშია ჩემთვისაც და მისთვისაც.
– რატომ უნდა აჰკიდო? ღმერთი თუ დარწმუნდება შენი გადაწყვეტილების სამართლიანობაში, არა მგონია, მოწყალე თვალით არ გადმოგხედოს, არა მგონია გულგრილად უყუროს შენს გზაკვალაბნეულ ცხოვრებას. შენთან სათხოვნელად მოვედი. განა შენ მოვალე არ ხარ, სასწრაფოდ ინახულო ჩემი გოგონა, ხელი შეაშველო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილს და ჭეშმარიტების გზაზე დააყენო? თუ ნახავს, რომ ისე წახვედი, რომ არაფრად ჩააგდე და სულ არ განაღვლებს მისი ბედი, დარდი მოკლავს, ან თავს ჩამოიხრჩობს, შენ კი გულში ისეთი ცეცხლი დაგრჩება, ეშმაკის თუხთუხა კუპრზე უარესი.

– რა საშინელებაა! არ მინდა პეპიტა იტანჯებოდეს, მოვიკრებ ძალას, მოვუხმობ მთელ ჩემს გამბედაობას და მოვალ მის მოსანახულებლად.
– ღმერთმა დაგლოცოს. ვიცოდი, გული მეუბნებოდა, რომ კეთილი ხარ...
– როდის მოვიდე?
– დღეს, დაღამებულზე, ათ საათზე, ქუჩაში გამოვალ, კართან დაგელოდები და მის ოთახამდე მიგაცილებ.
– იცის, ჩემთან რომ იყავი?
– არა, არ იცის. მე მოვიფიქრე. მაგრამ მაინც შევამზადებ, რომ შენს მოულოდნელ დანახვაზე გული არ წაუვიდეს.
– მოვალ.
– ნახვამდის, უსათუოდ მოდი, ზუსტად ათზე, კართან დაგელოდები.
ანტონიონამ ისე სწრაფად ჩაირბინა კიბე, ორ-ორ საფეხურს ახტებოდა, რომ წამში გაჩნდა ქუჩაში.

ვერაფერს იტყვი, ანტონიონა მოქმედებდა ძალზე ჭკვიანურად, მისი საუბარი ისეთი ღირსებითა და მოსაუბრის მიმართ ისეთი პატივისცემით გამოირჩეოდა, ძნელად თუ დაიჯერებდა ვინმე, დაწვრილებით რომ არ სცოდნოდა, რისთვის იყო ეს ყველაფერი გამიზნული და საერთოდ, საყოველთაოდ ცნობილი რომ არ ყოფილიყო ის საოცრებები, რისი ჩადენაც შეუძლია ქალის გონებას დიდი ინტერესის, ძლიერი სურვილისა და ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად.
ეჭვგარეშეა, ანტონიონა ძალიან იყო მიჯაჭვული პეპიტაზე, დიდი სითბო და სიახლოვე აკავშირებდა მასთან და როცა დაინახა, სიყვარულისგან როგორ იტანჯებოდა მისი გოგონა, განიზრახა რაღაც წამალი ეპოვა მისი დარდის ცოტაოდენ გასაქარვებლად მაინც, ხოლო რაც შეეხება დაპირებას, რომელიც ეს წუთია ლამის ძალით გამოგლიჯა დონ ლუისს, მოულოდნელ გამარჯვებად მიიჩნია. ჰოდა, ეს გამარჯვება აზრიანად უნდა გამოიყენოს, ამას კარნახობს დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება.
ანტონიონამ დონ ლუისს შეხვედრა დაუნიშნა ღამის ათ საათზე. არადა, სულ ახლახან არ იყო, ზუსტად ამ დროს რომ იკრიბებოდნენ ამ სახლში? პეპიტასა და ლუისს ერთმანეთის ნახვის მშვენიერი შესაძლებლობა ჰქონდათ. ამჟამად საღამოს შეკრებების დრო შეცვალეს თუ შეწყვიტეს, გაურკვეველია. თუმცა შეიძლება სულაც უკეთესი იყოს, ჭორებსა და მითქმა-მოთქმას აიცილებენ. ხალხი ჭრელია, ავი ენა რას არ იტყვის. ეკლესიაში პადრემ ქადაგებისას საგანგებოდ ილაპარაკა ავსიტყვა ხალხზე. ავსიტყვაობა დიდი ცოდვააო, ასეთ ხალხს კისერზე წისქვილის ქვა უნდა ჩამოკიდო და ზღვაში გადაუშვაო.
ამგვარად, ანტონიონა კმაყოფილი დაბრუნდა შინ. დარწმუნებული იყო, ყველა დაბრკოლებას გადალახავდა, ყველაფერს სასიკეთოდ მოაგვარებდა, ოღონდ მთავარი იყო "წამალმა" – რომელსაც ეძებდა და იპოვა – გაამართლოს: პირიქით არ მოხდეს, ტანჯვის შემსუბუქების ნაცვლად უფრო არ დაუმძიმდეს პეპიტას მდგომარეობა.
ანტონიონამ პირდაპირ როდი გააფრთხილა თავისი გოგონა, უბრალოდ, საუბრისას სასხვათაშორისოდ გადაუკრა სიტყვა: დონ ლუისმა მთხოვა, გამოსამშვიდობებლად მინდა მოსვლა და როდის მოვიდეო, მეც დღეს შევიპირე ათი საათისთვისო.
ეს შეხვედრა საჭორაო და სამითქმამოთქმო რომ არ გამხდარიყო, დონ ლუისი უცხო თვალს მოფარებული უნდა შესულიყო პეპიტას სახლში. საიდუმლოს შენახვას დათქმული დროც უწყობდა ხელს და სახლის მდებარეობაც. ამ დროს ქუჩა სავსეა მოსეირნეებით, დონ ლუისს ყურადღებას არ მიაქცევენ, რომც მიაქციონ, არ გაუკვირდებათ, რაკი მთელი დასახლება ქუჩაშია გამოსული. წინკარში შესვლა ერთი წამის საქმეა, პეპიტას ოთახამდე სტუმრის მიცილება კი უკვე ანტონიონას საქმეა, ისე მიიყვანს, ვერავინ დაინახავს.

ანდალუსიაში მდიდართა სახლების უმეტესობა ოთხი ნაწილისგან ანუ ორი ნახევრისგან შედგება, ორივეს ცალ-ცალკე შესასვლელი აქვს. პირველი ნახევრის მთავარი კარი შედის სვეტებიან და იატაკზე ფილებდაგებულ პატიოში, აქედან კი – სასტუმროსა და ბატონების ოთახებში. მეორე ნახევრის კარი გადის უზარმაზარ ტერიტორიაზე, სადაც მთელი მეურნეობაა განლაგებული: სამზარეულო, წისქვილი, საქონლის სადგომი, საჯინიბო, ფარდულები, ბეღელი, საკუჭნაო, სარდაფი. ამ ნაგებობებში განსაზღვრული დროით ინახება ზეთისხილი, კარაქი, ყურძნის წვენი, ძველი და ახალი ღვინო, არაყი, ძმარი – თიხის ხალმებში, სხვადასხვა ზომის კასრებში. თუმცა სახლი დაბის ცენტრში დგას, დაბისა, რომლის მოსახლეობის რაოდენობა 20-25 ათასს აღწევს – მის მეორე ნაწილს ანუ ნახევარს, აქ მამულს ეძახიან. საღამოობით ზამთარში დიდ სამზარეულოში ბუხართან იკრიბებოდნენ მოურავი, მეურნეობის სამუშაოთა მწარმოებელი, ჯორების გამრეკი, მოახლეები, მოჯამაგირეები, ზაფხულობით კი გარეთ ეზოში ან გრილ ოთახში

ატარებდნენ დროს, ერთობოდნენ, ვიდრე ბატონები დასაძინებლად წავიდ-წამოვიდოდნენ.
ანტონიონამ იცოდა, რომ ამღამინდელი შეხვედრა და ურთიერთახსნა-განმარტებები წყნარ, მშვიდ გარემოში უნდა წარმართულიყო. ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ ხელი არავინ შეუშალოს პეპიტას და დონ ლუისს. ამიტომ სან ხუანის დღესასწაულთან დაკავშირებით მთელი საღამოთი გაათავისუფლა გოგონები – პეპიტას პირისფარეშები, გაუშვა მამულში, სადაც მეურნეობის მუშაკები ემზადებოდნენ ნამდვილი მეჯლისის მოსაწყობად. ბოლო არ ექნება მხიარულ სიმღერებს და ცეცხლოვან ცეკვებს კასტანიეტების რაკარუკის თანხლებით.
ამგვარად, სახლის დაცარიელებულ საბატონო ნახევარში მხოლოდ პეპიტა და ანტონიონა დარჩნენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ იქნებ ამაოდ არ დამშვრალა ერთგული მოახლე, ვინ იცის, იქნებ ამ გასაიდუმლოებულ, მნიშვნელოვან შეხვედრაზე გადაწყდეს ორი ახალგაზრდის ბედი.

* * *

ვიდრე ანტონიონა ფიქრობდა და სამოქმედო გეგმას ადგენდა, ამ დროს დონ ლუისი საკუთარ თავზე ბრაზობდა. ეს რა სისუსტე და აცერცეტება გამოვიჩინე, ანტონიონას შეხვედრაზე რატომ დავთანხმდიო.
დონ ლუისი ამ ბოლოს ხანს ძალიან დააინტერესა ანტონიონამ, მისმა პიროვნებამ, ბუნებამ, თუმცა რაღაც აზრი უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა: ეს ქალი Enone-სა და სელესტინაზე
ეშმაკი და მოხერხებული ჩანდა. დონ ლუისი გრძნობდა საფრთხეს, მაგრამ იმასაც გრძნობდა, თავისი ფეხით რომ მიდიოდა მისკენ. ისიც უნდა ითქვას, რომ უმშვენიერეს ქვრივ ქალთან ეს ფარული შეხვედრა სულაც არ ანიჭებდა სიხარულს.
პეპიტასთან შეხვედრა ნიშნავდა კვლავ მის ბადეში გახვევას, აღთქმის დარღვევას, ეპისკოპოსის მოტყუებას – რომელმაც მხარი დაუჭირა მის თხოვნას დისპენსაციაზე – და ბოლოს, თვით პაპის მოტყუებასაც. ეს ყველაფერი ყმაწვილკაცს დიდ სირცხვილად მიაჩნდა. ესეც არ იყოს, პეპიტას მიმართ სიყვარული მამის ღალატს ნიშნავდა. მამამისს უყვარს ახალგაზრდა ქვრივი ქალი და მის ცოლად შერთვას აპირებს. პეპიტასთან შეხვედრა ნიშნავდა, კიდევ უფრო მეტად მოეკლა მისთვის გული, რაც დონ ლუისის აზრით, დახვეწილ უგულობას წარმოადგენდა; ამას სჯობდა, საერთოდ, დაუმშვიდობებლად გამგზავრებულიყო.
სწორედ ამ მოსაზრებებმა უბიძგა, შეხვედრაზე არ წასულიყო, არ შეეტყობინებინა, არც ბოდიში მოეხადა მიუსვლელობის გამო. ანტონიონა ელოდოს წინკარში, ბოლოს და ბოლოს მიხვდება, რომ იქ მიმსვლელი არ იყო, მაგრამ იქნებ ერთგულმა მოახლემ უკვე მოახსენა თავის ქალბატონს დონ ლუისის სტუმრობის თაობაზე? მაშინ არმისვლა ხომ შეურაცხყოფის ტოლფასი საქციელი იქნება?!
დონ ლუისმა საბოლოოდ გადაწყვიტა, პეპიტასთვის თბილი, გულითადი წერილი მიეწერა, აეხსნა, რომ მის ძალებს აღემატება იქ მისვლა, თავი ემართლა, მისდამი ნაზი გრძნობები არ დაემალა. მაგრამ ამავე დროს კიდევ ერთხელ დაერწმუნებინა, რომ მოვალეობა ღვთის წინაშე უპირველესია; გამხნევდეს, მოიკრიბოს ძალა და მასავით გაიღოს მსხვერპლი.

ხუთჯერ მაინც გადაწერა წერილი. ხან მეტისმეტად მშრალი მოეჩვენა, ხან – ცუდი ქადაგებასავით ზერელე. ლათინური ენის გაკვეთილივით მოსაბეზრებელი, ცივი და პედანტური. სტრიქონებს შორის ერთი-ორჯერ ბავშვური შიშიც გაკრთა, თითქოს პეპიტა ურჩხული იყო და დონ ლუისის გადაყლაპვა სურდა, სულმოკლეობაც იგრძნობოდა აქა-იქ. ერთი სიტყვით, მთელი დასტა ქაღალდი გაანადგურა და წერილს მაინც ვერ მოაბა თავი.
– მორჩა, საკმარისია, – ჩაილაპარაკა თავისთვის, – სხვა გზა არ არის. ხომ არ შეგვჭამს, წავიდეთ!
აფორიაქებულმა დონ ლუისმა თავი იმით დაიმშვიდა, რომ ქალთან საუბრისას ძალზე თავშეკავებული იქნება; თუ ღმერთი მჭევრმეტყველების უნარს არ წაართმევს და ენას არ დაუბამს, შეძლებს პეპიტას დარწმუნებას – ის ხომ ძალზე კეთილი ქალია, ვინ იცის, იქნებ სულაც აქეთ სთხოვოს დონ ლუისს, არ უღალატოს თავის აღთქმას, თვითონ, პეპიტა კი, მზად არის მსხვერპლად გაიღოს თავისი სიყვარული, რათა შემდგომ მოიხსენიონ წარსულის წმინდანი ქალებივით, რომლებიც არათუ უარს ამბობდნენ საქმროზე ან შეყვარებულზე, არამედ გათხოვილიც კი არ ეკარებოდნენ ქმარს და და-ძმასავით ცხოვრობდნენ ერთ ჭერქვეშ. ამის მაგალითი იყო ინგლისის მეფის წმ. ედუარდის ცხოვრება. დონ ლუისმა ერთგვარი შვება და ძალთა მოზღვავება იგრძნო: თავი წარმოიდგინა წმ. ედუარდად, ხოლო პეპიტა – დედოფალ ედიტად, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პეპიტა უფრო მშვენიერი იყო.

მაგრამ დონ ლუისმა მაინც ვერ მოიპოვა ის სიმშვიდე და სიმტკიცე, რაიც საჭირო იყო წმ. ედუარდის მისაბაძად. დონ ლუისის აზრით, დანაშაულებრივი იყო ეს შეხვედრა, რადგან მამამისმა ჯერ კიდევ არაფერი იცოდა ამის შესახებ. რამდენჯერმე სცადა მამისთვის გაემხილა ყველაფერი. სული მისდიოდა, სანამ გაანდობდა თავის საიდუმლოს, მაგრამ რამდენჯერაც სცადა, იმდენჯერ გადაიფიქრა. შვილს შეუძლია საკუთარ მშობელს გაანდოს თავისი საიდუმლო, მაგრამ ამ შემთხვევაში პეპიტას საიდუმლოს გამჟღავნება მხოლოდ იმისთვის, რომ მამასთან ურთიერთობა არ გაფუჭებოდა – ეს უკვე უსინდისობა იყო. ეს სასაცილო, უბადრუკი გადაწყვეტილება მხოლოდ შიშმა მიაღებინა: ხომ შეიძლება პეპიტასთან ჯეროვანი სიმტკიცე ვერ გამოიჩინოს? ასე რომ, დუმილი ამჯობინა, დონ პედროსთვის არაფერი უთქვამს. უფრო მეტიც, აფორიაქებულს ვერაფრით გადაეწყვიტა, როდის გამოტყდომოდა მამას, პეპიტასთან საიდუმლო შეხვედრამდე თუ შემდეგ. ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობები ბობოქრობდა მის გულში. შიში იზრდებოდა. დონ ლუისი ადგილს ვერ პოულობდა, დიდი ოთახი პატარა გალიად ეჩვენებოდა, სწრაფი ნაბიჯებით სცემდა ბოლთას, აქეთ-იქით ეხლებოდა, ცოტაც და თავს მიახლიდა კედელს. ღია აივნიდან თბილი ჰაერი უბერავდა, მაგრამ დონ ლუისს მაინც ეხუთებოდა სული, ჭერი თავზე აწვებოდა, სუნთქვისთვის მთელი ჰაერი სჭირდებოდა, სიარულისთვის – უსაზღვრო სივრცე, ფიქრისთვის – ცის თაღი, რომელიც სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა.
დონ ლუისმა ვეღარ გაუძლო ამდენ მტანჯველ ფიქრს, ხელი დაავლო შლაპას და ხელჯოხს და გავარდა სახლიდან. ქუჩაში ნაცნობს რომ არ გადაყროდა, ნაბიჯს მოუჩქარა, რაც შეიძლება მალე უნდა შეაფაროს თავი ხეივანს, სადაც ამ დროს კაცის ჭაჭანება არ არის. ეს ხეივანი და ბაღები დაბას თითქმის ნახევარ მილზე აკრავს გარს და ნამდვილი მიწიერი სამოთხეა.
აქამდე თითქმის არაფერი გვითქვამს დონ ლუისის გარეგნობაზე. უნდა იცოდეთ, რომ ის იყო ლამაზი ახალგაზრდა კაცი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით – მაღალი, ტანადი, შავგვრემანი, შავ თვალებში ცეცხლიც უნთია და სინაზეც უკრთის, კბილები თეთრად უელავს. მიუხედავად სასულიერო პირისთვის დამახასიათებელი მოკრძალებისა და

მორჩილებისა, მის მოძრაობაში და ქცევაში იკვეთებოდა გაბედულება და ვაჟკაცურობა, სიარულსა და საერთოდ, გარეგნობაში, ჰქონდა რაღაც მოუხელთებელი, რომ ვერ აღწერ, ვფიქრობ, არისტოკრატისთვის დამახასიათებელი დახვეწილობა, კეთილშობილება, თუმცა ეს არ წარმოადგენს მათ განსაკუთრებულ პრივილეგიას.
დონ ლუისს რომ დაინახავდით, მაშინვე აღიარებდით, რომ პეპიტა ხიმენესს სილამაზის შეცნობის თანდაყოლილი ნიჭი ჰქონია.
დონ ლუისი უფრო გარბოდა ბილიკზე, ვიდრე მიაბიჯებდა. პატარ-პატარა ღელეებს ახტებოდა, ირგვლივ არ იყურებოდა, კრაზანების დაკბენილი ხარივით გარბოდა, გზად შემხვედრი გლეხები გაკვირვებული აყოლებდნენ თვალს, ალბათ შერეკილიაო.
უმიზნო სირბილით დაღლილი დონ ლუისი ბოლოს და ბოლოს დასასვენებლად ჩამოჯდა თითქმის ნანგრევებად ქცეულ წმინდა ფრანსისკო დე პაულას მონასტერთან, ქვის ჯვართან, დაბის გარეუბანში... და ისევ ფიქრებს მისცა თავი.
ზარების რეკვამ თითქოს შეავსო უკაცრიელობა. მრევლს ახსენებდნენ ღვთისმშობლის სალოცავს. დონ ლუისი ზარებმა გამოიყვანა ღრმა ფიქრებიდან და დააბრუნა სინამდვილეში.
მზე ის იყო ჩაესვენა მწვერვალებს მიღმა. კლდეები, პიკები, პირამიდები, დამსხვრეული ობელისკები მკაფიოდ იხატებოდა ჩამავალი მზის სხივებით მოოქრულ მეწამულ-ტოპაზისფერ ცის ფონზე. ხეობა ჩრდილებში ეხვეოდა. მთები ბროლივით ბზინავდა. შორს მთის წვერზე იდგა დაბის მფარველის - ღვთისმშობლის ტაძარი, მახლობელ ბორცვზე კი, რომელსაც გოლგოთას ეძახდნენ, პატარა სამლოცველო აეშენებინათ. მომაკვდავი მზის უკანასკნელი სხივები ტაძრისა და სამლოცველოს სარკმლებსა და თეთრ კედლებზე ირეკლებოდა და ორ სამაშველო შუქურასავით ენთო.

ბუნებას პოეტური სევდა გადაჰფენოდა. სამყარო თითქოს უსიტყვო ჰიმნს უმღერდა შემოქმედს, უსიტყვოს, მაგრამ მხოლოდ სულისთვის გასაგებს. ზარების აუჩქარებელი, შორეული გუგუნი არღვევდა მიწიერ მყუდროებასა და მრევლს წმინდა ქალწულის აღსავლენ ლოცვაზე უხმობდა. დონ ლუისმა ქუდი მოიხადა, ქვის ჯვრის წინ დაიჩოქა და გულმხურვალე ლოცვას მოჰყვა.
ღამეული ჩრდილები ნელ-ნელა ეშვებოდა მიწაზე. ღამემ თავისი მოსასხამი ფართოდ გადააფარა მთებსა და დაბლობებს, სიყვარულით მორთო იგი მოკაშკაშე ვარსკვლავებითა და ბადრი მთვარით. ოდნავ შემუქებულ ცას ჯერ ისევ დაჰკრავდა სილურჯე. უკიდეგანო ეთერში აბრჭყვიალებულმა ვარსკვლავებმა სხივები გაგზავნეს დედამიწაზე, მთვარემ ვერცხლისფერი გვირგვინები დაადგა ხეთა კენწეროებს და შემდეგ გამჭვირვალე ნაკადულებს მიაშურა, სადაც ათასფრად ირეკლებოდა მისი სხივები, სარწყავი არხების ნაპირებზე აბიბინებულ ბალახსა და ნაირფერ ყვავილებში ციცინათელების ტევა არ იყო. ხეხილის ბაღები, აკაციები და ვარდის ბუჩქები კეთილსურნელებით ავსებდნენ ჰაერს. დონ ლუისი გრძნობდა, როგორ იზიდავდა, იპყრობდა ნეტარებითა და ვნებებით პირთამდე ავსილი ბუნება. წამით დაეჭვდა კიდეც თავის სიმტკიცეში, მაგრამ პირობა ჰქონდა მიცემული და შეხვედრაზე მიუსვლელობა არ ეგებოდა.
რაც უფრო უახლოვდებოდა დაბას, მით უფრო რეალური ეჩვენებოდა საშიშროება შეხვედრაზე დათანხმების გამო, დაბურულ ტყეში ჩაფიქრებული მიუყვებოდა ბილიკს, ნეტავ რაღაცამ მიმანიშნოს, გაფრთხილებასავით ისეთი რაღაც მაგრძნობინოს, რაც უკან დაბრუნებას მაიძულებსო. სიგიჟემდე სურდა დასწრებოდა საკუთარ დაკრძალვას, მაგრამ უამრავ ცეცხლად აბრიალებული ცა სიყვარულისკენ უხმობდა ყველას და ყველაფერს. ვარსკვლავები ალერსიანად შესცინოდნენ ერთმანეთს, ბულბულები ტკბილად გალობდნენ, შეყვარებული ჭრიჭინობელები ფრთებს ისე აწკრიალებდნენ, როგორც ტრუბადურები პლექტრს

სერენადების სიმღერისას. მთელ სამყაროში სიყვარული მეფობდა ამ მშვიდ, უშფოთველ ღამეს. არავითარი ნიშან-წყალი საშიშროებისა, პატარა მინიშნებაც კი არსად ჩანდა საფრთხისა, აქ სევდიანი არაფერი იყო, ირგვლივ სიმშვიდე, სიცოცხლე ფეთქავდა. სად იყო ამ დროს დონ ლუისის მფარველი ანგელოზი? ნუთუ მიატოვა უსარგებლო ნივთივით? არადა, განა სულ ახლახან არ იყო, მისი გადარჩენა რომ სურდა? შესაძლოა, საფრთხეზე სულაც არ უფიქრია და ჩამოეცალა, ხელს არ შევუშლიო. ვინ იცის, იქნებ საფრთხე დღესასწაულად ექცეს დონ ლუისს? კვლავ წმ. ედუარდი და დედოფალი ედიტი წარმოუდგა თვალწინ. მაშინვე ძალა მიეცა, საკუთარი თავის რწმენა გაუათკეცდა. ფიქრისა და განსჯით დამძიმებული ნელა მიდიოდა, ჯერ კიდევ არ იყო დაბამდე მისული, რომ სამრევლო ეკლესიის კოშკზე საათმა ათჯერ ჩამორეკა. ათი საათია – შეხვედრის დრო! ყოველი ჩამორეკვა გულს უმძიმებდა, მაგრამ ამავდროულად ტკივილსა და შიშს მაცდურად ტკბილი ღელვაც ახლდა თან.
დონ ლუისმა ნაბიჯს მოუჩქარა და მალე დაბის გარეუბანში აღმოჩნდა. გარეუბანში დიდი გამოცოცხლება იგრძნობოდა. გასათხოვარი გოგონები წყაროსთან შეგროვილიყვნენ პირის დასაბანად. ამ წყაროს წყალს ისეთი ძალა გააჩნდა, თუ გოგოს შეყვარებული ჰყავდა, ის არასოდეს მიატოვებდა, ხოლო ვისაც შეყვარებული არ ჰყავდა, ბედს მალე ეწეოდა, თანაც ძალიან მალე. ქალებსა და ბავშვებს მოჰქონდათ ვერბუნას, როზმარინისა და სხვა ხემცენარეების საუცხოო საგუნდრუკე ტოტები. გიტარის ხმები ავსებდა არემარეს, სიყვარულის ჩურჩული ათრთოლებდა ჰაერს, ყოველ კუთხეში ბედნიერი შეყვარებულები შეყუჟულიყვნენ. მართალია, სან ხუანის დღესასწაული კათოლიკეთა დღესასწაული იყო, მაგრამ აქა-იქ მაინც ისმოდა ძველი კერპთაყვანისმცემლობისა და ბუნების ძალებისადმი მიმართული მოკრძალებული სალოცავი სიტყვები. ისედაც, ეს დღესასწაული ემთხვევა ხოლმე ზაფხულის ბუნიაობას, ყოველ შემთხვევაში, რელიგიური აქ არაფერი იგრძნობოდა: ირგვლივ ყველაფერი სუნთქავდა სიყვარულითა და ვნებით. ჩვენი ძველი რომანსები და ლეგენდები გვიამბობდნენ, როგორ მოიტაცა ერთმა მუსლიმმა ვაჟმა მშვენიერი ქრისტიანი მეფის ასული სან ხუანის დღესასწაულის წინა დღეს; ხოლო ქრისტიანმა რაინდმა როგორ აისრულა წადილი მავრიტანელ დიდებულ ქალბატონთან; უნდა ითქვას, ძველი ტრადიციები ხალხში კარგადაა შემონახული.

ქუჩები სავსე იყო ხალხით: აქაურებით თუ ახლომახლო სოფლებიდან ჩამოსულებით. ჩამწკრივებულ მაგიდებთან აუარება ხალხი ირეოდა. რაღა არ ელაგა მაგიდებზე: ჰალვა, თაფლიანი კვერები, ხილი. ჯიხურებში სათამაშოები იყიდებოდა. განსაკუთრებით რამდენიმე მაყალთან ტრიალებდნენ ბოშა ქალები, ახალგაზრდებიც და მოხუცებიც: ერთნი ფუნთუშებს აცხობდნენ, ზეთის სუნით წამლავდნენ ჰაერს, მეორენი წონიდნენ და ყიდდნენ, თან ყმაწვილკაცების ქათინაურებს იგერიებდნენ, მესამენი კი მკითხაობით იყვნენ გართული.
დონ ლუისი ცდილობდა ნაცნობებს არ გადაყროდა, თუ ვინმეს მოჰკრავდა თვალს, მაშინვე მხარს აუქცევდა და ასე მიიწევდა წინ, არსად შეჩერებულა, არავის გამოლაპარაკებია, და როგორც იქნა, მიუახლოვდა პეპიტას სახლს. გული აუჩქარდა, სადაცაა გაუსკდება. შეჩერდა სულის მოსათქმელად, საათს დახედა, თერთმეტის ნახევარი იყო.
– ღმერთო ჩემო, ნახევარი საათია მელოდება, – გაიფიქრა მან.
სწრაფად შევიდა, ფარანი, რომელიც ყოველთვის ანათებდა ჭიშკარს, ახლა, ამ ღამეს, დაბინდულ შუქს ჰფენდა იქაურობას.

ის იყო კარი მოიხურა, რომ ვიღაცის თითები ბრჭყალებივით ჩაეჭიდა მხარში. ეს ანტონიონა იყო.
– წყეულო სემინარისტო, უმადურო, რეგვენო, – დაისისინა ქალმა, – მეგონა, აღარ მოხვიდოდი. სად იყავი აქამდე, როგორ ბედავ დაგვიანებას, შე ხისთავა, როცა შენი გულისთვის დნება ამქვეყნად მოვლენილი მადლი ღვთისა და როცა გელოდება სილამაზის მზე?
ანტონიონა უშვერი სიტყვებით ამკობდა საბრალო ენაჩავარდნილ სემინარისტს და თან მუჯლუგუნების კვრით მიათრევდა ჭიშკრისკენ. როგორც კი შევიდნენ ჭიშკარში, ანტონიონამ უხმაუროდ ჩაკეტა, პატიო გადაჭრეს, კიბეს აუყვნენ, რამდენიმე დერეფანი და ოთახი გაიარეს და მიადგნენ ჩაკეტილ კაბინეტს.
მთელ სახლში საოცარი სიჩუმე იდგა. კაბინეტი ეზოს მხარეს მდებარეობდა და ქუჩის ხმაური აქამდე არ აღწევდა. მხოლოდ მამულიდან ისმოდა გიტარის ხმა, კასტანიეტების რაკარუკი და პეპიტას მსახურების მხიარული ხმები.
ანტონიონამ კარი გააღო, სტუმარი ძალით შეაგდო კაბინეტში და მხოლოდ ამის შემდეგ მოახსენა თავის ქალბატონს ვითარების შესაბამისი ოფიციალობით:
– გოგონი, სენიორი დონ ლუისი მობრძანდა თქვენთან გამოსამშვიდობებლად.
ანტონიონა მოკრძალებულად გავიდა და ფრთხილად მიიხურა კაბინეტის კარი. ახალგაზრდებს სრული თავისუფლება მისცა.
რაკი ამ ადგილამდე, ანუ ამ დღემდე მოვედით, შეუძლებელია არ აღინიშნოს ამ ამბის ნამდვილობა, შეუძლებელია არ გაგვაოცოს ამ ამბის დამწერის პედანტურმა სიზუსტემ. "პარალიპომენონ"-ში თუნდაც მისხალი რომ ერიოს გამონაგონი – როგორც საერთოდ ხდება ხოლმე რომანში – მაშინ ასეთი აუცილებელი და მნიშვნელოვანი პაემანი პეპიტასთვისაც და დონ ლუისისთვისაც რა თქმა უნდა, ასე იოლად, ასე უბრალოდ არ შედგებოდა. რომანისტი თავის გმირებს ქალაქგარეთ გაუშვებდა სასეირნოდ. იქ მათ მოულოდნელი ქარიშხალი დაატყდებოდათ თავს და ქალ-ვაჟს იძულებულს გახდიდა ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევებისთვის შეეფარებინათ თავი, ან სულაც – მავრიტანული კოშკისთვის, რომელიც მთელ ოლქში ცნობილი იყო, როგორც მოჩვენებების ბუდე. უფრო მეტიც: მათ ხელში ჩაიგდებენ ყაჩაღები, მაგრამ დონ ლუისის სიმამაცის წყალობით თავს დააღწევენ ტყვეობას. ამის შემდეგ ღამის გათევა მოუწევთ რომელიმე გამოქვაბულში, ან ავტორი გემით გაუშვებს ზღვაში პეპიტას და მის მოყოყმანე მაღმერთებელს, და თუმცა აღარ არიან ალჟირელი მეკობრეები, მაგრამ მწერალი რის მწერალია, რამეს მოიგონებს გემის ჩასაძირად და სიუჟეტის გასამძაფრებლად. რა თქმა უნდა, დონ ლუისი პეპიტას გადაარჩენს დახრჩობას და ბოლოს ორივენი აღმოჩნდებიან რომელიღაც უკაცრიელ კუნძულზე ან ასევე უკაცრიელ, მაგრამ პოეტურ ადგილას. აქ ჩამოთვლილი ნებისმიერი ვარიანტი შეიძლებოდა ჩვენს ავტორს ოსტატურად გამოეყენებინა თავის "პარალიპომენონში" და დონ ლუისი გაემართლებინა კიდეც. მაგრამ ის არ უნდა დავტუქსოთ იმისათვის, რომ სხვისი ნაკარნახევი ხერხები არ გამოიყენა, პირიქით, დიდი მადლობა უნდა მოვახსენოთ ასეთი მომეტებული კეთილსინდისიერებისათვის: ამბავი რომ ზუსტად გადმოეცა, უარი თქვა ყოველგვარ ეფექტებზე, ფანტაზიას გასაქანი არ მისცა და პაემანი არ დაამძიმა ზედმეტი ეპიზოდებით.

თუ აქ დამნაშავეა მხოლოდ ანტონიონას მონდომება, მოხერხებულობა და დონ ლუისის სისუსტე, პაემანზე მოსვლას რომ დათანხმდა, – რაღა საჭირო იყო რაიმეს მოგონება და შეყვარებულების ისე წარმოჩენა, თითქოს პაემანზე ძალით შეჰყარეს ერთმანეთს პირისპირ სასაუბროდ. და თანაც მაშინ, როცა დიდი საფრთხე ელოდებოდათ ზნეობრიობის მხრივ ორივეს სიმტკიცეს? ასეთი რამ ხომ არ მომხდარა? რაღა საჭირო იყო იმაზე ლაპარაკი,

როგორ იქცეოდა პაემანზე დონ ლუისი, კარგად თუ ცუდად. ან პეპიტა როგორ იქცეოდა, კარგად თუ ცუდად. პეპიტამ ხომ ყველაფერი იცოდა წინასწარ ანტონიონასაგან, ოღონდ ვერ გარკვეულიყო, გახარებოდა თუ არა ეს საიდუმლო შეხვედრა ასე უდროო დროს. ერთი სიტყვით, აქ ვადანაშაულებთ არა ბედისწერას და შემთხვევას, არამედ ამ რომანში მონაწილე ადამიანებს და მათ გრძნობებს.
პეპიტა ჩვენ ძალიან გვიყვარს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ჭეშმარიტება უარვყოთ. სიმართლე უნდა ითქვას, რაც არ უნდა უსიამო იყოს ჩვენი მთავარი პერსონაჟისთვის. ანტონიონამ თავისი ქალბატონი რვა საათზე გააფრთხილა, დონ ლუისი ათ საათზე მოვაო. სიკვდილისთვის მზადმყოფი პეპიტა – თმადაუვარცხნელი, ტირილისგან თვალებჩაწითლებული და ქუთუთოებდასიებული, იმწამსვე გამოცოცხლდა, ცრემლების ნაკვალევის წასაშლელად სახე თბილი წყლით დაიბანა, თმა ისე ოსტატურად დაიყენა, საგანგებოდ კი არა, რაღაც უფრო მხატვრულს, სასიამოვნოდ დაუდევრულ ვარცხნილობას ჰგავდა. ფრჩხილები გაიქლიბა, უბრალო საშინაო კაბა ჩაიცვა – ხალათჩაცმული ხომ არ დახვდებოდა დონ ლუისს? – ამ პატარ-პატარა ეშმაკობებით ცდილობდა უფრო მეტად მომხიბვლელი ყოფილიყო, მაგრამ არავის უნდა შეემჩნია მისი ეს მცდელობა. მთავარია ბუნების მიერ ქმნილი, ბუნების მიერ ნაბოძები სილამაზე არ დაიჩრდილოს, გააშუქოს იქაურობა, მიუხედავად ახლახან გადატანილი მძიმე განცდებისა.
როგორც დავადგინეთ, პეპიტამ თავის მორთვა-მოკაზმვას – რომლის შეფასებაც მხოლოდ შედეგით შეიძლებოდა – საათზე მეტი მოანდომა, შემდეგ სარკის წინ დადგა და ოდნავ დაფარული კმაყოფილებით შეავლო თვალი საკუთარ გამოსახულებას, ათის ნახევრისთვის შანდლით ხელში ჩავიდა სასტუმრო ოთახში, სადაც პატარა საკურთხეველზე იდგა ყრმა იესოს ქანდაკება; პეპიტამ სანთლები აანთო, დამჭკნარ ყვავილებს დამნაშავესავით გადაუსვა ხელი და პატიება სთხოვა. ამ ბოლო დღეებში თქვენც და ყრმა იესოსაც ყურადღება დაგაკელითო. დაიჩოქა და შეუდგა ლოცვას; გული გადაუშალა ყრმა იესოს, რომლის ქანდაკებაც დიდი ხანია პეპიტას სახლში დგას. ხოლო იესო ნაზარეველს – მხარზე ჯვარგადებულს, თავზე ეკლის გვირგვინიანს, უხეშ თოკზე გამობმულს, ნაცემ-ნაბეგვს და შეურაცხყოფილს, ვიღაცა შხამიანი ბოროტებით ავსილი ბრბოდან ლერწმის სკიპტრას აჩეჩებდა ხელში – შემდეგ კი უკვე ჯვარცმულს, გასისხლიანებულსა და სიკვდილის პირას მისულს როგორ შესთხოვდა შველას, როგორ უნდა ეთხოვა ის, რასაც ყრმა იესოს სთხოვდა – პირმცინარ, ჯანმრთელ, ვარდისფერ საყვარელ არსებას. ყრმა იესოს ხომ ბევრი მღვდელმსახური ჰყავს, რა მოხდება, ერთი მსახური რომ პეპიტას დაუთმოს, არ წაართვას.
ყოველნაირი მომზადება რომ დაამთავრა – შეგვიძლია ასე ჩამოვაყალიბოთ: კოსმეტიკა, ჩაცმა, რელიგია – პეპიტა კაბინეტში შევიდა და ღელვას ატანილმა დაუწყო ლოდინი დონ ლუისს.

ანტონიონა გონივრულად მოიქცა, თავისი ქალბატონი დანიშნულ დრომდე ცოტა ადრე რომ გააფრთხილა, მაგრამ ჩვენი დაგვიანებული გმირის გამო საბრალო პეპიტა ადგილს ვერ პოულობდა იმ წუთიდან – ყრმა იესოს რომ სთხოვდა შველას – იმ წუთამდე, როდესაც დაინახა, როგორ გადმოაბიჯა კაბინეტის კარის ზღურბლს მეორე ყრმამ. პირველი წუთები ცერემონიული და დარბაისლური იყო. მისალმების შემდეგ პეპიტამ დაჯდომა შესთავაზა სტუმარს. დონ ლუისი პეპიტასგან საგანგებოდ მოშორებით მოკალათდა სავარძელში. ხელში კვლავ ეჭირა შლაპა და ხელჯოხი. პეპიტა დივანზე ჩამოჯდა, იქვე პატარა მაგიდაზე წიგნები ელაგა და ანთებული სანთელი პარპალებდა. სანთლის შუქი პირდაპირ სახეზე ეცემოდა პეპიტას. ბიუროზე ანთებული ლამპა იდგა, მაგრამ დიდ ოთახს არ ჰყოფნიდა მისი შუქი, ნახევრად სიბნელეში იყო ჩაძირული. გაღებული ფანჯარა აყვავილებულ პატიოში გადიოდა, თუმცა ფანჯარაზე აკრული გისოსი

ვარდებითა და ჟასმინებით იყო ამოვსებული, მთვარის შუქი მაინც ატანდა ამ ულამაზეს ხალიჩაში თითქოსდა სანთლისა და ლამპის ჯიბრზე. დონ პედროს რომელიღაც შორეული მამულიდან მხიარული ხმები მოისმოდა. პატიოში შადრევნის თქაფუნი და ყვავილების სურნელი საამოდ ეფინებოდა ოთახს.
გაუსაძლისი სიჩუმე კარგა ხნით ჩამოვარდა. ორივეს უჭირდა საუბრის წამოწყება. საკუთარი გრძნობების გამომჟღავნება მათ ისევე ეძნელებოდათ, როგორც ახლა ჩვენ გვეძნელება ყოველივე ნათქვამის გადმოცემა, მაგრამ რას ვიზამთ, უნდა დავიწყოთ... დაე, თვითონ გაარკვიონ ყველაფერი ერთმანეთში, ჩვენ კი ზედმიწევნით ზუსტად გადმოგცემთ მათ საუბარს.
– როგორც იქნა, ინებეთ და გამგზავრებამდე გამოსამშვიდობებლად მოხვედით. მე უკვე აღარ მქონდა თქვენი მოსვლის იმედი, – წამოიწყო პეპიტამ.
როლი, რომელიც დონ ლუისს უნდა შეესრულებინა, არ იყო იოლი საქმე. გამოცდილ–გამობრძმედილი ადამიანებიც კი როშავენ ხოლმე სისულელეებს ასეთი საუბრისას. ასე რომ, მკაცრად ნუ განვსჯით ახალბედა ყმაწვილს იმის გამო, რომ მისი პასუხი სწორედ რომ სისულელით დაიწყო.
– უსამართლოდ მსაყვედურობთ, – თქვა დონ ლუისმა, – გამოსამშვიდობებლად მამაჩემთან ერთად მოვედი, მაგრამ თქვენი ნახვის ბედნიერება არ მოგვეცა, არ მიგვიღეთ, რადგან შეუძლოდ იყავით. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვითხრეს. მას შემდეგ დღე არ გასულა, თქვენი ამბავი არ გვეკითხა. ძალიან გაგვიხარდა, რომ გამოკეთდით. ამჟამად როგორ ბრძანდებით?
– მთლად კარგად არა, მაგრამ არა მიშავს. როგორც ჩანს, მამათქვენმა გამოგგზავნათ ელჩად. არ მინდა, ჩემს ძვირფას მეგობარს გული ვატკინო, გადაეცით, რომ უკეთ ვარ. უცნაურია, რომ მარტო მოხვედით. დონ პედრომ ალბათ ვერ მოიცალა, თორემ უსათუოდ წამოგყვებოდათ.
– სენიორა, მამაჩემმა არაფერი იცის ამ ვიზიტის შესახებ. მარტო იმიტომ მოვედი, რომ ჩემი გამომშვიდობება იქნება საზეიმო, სერიოზული, შესაძლოა, ბოლოც. რაც შეეხება მამაჩემს, ის აქ არ არის, რამდენიმე კვირაში დაბრუნდება. მე კი, შესაძლოა არც აღარასოდეს გამოვჩნდე. და თუკი გამოვჩნდები, მე უკვე სხვა ვიქნები.
პეპიტა თავს ძლივს იკავებდა. ოცნებად ქცეული, ბედნიერი მომავალი ჩრდილივით უქრებოდა თვალსა და ხელს შუა. მისი ურყევი მცდელობა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, დაემარცხებინა ეს კაცი – ერთადერთი, ვინც ასე ძალიან უყვარდა – ამაო გამოდგა. დონ ლუისი მიემგზავრება. ახალგაზრდობა, სილამაზე, პეპიტას სიყვარული – მას არაფრად უღირს. ნუთუ ოცი წლის სიცოცხლით სავსე ულამაზესი პეპიტა სამუდამო ქვრივობისთვის, მარტოობისთვის, ცალმხრივი სიყვარულისთვის იყო განწირული? ის ხომ სხვას ვეღარავის შეიყვარებს?! მაგრამ დაბრკოლებები პეპიტას უფრო უმძაფრებდა წინააღმდეგობის სურვილს. საკმარისი იყო რაიმე ჩაეფიქრა, არ მოეშვებოდა, ვიდრე არ მიაღწევდა საწადელს. და აი, ახლაც მისმა ბუნებამ თითქოს ხუნდებისგან საბოლოოდ დაიხსნა თავიო, მთელი ძალით ამოხეთქა: პეპიტამ მტკიცედ გადაწყვიტა – ამ ბრძოლაში ან მოკვდება ან გაიმარჯვებს! საზოგადოებრივი პირობითობანი – მაღალ საზოგადოებაში ღრმად ფესვგადგმული მოჩვენებითობა, გრძნობების მიჩქმალვა, მათი თხელ საბურველში გახვევა, ამოხეთქილი ვნებების ჩასაცხრობად კაშხალის აღმართვა, ქარაგმული გამონათქვამები – ვერ შეაჩერებდა პეპიტას, რომელიც ნაკლებად ურთიერთობდა ადამიანებთან. მისთვის საშუალო არ არსებობდა, ყველაფერში უკიდურესობამდე მიდიოდა: ჯერ ბრმად დაემორჩილა დედას და ქმარს, მერე დესპოტურად მბრძანებლობდა გარშემომყოფთ. აი, ამიტომაც გადაუხსნა საკუთარი თავი დონ ლუისს, წარუდგა ისეთი, როგორიც იყო. მისი სული მისსავე სიტყვებში გაცხადდა მთელი

თავისი ბუნებრიობით, გაშიშვლებული, მაგრამ ამავდროულად ხორცშესხმული აზრებითა და გრძნობებით. პეპიტა ალაპარაკდა არა ისე, მაღალი წრის ქალებს რომ სჩვევიათ – მიკიბულ-მოკიბულად, არამედ იდილიური უშუალობით, როგორც ქლოა ელაპარაკებოდა დაფნისს...

პეპიტამ თქვა:
– როგორც ჩანს, უარს არ ამბობთ თქვენს განზრახვაზე. დარწმუნებული ხართ, რომ მართლა გსურთ მღვდლობა? არ გეშინიათ, ცუდი მღვდელი რომ გამოდგეთ? სენიორ დონ ლუის, ვეცდები ძალა მოვიკრიბო და სულ რაღაც წამით დავივიწყო, რომ მე მხოლოდ ერთი უბრალო სოფლელი ქალი ვარ. გვერდით გადავდებ ჩემს გრძნობებს და შევეცდები ვილაპარაკო ისე მშვიდად, თითქოს ჩემთვის უმნიშვნელო საქმეს ვეხებოდე. იმას, რაც მოხდა, შეიძლება ორგვარად მივუდგეთ, მაგრამ როგორც არ უნდა მივუდგეთ, თქვენ აღმოჩნდებით არასახარბიელო მდგომარეობაში. ახლავე აგიხსნით: თუ ახალგაზრდა ქალმა მოახერხა და თითქმის გაცნობისთანავე, ორ-სამჯერ შეხვედრისას, აგაღელვათ თავისი – უნდა ითქვას, არცთუ კარგად გაწაფული კოკეტობით და მიაღწია იმას, რომ თქვენი მზერა აავსო მიწიური სიყვარულით, რომელიც სინაზის გამოხატულებითაც დაადასტურეთ – ეს უკვე გადაცდომაა ნებისმიერი ადამიანისათვის. და მით უმეტეს, მღვდლისათვის – თანაც, თუ ეს ქალი მხოლოდ და მხოლოდ უბრალო, გაუნათლებელი, უნიჭო, დაუხვეწავი პროვინციელია, მაშინ როგორ არ უნდა გეშინოდეთ საკუთარი თავისა, როცა დიდ ქალაქებში მოგიწევთ ათასჯერ უფრო სახიფათო ქალების გაცნობა, მათთან სტუმრობა, შეხვედრები თქვენს სახლშიც... უბრალოდ, ჭკუიდან შეიშლებით, როცა ახლოს გაიცნობთ მათ. ისინი სასახლეებში ცხოვრობენ, ჩაფლული არიან აბრეშუმებსა და მაქმანებში და არა ჩითსა და ტილოში; თვალს მოგჭრით მოშიშვლებულ – აბა, სოფლური თავსაფრით ხომ არ დაიფარავენ გულ-მკერდს? – თოვლივით ქათქათა მხრებსა და ყელზე მოციმციმე ალმასები და მარგალიტები. ამ ლამაზმანებს ხელეწიფებათ ერთი შემოხედვით დაგჭრათ გულში; დიდებულებს და გაფუფუნებულებს კაცების ამალა დასდევთ და უფრო სასურველი ხდებიან, რადგან მიუღწეველნი ჩანან. ისინი საუბრობენ პოლიტიკაზე, ფილოსოფიაზე, ლიტერატურაზე, რელიგიაზე; იადონებივით მღერიან, ხშირად დგანან გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე, მათ აღმერთებენ, ეთაყვანებიან ცნობილი ადამიანები, ლამის ცამდე აჰყავთ ოქროსფრად მბზინავ სალონებში, ან უცხო თვალს მოფარებულ ბუდუარებში, სადაც ყველაფერი ნეტარებით სუნთქავს და სადაც მხოლოდ მოკვდავთა შორის უბედნიერესებს აქვთ იქ ყოფნის შესაძლებლობა. ესენი არიან დიდებული წარმომავლობის, მაღალი ტიტულების მქონე ქალბატონები, რომლებიც მხოლოდ შინაურებისთვის არიან "პეპიტა", "ანტონიეტა" ან "ანხელიტა", თორემ სხვებისთვის "მისი ბრწყინვალება სენიორა გრაფინია" ან "მისი ბრწყინვალება სენიორა მარკიზა" ბრძანდებიან. თუ მღვდლად კურთხევამდე – რისკენაც ასე გულდაგულ ისწრაფით – სულ რაღაც სამი-ოთხი დღით ადრე მოგხიბლათ უბრალო პროვინციელმა ქალმა – ვისი წუთიერი გატაცების გამო კინაღამ გამარჯვებულად მიიჩნიეთ თავი – მაშინ შეიძლება ითქვას, რომ თქვენ იქნებით ცერცეტი მღვდელი, რომელსაც ამქვეყნად ყველაზე მეტად იზიდავს მაღალი საზოგადოების ცხოვრება და ხშირად ავიწყდება, რომ მღვდელია. ასეთ შემთხვევაში, სენიორ დონ ლუის, დამიჯერეთ, არ გეწყინოთ, თქვენ ვერც კარგი ქმარი იქნებით, პატიოსანი ცოლისთვის. თუ თქვენ შეგიძლიათ ქალს ხელი ჩამოართვათ უგონოდ შეყვარებული კაცის სინაზით, თუ თქვენ შეგიძლიათ ერთ გამოხედვაში ჩაატიოთ სამოთხე და მარადიული სიყვარული, რასაც შეჰპირდით ქალს, თუ თქვენ შეგიძლიათ აკოცოთ ქალს, რომელმაც თურმე მხოლოდ ვნება აღგიძრათ და არა სიყვარული, რადგან ვნებას ვერ დაარქმევ სიყვარულს – მაშინ შეგიძლიათ წაბრძანდეთ,

გზა ხსნილი გაქვთ, ნუ შეირთავთ მას ცოლად. თუ ის კარგი ქალია, თვითონ არ ისურვებს თქვენს ცოლობას, თუნდაც საყვარლობას. თქვენ კი, თუ ღმერთი გწამთ, მოეშვით მღვდლობაზე ფიქრს. ეკლესიას სერიოზული, დინჯი, სულით მტკიცე მსახურები სჭირდება. თუ თქვენ ძლიერი გრძნობა გაგიჩნდათ იმ ქალის მიმართ, ვისზეც ვსაუბრობთ, მაშინ რატომ ტოვებთ მას, რატომ ატყუებთ ასე სასტიკად, თუნდაც არ ყოფილიყო ის თქვენი სიყვარულის ღირსი? თუკი მან შეძლო თქვენს გულში აღეძრა დიდი გრძნობა, როგორ გგონიათ, მან არ განიცადა იგივე, არ გახდა მისი მსხვერპლი? როგორ შეიძლება უპასუხოდ დარჩეს დიდი, ამაღლებული სიყვარული?

ნუთუ სიყვარული არ ტანჯავს, არ აწამებს იმ კაცს, ვისზეც ეს სიყვარული გადმოდინდება? ნუთუ არ გიფიქრიათ, რა მოუვა იმ ქალს, თუ მიატოვებთ? აღმოაჩნდა მას საკმარისი გამბედაობა და მონდომება, ბრძნული წიგნების ზეგავლენით მოიხიბლოს მხოლოდ თქვენი დიდებით და იმ დიადი მიზნებით, რითაც ცხოვრობს და დუღს თქვენი სრულყოფილი სული, რომელიც დაგეხმარებათ იოლად, უმტკივნეულოდ დაივიწყოთ მიწიერი გრძნობა? ნუთუ არ გესმით, ქალი დარდით მოკვდება და თქვენ, ვისაც მოგიწევთ უსისხლო მსხვერპლის გაღება, სწორედ იმას გაიმეტებთ, ვისაც უსაზღვროდ უყვარხართ?..
– სენიორა, – დონ ლუისი მღელვარების დაოკებას ცდილობდა. ცდილობდა, პეპიტას არ შეემჩნია მის ხმაში შეპარული კანკალი, – მეც მიწევს თავშეკავება, არ მინდა საწინააღმდეგო აზრი გამოვთქვა იმ კაცის გულგრილობით, კამათის დროს არგუმენტებს არგუმენტებითვე რომ პასუხობს ხოლმე, მაგრამ ბრალდება ისე დასაბუთებულად და (მომიტევეთ, ამას რომ გეუბნებით) იმდენად სოფისტურად არის ჩამოყალიბებული, რომ იძულებული ვარ უარვყო ეს ბრალდება მსჯელობის მოშველიებით. მართალი გითხრათ, არ მეგონა, აქ მოსულს კამათი და ჩემი მოკლე ჭკუის დაძაბვა თუ მომიწევდა, მაგრამ თქვენი სიტყვების შემდეგ მეც უნდა ვთქვა ჩემი სათქმელი, თუ არ მსურს ურჩხულად მომიხსენიონ. გიპასუხებთ სასტიკი დილემის ორივე მხარეზე, რომელიც თქვენ მოიგონეთ ჩემ სასაყვედუროდ.
თუმცა მე ბიძაჩემმა, ეკლესიის წინამძღვარმა, გამზარდა და სემინარიაში ვსწავლობდი, სადაც ქალი არასოდეს მინახავს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ უბადრუკი წარმოსახვების კაცი ვარ, რომ მშვენიერების, მომხიბვლელობის და, საერთოდ, ქალების აღქმა-შეფასება არ შემიძლია. პირიქით, ჩემი წარმოდგენა ქალებზე ყოველთვის აჭარბებდა სინამდვილეს. ბიბლიური ფსალმუნებისა და საერო ლექსებით აღგზნებულს ქალები მომეტებულად სრულქმნილები, დახვეწილები და ჭკვიანები წარმომედგინა. ყველას როდი აქვს ასეთი წარმოსახვები ქალებზე. ძალიანაც კარგად წარმომიდგენია, ლამაზ ქალს მეტ მშვენებას რომ სძენს ძვირფასი სამკაულები, ძვირფასი ტანსაცმელი, კულტურა, ერთი სიტყვით, რაც კი შეუქმნია ადამიანის ხელსა და გონს. ისიც კარგად ვიცოდი, როგორ ამდიდრებს, ხვეწს, აღამაღლებს მანდილოსნებს ახალი ურთიერთობები ცნობილ მეცნიერებთან, წიგნების კითხვა, აყვავებულ ქალაქებში ძველი, დიდებული შენობებისა და ქანდაკებების ნახვა. ამ ყველაფერს ისე კარგად ვხედავდი ჩემს წარმოსახვაში, ისეთი ლამაზი შარავანდედით ვმოსავდი, რომ თუ ბედად მიწერია შევხვდე იმ ქალებს – ვისზეც თქვენ მელაპარაკებოდით და კარგად გავიცანი – ნუ ღელავთ, ჭკუას არ დავკარგავ და არა მხოლოდ არ გავხდები მათი თაყვანისმცემელი, როგორც თქვენ წინასწარმეტყველებთ, შესაძლოა გულიც ამიცრუვდეს, როცა დავინახავ, რამოდენა ზღვარიცაა ჭეშმარიტსა და წარმოსახვას, სინამდვილეს და ფანტაზიას შორის...
– აი, ვინ მსჯელობს სოფისტურად, დიახაც, თქვენ! – სიტყვა გააწყვეტინა პეპიტამ, – ის, რასაც თქვენ ხედავთ თქვენს წარმოსახვაში, იმაზე მეტად მშვენიერია, ვიდრე ცხოვრებაში არსებული, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ რეალობა ცდუნების

გაცილებით მეტ შანსს ფლობს, ვიდრე ეს ამქვეყნიურ ოცნებებსა და წარმოსახვებშია. რაც არ უნდა მშვენიერი იყოს ნისლოვანი ჰაეროვნება, ვერაფრით შეედრება იმას, რაც უშუალოდ მოქმედებს ჩვენს გრძნობებზე. მე მესმის, რომ ღვთისმოსავ ხატებას შეუძლია თქვენს სულში გააქროს ამქვეყნიური სიზმრები, მაგრამ, ვფიქრობ, ამქვეყნიური სინამდვილის გაქრობას ვერ შეძლებს.
– თქვენ ნუ გეშინიათ, სენიორა, – შეეპასუხა დონ ლუისი, – ჩემი ფანტაზიის ქმნილებები ამქვეყნიურ ყველა შეგრძნებასა და აღქმაზე ნათელია, ოღონდ – თქვენი გამოკლებით.
– რატომ ჩემი გამოკლებით? ეს რაღაც ახალ ეჭვს მიჩენს. იქნებ თქვენ მიერ წარმოსახული ჩემი ხატება ის ხატებაა, თქვენ რომ ასერიგად გიყვართ, თქვენი ფანტაზიის ნაყოფია, ოცნებაა და მე სრულებითაც არ მგავს?

– არა, ასე არ არის, ეს ხატება ნამდვილად თქვენ ხართ. ის ალბათ ჩემთან ერთად დაიბადა, ჩემს სულში ჩასახლდა იმ წამს, რა წამსაც ღმერთმა შექმნა სამყარო, ის ალბათ ჩემი არსის ნაწილია, ყვავილთა სურნელია, სპეტაკი და სრულქმნილია.
– სწორედ ამის მეშინოდა! აი, ახლა, ამ წუთს თავად აღიარეთ, რომ თქვენ მე არ გიყვარვართ. თქვენ გიყვართ თქვენივე არსი, თქვენ გიყვართ საკუთარი სულის სურნელი და სისპეტაკე, ჩემი სახით.
– კმარა, პეპიტა, ნუ მეთამაშებით, ნუ მაწვალებთ. მე თქვენ მიყვარხართ ისეთი, როგორიც ხართ, მაგრამ ჩემთვის ძვირფასი ხატებაც მშვენიერი, სპეტაკი და ნაზია... ვერც კი გავიგე, ისეთი ძალით დაიპყრო ჩემი გრძნობები, შემდეგ გონებამდეც მოაღწია... თუმცა რას ვამბობ, ის ხატება ჩემში იყო დასაბამიდან, სულ ჩემთან იყო, ისევე როგორც ღვთისადმი რწმენა. ჟამთა სვლაში გაიღვიძა, გაღვივდა, გამითბო სული. ის ცოცხალი არსებაა, უმშვენიერესია... მწამს ღმერთის არსებობა, მწამს თქვენი არსებობაც, და ვიმეორებ: ათასგზის უკეთესი ხართ, ვიდრე ჩემს სულში დავანებული თქვენი ხატება.
– კიდევ მაქვს ერთი ეჭვი. ამ აზრს რომ გამოხატავთ, ალბათ გულისხმობთ ზოგადად ქალს და არა კონკრეტულად, მე.
– არა, პეპიტა, ქალის ხიბლი, სინაზე და სპეტაკი სული – ეს ყველაფერი უფრო ადრე შემოიჭრა ჩემს წარმოსახვაში, ვიდრე თქვენ გნახავდით. ვერც ერთი მადრიდელი ჰერცოგინია და მარკიზა, მსოფლიოს ვერც ერთი იმპერატრიცა, ვერც ერთი დედოფალი და პრინცესა ვერ შეედრებოდა ჩემს იდეალურ, ფანტასტიურ ქმნილებებს. ყრმობის წლებამდე მათ გვერდთი ვცხოვრობდი დიდებულ ციხე-კოშკებში, მდიდრულად მორთულ დარბაზებში. საკუთარი ახირების მიხედვით ავავსე ჩემი წარმოსახვითი სივრცე ლაურებით, ბეატრიჩებით, ჯულიეტებით, მარგარიტებით, ელეონორებით, ბერძენ და რომაელ პოეტთა გულთამპყრობელი ქალბატონებით. მე მათ აღმოსავლურ დიადემებს ვადგამდი თავზე, ძოწეულით, ოქროთი ვმოსავდი, სულამითისა და რებეკას პატრიარქალური ხანის ბუკოლიკურ უბრალოებასაც ვაჩვევდი. რუთის თავმდაბლობასა და ღვთისმოსაობაზე ვუამბობდი. ამ ყოველივეს ისეთი მონდომებით ვუყვებოდი მათ, რომ მჭევრმეტყველებაში, მგონი, სახელგანთქმულ ძველ ბერძენ ჰეტერას – ასპაზიასაც კი გადავაჭარბე. ჩემს წარმოსახვებში მე მათ დიდ სიმაღლეებს ვაზიარებდი, სახელოვანი წინაპრების შარავანდედში ვხვევდი, თითქოს ძველი რომის პატრიოტთა წარმომავლობის ამაყი, კეთილშობილი მატრონები იყვნენ. ჩემს წარმოსახვებში მე მათ ვამსგავსებდი ლუი XIV-ის დროინდელ ვერსალის სასახლის კარის თამამ, კეკლუც არისტოკრატ ქალბატონებს, მე მათ ვმოსავდი უბიწოების გრძელი, ფართო სამოსელით, რომელთა ჰაეროვან ნაოჭებს მიღმა იგულისხმებოდა მშვენიერი სხეულის პლასტიკური სრულყოფილება. მოვარდისფრო თეთრად მანათობელ მხრებზე ათენისა და კორინთოს

კურტიზანი ქალების გამჭვირვალე ქლამიდებს ვახვევდი. მაგრამ რა ფასი აქვს აღფრთოვანებულ გრძნობათა ღელვას, სამყაროს დიდებასა და დიდებულებას, თუ სული იწვის ღვთიური სიყვარულით – შესაძლოა ჩემი მეტისმეტი პატივმოყვარეობა მაფიქრებინებდა ასე – სული ჩემი იწვოდა. მიწის წიაღიდან მოულოდნელად რომ ამოვარდება ცეცხლი და თავის კვალდაკვალ უზარმაზარ კლდეებსა და მთებს ჰაერში ატყორცნის, საშინელი აფეთქების ხმაზე მიწისქვეშეთი საზარლად რომ დააღებს ხახას ან ვულკანიდან ცხელი ლავა გადმოიღვრება, ჩემმა სულმაც ასე იხსნა თავი ტყვეობიდან: ის შექმნილ სილამაზეს ჰყავდა ტყვეობაში, არ ანებებდა ფრენას ღმერთისაკენ. არა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ უვიცობის გამო ვთქვი უარი ტკბობაზე, სიამეზე. თავდავიწყებაზე. ეს ყველაფერი ვიცოდი და უფრო მეტადაც ვაფასებდი, ვიდრე სინამდვილეში ფასობდა, მაგრამ მე ის შევიძულე სხვა ტკბობის, სხვა სიამის, სხვა თავდავიწყების გამო. ქალისადმი მიწიერ სიყვარულში არა მარტო მართლაც რომ დიდ მიმზიდველობას ვხედავდი, არამედ თითქმის გადაულახავ, ყველაზე დიდ საფრთხეს – ცდუნებასაც, რომელსაც მორალისტები უბიწობას ეძახიან: გონება, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ცდუნებული ცოდნით, ფიქრობს, რომ სასიყვარულო ხვევნა-ალერსი მას მოუტანს უმაღლეს, შეუდარებელ ტკბობას; მას შემდეგ, რაც თავი მახსოვს, მას შემდეგ, რაც კაცი გავხდი – მე ხომ დიდი ხანია აღარ ვარ ყმაწვილი – ჩემი სული, რომელმაც შეიყვარა სილამაზის პირველსახე, მიიწევს უმაღლესი ტკბობისკენ და უარყოფს მიწიერ ჭეშმარიტებას, მის გამკრთალ ჩრდილს. მსურდა მოვმკვდარიყავი საკუთარ თავში, რათა მეცოცხლა საყვარელ ადამიანში, გამეთავისუფლებინა არა გრძნობა, არამედ სულის შინაგანი ძალები ამქვეყნიური ჩვევებისგან, სახეებისგან, სურათებისგან და მხოლოდ ამის შემდეგ მქონოდა უფლება მეთქვა, მე კი არ ვცხოვრობ, არამედ ქრისტე ცხოვრობს ჩემში. როგორც ჩანს, მეტისმეტი ქედმაღლობისა და თავდაჯერებულობის ცოდვაში გადავეშვი და ღმერთმაც გადაწყვიტა ჩემი დასჯა: გამოჩნდით თქვენ, სწორი გზიდან გადამახვევინეთ, დავიბენი და ახლა გამოდიხართ და მე მსაყვედურობთ, დამცინით, ბრალს მდებთ ქარაფშუტობაში, და არა მარტო მე, არამედ საკუთარ თავსაც შეურაცხყოფთ, რაკი გგონიათ, რომ მე შემიძლია ავყვე ცდუნებას ნებისმიერი ქალის გულისთვის. არ მსურს საყვედური დავიმსახურო, არ მსურს სიამაყე დავთმო თავის დასაცავად. მე თავმდაბლობა, მორჩილება მმართებს. რაკი ღმერთმა პატივმოყვარეობა არ მაპატია, მაშასადამე ჩემი მერყეობა და დაცემა სულმდაბლობას მიეწერა. მაგრამ ჩემმა გონებამ – თუნდაც გზააბნეულმა – იცის, რომ ეს ასე არ არის; თუ გსურთ დაარქვით ამას მოუთოკავი პატივმოყვარეობა, როგორც გენებოთ,

– თუ ეს წინასწარ იყო გაწერილი და განსაზღვრული, – სიტყვა შეაწყვეტინა პეპიტამ, – რატომ არ ემორჩილებით მას? გაიღეთ მსხვერპლად თქვენი გადაწყვეტილება ჩვენი სიყვარულისთვის! განა მე მსხვერპლად არ ვწირავ საკუთარ თავმოყვარეობას, ღირსებას, კდემას? მეც მანამდე შეგიყვარეთ, ვიდრე გნახავდით. მიყვარხართ მთელი გულით, მთელი არსებით. უთქვენოდ ჩემთვის არ არსებობს ბედნიერება. რა თქმა უნდა, თქვენ ვერ იპოვით ჩემს მოკრძალებულ სულში ისეთ ძლიერ მეტოქეს, როგორსაც მე შევხვდი თქვენს სულში. ვერც აზრებით, ვერც ნებით, ვერც სიყვარულით შევძლებ ღმერთამდე ამაღლებას. ვერც საკუთარი ბუნება, ვერც ზეციური წყალობა გამაბედვინებს პატარა სურვილსაც კი, ავაღწიო ასეთი სიმაღლის სფეროებში. და მაინც სულით ღვთისმოსავი ვარ, მიყვარს, ვეთაყვანები ღმერთს, მაგრამ მე ვხედავ მის ყოვლისშემძლეობას და აღმაფრთოვანებს მისი სიკეთე მხოლოდ საკუთრივ მისსავე საძერწ ქმნილებებში. სულაც არ მსურს, ჩემი წარმოსახვები დავამძიმო ისეთი ფანტასტიკური ხილვებით, თქვენ რომ მიამბობდით. მე ვოცნებობდი, მხოლოდ ერთი კაცისთვის მიმეძღვნა საკუთარი თავისუფლება. ის ჩემთვის ყველაზე ლამაზი, ჭკვიანი, სუფთა და და გულწრფელია,

ვიდრე ყველა ის მამაკაცი, ჩემზე დაქორწინება რომ სურდათ აქაც და მთელ ოლქში; ვოცნებობდი ყველაზე კეთილშობილ, ყველაზე ღირსეულ ადამიანზე იმ იმედით, რომ შემიყვარებდა. ეს ადამიანი იყავით თქვენ. მე ეს ვიგრძენი ჯერ კიდევ მაშინ, როცა თქვენი ჩამოსვლის შესახებ მაცნობეს, ხოლო გაგებით მაშინ გავიგე, როცა პირველად გნახეთ. ჩემმა წარმოსახვებმა არ გაამართლა: ჩემი შექმნილი ხატება სულ არ გგავთ თქვენ. მეც ვკითხულობ მოთხრობებს, ლექსებს, მაგრამ წაკითხულიდან რაც მეხსიერებასაა შემორჩენილი, ამათგან ვერა და ვერ შევქმენი ისეთი სახე, თუნდაც ერთი მისხალით ყოფილიყო თქვენზე ღირსეული. ხოლო როცა ამას მივხვდი, მაშინვე ვაღიარე დამარცხება. თუ სიყვარული ის არის, რასაც თქვენ ამბობთ, თუ სიყვარული ნიშნავს სიკვდილს შენში, რათა იცოცხლო საყვარელ ადამიანში, მაშინ შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი თქვენდამი გრძნობა რაკი ჭეშმარიტია, მე მოვკვდი ჩემში, რათა ვიცოცხლო მხოლოდ თქვენში და მხოლოდ თქვენთვის. შემდგომში, რაკი ჩემი თქვენდამი სიყვარული უპასუხოდ მივიჩნიე, ვეცადე გავთავისუფლებულიყავი მისგან, მაგრამ ვერ შევძელი. ვემუდარებოდი ღმერთს, ან გადავერჩინე ამ სიყვარულისგან ან მოვეკალი, მაგრამ ღმერთმა არ შეისმინა ჩემი მუდარა. ღვთისმშობელ მარიამსაც შევთხოვე, ამოეძირკვა თქვენი სახე ჩემი გულიდან, მაგრამ ამაოდ. აღთქმაც კი დავდე იმ წმინდანის წინაშე – ვისი სახელიც მქვია

– რომ დაგივიწყებდით და ვიფიქრებდი თქვენზე ისე, როგორც ის ფიქრობდა თავის კურთხეულ ცოლზე. ვერც მან მიშველა. ბოლოს ისე გავკადნიერდი, ზეცას შევთხოვე დამხმარებოდა: თქვენ გეთქვათ უარი მღვდლობაზე და ისეთივე დიდი სიყვარულით შეგყვარებოდით, როგორც მე მიყვარხართ. დონ ლუის, გულახდილად მითხარით, ნუთუ ამ თხოვნასაც არ შეისმენს ზეცა? ჩემი უბადრუკი, სუსტი სულისთვის ხომ პატარა სიყვარულიც საკმარისია. თქვენს ძლიერ სულს კი – რომელსაც თავად უზენაესი იცავს ურყევად – სიყვარულიც ძლიერი სჭირდება, მე, უღირსი კი, ვერც თავს შეგაყვარებთ ძალით. და საერთოდაც, გამიჭირდება ამგვარი სიყვარულის გაზიარებაც და გაგებაც.

– პეპიტა, – უპასუხა დონ ლუისმა, – თქვენი სული სულაც არ არის ჩემს სულზე სუსტი, მაგრამ თავისუფალია მოვალეობისგან. ჩემი კი არ არის თავისუფალი. სიყვარული, რომელსაც თქვენ მიმართ განვიცდი, დიდზე დიდია, მაგრამ მას მეტოქეობას უწევს ჩემი მოვალეობა, ჩემი ცხოვრების მიზანი – ჩემი აღთქმა, რაიც სულ მალე აღსრულდება. მინდა ყველაფერი ისე გითხრათ, გული არ გატკინოთ: თქვენი ჩემდამი სიყვარული სულაც არ გამცირებთ, მე კი პირიქით. თუ თქვენს სიყვარულს დავემორჩილები, დავმცირდები და დავეცემი კიდეც. მომიწევს შემოქმედის მიტოვება. მისი ქმნილების გამო, მომიწევს ქარს გავატანო წლობით ნაცნებარი მიზანი ცხოვრებისა, გულში ჩავიმსხვრიო ქრისტეს ხატება. თუ ამ ყველაფერს დავთმობ, დაიკარგება დიდი ძალისხმევის ფასად შექმნილი "ახალი ადამიანი", რომელიც შესაძლოა კვლავ დაბრუნდეს ადრინდელივით ცოდვებით სავსე. მე არ დავეცემი, არ დავბრუნდები საძულველ ბიწიერ სამყაროში. იქნებ თქვენ აღმაღლდეთ ჩემამდე თქვენი უმანკო გრძნობების ძალის შეწევნით. რატომ არ შეიძლება გვიყვარდეს ერთმანეთი შეუცოდავად, უბიწოდ? ღმერთი თავისი ცეცხლოვანი სიყვარულით შეიჭრება წმინდა სულებში და აღავსებს მათ. როგორც ლითონი იღვრება ქურიდან და კვლავ ლითონად რჩება – ოღონდ ახლა ცეცხლივით თვალისმომჭრელად ლაპლაპებს – ჩვენი სულებიც, ღვთაებრივი სიყვარულით გაცისკროვნებულები, აღივსებიან ღმერთით, რამეთუ თავად არიან – ღმერთი. ავუყვეთ სულიერად შეკრულები ამ ძნელ მისტიკურ კიბეს, დაე, აღმაღლდეს ჩვენი სულები ნეტარებამდე, სადაც სიკვდილში სიცოცხლეც არის შესაძლებელი, მაგრამ ჩვენი სხეულები უნდა დაშორიშორდეს, მე გავემართები იქით, საითაც მიხმობს ჩემი მოვალეობა, ჩემი აღთქმა და ხმა მაცხოვრისა, მე ვარ მორჩილი მისი და მსახური მისი.

– აჰ, სენიორ დონ ლუის, – პეპიტას ხმაში სასოწარკვეთა და სინდისის ქენჯნა გამოერია. – ახლა უკვე ვიცი, რა უხარისხო ლითონისაგან ვარ ჩამოსხმული, სირცხვილს დავივიწყებ და ყველაფერს გეტყვით გულახდილად: მე დიდი ცოდვილი ქალი ვარ. ჩემი უხეში, გაუნათლებელი სულისთვის გაუგებარია ყოველგვარი ხრიკი, ახსნა-განმარტება და სიყვარულის წვრილმანები. ჩემი ჭირვეული ბუნებისთვის მიუღებელია ის, რასაც თქვენ მთავაზობთ. ვერაფრით წარმოგიდგენთ უხორცოს. ჩემთვის თქვენ ხართ თქვენი ტუჩები, თვალები, შავი ხუჭუჭა თმა – განა შემიძლია მას ხელი არ გადავუსვა?! – თქვენი ტკბილი, თბილი ხმა, რომელიც საამოდ წვდება ჩემს ყურთასმენას და მაჯადოებს, მთელი თქვენი სხეული მატყვევებს, მიზიდავს, სული კი, უჩინარი და იდუმალი, ალბათ სადღაც ამ სხეულს მიღმა დაფარფატებს ჰაერში. ჩემი მარტივი ბუნებისთვის უცხოა უცნაური აღმაფრენები; ვერაფრით გამოგყვებით იმ სიმაღლეზე, ღრუბლებს იქითა სამყაროში. თუ თქვენ ახვალთ, მე აქ დავრჩები, მიწაზე, მარტოსული და გულდამძიმებული. მირჩევნია მოვკვდე, მინდა მოვკვდე, იქნებ ჩემმა სულმა სიკვდილის შემდეგ მაინც გაწყვიტოს სამარცხვინო ჯაჭვი და გაიზიაროს ის სიყვარული, რომელიც თქვენ გსურთ ჩვენთვის, ორივესთვის. ჰოდა, მომკალით, რათა ჩემი ბორკილდახსნილი სული გამოგყვეთ ყველგან... უჩინარივით აგედევნებათ, გვერდიდან არ მოგშორდებათ, დაიცავს თქვენს ძილს, სიმშვიდეს, თქვენი ჭვრეტით გაიხარებს, თქვენს იდუმალ ფიქრებს ჩასწვდება, მაგრამ ვიდრე ცოცხალი ვარ, ეს არ მოხდება. მე თქვენ მიყვარხართ, მიყვარს არა მხოლოდ სული თქვენი, არამედ სხეულიც და მისი ჩრდილიც, თქვენი ანარეკლი სარკეში, წყალში, თქვენი სახელი, თქვენი სისხლი – და ყველაფერი ის, რაც ერთობლივად ქმნის დონ ლუის დე ვარგასს; ხმა, მოძრაობა, სიარული – აღარ ვიცი, რა დავამატო კიდევ... უნდა მომკლათ, არ შემიცოდოთ... არა, მე ქრისტიანი არ ვარ, მე ერთი კერპთაყვანისმცემელი მატერიალისტი ვარ.
პეპიტა რაღაც წამს გაჩუმდა. მდუმარედ იჯდა დონ ლუისიც, რადგან არ იცოდა რა ეთქვა. ახალგაზრდა ქალს ცრემლი ღვარად სდიოდა სახეზე.
– ვიცი, გძულვართ და მართალიც ბრძანდებით. თქვენი ჩემდამი სამართლიანი სიძულვილი უფრო მალე მომკლავს, ვიდრე ხანჯალი. თქვენ არც ხელები დაგესვრებათ სისხლში და არც სინდისის ქენჯნას იგრძნობთ... მშვიდობით, განთავისუფლებთ ჩემი საძულველი არსებობისგან... მშვიდობით სამუდამოდ...
პეპიტა წამოდგა, თავი არ აუწევია, ცდილობდა ცრემლით დანამული სახე დაემალა, უჭირდა თავის შეკავება, გაიქცა და გვერდით ოთახის კარს მძლავრად ჰკრა ხელი... დონ ლუისს უსაზღვრო სინაზე და თანაგრძნობა ჩაეღვარა გულში. სწორედ ეს აღმოჩნდა მისთვის საბედისწერო. უცბად შიშმა შეიპყრო, პეპიტამ არაფერი მოიწიოსო და გაეკიდა, მაგრამ ამაოდ – პეპიტა გაქრა სიბნელეში, თითქოს ვიღაც უჩინარმა ზებუნებრივი ძალით გააქანა წყვდიადში. დონ ლუისი ისარივით გავარდა პეპიტას მოსაძებნად.

კაბინეტი დაცარიელდა.
როგორც ჩანს, მამულში ზეიმი დამთავრდა. ირგვლივ ყოველივე ჩაყურსულიყო მდუმარებაში, მხოლოდ პატიოდან ისმოდა შადრევნის ჩუხჩუხი.
ნიავიც არ უბერავდა. არაფერი არღვევდა ღამის მშვიდ ძილს, მხოლოდ მთვარის სხივები და ყვავილთა სურნელი შემოდიოდა ღია ფანჯრებიდან.
დრო მიდიოდა. დონ ლუისი სიბნელიდან გამოვიდა, სახეზე სასოწარკვეთილება ეხატა, იუდას სასოწარკვეთილება.
სავარძელში ჩაეფლო, იდაყვებით მუხლებსდაყრნობილმა სახე დამუშტულ ხელებში მოიქცია და მთელი ნახევარი საათი გაუნძრევლად იჯდა ჩაძირული მწარე ფიქრებში.
ამ მდგომარეობაში მყოფი რომ ვინმეს დაენახა, ალბათ იფიქრებდა, დონ ლუისმა პეპიტა მოკლაო.

მაგრამ უეცრად გამოჩნდა ახალგაზრდა ქალი, რომელიც მთელი არსებით გამოხატავდა ღრმა წუხილს, თვალებდახრილი ნელა მიუახლოვდა დონ ლუისს და უთხრა:
– მართალია გვიან, მაგრამ მივხვდი, რა სასურველია ჩემი გული და რა სულმდაბლურია ჩემი საქციელი. თავის მართლებას არ შევეცდები, მაგრამ არ მინდა იმაზე ცუდი გეგონო, ვიდრე სინამდვილეში ვარ. არ იფიქრო, რომ მე მამოძრავებდა ვერაგობა, ანგარება, შენი დაღუპვა... დიახ, საშინლად მოვიქეცი, მაგრამ ეს უნებლიეთ მოხდა, ალბათ ეშმაკმა შემაცდინა. თუ ღმერთი გწამს, ნუ ინაღვლებ, შენ არაფერი დაგიშავებია, გონება დაგებინდა ცოტა ხნით, მეტი არაფერი. შენი ცოდვა უმნიშვნელოა, თუ ეს ცოდვაა საერთოდ. ჩემი ცოდვა კი საშინელია, მძიმეა, სამარცხვინოა. მე ახლა ნაკლებად ღირსი ვარ შენი სიყვარულისა, ვიდრე ადრე ვიყავი. გაემგზავრე, გთხოვ, გაემგზავრე. მოინანიე. ღმერთი მოგიტევებს ცოდვას, მღვდელი მოგიხსნის ყველაფერს, თუ რამ შეგიცოდავს. ამის შემდეგ შეგიძლია აღისრულო სურვილი – გახდე მსახური უფლისა. განწმენდილი და უმწიკვლო ცხოვრების წესით არა მხოლოდ საკუთარი წუთიერი სისუსტის გამოსყიდვას შეძლებ, არამედ ჩემს პატიებასაც შესთხოვ ზეცას, ამდენი უსიამოვნება რომ მოგაყენე. ჩვენ აღარაფერი გვაკავშირებს. თუკი ჩვენ შორის მაინც არსებობს რაიმე კავშირი, მე ვწყვეტ მას სამუდამოდ. შენ თავისუფალი ხარ. ისიც საკმარისია, ჩემ გამო დილის ვარსკვლავი რომ ჩამოვარდა ციდან. არ მსურს, არ შემიძლია ტყვეობაში ვამყოფო იგი. ჩემთვის ყველაფერი გასაგებია, შენს სახეზე ვკითხულობ, რომ ახლა უფრო მეტად გძულვარ, ვიდრე წინათ. მართალიც ხარ – აღარც ღირსება შემრჩა, აღარც სათნოება და აღარც სირცხვილის გრძნობა.
ეს თქვა თუ არა, პეპიტამ დაიჩოქა და შუბლით იატაკს შეეხო. დონ ლუისი გახევდა. რამდენიმე წამს ორივენი დათრგუნულები დუმდნენ.
პეპიტა კვლავ დაჩოქილი იდგა, აქვითინებულმა მიმართა დონ ლუისს:
– წადი, ლუის, არ დარჩე აქ საბრალო ქალის შეურაცხმყოფელი თანაგრძნობის გამო. მე მეყოფა ძალა გადავიტანო შენი რისხვა, შენი დავიწყება და შენი ჩემდამი სიძულვილიც, რომელიც მართლაც რომ დავიმსახურე. მე ყოველთვის ვიქნები შენი მონა, მაგრამ ვიქნები შორს, ძალიან შორს შენგან, რათა არ გაგახსენო ეს სამარცხვინო ღამე...
სასოწარკვეთილ ქვითინში ჩაიკარგა მისი ბოლო სიტყვები.
დონ ლუისი გამოერკვა გარინდებიდან, წამოდგა, ხელი მოხვია პეპიტას და მკერდზე მიიკრა, შემდეგ ნაზად გადაუწია ქერა კულულები და გზნებით დაუკოცნა მთელი სახე.

– სულო ჩემო... – როგორც იქნა ამოთქვა დონ ლუისმა. – ჩემო სიცოცხლევ, ჩემო გულის სანუჯევ, ჩემო თვალის სინათლევ! თავი ასწიე და არასოდეს დახარო ჩემ წინაშე. ეს ჩემი ცოდვაა და არა შენი. მე ერთი უნებისყოფო, უბადრუკი, სასაცილო ბრიყვი კაცი ვარ. სასაცილო ვარ ანგელოზებისთვისაც და ეშმაკებისთვისაც. ცრუწმინდანი აღმოვჩნდი, წინააღმდეგობისთვის ძალა არ მეყო, ვერ შევძელი შენი შეჩერება დროზე... ვერ გამიგია, რა მოგეწონა ჩემი, რით მოგხიბლე. მე არ ვიყავი ჭეშმარიტად სათნო ადამიანი. ყველა ჩემი სიტყვა ტრაბახა სემინარისტის ცარიელი ლაყბობა აღმოჩნდა. თავი მომქონდა, წმინდა წიგნები რომ მქონდა წაკითხული. მე რომ ჭეშმარიტი მორწმუნე ვყოფილიყავი, შენც შეგაჩერებდი, მეც შევიკავებდი თავს და ცოდვასაც არ ჩავიდენდით... ჭეშმარიტი სათნოება ურყევია. მიუხედავად შენი სილამაზისა, მიუხედავად შენი ნიჭიერებისა და ჩემდამი შენი სიყვარულისა, არაფრით არ შევცოდავდი, მღვდლობა რომ მართლა მდომოდა. ღმერთი ძლიერია და წყალობის თვალით გადმომხედავდა. მართალია, სასწაული უნდა მომხდარიყო, ზებუნებრივი სასწაული, რომ შენს სიყვარულზე უარი მეთქვა, მაგრამ ღმერთი მოახდენდა ამ სასწაულს, მე რომ ის დამემსახურებინა. შენ ამაოდ მირჩევ, მღვდელმსახურებაზე უარი არ ვთქვა. თვითონ ვაღიარე, რომ არ ვარ ამის ღირსი. ამქვეყნიურმა ამბიციურობამ

შემიპყრო, როგორც ნებისმიერ ადამიანს მოსდის ხოლმე... ეს რა ვთქვი? როგორც ნებისმიერ ადამიანს-მეთქი? უფრო უარესი: ფარისევლური, მკრეხელური და ანგარებიანი ამბიციურობა.
– ასე მკაცრად ნუ განსჯი საკუთარ თავს. – პეპიტა დამშვიდებული ჩანდა, ცრემლიან თვალებში ღიმილი უკრთოდა. – არ მინდა ასე ლანძღავდე საკუთარ თავს. ეტყობა, ამ შემთხვევაში თანამოაზრედ და მეგობრად მიმიჩნიე. არა, არ მინდა "მეგობრად", მე მინდა "სიყვარულით" მიმიჩნიო, თავისუფლად და არა კეთილშობილური სურვილით – დაფარო შენი დანაშაული, არც იმიტომ, რომ გაები ვერაგულად გაბმულ მახეში. თუ არ გიყვარვარ და გგონია, რომ ეს მქონდა ჩაფიქრებული, მაშინ წადი. თუ სამუდამოდ მიმატოვებ, თუ აღარასოდეს გამიხსენებ, ერთხელაც არ დავიკვნესებ.
დონ ლუისის პასუხი ადამიანური სიტყვების ვერც ერთ ჩარჩოში ვერ ჩაეტეოდა, პეპიტა გულში ჩაიკრა და კოცნით შეაწყვეტინა ლაპარაკი.
საკმაოდ კარგა ხნის მერე ხველა-ხველითა და ფეხსაცმლის ბაკუნით ოთახში შევიდა ანტონიონა:
– საუბარი დიდხანს გაგიგრძელდათ! – თქვა მან. – სემინარისტმა თავის აღსარებას ლამის ორმოცი საათი მოანდომა. დონ ლუის, დროა წახვიდე. მალე ორი საათი შესრულდება.
– კარგი, ახლავე წავა, – უთხრა პეპიტამ.
ანტონიონა გვერდით ოთახში შევიდა, რათა იქ დალოდებოდა სტუმრის წასვლას. პეპიტა სრულიად გარდაიქმნა. სიხარული, რომელიც მან არ იცოდა ბავშვობაში, სიმკვირცხლე და ცელქობა, რომელიც მას არ განუცდია ქალიშვილობაში, კმაყოფილება და ტკბობა, რომელიც სულში ჩაუკლეს მკაცრმა დედამ და მოხუცმა ქმარმა, უეცრად ისე ამოფეთქა მის სულში, როგორც მკაცრი ზამთრის თოვლსა და ყინვას თავდაღწეული ფოთლები გადმოცვივდებიან ხოლმე კვირტებიდან ადრე გაზაფხულზე.
ქალაქელ ქალბატონს – ვისთვისაც ცნობილია მაღალი საზოგადოების წარმომადგენელთა ქცევის წესები – არა მხოლოდ უცნაური მოეჩვენებოდა, არამედ გაკიცხვასაც არ დაუგვიანებდა იმ საქციელის გამო, რასაც ახლა გიამბობთ პეპიტაზე. პეპიტა დარწმუნდა, რომ დაბრკოლება გადალახულია, მის ბედნიერებას აღარაფერი ემუქრება, დონ ლუისმა დათმო ყველაფერი და დაჰპირდა ცოლად შერთვას. პეპიტა ბედნიერი იყო: იმ კაცს უყვარდა, ის კაცი აღმერთებდა, ვინც თვითონაც უყვარდა და აღმერთებდა. დახტოდა, იცინოდა, ბავშვური გულუბრყვილობთი გამოხატავდა თავის სიხარულს.

დონ ლუისის წასვლის დრო დადგა. პეპიტამ სავარცხელი მოიტანა, თმა დაუვარცხნა, თავზე აკოცა, ჰალსტუხიც გაუსწორა.
– მშვიდობით, ჩემო საყვარელო მბრძანებელო, – თქვა მან. – მშვიდობით, ჩემი სულის ტკბილო მეუფევ. შენ თუ ვერ ბედავ, მამაშენს თვითონ ვეტყვი ყველაფერს. ის კეთილია, გვაპატიებს.
ბოლოს და ბოლოს, შეყვარებულები დაემშვიდობნენ ერთმანეთს.
დონ ლუისის წასვლის შემდეგ პეპიტას უცბად ამოხეთქილი სიხარული ჩაცხრა. სახე სერიოზული და ფიქრიანი გაუხდა.
გონებაში ორი აზრი უტრიალებდა: ერთი იყო ამქვეყნიური ინტერესი და მეორე – უფრო ამაღლებული, ზეციური ინტერესი. პეპიტა გონების თვალით ჭვრეტდა თავის ამღამინდელ საქციელს: ხომ არ დაკნინდება დონ ლუისის თვალში, როცა სასიყვარულო გზნება გაუვლის? მაგრამ მეტი სიმკაცრით რომ შეუტია საკუთარ სინდისს, აღიარა, ასე ვიქცეოდი მხოლოდ უსაზღვრო სიყვარულის გამო, ყოველგვარი ფარისევლობისა და ეშმაკობის გარეშეო; დონ ლუისს არავითარი საბაბი არ აქვს ვძულდეო, და დამშვიდდა. თუმცა პეპიტამ გულახდილად აღიარა, რომ არ ცნობს უმაღლეს სულიერ სიყვარულს,

რომ ჩაბნელებულ საძინებლისკენ გაქცევა ნაკარნახევი იყო მხოლოდ უწყინარი, უბოროტო ინსტინქტით, რომ ცუდი არაფერი ჰქონდა ჩაფიქრებული, – მაინც აღიარა, რომ ღმერთის წინაშე შესცოდა და არც აპირებს თავის მართლებას. მთელი არსებით შესთხოვა ქალწულ მარიამს პატიება და შეჰპირდა, ქალთა მონასტრის მწუხარე ღვთისმშობლის გამოსახულებას მოსართავად შესწირავდა ნატიფად ნაკეთებ შვიდ ოქროს ხმალს. გადაწყვიტა, მეორე დღესვე წასულიყო ვიკარიოსთან. დაე მან დაუწესოს ყველაზე მკაცრი ეპიტიმია და მოხსნას ცოდვები, რადგან სწორედ ამ ცოდვების დამსახურება იყო, პეპიტამ დონ ლუისის სიმტკიცე რომ შეარყია, – სხვანაირად ხომ აუცილებლად გახდებოდა მღვდელი.
ვიდრე პეპიტა ფიქრებში თავის სულიერ საქმეებს არკვევდა, ანტონიონამ სტუმარი წინკარამდე მიაცილა. დამშვიდობებამდე დონ ლუისმა პირდაპირ ჰკითხა:
– ანტონიონა, შენ ყველაფერი იცი ამქვეყნად. მითხარი, ვინ არის გრაფი ხენასაარი და რა კავშირი ჰქონდა მას შენს სენიორასთან?
– ადრე ხომ არ იწყებ ეჭვიანობას?
– ეს არ არის ეჭვიანობა, ეს, უბრალოდ, ცნობისმოყვარეობაა.
– კარგი, ასე იყოს. ეჭვიანობაზე ცუდი არაფერია. თუ ცნობისმოყვარეობააო, ამბობ, შემიძლია გიპასუხო: ეს გრაფი ერთი გაკოტრებული, თავქარიანი, მოთამაშე კაცია, მაგრამ ისეთი ამაყია, დონ როდრიგოს
 სიამაყე არაფერია მასთან შედარებით. რას არ აკეთებდა, რომ ჩემს გოგონას შეყვარებოდა, ცოლად გაჰყოლოდა. ასჯერ მაინც გაისტუმრა უარით, ის კი გულზე სკდებოდა სიბრაზით. მაგრამ ფული, დაახლოებით ათას დუროზე მეტი – ჯერაც არ დაუბრუნებია. პირადად დონ გუმერსინდომ ასესხა მას ეს ფული ყოველგვარი საწინდრის გარეშე. მხოლოდ ერთი პატარა ნაგლეჯი ქაღალდი დაიტოვა მოხუცმა. ეს ყველაფერი პეპიტას წყალობით მოხდა. ის ხომ კეთილი მყავს. ჰოდა, იმ სულელმა გრაფმა იფიქრა, პეპიტამ ქმარი დაიყოლია, ჩემთვის ფული მოაცემინა, რომ დაქვრივდება, ისეთი კეთილია, ქმრად მე ამირჩევსო. მაგრამ იმედი გაუცრუვდა და გაკოტრდა კიდეც.
– ნახვამდის, ანტონიეტა, – დონ ლუისი ფრთხილად გავიდა ჩაძინებულ ქუჩაში. ბაზრობაზე ნათურები ჩააქრეს. ყველანი წავიდ-წამოვიდნენ სახლებში. მხოლოდ პატარა ფარდულების მეპატრონეები და მოხეტიალე ვაჭრები დარჩნენ ქუჩაში, თავიანთ ფარდულებთან მიწვნენ და ძილს მისცეს თავი.

აქა-იქ ფანჯრებქვეშ ლაბადებში გახვეული ჯიუტი, დაუდეგარი ყმაწვილკაცები ტკბილად ეღუღუნებოდნენ თავ-თავიანთ შეყვარებულებს.
ფიქრებში ჩაძირული დონ ლუისი ქუჩაში მიაბიჯებდა. მორჩა, გადაწყვეტილება მიღებულია. ყველა აზრი, რაც კი თავში მოსდიოდა, უფრო მეტ სიმტკიცეს მატებდა მის გადაწყვეტილებას. გულწრფელმა გრძნობამ და გზნებამ, რომელიც მან შთაბერა პეპიტას, სილამაზემ, მისი სხეულის მშვენიერებამ, მისმა სუნთქვამ – გაზაფხულის ქროლვამ, დონ ლუისი ბედნიერებით აღავსო.
და მაინც მის პატივმოყვარეობას ტანჯავდა ფიქრი მომავალ ცვლილებებზე, მოსალოდნელ შედეგებზე. რას ეტყვის მოძღვარი? რა რისხვას დაატეხს თავს ეპისკოპოსი? და რაც მთავარია, რა მწარე საყვედურებს მოისმენს მამისგან? დონ ლუისმა წარმოიდგინა, როგორ აღშფოთდება და განრისხდება მამამისი, როდესაც ყველაფერს გაიგებს. ეს ფიქრები შიშის ზარს სცემდა ყმაწვილკაცს.
ის, რასაც დონ ლუისი დაცემას უწოდებდა, პეპიტასთან ამ ბოლო შეხვედრის შემდეგ აღარ ეჩვენებოდა საშინელი და გაკიცხვის ღირსი. მან ყურადღებით გადაავლო თვალი, ახალ სამყაროში რა ადგილს დაიჭერდა მისი სწრაფვა მისტიციზმისკენ და აღმოჩნდა, რომ თვით სურვილი სწრაფვისა არ იყო მყარი და ღრმა. ის იყო რაღაც ხელოვნური,

წიგნების გავლენით თავსმოხვეული ყმაწვილური პატივმოყვარეობა, გულუბრყვილო სემინარისტის სათნოება. როგორ დაიჯერა, რომ მასზე ზეგარდმო მადლი იყო გადმოსული, რომ ესმოდა იდუმალი ჩურჩული, ერთი-ორჯერ ზეციერთანაც ჰქონდა საუბარი; როგორ დაიჯერა, რომ უკვე ღმერთისკენ მიმავალ გზაზე იდგა, ლოცვით რომ შეაღწია სულის სიღრმეებში და გონების მწვერვალამდე აღმაღლდა; ამ ყოველივეს გახსენებაზე ეცინებოდა, ეჭვიც კი გაუჩნდა, ალბათ ჭკუაზე არ ვიყავიო. ახლაღა მიხვდა, რომ ეს ყველაფერი საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის შედეგი იყო. მას ხომ აღსარება არ უთქვამს, არ მოუნანიებია, წლები არ გაუტარებია ჭვრეტაში. რა დამსახურებისთვის უნდა დაეშვა ღმერთს მისთვის ასეთი გამონაკლისი? სხვა ზებუნებრივი ნიჭი, რაც მას ვითომ გააჩნდა, მხოლოდ გამოგონილი და წაკითხული წიგნების გამოძახილი იყო, თავისი ახალი გადაწყვეტილების სისწორე მანვე დაადასტურა: ცხოვრებაში არავის და არაფერს ისე არ დაუტკბია მისი გული, როგორც პეპიტას სიტყვებმა – "მე შენ მიყვარხარ"; და მის თმაში შეცურებულმა პეპიტას ლამაზმა ხელმა.
დონ ლუისი ცდილობდა საკუთარ თვალში გაემართლებინა ის, რასაც უკვე დაცემას კი არა, ცვლილებას ეძახის. და ქრისტიანული მორჩილების ახალი სახეც შექმნა: აღიარა, რომ არ არის ღირსი მღვდლობისა, სურს იყოს ჩვეულებრივი მოქალაქე, კარგი მეოჯახე, კეთილი ბატონი, სხვებივით მოუაროს ვენახებს, ზეთისხილებს, აღზარდოს შვილები – უკვე მამობა მოუნდა – და შექმნას ღირსეული, სამაგალითო ოჯახი თავის პეპიტასთან ერთად.

* * *

რაკი პასუხისმგებლობას ვიღებ, ეს ამბავი წიგნად გამოვცე, ამიტომ თავს ვალდებულად ვრაცხ, გამოვთქვა ჩემი მოსაზრებები და ავხსნა ის, რაც ჯერჯერობით გაუგებარია. როგორც დასაწყისში ითქვა, მე მხარს ვუჭერდი იმ მოსაზრებას, რომ ხელნაწერის ერთი ნაწილი, კერძოდ, "პარალიპომენოს" დაწერილია წინამძღვრის მიერ და ის ამბები, რომლის შესახებაც არაფერია თქმული "წერილებში", სამაგიეროდ "პარალიპომენონშია" შეტანილი. მაგრამ მაშინ მე ხელნაწერი მთელი გულისყურით ჯერ კიდევ არ მქონდა წაკითხული, ახლა კი რომ დავაკვირდი, რა თავისუფლად, უშუალობით არის საუბარი მაღალ მატერიებზე, რა შემწყნარებლობითაა ნახსენები ზოგიერთი შეცოდება, დავეჭვდი, მოძღვარს კარგად ვიცნობ, ვიცი მისი შეხედულებები ამა თუ იმ საკითხზე. არა მგონია, მელანი ტყუილად დაეხარჯა იმის დასაწერად, რაც უკვე იცის მკითხველმა. თუმცა არც იმის საკმარისი საბუთი გვაქვს, სრულიად რომ უარვყოთ სენიორ მოძღვრის ავტორობა. ერთი სიტყვით, ეჭვი ეჭვად რჩება, მაგრამ თავად ამ ამბავში ისეთი არაფერია, რომ ეწინააღმდეგებოდეს კათოლიკურ ჭეშმარიტებას და ქრისტიანულ მორალს. პირიქით, თუ ჩავუღრმავდებით, ცხადი გახდება, რომ ხელნაწერი წარმოადგენს გაფრთხილებას. დონ ლუისის მწარე გამოცდილების მაგალითზე, პატივმოყვარეობა და სიამაყე არავის არაფერს არგებს. კარგია, თუ თვითონ მიხვდებიან დროზე. ხელნაწერში აღწერილი ამბავი ზედმიწევნით გამოადგებოდა დამატებად მღვდელი არბიოლის წიგნს "მისტიკური გულგატეხილობა".
რაც შეეხება ჩემს ორ-სამ მეგობარს, ისინი ირწმუნებიან: ამ წიგნის ავტორი წინამძღვარი რომ ყოფილიყო, ცოტა სხვანაირად აღწერდა ამ ამბავს, დონ ლუისსაც ტექსტში მოიხსენიებდა, როგორც "ძმისშვილს", თან უსათუოდ ჩაურთავდა თავის მოსაზრებებს მორალზე. მე არ მიმაჩნია ეს დასკვნა დამაჯერებლად: მოძღვარმა მიზნად დაისახა

მოეთხრო მომხდარი ამბავი. ის არ ცდილობდა რომელიმე თეზისის დამტკიცებას და მართალიც იყო – ხომ შეიძლებოდა მეტისმეტად შეეტოპა და მორალის კითხვა დაეწყო. ჩემი აზრით, ის სწორად მოიქცა თავისი ავტორობა რომ დამალა, უარი რომ თქვა საკუთარ თავზე პირველ პირში ელაპარაკა, ეს კი მოწმობს არა მხოლოდ მის თავმდაბლობაზე, არამედ კარგ ლიტერატურულ გემოვნებაზეც. ეპიკური პოეტები და ისტორიკოსები თავიანთ თავგადასავლებზე წერენ, მაგრამ არა პირველ პირში. თუმცა ისინი გადმოცემული ამბების ან მთავარი გმირები იყვნენ, ან, უბრალოდ, მონაწილეები. მაგალითად, ქსენოფონტე ათინელი
 თავის "ანაბასისში" როცა აუცილებელია, მაშინ ლაპარაკობს თავის თავზე არა პირველ პირში, არამედ მესამეში, თითქოს ერთი ქსენოფონტე წერდა, მეორე ქსენოფონტე კი გმირობას სჩადიოდა და იმარჯვებდა...
წინამძღვარი გემოვნებიანი ადამიანია, კარგად იცნობს კლასიკურ ლიტერატურას, ამიტომაც არ დაუშვებდა ასეთ შეცდომას, წარმოეჩინა თავი მოცემული ამბის გმირის აღმზრდელ ბიძად, არც მკითხველისთვისაც თავი მოებეზრებინა შეძახილებით: "შეჩერდი!" "რას აკეთებ?" "ო, უბედურო, არ დაეცე!" გაჩუმება და ყველაფერზე თვალის დახუჭვაც შეუძლებელი იქნებოდა. ამ მიზეზთა გამო სენიორ წინამძღვარს შეეძლო მისთვის დამახასიათებელი კეთილგონიერებით დაეწერა "პარალიპომენოს" ისე, რომ საკუთარი სახე არ გაემოჩინა.
მან მხოლოდ მკითხველისთვის საჭირო, სასარგებლო კომენტარები და განმარტებები დაურთო. აქაც ჩამოვწერდი მათ, მაგრამ არ მინდა გავზარდო წიგნის მოცულობა, თანაც კომენტარებიანი წიგნები ჩვენთან მოდაში არ არის.
და მაინც გამონაკლისის სახით, მე აქ მოვიყვან წინამძღვრის შენიშვნას დონ ლუისის მისტიკოსიდან არამისტიკოსამდე ელვისუსწრაფესი გარდაქმნის შესახებ. ეს შენიშვნა ნამდვილად საინტერესოა და შუქს უხვად ჰფენს ყოველივეს.

– ჩემს ძმისშვილში მომხდარი ცვლილება, – ამბობს წინამძღვარი, – არ გამკვირვებია. მისი პირველივე წერილებიდან მივხვდი ყოველივეს. ლუისიტომ თავგზა ამირია. მჯეროდა, რომ სული აღსავსე ჰქონდა ჭეშმარიტი მოწოდებით, მაგრამ შევცდი, პოეტის მშფოთვარე სული ჰქონია. მისტიციზმი მას მანამდე კვებავს, სანამ არ გამოჩნდება სხვა უფრო ძლიერი საკვები.
მადლობა ღმერთს, რომ ლუისიტოს დროზე აუცრუვდა გული. მისგან ცუდი მღვდელი დადგებოდა, გამოწერილივით დროზე რომ არ გამოჩენილიყო პეპიტა ხიმენესი. ყურადღებით უნდა ვყოფილიყავი. სულსწრაფი იყო, ყველაფერი ერთბაშად უნდოდა. განა ზეციური წყალობა ასე იოლი მისაღწევია? ერთხელ გამოჩნდი და მორჩა, გაიმარჯვე? ერთი ჩემი მეგობარი მეზღვაური მიამბობდა, ყმაწვილკაცობაში ამერიკაში ყოფნისას გადარეულივით დავდევდი ქალებს. ერთ დღესაც, იცი, რა მიპასუხეს ამერიკელი ქალებისთვის დამახასიათებელ მინავლებულ ხმაზე: "ჯერ არ ჩამოსულხარ და უკვე გინდა! ჯერ უნდა დაიმსახურო, თუ შეგიძლიაო".
თუკი ოკეანისგაღმელმა ქალბატონებმა ასე უპასუხეს იმ კაცს, მაშინ ზეცა როგორ მოიქცეს, რა უპასუხოს იმ ყმაწვილებს, რომლებსაც ზეციური წყალობა დაუმსახურებლად სურთ მიიღონ, თანაც – მალე. საჭიროა ხანგრძლივი შრომა, ცოდვების მონანიება, აღსარება, დრო, რათა მიიღო ღვთის მადლი, დაიმსახურო ზეციური მარადიული წყალობა. ცრუსწავლებაც კი, რომელიც მისტიციზმს ეხება, დიდი ძალისხმევისა და ძვირფასი მსხვერპლის გარეშე არავის ჰპირდება ზებუნებრივ წყალობას. II საუკუნის ბერძენმა მწერალმა Jámblico-მ ედგადრის წყაროდან ვერ შეძლო სიყვარულის გენიების გამოხმობა, სანამ ხანგრძლივი თავშეკავებითა და მკაცრი აკრძალვებით არ მოაკვდინა საკუთარი ხორცი. Apolonio de Tiana-მაც

ბევრი იწვალა, ვიდრე თავის ცრუსასწაულებს ჩაატარებდა. დღესაც ამბობენ კრაუზისტები
, რომლებსაც თითქოს ღმერთის დანახვის უნარი გააჩნიათ, – ამ უნარის გასაღრმავებლად უნდა წაიკითხოთ და ისწავლოთ სანს დელ რიოს
"ანალიტიკა", რაც წარმოუდგენლად დამტანჯველია და უფრო მეტ მოთმინებას და ამტანობას ითხოვს, ვიდრე საკუთარი სხეულის გვემაა. ჩემს ძმისშვილს კი სურდა, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე გამხდარიყო მღვდელმსახური და... ხომ ნახეთ, რაც მოხდა. მაგრამ დაე, კარგი მეუღლე დადგეს, რაკი დიადი საქმეებისთვის არ ივარგა, იქნებ პატარა საქმისთვის მაინც და ოჯახისთვის გამოდგეს, გააბედნიეროს ახალგაზრდა ქალი, რომელსაც მხოლოდ ერთი დანაშაული მიუძღვის – უგონოდ, ველური ქალის უშუალობითა და სილაღით შეუყვარდა ჩემი ძმისშვილი.
აქ მთავრდება წინამძღვრის პირადული, თითქოს საკუთარი თავისთვის გაკეთებული შენიშვნები. რას წარმოიდგენდა საბრალო, რომ მე ასე ვიხუმრებდი და მის მოსაზრებებს გამოვაქვეყნებდი.
ახლა განვაგრძოთ თხრობა.

* * *

ამგვარად, დონ ლუისი ღამის ორ საათზე მიაბიჯებდა შუა ქუჩაში და ფიქრობდა თავის ცხოვრებაზე, რომელიც "ოქროს ლეგენდის"
შესაფერისი სურდა გაეხადა, მაგრამ მალე მარადიულ წარმტაც იდილიად გარდაიქმნება. მან ვერ მოახერხა თავის დაღწევა მიწიერი სიყვარულის ხუნდებისგან, ვერ მოახერხა მიებაძა არაერთი წმინდანისთვის – მათ შორის წმ. ვისენტე ფერერისთვის, რომელმაც უარი თქვა ერთ ვალენსიელ ავხორც ქალზე, თუმცა ამ ორი შემთხვევის შედარებაც კი არ შეიძლება: თუ დემონი-დედაკაცისგან თავის დაღწევა წმ. ვისენტეს გმირობის ტოლფას ზნეობრიობად გაცხადდა, დონ ლუისის თავის დაღწევა პეპიტა ხიმენესის ერთგულებისგან, თვინიერებისა და გულწრფელობისგან, ნამდვილად უღმერთობა და უსამართლობა იქნებოდა... დონ ლუისი თითქოს თავის მართლებას ცდილობდა, თითქოს თავს ამუნათებდა, წმ. ვისენტეს და სხვა არანაკლებ მკაცრ სასულიერო მოღვაწეთა გზას რომ არ დაადგა, რომ ვერ მოასწრო მიებაძა წმ. ედუარდისთვის, თუმცა არც ის ავიწყდებოდა, რომ წმ. ედუარდი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე დაქორწინდა. მას არ უყვარდა დედოფალი ედიტი, მაგრამ სამეფოს დიდებულების წინააღმდეგ ვერ წავიდა. დონ ლუისსა და პეპიტას კი არც დიდი სახელმწიფო ჰქონდათ და არც პატარა. მათ ერთმანეთის დიდი სიყვარული ჰქონდათ მხოლოდ.
ყოველ შემთხვევაში დონ ლუისი გულალალად აღიარებდა, რომ დამარცხდა, რომ იდეალი დაენგრა და ეს მის სიხარულს ცოტა სევდიანს ხდიდა. იმ ადამიანებს, რომელთაც არ აქვთ იდეალები და არც არასოდეს ჰქონიათ, ეს არ აწუხებთ, მაგრამ დონ ლუისს აწუხებდა. მან მაშინვე დაიწყო ოცნება იმაზე, როგორ შეეცვალა ძველი უმაღლესი იდეალი სხვა, უფრო მოკრძალებულსა და იოლად მისაღწევ მიზანზე. და თუმცა რაღაცით დონ კიხოტეს დაემსგავსა – რომელზეც "თეთრი მთვარის" რაინდთან დამარცხებამ და ხუმრობამ ისეთი დამანგრეველი გავლენა მოახდინა, რომ გადაწყვიტა მწყემსი გამხდარიყო – მიზნად დაისახა ჩვენს ურწმუნო პროზაულ დროში ააღორძინოს ფილემონისა და ბაუსიდას ოჯახივით ბედნიერი, მშვიდი საუკუნე, ჩვენს ველებზე შექმნას სამაგალითო პატრიარქალური ცხოვრება, ქალაქში დააფუძნოს კეთილშობილი

ოჯახური კერა ანუ თავშესაფარი უსახლკაროებისთვის, ღარიბებისთვის, თავისი კულტურული ცენტრითა და მეგობრული გარემოთი. ეს იქნება სუფთა სარკე სხვა ოჯახებისთვის და ბოლოს, ცოლქმრული სიყვარული და ღმერთის სიყვარული უნდა გაერთიანდეს, რათა ღმერთის წყალობა არ მოაკლდეთ, შუქი მოჰფინოს მათ სახლს, აქციოს იგი თავის ტაძრად, სადაც ლუისი და პეპიტა ღმერთის სამსახურში იქნებიან მანამ, სანამ ის არ წაიყვანს ორივეს თავისთან, უკეთეს ცხოვრებაში.
ახალი იდეალის განსახორციელებლად დონ ლუისს ორი დაბრკოლება აქვს გადასალახი. პირველი დაბრკოლება მამამისი იყო. არავინ იცის რა მოხდება, როცა ყველაფერს გაიგებს, მამის რისხვა და გულის ტკენა მძიმე იქნება. სხვა თუ არაფერი, იმედები სასტიკად გაუცრუვა მშობელს. მეორე დაბრკოლება, უნდა ითქვას, უფრო სერიოზული იყო.
მღვდლობისთვის რომ ემზადებოდა, დონ ლუისს მხოლოდ ზნეობრივი თვალსაზრისით შეეძლო პეპიტას დაცვა გრაფ ხენასაარის უხეში გამოხტომებისგან, რაც მას ხელს უბორკავდა შურის საძიებლად იმ მასხრად აგდებისთვის, მის ქადაგებას რომ მოჰყვა სამორინეში, მაგრამ ახლა, როცა გამოეთხოვა რელიგიურ მსახურებაზე ფიქრს – მიუხედავად თავისი მშვიდი ხასიათისა, კაცთმოყვარეობისა, მიმტევებლობისა და ღრმა რწმენისა – ერთი სული ჰქონდა აღედგინა თავისი ღირსება და თავი გაეხეთქა თავხედი გრაფისთვის. კარგად იცოდა, რომ დუელი ბარბაროსული წესი იყო და აუცილებელი არ იყო გრაფის სისხლით ჩამოერეცხა ჭორის ლაქა პეპიტას სპეტაკი სახელიდან. შესაძლებელია გრაფმა თვითონაც არ იცოდა, რას ამბობდა, უბრალოდ, ავყია, უზრდელი და უხეში კაცი იყო. და მაინც დონ ლუისმა იცოდა, რომ მთელი ცხოვრება თავს არ აპატიებს, შური რომ არ იძიოს, ვიდრე ფილემონი გახდება, ჯერ ფიერაბრასის

გადაწყვიტა თუ არა გრაფის დუელში გამოწვევა, მაშინვე შეუდგა საქმეს. გრაფთან სეკუნდანტების გაგზავნა არც უფიქრია, რადგან პეპიტაზე ჭორაობის საბაბი გახდებოდა. სხვა მიზეზი უნდა მოვძებნო საჩხუბრადო, ფიქრობდა დონ ლუისი.
რაკი გრაფი აქაური არ არის, აზარტული თამაშების მოყვარულია და შეუძლია გვიან ღამემდე უჯდეს კარტის სათამაშო მაგიდას – დონ ლუისი სამორინესკენ გაეშურა. მართალია სამორინე ჯერ კიდევ ღია იყო, მაგრამ შიდა ეზოში და ოთახებში შუქი ჩაექროთ. მხოლოდ ერთი დიდი სასტუმრო ოთახი იყო განათებული. დონ ლუისიც სწორედ იმ ოთახისკენ გაემართა. ზღურბლიდანვე დაინახა, გრაფი ბანქოს არიგებდა. მაგიდას ხუთი კაცი ეჯდა. ორი ჩამოსული, კავალერიის სარემონტო სამუშაოების კაპიტანი, კურიტო და ექიმი. ამაზე უკეთეს ხელსაყრელ დროს ვერც იპოვიდა თავისი განზრახვის შესასრულებლად. ისე იყვნენ თამაშში ჩართული, რომ დონ ლუისი ვერავინ დაინახა. ყველას გადახედა და სამორინედან გავიდა. შინ დაბრუნდა, კარი მსახურმა გაუღო, ჰკითხა, მამაჩემი სად არისო, რომ გაიგო, ეძინა, სანთლით ხელში ფეხაკრეფით ავიდა თავის ოთახში, აიღო სამი ათასამდე ოქროს რეალი, პირადად თავისი ფული, ჩაიდო ჯიბეში და კვლავ სამორინეში დაბრუნდა. მსახურს დაუბარა, კარი დაეკეტა. ამჯერად დონ ლუისი სათამაშო დარბაზში შევიდა ფეხსაცმლის ქუსლების განზრახ ხმამაღალი ბაკუნით. მის დანახვაზე ყველანი გაშეშდნენ.
– შენ აქ მოხვედი ამ დროს?! – შესძახა კურიტომ.
– თქვენ აქ საიდან გაჩნდით, ხუცუნა?
– ჰკითხა ექიმმა.
– ისევ საქადაგოდ მოხვედით? – გაოცება ვერ დაფარა გრაფმა.
– არავითარი ქადაგება, – მშვიდად უპასუხა დონ ლუისმა. – ჩემმა უკანასკნელმა ქადაგებამ თქვენზე არ იმოქმედა, რამაც დამარწმუნა, რომ ღმერთმა ეს ასპარეზი შეუსაბამოდ ცნო ჩემთვის და აი, მე უკვე ავირჩიე სხვა გზა. სენიორ გრაფო, ამ

გარდაქმნას თქვენ უნდა გიმადლოდეთ. მე უარი ვთქვი ანაფორაზე, მსურს გავერთო. მე გაფურჩქვნის ხანაში ვარ და მინდა დავტკბე ამით...
– ძალიან კარგი, მოხარული ვარ, – შეაწყვეტინა გრაფმა. – მაგრამ იცოდეთ, ჩემო ბიჭუნა, ნაზი ყვავილი ჭკნება და ნაადრევად ცვივა...
– ეს უკვე ჩემი საზრუნავია, – შეეპასუხა დონ ლუისი. – ვხედავ, თამაშობთ... მე უცნაურ აღმაფრენას ვგრძნობ. თქვენ ბანკს ფლობთ. იცით რა, სენიორ გრაფო, სასურველი რა იქნება? მე რომ ეგ ბანკი მოვხსნა...
– დიახ, საკვირველი იქნება. თქვენ, ეტყობა, მაგრად ივახშმეთ.
– ისე ვივახშმე, როგორც მინდოდა.
– ყმაწვილი ჩქარა პასუხობს.
– ისე ვპასუხობ, როგორც მინდა.
– ჯანდაბა!.. – ის იყო გრაფი უნდა წამომხტარიყო, რომ კაპიტანმა იგრძნო ქარიშხლის მოახლოება, კამათში ჩაერია და აღადგინა სიმშვიდე. – კარგი, ეგრე იყოს, – მშვიდად, თავაზიანად წარმოთქვა გრაფმა, – ამოალაგეთ ფული და ეძიეთ ბედნიერება!

დონ ლუისი მაგიდას მიუჯდა და მთელი თავისი ფული ამოალაგა ჯიბიდან. ფულის დანახვაზე გრაფი საბოლოოდ დამშვიდდა, ფული უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ბანკში იყო. გრაფი უკვე ზეიმობდა ახალბედაზე გამარჯვებას.
– ამ თამაშს დიდი თავისტეხა არ სჭირდება, – თქვა დონ ლუისმა. – მეც გამეგება აქ რაღაც-რაღაცები. ფულს ჩამოვალ კარტზე, და თუ მოდის ჩემი კარტი, მე ვიგებ, და თუ პირიქითაა, თქვენ მიგებთ.
– აი, ეს მესმის, მეგობარო, ნამდვილ მაჩოსავით
აზროვნებთ.
– ამასთან დაკავშირებით მინდა გითხრათ, რომ მე არა მარტო ვაზროვნებ მაჩოსავით, გაგებაც მაჩოსი მაქვს და ნებისყოფაც. არ მინდა ვიყო ვითომ მაჩო, როგორც აქ მოავთ თავი ზოგიერთებს.
– თქვენ თურმე მაგარი მოლაპარაკე და ენამახვილი ყოფილხართ.
დონ ლუისი გაჩუმდა, რამდენჯერმე ითამაშა, ბედი წყალობდა, თითქმის ყოველ ჯერზე იგებდა.
გრაფი აწრიალდა: ნუთუ ეს ლაწირაკი ამომისუფთავებს ჯიბეებს?
ვიდრე გრაფი ადგილს ვერ პოულობდა და სიბრაზე ემატებოდა, დონ ლუისმა დაღლილობა და ზიზღი იგრძნო ერთბაშად და გადაწყვიტა საქმე მოემთავრებინა:
– ბოლოს და ბოლოს, ან მე წავიღებ თქვენს ფულს, ან თქვენ – ჩემსას, ხომ მართალს ვამბობ, სენიორ გრაფო?
– მართალს ამბობთ.
– მაშინ რაღა საჭიროა აქ ღამისთევა? უკვე გვიანაა და თუ თქვენს რჩევას დავუჯერებთ, ჩემი ძილის დროა, თორემ ყმაწვილური ფერი გამიკრთება, დავჭკნები და...
– რა თქვით? გინდათ მოკურცხლოთ? მიიპარებით?!
– გასაპარი რა მჭირს? პირიქით. კურიტო, მოდი აქ. მითხარი, სად უფრო ბევრი ფულია, აი, აქ რომ არის დახვავებული თუ ბანკში?
– რა თქმა უნდა, აქ, – კურიტომ ფულის გროვაზე მიანიშნა.
– როგორ უნდა ვთქვა, მე მინდა ვითამაშო ბანკში რაც ფულია, იმაზე?
– ეგ ადვილი საქმეა, – გახალისდა კურიტო, – უნდა თქვა "ვა-ბანკ".
– კარგი. ვა-ბანკი, – მიუბრუნდა დონ ლუისი გრაფს. – ვა-ბანკი და მასთან ყველაფერი, რაც ეკუთვნის ყვავის მეფეს, რომელიც, უეჭველია, უფრო ადრე ამოვა, ვიდრე მისი მტერი – სამიანი.

გრაფს მთელი თავისი მოძრავი ქონება ბანკში ჰქონდა ჩადებული. საფრთხე იყნოსა, მაგრამ რა ექნა, გამოწვევა მიიღო.
ხალხში ამბობენ, ვისაც სიყვარულში უმართლებს, კარტში არ უმართლებსო, მაგრამ არა მგონია მთლად ასე იყოს: თუ ბედი გწყალობს და წარმატება მოდის, ეს ნიშნავს, ყველაფერში გიმართლებს. თუ არ გწყალობს, არც გიმართლებს.

გრაფმა კარტის დარიგება დაიწყო, მაგრამ სამიანი არა და არ ჩანდა. გრაფი აშკარად ღელავდა, თავს ძლივს იკავებდა. ერთხელაც გადაწია კარტის კუთხე და გახევდა.
– ჩამოდით! – უთხრა კაპიტანმა.
– მეფეა! ეშმაკმა დასწყევლოს! ხუცუნამ გამფცქვნა. აიღეთ ფული!
გაცოფებულმა გრაფმა კარტი მაგიდაზე დაყარა. დონ ლუისმა მშვიდად მოხვეტა ფული. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ გრაფმა ხმა ამოიღო:
– ხუცუნა, საშუალება მომეცი, წაგებული დავიბრუნო.
– ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ.
– მე მგონია, კაბალეროებში...
– კი მაგრამ, ასე ხომ თამაში უსასრულოდ გაგრძელდება. ასეთი წესი რომ არსებობდეს, მაშინ თამაშს რაღა აზრი აქვს? – შენიშნა დონ ლუისმა.
– მომეცით ნება, დავიბრუნო... – გრაფს დონ ლუისის სიტყვები ვითომ არ გაუგონია.
– კარგი, – თქვა დონ ლუისმა, – გამოვიჩენ სულგრძელობას.
გრაფმა კვლავ აიღო დასტა, არია და ის იყო უნდა დაეწყო დარიგება, რომ დონ ლუისმა შეაჩერა:
– მოიცათ. ჯერ უნდა მოვილაპარაკოთ. თქვენი ფული სად არის?
გრაფი შეჩერდა დაბნეული და გაკვირვებული.
– ფული თან არ მაქვს, – უპასუხა გრაფმა. – მაგრამ ვფიქრობ, ჩემი სიტყვა საკმარისი უნდა იყოს.
– სენიორ გრაფო, – დაიწყო დონ ლუისმა მშვიდად და სერიოზულად, – ჩემთვის სულაც არ იქნებოდა უხერხულობა კაბალიეროს სიტყვა მერწმუნა და მისი კრედიტორი გავმხდარიყავი, მაგრამ ვატყობ, ჩვენს ეს-ეს არის დაწყებულ ვითომ მეგობრობას გაგრძელება არ ექნება: დღეს დილით გნახეთ, როგორ ლანძღავდით ჩემს მეგობრებს, თქვენს კრედიტორებს. სულაც არ მინდა, მათი ბედი გავიზიარო, მათსავით დავუშვა შეცდომა. ისღა მაკლია წყალობა გავცე თქვენი ბოროტების წილ – მე ხელი გაგიმართოთ, თქვენ კი არ დამიბრუნოთ. თქვენ ხომ ასე მოექეცით პეპიტა ხიმენესს. ახლა კი მადლობის მაგიერ, დგახართ და ჭორაობთ მასზე.
გარდა იმისა, რომ ეს სიმართლე იყო, მაინც შეურაცხყოფამ გადაძალა. სიბრაზისგან მთლად გამწვანებული გრაფი მუშტებშემართული წამოხტა:
– ცრუობ, ენაგრძელო! – გრაფს ხმა ჩახლეჩოდა. – გაგსრეს, შე დიდებული დიაცის...
ეს კი მართლა მეტისმეტი იყო. ამ შეურაცხმყოფელ სიტყვებს ბოლომდე თქმა არ ეწერა. დონ ლუისს ყოველთვის ახსენებდა თავს ის ლაქა, მის დაბადებას რომ მოჰყვა და რომელიც შეურაცხყოფდა იმ ქალის ღირსებას, ვის ხსოვნასაც გულში სათუთად ინახავდა შვილი.
დონ ლუისი გამაოგნებელი სისხარტით გადაწვდა მაგიდას, მარჯვენა ხელი აღმართა და თავისი ხელჯოხი ისეთი გამეტებით შემოჰკრა გრაფს სახეში, რომ საბრალოს მაშინვე მეწამული ფერის ხაზი დააჩნდა ლოყაზე.

ხმაური, შეძახილები, ლანძღვა – უცბად ჩაცხრა. როდესაც საქმეში ერევა მუშტი, ენა დუმს. გამწარებული გრაფი დონ ლუისისკენ გაქანდა გასაგლეჯად, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი დილიდანვე საგრძნობლად გადაიხარა დონ ლუისისკენ. რისხვით

ანთებულ, გაცოფებულ გრაფს კაპიტანი, ექიმი და კურიტო გადაეღობნენ და მაგრად ჩაავლეს ხელი.
– გამიშვით, უნდა მოვკლა! – ყვიროდა გაკავებული გრაფი.
– დუელს ხელს არ შევუშლი, – თქვა კაპიტანმა, – დუელი გარდაუვალია. მე მხოლოდ იმაზე ვიზრუნებ, აქ არ იჩხუბოთ მაწანწალებივით. ჩემი ღირსებისთვის შეუფერებელია ასეთ ჩხუბს დავესწრო.
– იარაღი მოიტანეთ! – არ ცხრებოდა გრაფი. – სწრაფად, ახლავე, ამ წუთში... აქ!..
– ხმლებით იბრძოლებთ? – იკითხა კაპიტანმა.
– დიახ, – უპასუხა ლუისმა.
– იყოს ხმლები, – თქვა გრაფმა.
ყველანი ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, რათა ქუჩაში არ გასულიყო ხმა. სამორინეს მსახურებსაც კი არაფერი გაუგონიათ, სკამებზევე თვლემდნენ სამზარეულოშიც და პატიოშიც.
დონ ლუისმა სეკუნდანტებად კაპიტანი და კურიტო შეარჩია. გრაფმა ის ორი ჩამოსული სტუმარი. ექიმს წითელი ჯვრის წარმომადგენლის მოვალეობა დაეკისრა. ღამე იყო. ბრძოლის ველად იგივე დარბაზი აირჩიეს. კარი წინასწარ ჩარაზეს. კაპიტანი შინ გაიქცა და მალევე დაბრუნდა ლაბადის ქვეშ ხმლებამოდებული. ლაბადა საგანგებოდ მოისხა მხრებზე ხმლების დასამალად.
ჩვენ უკვე ვიცით, რომ დონ ლუისს იარაღი არასოდეს სჭერია ხელში. საბედნიეროდ, არც გრაფი გახლდათ დიდი მოფარიკავე, თუმცა არც თეოლოგია უსწავლია და არც მღვდლობა ჰქონდა გადაწყვეტილი.
დუელის პირობა მარტივი იყო: მეტოქეები ხმლების ხელში მომარჯვებისთანავე ღმერთს მინდობილნი იწყებენ ბრძოლას.
მაგიდები და სკამები მიწი-მოწიეს, შუაში ადგილი გაათავისუფლეს, სანთლებიც მოხერხებულ ადგილას დადგეს. დონ ლუისმა და გრაფმა ჟილეტი გაიძრეს და ხმლებს დასწვდნენ. სეკუნდანტები განზე გადგნენ. კაპიტნის ნიშანზე ორთაბრძოლა დაიწყო. როდესაც მეტოქეებმა არ იციან ხმლების ხმარება, არ იციან შეტევა და თავდასხმა, ასეთ იშვიათ შემთხვევაში ორთაბრძოლა ალბათ დიდხანს არ გრძელდება. ასეც მოხდა. გრაფს დიდი ხნით შეკავებულმა რისხვამ თვალები დაუბრმავა, ხმლის ვადას რკინის ხელებით ჩაეჭიდა და სწრაფად, თუმცა უაზროდ, დაიწყო ქნევა. დონ ლუისს ოთხჯერ მოხვდა გრაფის ხმალი, საბედნიეროდ ბრტყლად, მაგრამ მტკივნეულად. თავს ძლივს იკავებდა, ელვისუსწრაფესი დარტყმები რომ აეცილებინა და მხრების გაუსაძლისი ტკივილი არავის შეემჩნია. ამასობაში გრაფის ხმალმა მარცხენა მკლავი გაუსერა და თეთრი პერანგის სახელო წითლად შეეღება. გრაფს აღარაფერი ესმოდა, გამძვინვარებული გაქანდა მეტოქისკენ, მაგრამ მოულოდნელად მისი ხმლის ქვეშ აღმოჩნდა. დონ ლუისმაც არ დაახანა და გრაფს მძლავრად ჩაარტყა ხმალი თავში. ჭრილობიდან სისხლი ნაკადულივით გადმოსკდა და დარეტიანებული გრაფი იატაკს დაასკდა.

ორთაბრძოლა წამებში დამთავრდა.
დონ ლუისი ისე მშვიდად იდგა სტოიკოსივით, ვითომ არაფერი მომხდარიყო. მას ხომ მხოლოდ აუცილებლობის მკაცრმა კანონმა უბიძგა ჩხუბში ჩარეულიყო მისი ბუნებისა და შეხედულებების საწინააღმდეგოდ? მაგრამ იატაკზე უგონოდ გართხმულ, სახეგასისხლიანებულ გრაფს რომ ხედავდა, ცოტა შეშინდა. ჭიანჭველაზე ფეხი არ დაუდგამს და ახლა კაცი მოკლა? სულ რაღაც ხუთი-ექვსი საათის წინ სურდა გამხდარიყო მღვდელი, მისიონერი, სახარების მქადაგებელი, ახლა კი უცბად რამდენი დანაშაული ჩაიდინა, რამდენჯერ დაარღვია საღმრთო ცნებები. არ დარჩენილა მომაკვდინებელი ცოდვა, ლაქად არ მოსცხებოდა მას. ჯერ იყო და გაქრა მისი განზრახვა

გმირულ და სრულყოფილ სიწმინდეებთან მიახლოებაზე; მიმოიფანტა მისი სწრაფვა უფრო იოლ, უფრო მოსახერხებელ ბურჟუაზიულ სიწმინდეში. ეშმაკმა ჩაუშალა ყველა გეგმა. ახლა ის აზრი ამიერიდან ძნელად თუ შევძლებ ქრისტიან ფილემონად გარდავიქმნე, რამეთუ მოყვასს ხმალი თავში ჩაარტყა, ეს ცუდი დასაწყისია მარადიული იდილიისთვისო.
დონ ლუისისთვის ეს დღე მეტისმეტად გადატვირთული იყო ემოციურად და ეტყობოდა კიდეც: ცხელებით დაავადებულს ჰგავდა.
კურიტო და კაპიტანი აქეთ-იქით ამოუდგნენ, ხელი ჩასჭიდეს და სახლში წაიყვანეს.

* * *

დონ პედრო დე ვარგასი შეშინებული წამოვარდა საწოლიდან, როცა მოახსენეს, დაჭრილი ვაჟიშვილი მოვიყვანეთო. მაშინვე დახედა ჭრილობას, დახედა დაჟეჟილ მხრებს და თქვა, რომ საშიში არაფერია. მერე უცებ გაბრაზებულმა შესძახა, ახლავე წავალ და შურს ვიძიებ იმისათვის, რომ ჩემს შვილს ასე მოექცნენ, მანამდე არ დავმშვიდდები, სანამ არ გავიგებ, რა მოხდა, რატომ მოხდა, სანამ არ გავიგებ, ჩემმა ვაჟმა, მიუხედავად თავის ღვთისმოსაობისა, თვითონ როგორ მოახერხა თავის დაცვაო...
მერე ექიმი მოვიდა და დონ პედრო დაარწმუნა, რომ მის შვილს სერიოზული არაფერი სჭირს, სამ-ოთხ დღეში ქუჩაში ისე გავა, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. სამაგიეროდ, გრაფს მოუწევს რამდენიმე თვით დასვენება, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.
გონზე რომ მოვიდა, ითხოვა, ჩემს მამულში წამიყვანეთო. მამული არც ისე შორს იყო აქედან. მსახურმა და ორმა უცნობმა, სეკუნდანტები რომ იყვნენ, დაქირავებული ფურგონით წაიყვანეს დაჭრილი გრაფი თავის მამულში.
ექიმის ნათქვამი მალე გამართლდა: მიუხედავად დაჟეჟილობისა და შეუხორცებელი ჭრილობისა, დონ ლუისს უკვე შეეძლო გარეთ გასვლა. იმედოვნებდა, რომ ცოტა ხანში სრულიად გამოჯანმრთელდებოდა.
როგორც კი ადგომის უფლება მისცეს, მტკიცედ გადაწყვიტა მამისათვის გაემხილა პეპიტას და თავისი სიყვარულის ამბავი, ისიც ეთქვა, რომ მისი ცოლად მოყვანა აქვს განზრახული.
დონ პედრო ეს დღეები დაჭრილ შვილს არ მოშორებია, არაჩვეულებრივი სინაზით ევლებოდა თავს.
27 ივნისს დილით ექიმის წასვლის შემდეგ მამა-შვილი მარტო დარჩა. სწორედ მაშინ შედგა დონ ლუისის ასე მძიმე აღსარება.
– მამა, უფლება არ მაქვს ამდენ ხანს გატყუოთ. ყოველგვარი ფარისევლობის გარეშე მსურს დღეს ყველა ჩემი შეცოდება ვაღიარო თქვენ წინაშე.
– ყმაწვილო, თუ აღსარების თქმა გსურს, იქნებ სჯობდეს ვიკარიო მოვიწვიოთ? ჩემი შეხედულებები საკმაოდ თავისუფალია, ყველა ცოდვას მოგიხსნი, გაგათავისუფლებ, მაგრამ ჩემი პატიება შენ არაფერში გამოგადგება. თუ გსურს, როგორც მეგობარმა მეგობარს შენი საიდუმლო გამანდო, კი ბატონო, მოგისმენ.
– მინდა გიამბოთ ჩემს უმძიმეს დანაშაულზე და მრცხვენია...
– ნუ გრცხვენია, მე ხომ მამაშენი ვარ, თქვი, არაფერი დამიმალო.
სახეაჭარხლებულმა დონ ლუისმა მორცხვად დაიწყო:
– ჩემი საიდუმლო ის არის, რომ პეპიტა ხიმენესი შემიყვარდა და იმასაც...

დონ პედრო უცბად ახარხარდა:
– იმასაც შეუყვარდი... სან ხუანის დღეს ორივენი ღამის ორ საათამდე ტკბილად ჭუკჭუკებდით. პეპიტას გულისთვის ეძებდი საბაბს გრაფ ხენასაარს წაჰკიდებოდი, და თავიც გაუხეთქე. ჰო, ჰო, ჰო, დიდი საიდუმლო კი გამანდე, ხომ იცი. ძაღლმა და კატამ იცის თქვენი ამბავი. ღამის ორ საათამდე გაგრძელებული საუბარი საიდუმლოდ დარჩებოდა, ფუნთუშების გამყიდველ ბოშა ქალებს რომ არ დაენახე, როგორ გამოხვედი პეპიტას სახლიდან. სანამ ქვეყანას არ მოჰფინეს ეს ამბავი, არ მოისვენეს. რომ იცოდე, დიდად არც პეპიტა მალავს თურმე. კარგსაც აკეთებს – რატომ უნდა დამალოს? შენი დაჭრიდან პირველივე დღიდან პეპიტა დღეში ორჯერ მოდიოდა, ანტონიონას ხომ ორ-სამჯერ აგზავნიდა შენი ჯანმრთელობის გასაგებად, მაგრამ მე მათ არ ვუშვებდი შენთან. არ მინდოდა, აღელვებულიყავი.

დონ ლუისი რაც მეტს იგებდა მამის ნაამბობიდან, მით უფრო მეტად იპყრობდა გაოცება.
– ალბათ რა მოულოდნელი იყო თქვენთვის, – თქვა მან, – ალბათ როგორ გაგიკვირდათ...
– არავითარი მოულოდნელობა არ ყოფილა, არც გამკვირვებია, ბიჭუნა, ჩვენს დაბაში მხოლოდ ოთხი დღეა გაიგეს ყველაფერი, და მართალი გითხრა, ყველა გაოცებულია, სალაპარაკო გაუჩნდათ: "ერთი ამას დაგვიხედეთ, ეს ვინ ყოფილა, ესეც თქვენი წმინდანი, ესეც თქვენი ფისუნია! ხომ გამოაჩინა თავისი ბრჭყალები?!" პადრე ვიკარიო ჯერაც ვერ მოსულა გონს. განსაკუთრებით, როცა იხსენებს, როგორ იმუშავე უფლის ვენახში 23 ივნისის ღამიდან 24 ივნისის გათენებამდე და რა მრავალფეროვანი და მრავალმხრივი იყო შენი შრომა. პირადად მე ეს ახალი ამბები სულაც არ გამკვირვებია, თუ არ ჩავთვლი შენს დუელს. ჩვენ, მოხუცებმა, მიწის ქვეშ რა ხდება, ისიც ვიცით. ასე რომ, ბებერ მამალს წიწილა ვერ მოატყუებს.
– მართალს ამბობთ. თქვენი მოტყუება მინდოდა, ფარისეველი აღმოვჩნდი.
– ნუ სულელობ, საწყენად არ მითქვამს, ისე ვთქვი, უბრალოდ, თავი რომ გამჭრიახ კაცად მოგაჩვენო. მაგრამ მოდი, გულახდილად ვილაპარაკოთ. სატრაბახო არაფერი მაქვს. შენი რომანი პეპიტასთან აგერ უკვე ორი თვეა მისხალ-მისხალ არის ცნობილი ჩემთვის და იცი საიდან არის ცნობილი? ბიძაშენი, შენი მოძღვარი, – ვისაც შენ წერილებს სწერდი – მერე მე მამცნობდა ყველაფერს დაწვრილებით. ახლა წაგიკითხავ ბიძაშენის საბრალმდებო წერილს, მერე ჩემს პასუხსაც. ეს საბუთი ერთობ მნიშვნელოვანია. მე შევინახე მისი შავად ნაწერი.
დონ პედრომ ჯიბიდან რამდენიმე ფურცელი ამოიღო, ერთი შეარჩია და დაიწყო კითხვა: წინამძღვრის წერილი – "ჩემო ძვირფასო ძმაო, სულიერად ძალიან მიჭირს: ცუდი ამბავი უნდა გაუწყო, მაგრამ იმედი მაქვს, ღმერთი მოგცემს იმდენ ძალასა და მოთმინებას, ადვილად გადაიტანო გულისტკენა. რამდენიმე დღეა, ლუისიტო უცნაურ წერილებს მწერს. წერილებში მისტიკური ეგზალტაციის მიღმა საკმაოდ მიწიერი და ცოდვილი გატაცება ამოვიკითხე იქაური ცბიერი და პრანჭია ახალგაზრდა ქვრივი ქალის მიმართ. მე ავჩქარდი, წინდაუხედავად მოვიქეცი, როცა დავიჯერე ლუისიტოს ურყევი სწრაფვა ღვთის მსახურებისადმი, ვიმედოვნებდი, რომ მისი სახით ეკლესიას ვაჩუქებდი ჭკვიან, კეთილ, სამაგალითო მღვდელს, მაგრამ მისმა წერილებმა ჩემი ილუზიები დაანგრია, ის უფრო პოეტი ჩანს, ვიდრე ღვთისმოსავი ყმაწვილი კაცი. ქვრივი ქალი კი, ალბათ დიდი პოხონდრია ვინმეა, ეშმაკის ტყავში გახვეული ალქაჯი, იოლად დაიმორჩილებს მას. თუმცა ლუისიტოს რამდენჯერმე მივწერე, გაიქეცი, აიცდინე-მეთქი ცდუნება, მაგრამ არა მგონია დამიჯეროს. ვფიქრობ, არც უნდა მეწყინოს, რადგან თუ ბედად უწერია

წარუმატებლობა და მექალთანეობა, სჯობს დროზე გაირკვეს, მღვდლის ჩინის მიღებამდე. მე წინააღმდეგი არ ვიქნები, თუ ლუისიტო დარჩება იქ, სადაც ლამაზი ქვრივი ქალის მიმართ სიყვარული დაეხმარება როგორც ცხოვრების ბრძმედი ან თავის სულიერი ღვთისმოსაობისთვის სასინჯ ქვა. ჩვენც გავიგებთ, რას წარმოადგენენ ისინი: ოქროს თუ უბრალო შენადნობს. მაგრამ არსებობს წყალქვეშა ქვაც. ჩვენ ხომ სინჯის ოსტატად გვინდა ვაქციოთ ახალგაზრდა ქვრივი ქალი, ვის ცოლად მოყვანასაც – წარმატებით თუ წარუმატებლად – შენ აპირებ. ღმერთმა ნუ ქნას, შვილი აღმოჩნდეს მამის მეტოქე! დროულად რომ ავიცილოთ ეს საშინელი სკანდალი, ამიტომაც გწერ ამ წერილს: რაც გინდა მოიგონე, ლუისიტო კი უსათუოდ გამოაგზავნე ჩემთან, ან შენ ჩამოიყვანე. იცოდე, რაც უფრო ჩქარა მოაბამ ამ საქმეს თავს, მით უკეთესი იქნება!” დონ ლუისი თვალებდახრილი ჩუმად უსმენდა მამამისს.

– ახლა ჩემს პასუხს წაგიკითხავ წინამძღვრის ამ წერილზე.
პასუხი – ძვირფასო ძმაო და ღირსო სულიერო მამაო! ათას მადლობას გწირავ იმ ამბებისთვის და რჩევებისთვის, შენ რომ მწერ. მე ყოველთვის ვიწონებდი თავს გამჭრიახობით, მაგრამ ვაღიარებ, ამ შემთხვევაში კარგად ვერა მაქვს საქმე. თვითდაჯერებულობამ დამაბრმავა. მას შემდეგ, რაც ჩემი ვაჟი დაბრუნდა, პეპიტა ხიმენესი ისე თავაზიანად და ალერსიანად მეპყრობოდა, რომ მეგონა, წარმატებას მივაღწიე. შენმა წერილმა გამომაფხიზლა. მივხვდი, იმიტომ მექცეოდა ასე ყურადღებითა და სინაზით, რომ ცუღლუტს სურდა ეამებინა ჩემთვის, მე ხომ მისთვის ჩვენი პირტიტველა ღვთისმეტყველის მამა ვიყავი! ვერ დავმალავ, ამას რომ მივხვდი, გულში მომხვდა და მეწყინა. მაგრამ საღად რომ მივუდექი საკითხს, გულისტკენა სიხარულად მექცა. შესანიშნავი ბიჭი მყავს, რაც ჩემთან არის, უფრო მეტად შემიყვარდა. დიდი ხნის წინათ გამოვგზავნე შენთან და აღსაზრდელად ჩაგაბარე, რადგან ჩემი ცხოვრება არ იყო მთლად დალაგებული და სამაგალითო ამა თუ იმ მიზეზთა გამო. აქ ის ველურად გაიზრდებოდა. შენ მეტი გააკეთე მისთვის, ვიდრე მე ველოდი. ის კი არა, ორივეს აგყევით და კინაღამ მღვდელი არ გახდა ჩემი ლუისიტო?! წმინდა ვაჟიშვილი ნამდვილად აამებდა ჩემს პატივმოყვარეობას, მაგრამ მეორე მხრივ, ძნელია უშთამომავლოდ გადაშენდე, შვილიშვილებზე ვოცნებობ. ჩემი სიკვდილის შემდეგ მათ დარჩებათ მთელი ჩემი ქონება, რომლითაც ძალიანაც ვამაყობ, რადგან მე ის თაღლითობითა და ძალადობით კი არა, შრომით, ჩემი მარჯვენით და გონებით მაქვს მოპოვებული. შესაძლოა სულაც იმის გამო, რომ დარწმუნებული ვიყავი, ლუისი მართლა გახდებოდა მღვდელი, მართლა გაემგზავრებოდა ჩინელებთან, ინდოელებთან, მონიკონგოელ ზანგ ბავშვებთან საქადაგოდ და მათ მოსაქცევად, ამიტომაც გადავწყვიტე ცოლის შერთვა, რათა შთამომავლობა გამემრავლებინა. ჩემი არჩევანი შეჩერდა პეპიტა ხიმენესზე, რომელიც სულაც არ არის ალქაჯი ქალი, როგორც შენ ამბობ. ის უმშვენიერესი არსებაა, თვით ზეცაზეც წმინდაა; გამოირჩევა გრძნობიერებით და არა პრანჭიობით. ის რომ ახლა 16 წლისა იყოს, ტირანი დედის გვერდით ხელმოკლედ ცხოვრობდეს, მე 80 წლისა ვიყო დონ გუმერსინდოსავით და სიკვდილი კართან იყოს მომდგარი, მე მაინც დავქორწინდებოდი მასზე, რათა სიკვდილის წინ დამენახა მფარველი ანგელოზის სახე, ანგელოზისა, რომელსაც ადამიანის სახე ჰქონდა, შემდეგ მისთვის დამეტოვებინა ჩემი ქონება, სახელი, მაგრამ პეპიტა აღარ არის თექვსმეტი წლის, ოცი წლისაა, გვერდით აღარ ჰყავს გაქნილი, ფულს დახარბებული დედა; მეც არ ვარ ოთხმოცი წლის, ორმოცდათხუთმეტისა ვარ. ეს ყველაზე ცუდი, სიბერისკენ გარდამავალი ასაკია, უკვე გრძნობ, სხეული როგორ გიუძლურდება, სუნთქვა გიხშირდება, ხველა და რევმატული ტკივილები გახსენებს თავს, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად სიკვდილზე ჯერ არ ვფიქრობ, ოც წელიწადსაც ვიცოცხლებ და მეტსაც. და

რაკი პეპიტაზე ოცდათხუთმეტი წლით ვარ უფროსი, თავად განსაჯე, რა მწარე მომავალი ელოდებოდა მას ასეთ ბებერთან ქორწინებით. მიუხედავად თავისი კეთილი ბუნებისა, ქორწინებიდან სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში შემიზიზღებდა. სწორედ იმიტომ, რომ ის კეთილიცაა და გონიერიც, რამდენიც არ უნდა მეთხოვნა, ცოლად მაინც არ გამომყვებოდა. რომ იცოდე, რა მადლობელი ვარ მისი! იმის გაფიქრებაზე, რომ ჩემ ნაცვლად მან ჩემი ვაჟი, ჩემი სისხლი და ხორცი შეიყვარა, მისი ჩემდამი სიძულვილით დაშხამული პატივმოყვარეობა ნელ-ნელა გამინელდა. ნაზი სურო ჭიაღუებით სავსე ბებერი ხის დასვრეტილ ტანს ვერ ეგუება. დაე, აუყვეს ლამაზი სურო ამ ხის ტანს, ავიდეს მაღლა ახალამოყრილ მწვანე ტოტებისკენ, მიეფეროს, შემოეხვიოს. ღმერთმა დალოცოს ახალგაზრდები, დაე, გაიფურჩქნოს მათი სიყვარული! მე არა მხოლოდ დავიბრუნებ ჩემს ბიჭს, არამედ დავტოვებ კიდეც აქ, თუ საჭირო გახდება – ძალითაც კი. მე შეთქმულებას ვაწყობ მისი მისწრაფების წინააღმდეგ. მე უკვე ვოცნებობ, როდის ვნახავ მას დაქორწინებულს. მე გავაახალგაზრდავდები, როცა დავინახავ, როგორ უყვართ ერთმანეთი ცოლ-ქმარს, ხოლო შვილიშვილებს რომ მაჩუქებენ, ეს ხომ წარმოუდგენელი სიხარული იქნება ჩემთვის. აბა, ის იქნებოდა კარგი, გადაკარგულიყო მისიონერად, ექადაგა, გამოეგზავნა ახალრწმენამოქცეული ბავშვები ავსტრალიიდან, მადაგასკარიდან, ინდოეთიდან – ნახშირივით შავები, გათრიმლული ტყავივით ყვითლები, დიდტუჩება და ელამები

დონ პედრომ წერილის კითხვა დაასრულა და შვილს შეხედა. დონ ლუისს თვალებში ცრემლი უბრწყინავდა.
მამა-შვილი ერთმანეთს გადაეხვია და დიდხანს იდგნენ ასე მდუმარენი.
ამ საუბრისა და წერილების წაკითხვის შემდეგ, ზუსტად ერთი თვის თავზე, შედგა დონ ლუის დე ვარგასისა და პეპიტა ხიმენესის ჯვრისწერა.
წინამძღვარმა იმის შიშით, რომ ჩემი ძმა სასაცილოდ ამიგდებს ლუისიტოს ამაღლებული სურვილების ჩაშლის გამოო, თანაც წინასწარვე იცოდა, რომ ამ პატარა დაბაში, ქორწილში უხერხულად იქნებოდა, თავისი სტუმრობით ზედმეტ ლაპარაკს გამოიწვევდა: აქაოდა, მომავალი მღვდლების აღზრდა არ ხელეწიფებაო, – მოუცლელობა მოიმიზეზა, თუმცა ნეფე-დედოფალი დალოცა და პატარძალს ძვირფასი საყურეები გამოუგზავნა საჩუქრად.
ასე რომ, პეპიტასი და დონ ლუისის ჯვრისწერის სიამოვნება სენიორ ვიკარიოს ერგო წილად.
საქორწილოდ გამოწყობილი პატარძალი ულამაზესი იყო. უკვე აღარავის უკვირდა, დონ ლუისმა რატომ დათმო თავისი საეკლესიო კარიერა.
დონ პედრომ შესანიშნავი მეჯლისი მოაწყო პატიოში და სასტუმრო დარბაზში. მსახურები და ბატონები, მოახლეები და ქალბატონები, იდალგოები და მოჯამაგირეები, სენიორიტები და გლეხის გოგოები ერთად, გვერდიგვერდ ერთობოდნენ, მხიარულობდნენ, როგორც ოდესღაც ხდებოდა ზღაპრულ საუკუნეში, რომელსაც, არავინ იცის, რატომ შეარქვეს "ოქროს საუკუნე". რამდენიმე შესანიშნავი – თუ შესანიშნავი არა, ყოველ შემთხვევაში, დაუღლელი – გიტარისტი უკრავდა ფანდანგოს. ცნობილი ბოშა მომღერლები ქალი და კაცი მგზნებარე სასიყვარულო სიმღერებს მღეროდნენ. სკოლის მასწავლებელმა ჰეგზამეტრით შესრულებული ეპითალამა წაიკითხა.
უბრალო ხალხისთვის მოამზადეს ფუნთუშები, ნაირ-ნაირი მურაბა, ნაზუქეული, მარციპანი და ბლომად ღვინო. სენიორებისთვის – დაშაქრული ხილი, შოკოლადი, ფორთოხლის წვენი, ლიქიორი.
დონ პედრო ახალგაზრდებს არ ჩამოუვარდებოდა მხიარულებაში, ხუმრობდა, ქალებს ქათინაურებს არ აკლებდა. მისი წუწუნი ძმასთან მიწერილ რევმატიზმსა და სხვა

სატკივარზე, მოგონილს ჰგავდა, არავინ დაიჯერებდა. ფანდანგო იცეკვა პეპიტასთან, პეპიტას მომხიბლავ პირისფარეშებთან და სხვა გოგონებთანაც ერთად. ცეკვის მერე ყოველ მეწყვილეს თავის ადგილამდე აცილებდა, მანდილოსნებს მადლობის ნიშნად მაგრად ხვევდა ხელს, გოგონებს კი ჩქმეტით აჯილდოებდა, თუმცა ეტიკეტი ამას არ ითვალისწინებდა. დონ პედრომ ისე შეიფერა გალანტურობა, რომ შვიდფუთიანი დონია კასილდაც კი გამოიწვია საცეკვაოდ. უარს აზრი არ ჰქონდა. საბრალო ქალი ივლისის სიცხით გათანგული, ოფლში ცურავდა. დონ პედრო მერე კურიტოს არ მოეშვა. ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო იმდენჯერ დაალევინა, სანამ არ დაათრო, მერე მეჯოგე დიენტესმა საბრალო კურიტო ჯორზე ტიკჭორასავით გადაკიდა და შინ წაიყვანა გამოსაძინებლად.

მეჯლისი ღამის სამ საათამდე გაგრძელდა, მაგრამ სიძე-პატარძალი ჭკვიანურად მოიქცა, ჯერ კიდევ თერთმეტი არ იყო შესრულებული, რომ გაქრნენ. პეპიტას სახლში დიდის ამბითა და ზარ-ზეიმით შეხვდნენ. დონ ლუისმა, ახლა, როგორც საყვარელმა ბატონმა, გადააბიჯა განათებული საძინებლის კარის ზღურბლს, სადაც სულ რაღაც ერთი თვის წინ ჩაბნელებულში შევიდა დაბნეული და დამფრთხალი.
თუმცა ესპანეთის პროვინციებში წესად არის მიღებული – რა თქმა უნდა, ხუმრობით – მეორედ დაქორწინებულთა სახლთან ზანზალაკების ჟღარუნი, ხმაური, ბუკის ყურისწამღები ხმა, პირველი ღამის სიამოვნების ჩაშლის მიზნით – პეპიტას მიმართ მოსახლეობა ისე კეთილად იყო განწყობილი, დონ პედროს ისე დიდ პატივს სცემდნენ და დონ ლუისიც ისე უყვარდათ, რომ თითქოს ყველამ და ყველაფერმა სუნგალი გაწყვიტაო, პეპიტას სახლთან ამდაგვარი არაფერი მომხდარა. ეს ამბავი კი მართლაც უჩვეულო იყო და კიდეც შეიტანენ ამ დასახლების მატიანეში როგორც იშვიათ შემთხვევას.

III. ეპილოგი. ჩემი ძმის წერილები

აქ შეიძლებოდა დაგვემთავრებინა პეპიტას და დონ ლუისის სიყვარულის ამბავი. ვფიქრობდი, ეპილოგი ზედმეტი იყო, მაგრამ რაკი ნაპოვნ ხელნაწერში იდო, გადავწყვიტეთ მთელი ტექსტის ნაცვლად მხოლოდ ფრაგმენტები მაინც გამოგვექვეყნებინა. ალბათ ეჭვი არავის ეპარება, რომ დიდი სიყვარულით შეუღლებული პეპიტა და ლუისი – ახალგაზრდები, ჭკვიანები, სიკეთით სავსენი, უმშვენიერესი პეპიტა და წარმოსადეგი დონ ლუისი – დიდხანს ცხოვრობდნენ ტკბილად, მშვიდად და ბედნიერად. რა თქმა უნდა, ლოგიკურად ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ვისაც ეჭვი გაუჩნდება, ეპილოგის წაკითხვის შემდეგ მიხვდება, რომ აქ ყველაფერი უტყუარია.
ასეც რომ არ იყოს, ეპილოგში მოხსენიებულია აქ განვითარებულ მოვლენებში მეორეხარისხოვანი მონაწილეები, რომელთა ბედიც შესაძლოა და ბუნებრივიცაა, აინტერესებს მკითხველს.

ეპილოგში შესულია დონ პედრო ვარგასის წერილები, მიწერილი თავისი ძმისადმი. წერილებში დეტალურად მოუთხრობს თავისი ვაჟიშვილის ბედნიერ ოჯახურ ყოფაზე. ჩვენ ეპილოგში შევიტანეთ მხოლოდ მოკლე ფრაგმენტები უთარიღოდ, მაგრამ ქრონოლოგიური რიგის დაცვით... მორჩა, ამით ამბავიც დამთავრდება!
ლუისი დიდად მადლიერი იყო ანტონიონასი: ის რომ არა, ლუისი ვერ დაქორწინდებოდა პეპიტაზე. მაგრამ ანტონიონა მონაწილეობდა იმ ერთადერთ დანაშაულში, რომელსაც პეპიტა და მისი გადია ახლაც ნანობენ. ნდობით აღჭურვილი და ყველა ოჯახურ საქმეში ცხვირჩაყოფილი და ღრმად ჩახედული ანტონიონა შესაძლოა ხელის შემშლელიც კი გახდეს მომავალში. ასეა თუ ისე, ლუისს სურდა მისგან გათავისუფლებულიყო, სურდა ისე გაეშვა, სიკეთეც გაეკეთებინა. იმდენი იწვალა, იმდენი ირბინა, რომ ბოლოს და ბოლოს მოახერხა დაებრუნებინა თავის ქმართან, რომელიც ანტონიონამ მიატოვა ლოთობის გამო. ოსტატ სენსიასის ვაჟმა პირობა დადო, თითქმის არასოდეს დავლევო. გადაწყვეტილად მაინც ვერ თქვა უპირობო სიტყვა "აღარასოდეს". ანტონიონამ დაიჯერა ქმრის ნახევრად პირობა და დარჩა მასთან. ლუისმა გადაწყვიტა ოსტატ სენსიასის ვაჟის სრული განკურნების მიზნით გამოეყენებინა ჰომეოპათიური მეთოდი. ექიმებისგან ხშირად გაუგონია, საკონდიტროებში მომუშავე ადამიანები ტკბილეულს არ ეტანებიან, დანახვაც არ უნდათ ნამცხვრებისო. ლუისმა იფიქრა, მაშინ გამოდის, მედუქნეებსაც არ უნდა უყვარდეთ ღვინო და არაყიო, და პროვინციის მთავარ ქალაქში კარგად გამართული ტავერნა იყიდა... ცოლ-ქმარმა სწრაფად აუღო ალღო ახალ ცხოვრებას, უამრავი მუშტარი გაუჩნდათ და ალბათ მალე გამდიდრდებიან კიდეც. ქმარი იშვიათად ეტანება სასმელს, მაგრამ ანტონიონა ქმართან შედარებით ჯანიანად გამოიყურება და კარგა გვარიანადაც "ანჯღრევს" ხოლმე.
კურიტო ყველანაირად ცდილობს თავის კუზენს მიბაძოს ყველაფერში. შეიძლება ითქვას, აღმერთებს მას. პეპიტას და ლუისის ბედნიერი ოჯახის შემყურეს, მასაც მოუნდა დაქორწინება. ბევრი არ უფიქრია, საცოლედ შეარჩია აქაური მდიდარი მიწათმფლობელის ლამაზი, ყაყაჩოსავით ლოყებღაჟღაჟა ქალიშვილი, რომელმაც პირობა დადო, მალე სიმსუქნეში ჩემს დედამთილს, დონია კასილდას გადავაჭარბებო.
გრაფმა ხენასაარმა ხუთი თვე დაჰყო საწოლში, ჭრილობები ხომ მოიშუშა, როგორც ამბობენ, წინანდელი თავხედური ლაპარაკი და გამოხტომებიც მნიშვნელოვნად შეუმცირებია. ცოტა ხნის წინ ვალის ნახევარი დაუბრუნა პეპიტას და სთხოვა დანარჩენის დასაბრუნებლად დრო მომეცითო.
დიდი მწუხარება დაგვატყდა თავს: პადრე ვიკარიო წელთა სიმრავლემ უკეთეს სამყაროში წაიყვანა. ეს არ იყო მოულოდნელი ამბავი, მაგრამ ფაქტის წინაშე რომ დავდექით, ყველას ძალიან დაგვწყდა გული. პეპიტა ბოლო წუთამდე ეჯდა სასთუმალთან. ლამაზი ხელებით დაუხუჭა თვალები. პადრე ვიკარიომ ღვთიური დასასრული მოიპოვა. ეს სიკვდილი კი არა, უფრო ბედნიერი გარდასვლა იყო საუკუნო განსასვენებელში. და მაინც ყველამ გულით დავიტირეთ იგი. ქონებიდან ხუთი-ექვსი დურო და ძველი ავეჯი დარჩა მხოლოდ. ის ხომ ღარიბებს ურიგებდა ყველაფერს. პეპიტა რომ არა, აქაური ღარიბები უპატრონო ობლებივით დარჩებოდნენ პადრე ვიკარიოს სიკვდილის შემდეგ.

დაბაში ყველა წუხს პადრე ვიკარიოს გარდაცვალების გამო. წმინდანად მოიხსენიებენ, რას აღარ მიაწერენ მის სახელს. ისიც კი თქვეს, საკურთხეველთან მისი ქანდაკების დადგმას აპირებენო. ეს რამდენად მართალია, არ ვიცი, მაგრამ პადრე ვიკარიო რომ არაჩვეულებრივი პიროვნება იყო, ეს ყველამ ვიცით. ისიც ვიცით, რომ სამოთხეში შევა და იქაც ჩვენი ქომაგი იქნება. მიუხედავად იმისა, რომ უაღრესად მორჩილი, თავმდაბალი და ღვთისმოშიში ადამიანი იყო, სიკვდილის პირას მისულიც კი ინანიებდა

ცოდვებს და ჩვენც გვთხოვდა გველოცა მისთვის, უფლისა და მარიამ ღვთისმშობლისთვის შეგვევედრებინა მისი სული.
თუმცა პადრე ვიკარიოს ბრწყინვალე განათლება არ ჰქონდა მიღებული, სამაგიეროდ ფლობდა მტკიცე ნებას, მტკიცე რწმენას და ღმერთის უმაღლეს სიყვარულს. მისი ცხოვრება სამაგალითო იყო ყველასთვის. ლუისზე ამ ყველაფერმა ისე იმოქმედა, რომ რაღაც წამით საკუთარი თავი შეადარა აწ გარდაცვლილს და ვაჟკაცურად აღიარა, რომ პადრე ვიკარიოს ზნეობრივ სრულყოფილებამდე ბევრი აკლდა. ამ სიკვდილმა გაურკვეველი ნაღველი ჩაუდგა გულში, მაგრამ ჭკვიანმა პეპიტამ ღიმილითა და ალერსით დააბრუნა ქმარი რეალობაში.
სახლში ყველაფერი ყვავის. მე და ლუისს ისეთი ღვინის სარდაფები გვაქვს, მსგავსს რომ ვერ იპოვი მთელ ესპანეთში, თუ არ ჩავთვლით ხერესს. წელს ზეთისხილიც უხვად მოვიდა. შეგვიძლია თავს ნება მივცეთ, ფუფუნებით ვისარგებლოთ. შვილსა და რძალს ვურჩევ, როგორც კი პეპიტა იმშობიარებს და ცოტა მომაგრდება, სამოგზაუროდ წავიდნენ საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში. მერე რომ გვიან არ იყოს, ახალგაზრდებს შეუძლიათ ახლავე შეუდგნენ მომზადებას. რამდენიმე ათას დუროს გადავინახავთ, საზღვარგარეთ შეიძენენ საინტერესო წიგნებს, ავეჯს და ხელოვნების ნიმუშებს თავიანთი ბუდის მოსართავად.
ორი კვირა ველოდებოდით, რომ ნათლობა ქორწილის წლისთავისთვის დაგვემთხვია. ანგელოზივით ბიჭია, თანაც მაგარი. ნათლია მე ვიყავი. ჩემი სახელი დაარქვეს. ერთი სული მაქვს, პერიკიტო
შეყვარებული ცოლ-ქმრის ყველა წარმატებას ისიც დაემატა, რომ პეპიტას ძმა, როგორც ჰავანიდან იწერებიან, მნიშვნელოვანი პიროვნება გახდა და ახლა აღარ გვეშინია, რომ ეს აქამდე უსაქმური კაცი შეარცხვენს ოჯახს. უფრო პირიქით, შესაძლოა ის გახდეს ოჯახის დამამშვენებელი, ოჯახის სიამაყე. მისი ამბავი აქამდე არ ვიცოდით. საბაჟო სამსახურში ახალ თანამდებობაზე დაუნიშნავთ. შემდეგ ზანგებით ვაჭრობდა. საქმე ჩაუვარდა, მაგრამ ბევრი არ უდარდია: ზოგიერთ საქმოსანზე გაბანკროტება ისე კეთილად მოქმედებს, როგორც კარგი გასხვლა ხეს – გასხვლის შემდეგ ტოტები უკეთ იზრდება, იფოთლება, ჰოდა, ისიც ისე "აყვავდა", რომ განიზრახა მარკიზის ან ჰერცოგის ტიტულის მიღება. პეპიტა შეშინებულია და უკმაყოფილოც ბედის ბორბლის ასე მოულოდნელი შემოტრიალებით. მაგრამ მე ვეუბნები: "ნუ სულელობ, თუ შენი ძმა თაღლითია და ბედად უწერია თაღლითი დარჩეს, იქნებ სჯობდეს ამ თაღლითობაში ბედნიერი ვარსკვლავიც ახლდეს თან?"
ჩვენ შეგვეძლო დონ პედროს წერილებიდან კიდევ ამოგვეკრიფა ციტატები, მაგრამ არ ვინდომეთ მკითხველის გადაღლა. ახლა წავიკითხავთ ნაწყვეტს ერთ-ერთი ბოლო წერილიდან:
მოგზაურობიდან ახალგაზრდები საღ-სალამათები დაბრუნდნენ. პერიკიტო სიცოცხლეა, თანაც დიდი ეშმაკი.

ლუისმა და პეპიტამ გადაწყვიტეს, აღარ მიატოვონ მშობლიური ადგილები, თუნდაც ფილემონესა და ბაუკიდაზე დიდხანს იცოცხლონ. ორივეს ისე უყვართ ერთმანეთი, როგორც არასდროს.
ჩამოიტანეს წიგნები, შესანიშნავი ავეჯი, რამდენიმე სურათი, ნატიფი, დახვეწილი სამშვენისები, უმეტესად პარიზში, რომში, ფლორენციასა და ვენაში ნაყიდი. როგორც პეპიტასი და ლუისის სიყვარული, სინაზით სავსე ურთიერთობა კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს აქაურებზე, მათ ცხოვრების ნირზე, ასევე დახვეწილობა და კარგი გემოვნება – როგორითაც ახლა ჩემები ალამაზებენ თავიანთ

საცხოვრებელს – თავისებურად ხელს შეუწყობს არა მხოლოდ კულტურის განვითარებას, არამედ ადამიანთა შორის ურთიერთობის გაკეთილშობილებასაც.
მადრიდელები ჩვენ პროვინციელებად მოგვიხსენიებენ, ხეპრეებს და გარეკილებს გვეძახიან. მადრიდელებს რა უჭირთ, მაგრად სხედან ქალაქში, ერთხელაც არ უცდიათ ჩამოსულიყვნენ, და როგორც თვითონ იტყოდნენ, "გავეშალაშინებინეთ". გამოჩნდება ვიღაც სადღაციდან, მაშინვე გაიქცევა, გამოჩნდება ვიღაც ღირსეული კაცი, მცოდნე, ან ვითომ მცოდნე, რაღაც იცის და რაღაცად ღირს – ერთი-ორი დღის მერე გარბის აქედან და ბედისანაბარა გვტოვებს.
პეპიტა და ლუისი სხვა აზრისანი არიან. მე მათ მხარეს ვარ. მათ სურთ სამოთხედ აქციონ ეს მიყრუებული კუთხე.
არ იფიქრო, თითქოს ლუისისა და პეპიტას სწრაფვამ მატერიალური კეთილდღეობისკენ თუნდაც მცირედით მაინც შეასუსტა მათი ღვთისმოსაობა. მათი რწმენა დღითი დღე ღრმავდება. ყოველ სიკეთეში – რითაც ისინი სარგებლობენ და სხვებისთვისაც არ იშურებენ – ხედავენ ზეციურ საჩუქარს და ღმერთს მადლობას სწირავენ. უფრო მეტიც: ისინი ვერ შეიგრძნობდნენ ამ სიკეთით გამოწვეულ სიხარულს, ვერ შეაფასებდნენ მას, რომ არ აღიარებდნენ ღმერთის უცილობელ ნებას და რომ არ გააჩნდეთ მისდამი მტკიცე რწმენა.
საკუთარი კეთილდღეობა ლუისს არასოდეს ავიწყებს, რა უმაღლესი იყო მისი ადრინდელი იდეალი. არის წუთები, როცა თავისი ამჟამინდელი ცხოვრება მას უხამსი, პატივმოყვარული და პროზაული ეჩვენება თავგანწირულ ღვთისმსახურებასთან შედარებით. ახალგაზრდული წლების წინა პერიოდში სწორედ ასეთად მიაჩნდა თავი, ეგონა, ღვთისმსახურება იყო მისი მოწოდება. პეპიტა გაგებით ეკიდება ქმრის ფიქრებს, სევდას ალერსით უფანტავს და ლუისიც თანხმდება იმაზე, რომ ადამიანს შეუძლია ემსახუროს ღმერთს ყველა ვითარებასა და მდგომარეობაში, შეუძლია ერთმანეთს შეუთავსოს ცოცხალი რწმენა და ღვთის სიყვარული – მის სულს რომ ავსებს – ნებადართულ მიწიერ და წარმავალ სიყვარულს, მაგრამ ამ სიყვარულში ლუისი ხედავს ღვთიურ საწყისს, ურომლისოდაც მისთვის არც ციური მნათობები არსებობს, არც ყვავილები, არც მინდორი, არც პეპიტას თვალები და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც უცოდველი მშვენიერება – პერიკიტო. დიდი, უზარმაზარი ქვეყნიერება, სამყაროს გრანდიოზული შენობა, – მითხრა ლუისმა, – ღმერთის გარეშე მისთვის იქნებოდა ამაღლებული, მაგრამ უწესრიგო, ულამაზო, უმიზნო, ხოლო პატარა სამყარო, როგორც ლუისი მოიხსენიებს კაცობრიობას, ღმერთის გარეშე ვერ შეძლებდა მათ სიყვარულს არა იმიტომ, რომ ღმერთი გვმოძღვრავს, გიყვარდეთ ადამიანებიო, არამედ იმიტომ, რომ მათი ღირსება და უფლება – იყვნენ სიყვარულის ღირსი – დამოკიდებულია თვით ღმერთზე. რომელმაც არა მხოლოდ შექმნა ადამიანი თავის სახედ და მსგავსად, არამედ გარდაქმნა იგი სულის ცოცხალ ტაძრად...
ლუისი დამშვიდდა, შეურიგდა იმ აზრს, რომ ვერ გახდა მოციქული და შთაგონებული მისტიკოსი, საკუთარ არსებაში ჩაიქრო კეთილშობილური შურის გრძნობა, რომელიც პადრე ვიკარიოს გარდაცვალებისას გაუჩნდა, მაგრამ პეპიტაც და ლუისიც კვლავინდებურად უდიდესი ქრისტიანული ღვთისმოსაობით ადიდებენ ღმერთს იმ ბედნიერებისთვის, მათ ოჯახს რომ მიანიჭა.

ჩემი შვილების სახლში რამდენიმე ოთახი მშვენიერ კათოლიკურ სამლოცველოს მოგაგონებთ. თუმცა კერპთაყვანისმცემლობის კვალიც ჩანს, სასიყვარულო მწყემსურმა იდილიამაც თავისი თავშესაფარი ჰპოვა სახლის კედლებს მიღმა.

პეპიტას ბაღი ეს უკვე მხოლოდ ხეხილის ბაღი კი არა, ბაღი-ყვავილეთია. თავს იწონებენ ინდური ლეღვის ხეები. არცთუ დიდი, მაგრამ ლამაზად ნაგები ორანჟერეა სავსეა იშვიათი მცენარეებით. ტალავერის ადგილას, სადაც ჩვენ მივირთმევდით მარწყვს იმ სამახსოვრო საღამოს, როცა პეპიტა და ლუისი მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს სასაუბროდ – ახლა პატარა მშვენიერი ტაძარი დგას, თეთრი მარმარილოს სვეტებიანი. კედელზე ფსიქეას სურათი სანთლის მკრთალი შუქითაა განათებული. მეორე სურათზე დაფნისი და ქლოაა გამოსახული: მთრთოლვარე ჭრიჭინობელა უსაფრთხო თავშესაფარს ეძებს უნაზეს ქლოას მკერდზე, რათა კვლავ წამოიწყოს თავისი მარადიული სიმღერა, დაფნისს კი ხელი აქვს გაწვდილი, ცდილობს მწერი დაიჭიროს.
შესანიშნავი ასლი ვენერა მედიჩელისა, კარარული მარმარილოსი შუა პავილიონში აღმართულა. კვარცხლბეკზე ოქროს ასოებით აწერია ლუკრეციუსის ლექსიდან ორი ტაეპი:
შენა ხარ ყოვლის შემოქმედი ღვთიურსა ქვეყნად,
უშენოდ არცა სიხარულს და არც მშვენებას
არა აქვს მადლი.